

აკაპი შერეტლის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

## მადონა ნიუარაძე-ფანჩულიძე

რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკა საქართველოს  
მიმართ XX საუკუნის პირველ ოცწლეულში  
და ქართული საზოგადოებრივი აზრი

07.00.03 – მსოფლიო ისტორია

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი  
დისერტაცია

მეცნიერ ხელმძღვანელები: **ლევან სვანაძე** – ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი  
დოდო ჭუმბურიძე – ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

ქუთაისი

2010

## შესავალი

XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველომ დაკარგა დამოუკიდებელი სახელმწიფო ბრიობა და რუსეთის იმპერიის ნაწილად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა დაპყრობილი საქართველო იმპერიის ჩვეულ თრ გუბერნიად აქცია, ქართველი ხალხი არასდროს შერიგებია ამას და მის ცნობიერებაში ეს გუბერნიები კვლავ საქართველოდ აღიქმებოდა. რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობა საუკუნეზე მეტი წელის განმავლობაში მეტროპოლია- კოლონიის ურთიერთობა იყო. ქართველი ხალხი ანტიკოლონიური ბრძოლის ავანგარდში აღმოჩნდა და თავგანწირვით იცავდა მშობლიურ ენას, თვითმყოფად ეროვნულ კულტურასა და ტრადიციებს, ცდილობდა დაკარგული თავისუფლებისა და სახელმწიფო ბრიობის აღდგენას. ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, „რუსეთის მთელი პოლიტიკა და მოქმედება საქართველოს მიმართ ნამდვილად რუსული პოლიტიკური ინტერესებით იყო ნაკარნახევი და მხოლოდ ნიღაბჩამოფარებული, მაგრამ ტლანქი ეროვნული ეგოიზმის განხორციელება იყო... რუსეთი საქართველოს ისე უყურებდა, როგორც კარგ იარაღს, რომელიც საჭიროებისამებრ შეიძლებოდა მშვენივრად გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ“.<sup>1</sup>

რუსეთ- საქართველოს ურთიერთობა, ჩრდილოელი მეზობლის იმპერიალისტური პოლიტიკა და დაპყრობილ ქვეყანაში გატარებული რუსიფიკატორული დონისძიებები დიდი ხანია გახდა ქართული ისტორიოგრაფიის განსჯა-შეფასების საგანი. ეს საკითხი აისახა XIX-XX საუკუნეების რუსულ ისტორიოგრაფიაში, ეს თემა უცხო არც სხვა ქვეყნების მკვლევარი- ისტორიკოსებისათვის ყოფილა, თუმცა ხშირად ევროპის ქვეყნებში რუსული ისტორიოგრაფიის მონაცემები ვრცელდებოდა, რაც ობიექტურობას მოკლებული და რამდენადმე ტენდენციური იყო.

ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას სათავეში ედგა რუსული ხელისუფლების ადგილობრივი ოპოზიცია, რომელიც XXსაუკუნის დასაწყისიდან უფრო რადიკალური გახდა. პროტესტანტული სულისკვეთება გავრცელდა ისტორიოგრაფიასა და მთლიანად მოწინავე საზოგადოებრივ აზროვნებაში. განმტკიცდა თვალსაზრისი, რომ მეფის რუსეთი „ხალხთა საპყრობილე“ იყო, რომ იმპერიის მრავალრიცხოვანი არარუსი ხალხები, რომელთაც ოფიციალურად უწოდებდნენ „ინორდიცებს“, განიცდიდნენ სასტიკ ჩაგვრა- დამცირებას, რაც ეროვნული მოძრაობის გააქტიურებას იწვევდა.

საქართველოში მიმდინარე მოვლენებს რუსეთის იმპერიაში არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ- ეკონომიკური ვითარებაც განსაზღვრავდა, ამიტომ, ამ მოვლენების შესასწავლად აუცილებელია მათი კომპლექსური გაანალიზება, საერთო და კერძო მახასიათებლების გამოკვეთა.

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთი მტკიცედ ადგა კაპიტალისტური განვითარების გზას, რაც ბევრი ხელისშემშლელი მიზეზის მიუხედავად, იწვევდა საწარმოების რიცხვის ზრდას, მუშათა კლასის ჩამოყალიბებასა და პოლიტიკური მოძრაობის გააქტიურებას. გაიზარდა რუსეთის მოსახლეობის რიცხვი; I მსოფლიო ომის წინ იგი 159,2 მილიონამდე სულს აღწევდა.

რუსეთი მრავალეროვანი სახელმწიფო იყო, სადაც 100-მდე ერისა და ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობდა, საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ისინი სრულიად სხვადასხვა დონეზე იდგნენ, რაც იმპერიის ხელისუფლებას მათ მართვასა და ეროვნული პოლიტიკის გატარებაში სირთულეებს უქმნიდა. რუსეთის ვრცელი იმპერია, ასიათასობით კვადრატულ კმ-ზე რომ იყო გადაჭიმული, არათანაბრად იყო დასახლებული. იმპერიის მმართველი წრეები

ადგენდნენ პროექტებს, რომელთაც უნდა გაეადვილებინათ ამ ტერიტორიების არა მარტო ათვისება, არამედ აქ მცხოვრებთა გარუსება და განვითარების დონის გათანაბრება.

რუსეთმა სამხრეთ კავკასიის ათვისება XIX საუკუნეშივე დაიწყო. ჯერ კიდევ 10-იანი წლების ბოლოს საქართველოში ჩამოასახლეს რუსეთისთვის არასასურველი რელიგიური ჯგუფები, 1829-30 წლებში გენერალ პასკევიჩის მეთაურობით მოხდა ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში მასობრივი გადმოსახლება თურქეთში მცხოვრები სომხური მოსახლეობის, ხოლო აქედან გამაჰმადიანებული ქართველების გასახლება თურქეთში, რამაც შემდგომში დიდი დემოგრაფიული ცვლილებები გამოიწვია და ამ კუთხეში უმცირესობად აქცია მკვიდრი მოსახლეობა.

ასეთივე დემოგრაფიული დივერსია საქართველოს მიმართ რა-მდენჯერმე მოხდა ყირიმის ომის დროს, XIX საუკუნის 70-80-იან წლებში. რუსეთის იმპერიული წრეები, კავკასიის უკეთ ასათვისებლად ახდენდნენ ამ მხარის ახლებურ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დაყოფას, ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირების ინსპირაციას, საქართველოში მცხოვრები მცირე ერების მხარდაჭერას, რათა ისედაც მცირემიწიან ქვეყანაში, ფართო მასშტაბით მომხდარიყო სომებთა, ოსთა, რუსთა, ბერძნების და სხვათა ჩამოსახლება, მათი კომპაქტური დასახლებები კი შემდეგში საპრმოლო იარაღი გახდა ცარიზმის ხელში ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი გადასახლებულთა შესახებ ოფიციალურად 1904 წელს იქნა მიღებული, მიგრაცია რუსეთიდან თუ რუსეთის მიერ სხვა ქვეყნებიდან, საქართველოს ტერიტორიაზე უკვე XIX საუკუნეში ინტენსიურად მიმდინარეობდა. ეს კანონი კი უმთავრესად ციმბირისა და შუა აზიის ტერიტორიების დასაკავებლად, რუსეთის მიერ მათ ასათვისებლად უფრო იყო გამიზნული, თუმცა ამ კანონით

არც სამხრეთ კავკასიის კოლონიზაცია იყო დავიწყებული. აქ გადმოსახლებულთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობდა და ზენიტს აღწევდა. ეს განსაკუთრებით შავიზღვისპირეთს ეხებოდა. რუსეთი არ ზოგავდა სახელმწიფო თანხებს შიდაგუბერნიებიდან რუსი გლეხების აქ ჩამოსახლებისათვის, ოღონდ ეს მხარე აეთვისებინა და ადგილობრივი მოსახლეობა გაერცებინა.

ოფიციალური სტატისტიკით რუსეთმა 1905-1914 წლებში ციმბირში 3 მილიონი გლეხი გადაასახლა, მაგრამ ვერც ამან უშველა. თუ ევროპულ რაიონში 28,9 კაცი მოდიოდა 1 კვ. კმ-ზე დასახლებით, ვერც ციმბირი და ვერც რუსეთის სამხრეთის სტეპის ზონა ოდნავადაც ვერ უახლოვდებოდა ამ მონაცემს, აქ ხშირად ათეულობით კილომეტრები სრულიად დაუსახლებელი იყო. მართალია, საქართველოში მოსახლეობა იმდენად მჭიდროდ ცხოვრობდა, რომ უმიწობისაგან იტანჯებოდა, ხშირად აიყრებოდა მკვიდრი ადგილიდან და სხვაგან მიდიოდა საცხოვრებლად, რუსეთი მაინც აგრძელებდა კოლონიური პოლიტიკის ფართოდ გატარებას ამ რეგიონში.

რუსეთის სახელმწიფო დემოკრატიულ დირებულებებზე პრეტენზიას XIX საუკუნის დასაწყისიდან აღიარებდა ვროპული ქვეყნების წინაშე, მაგრამ სინამდვილეში მისი პოლიტიკა შორს იყო დემოკრატისაგან, რასაც არა მარტო ქართული ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი, არამედ რუსული დემოკრატიული ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლებიც აღიარებდნენ.

სადისერტაციოდ წარმოდგენილი ნაშრომი აშუქებს რუსეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ კურსს დაპყრობილი ქვეყნების, კონკრეტულად საქართველოს მიმართ XX საუკუნის I ოცწლეულში და გადმოსცემს ქართველი ერის საუკეთესო შვილების დამოკიდებულებას ამ პოლიტიკასთან, მათ ბრძოლას სახელმწიფოებრიობის აღდგენის, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაბრუნების, ანტიქართული კულტუ-

რულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობისა და რუსული შოვინიზმის წინააღმდეგ.

XX საუკუნის დასაწყისში დაწყებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა განსაკუთრებული გავლენა რუსეთის კოლონიურ მხარეებზე იქონია, გაამწვავა სოციალური ვითარება, მშრომელი ადამიანების ცხოვრების დონე კიდევ უფრო დასცა, რის გამოც რუსეთის I რევოლუციაში ქართველი ხალხის დაბალი სოციალური ფენები აქტიურად ჩაებნენ. სოციალურთან ერთად მათ საბრძოლო ინტერესებში პოლიტიკური მიზნებიც შედიოდა, რაც შეეხება ქართველ მოწინავე მოაზროვნეებს, მათ მთელი იმედები ამ რევოლუციას დაუკავშირეს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამაგვირგვინებლად ჩათვალეს იგი. დაიწყო ბრძოლა სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. ეს იყო რუსეთის ფედერაციულ სახელმწიფოში საქართველოს ავტონომიის მოპოვებისათვის ბრძოლა, რაც პირველად ჩამოყალიბდა ქართველ ინტელიგენციაში, ფართოდ აისახა ქართულ პრესაში, შემდეგ კი რუსეთის სახელმწიფოს სათათბიროს ქართველი დეპუტატების მეშვეობით ამ დიდი ტრიბუნიდან მოეფინა მთელს იმპერიას.

რუსეთ-იაპონიის ომში დამარცხებულმა და რევოლუციის მძლავრი ტალღით დაშინებულმა რუსეთმა დათმობაზე წასვლა ამჯობინა, სახელმწიფო საბჭოში შეიქმნა ე.წ. „ავტონომისტთა ფრაქცია”, სადაც გაერთიანდნენ ცნობილი რუსი მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს პატარა ერთა თვითგამორკვევას რუსეთში. ამ დეპუტატთა შორის იყვნენ ქართველები, რომელთაგან გამორჩეული ყურადღება სათათბირში, სახელმწიფო საბჭოსა თუ პეტრბურგის საზოგადოებაში ილია ჭავჭავაძემ მიიპყრო თავის გამოსვლებით და ინტერვიუებით. ის რუსეთის გადარჩენის მთავარ გზას მის ფედერაციულ მოწყობასა და ერებისათვის პოლიტიკური უფლებების მი-

ცემაში ხედავდა. რუსი მოღაწეები: კოვალევსკი, პლეტნევი, ბოდუენ და კურტენი და სხვები მას უჭერდნენ მხარს და თანამოაზრეობდნენ.

რევოლუცია ამ დროს ნელა იხევდა უკან. აჯანყებული ქართველი ხალხიც სასტიკად იდევნებოდა რუსი სადამსჯელო რაზმების მიერ, მთელს იმპერიაში ქართველები გამორჩეულად ისჯებოდნენ, რადგან რუსეთმა კარგად იცოდა, რომ რუსი გლეხებისგან განსხვავებით, ქართველები სოციალურზე არანაკლებ ეროვნულ-პოლიტიკური იდეებისთვის იბრძოდნენ.

ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებმა: ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა, აკაკი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ და სხვებმა დიდი პროტესტი განაცხადეს დასავლეთ საქართველოში ალი-ხანოვ-ავარსკის სადამსჯელო ოპერაციებისა და ქართველი ხალხის უდანაშაულოდ აწიოკების მიმართ. რუსეთის პოლიტიკურ კურსს და საქართველო-რუსეთის მომავალ დამოკიდებულებას სხვადასხვანაირად უდგებოდნენ ქართული პოლიტიკური პარტიები: სოციალისტ-ფედერალისტები, ესერები, ანარქისტები, კადეტების ქართველი წარმომადგენლები, ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების მოაზროვნები. სოციალისტური ტიპის პარტიები, ძირითადად, პრორუსული ორიენტაციის იყვნენ, ეროვნულ-დემოკრატები კი – ევროპული. ამ უკანასკნელებმა 10-იანი წლების დასაწყისიდანვე დაიწყეს პოლიტიკური კავშირის გაბმა ევროპულ ქვეყნებთან, განსაკუთრებით – გერმანიასთან.

პარტიის ლიდერები იბრძოდნენ გაფართოებული რუსული კოლონიზაციის წინააღმდეგ, იყენებდნენ რუსეთის სათათბიროს ტრიბუნას ქართველი ერისათვის ყველაზე მწვავე საკითხების დასაყენებლად.

სოციალისტური ტიპის პარტიებიდან გამონაკლისი იყო სოციალისტ ფედერალისტური პარტია, რომლის ლიდერები XX საუკუნის დასაწყისიდინავე აყენებდნენ საქართველოს ავტონომიის იდეას. მათი პრესა – გაზეთი „საქართველო“, „ცნობის ფურცელი“, „შრომა“,

„ისარი“, „ამირანი“, „სახალხო საქმე“ და სხვა სისტემატიურად აქვენებდა ქართველ მოაზროვნეთა თეორიულად დასაბუთებულ სტატიებს, სადაც გაკრიტიკებულნი იყვნენ რუსი პოლიტიკოსები, მათი მოღვაწეობა. სახელმწიფოს შემდგომ გაძლიერებას, მათი რწმენით, საფუძვლად დემოკრატიის, ერთა თვითგამორკვევისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა განმტკიცება უნდა დადებოდა.

ეროვნული საკითხის ირგვლივ ქართველი ხალხი მჭიდროდ დაირაზმა 1908-1914 წლებში, I მსოფლიო ომის გაჩაღების შემდეგ კი, უფრო ფრთხილად, მაგრამ მიზანდასახულად დაიწყო ბრძოლა რუსეთის კოლონიურ-იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ამ ბრძოლაში ქართველ ერს ჰყავდა გამოკვეთილი ლიდერები, თუმცა ეს ბრძოლა მაინც იყო ფართო, სახალხო, მასში ჩაბმულნი იყვნენ სხვადასხვა სოციალური ფენები, რასაც მოწმობდა ანტირეჟიმული გამოსვლები, ქართული პრესის პუბლიკაციები, ხალხის სიყვარული მისი საუკეთესო შვილებისადმი, რომელთაც თავი ჰქონდათ გადადებული ერის ინტერესების დასაცავად.

ქართული საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება რუსეთის კოლიტიკური კურსისა და საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესახებ XX საუკუნის პირველ ოცწლეულში ცალკე შესწავლის საგანი არ ყოფილა, თუმცა ბევრი საკითხი, ისეთი, როგორიცაა პოლიტიკური პარტიების მიღებობა საქართველო-რუსეთის ურთიერთობისადმი, პირველი რესპუბლიკის დროს რუსეთის ანტიქართული ბრძოლისა და საზოგადოებრივი აზრის შეურიგებლობა ამ ბრძოლისადმი, ბევრი ასპექტით უკვე შესწავლილია და გამოკვლევებიც არსებობს ამ საკითხებზე.

საკვლევი ეპოქა იმდენად მდიდარია მოვლენებითა და ეროვნული ბრძოლის თავდადებული მაგალითებით, რომ ის კიდევ ბევრი კვლევის თემა შეიძლება გახდეს, არ უნდა დარჩეს არცერთი ფაქტი და თავდადებულ მოღვაწეთა მიერ გაღებული ღვაწლი

დაუფასებელ-შეუფასებელი, ეპოქის საერთო სულისკვეთების ფონზე ქვეყნის სახოგადოებრივ- კულტურულ ცხოვრებაში მიღინარე ყველა ცალკეული პროცესი უნდა იქცეს ქართული ისტორიოგრაფიის კვლევის საგნად. ჩვენი საკვლევი თემის მიზანი არის ნაკლებად ან სრულიად შეუსწავლელი იმ მოვლენების მეცნიერული ანალიზი და შეფასება, რომელიც აუცილებელია ეპოქის სრული სურათის დასახატად.

თემის დასამუშავებლად გამოყენებულია მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა, უპირველესად, ესაა ამდროინდელი უურნალ-გაზეთები: „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“, „მეგობარი“, „ამირანი“, „ისარი“, „ერი“, „იმერეთი“, „კოლხიდა“, „სახალხო გაზეთი“, „სახალხო საქმე“, „საქართველო“, „ერთობა“, უურნალი „კლდე“ და სხვ., ქართველ კლსიკოსთა: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის, კიტა აბაშიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, პავლე ინგოროვას, გერონტი ქიქოძის და სხვათა პუბლიცისტური ნაწერები.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული საარქივო დოკუმენტები ასახავენ რუსეთის ხელისუფლების ანტიქართულ პოლიტიკას, ცენზურის, სადამსჯელო ოპერაციებს, ბოლშევიკებისა და რუსი მონარქისტების ანტიქართულ დონისძიებებს. საარქივო დოკუმენტებიდან აღსანიშნავია სცსა 1861, 1863, 1969, 1836, 1864, 1869, 1833 და სხვა ფონდების დოკუმენტები.

სამხრეთ კავკასიის ერთაშორისი ურთიერთობები ასახულია სხვადასხვა დოკუმენტებსა და კრებულებში, ესაა: დაშნაკ-ცუტიუნის პარტიის პროგრამა<sup>2</sup>, ჩალხუშიანის<sup>3</sup>, ჯიველეგოვის<sup>4</sup>, შახდინის<sup>5</sup>, ქაჩაზნუნის<sup>6</sup> ელჩიბეჭიანის<sup>7</sup>, შახატუნიანის<sup>8</sup>, იშხანიანის<sup>9</sup> და სხვა სომები ავტორთა ნაწერები. ასევე დოკუმენტების კრებულში: დოკუმენტები და მასალები ამიერკავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის

შესახებ<sup>10</sup> , დოკუმენტები და მასალები საქართველოში საბჭოთა ხელი-სუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში<sup>11</sup> და სხვ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართველი მეცნიერების – ივანე ჯავახიშვილის,<sup>12</sup> პავლე ინგოროვას,<sup>13</sup> მიხეილ თამარაშვილის,<sup>14</sup> არჩილ ჯორჯაძის,<sup>15</sup> ალექსანდრე ბენდიანიშვილის,<sup>16</sup> ლევან თოიძის,<sup>17</sup> ლევან ურუშაძის,<sup>18</sup> შოთა ვადაჭკორიას,<sup>19</sup> დიმიტრი შველიძის,<sup>20</sup> მერაბ ვაჩნაძის,<sup>21</sup> გერონტი გასვიანის,<sup>22</sup> ილია ტაბაღუას,<sup>23</sup> ვახტანგ გურუ-ლის,<sup>24</sup> შოთა ჯაფარიძის,<sup>25</sup> ოთარ ჯანელიძის,<sup>26</sup> ნესტან კირთაძის,<sup>27</sup> დოდო ჭუმბურიძის,<sup>28</sup> ნინო ვაშაყმაძის,<sup>29</sup> დ. პაიჭაძის,<sup>30</sup> ა. მენთეშაშვი-ლის,<sup>31</sup> აგრეთვე გ. ძიძარიას,<sup>32</sup> ტრასკუნოვის,<sup>33</sup> კემინოს,<sup>34</sup> მაღლაკელი-ძის,<sup>35</sup> ა. ჩოხელის,<sup>36</sup> რემონ დიუგეს,<sup>37</sup> ჰაიეკის<sup>38</sup> და სხვათა მონოგრა-ფიებს, სტატიებსა და ნარკვევებს, სადაც ასახულია საკვლევ თემასთან დაკავშირებულ საკითხები.

სადისერტაციო თემის კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნე-ლობა ჰქონდა ემიგრანტულ ლიტერატურასა და პრესას: ნოე ქორდა-ნიას,<sup>39</sup> ვიქტორ ნოზაძის,<sup>40</sup> ზურაბ ავალიშვილის,<sup>41</sup> გიორგი კვინიტაძის<sup>42</sup>, გიორგი მაზნიაშვილის,<sup>43</sup> რევაზ გაბაშვილის,<sup>44</sup> ალექსანდრე მანველი-შვილის,<sup>45</sup> ვ. ჯუდელის,<sup>46</sup> ალექსადრე ასათიანის,<sup>47</sup> კარლო ინასარი-ძის,<sup>48</sup> კონსტანტინე გვარჯალაძის,<sup>49</sup> პეტრე სურგულაძის,<sup>50</sup> პ. კანდელა-კის,<sup>51</sup> ვლასა მგელაძის<sup>52</sup> ნაშრომებს.

საქართველოსა და, ზოგადად, სამხრეთკავკასიაში რუსეთის მმართველობა, იმპერიული მართვა-გამგეობის მეთოდების ევოლუცია შესწავლის საგნად გაიხადა როგორც რომანოვთა იმპერიის ოფიციალურმა ისტორიოგრაფიამ, ასევე საბჭოურმა ისტორიკოსმა მეცნიერებამაც, ზოგიერთმა მკვლევარმა მოახდინა ისტორიული წარსულის ახლებური გააზრებაც, თუმცა ძირითადში ეს შეფასებები ტენდენციური და ჩვენი მეცნიერული დასკვნებიდან განსხვავებულია. საკვლევი პრობლემების გააზრებაში დაგვეხმარა ნ. დუბროვინის<sup>53</sup>, ვ.

პოტოს<sup>54</sup>, პ.ბუტკოვის<sup>55</sup>, ვ. ივანენკოს<sup>56</sup>, ა. ბახტურინას<sup>57</sup>, ა. მილერის<sup>58</sup>, გ. გელერის<sup>59</sup>, ბ. შაპტალოვის<sup>60</sup>, გ. ფედოტოვის<sup>61</sup>, ლ. ბუროვსკის<sup>62</sup>, გ. იაკოვენკოს<sup>63</sup> ლ. ტიხომიროვის<sup>64</sup>, ს. მაროჩკინის<sup>65</sup>, პ. რომანოვის<sup>66</sup>, ა. საველიევის<sup>67</sup> ს. კულხიცკის<sup>68</sup>, ა. კაპელერის<sup>69</sup>, ე.კარის<sup>70</sup>, დ. ხოსკინის<sup>71</sup> და სხვა ავტორთა შრომები.

საინტერესო დასკვნების მიღების საშუალებას იძლევა უცხოელი ავტორების—რ. სუნის<sup>72</sup>, ს. ჯონსის<sup>73</sup>, რ. პაიპსის<sup>74</sup>, დ. ლენგის<sup>75</sup>, ლ. მაგაროტოს<sup>76</sup> და სხვათა საქართველო- რუსეთის ურთიერთობაზე დაწერილი გამოკვლევები.

რუსეთის ისტორიას XX საუკუნის დასაწისში ასახავენ: აკადემიური გამოცემები „XIX-XX, „დიპლომატიის ისტორიის „მრავალტომეულის III ტომი<sup>77</sup>, საქართველოს უახლესი ისტორიის სახელმძღვანელოები,<sup>78</sup> დენიკინის და სხვა რუსი გენერლების მოგონებები<sup>79</sup>.

რუსეთის კოლონიურ- დამპყრობლური პოლიტიკის ირგვლივ მასალები მოვიძეოთ ინტერნეტ- საიტებზე<sup>80</sup>.

ყველა გამოყენებული ნაშრომი და დოკუმენტური მასალა დამოწმებულია სათანადო ადგილას.

## თავი I

### რუსეთის 1905-1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია და საქართველო

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან რუსეთში გატარებული ბურჟუაზიული რევორმების შედეგად დაიწყო კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების პროცესი, რასაც დიდი ცვლილებები მოჰყვა იმპერიის ეკონომიკასა და სოციალურ სტრუქტურაში. მეფის ხელისუფლება, მართალია წავიდა გარკვეულ დათმობებზე მზარდი ბურჟუაზიული საზოგადოებისა და საერთო დემოკრატიული მოძრაობის წინაშე, მაგრამ ძირითადად მაინც თავადაზნაურთა ინტერესების დამცველი დარჩა. მმართველი ბიუროკრატიული აპარატი, ძირითადად ამ კლასის წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული, ფინანსურ-ეკონომიკურად მძლავრი ბურჟუაზია ვერ ურიგდებოდა ამ ვითარებას, ითხოვდა მართვა-გამგეობის სისტემაში ცვლილებების შეტანას და მასში მონაწილეობის მიღების უფლებას.

ბატონიყმობის ნაშთების არსებობა აფერხებდა ქვეყნის განვითარებას და ევროპასთან შედარებით რუსეთის საგრძნობ ჩამორჩენილობას განაპირობებდა. XX საუკუნის დამდეგს რუსეთის მრეწველობაში დაიწყო მძიმე კრიზისი, რამაც შეაფერხა მისი განვითარება და წარმოების მკვეთრი შემცირება გამოიწვია, კრიზისის პერიოდში მიმდინარეობდა წვრილ საწარმოთა ლიკვიდაცია და მრეწველობის კონცენტრაცია, ეს პერიოდი აღინიშნა მუშათა კლასის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებით, მათი პოლიტიკური უფლებების შედახვით, რამაც მუშათა გამოსვლების მძლავრი ტალღა ააგორა მთელს რუსეთში.

რუსეთის იმპერიაში შემავალი საქართველოც იმ პროცესების ზეგავლენას განიცდიდა, რაც იმპერიის შიგნით ხდებოდა, რადგან კო-

ლონიური ჩაგვრის ვითარებაში საქართველოს ეკონომიკა მთლიანად რუსეთის ინტერესებზე იყო დაქვემდებარებული. 1900 წელს საქართველოში 13 ქარხნული ტიპის საწარმო არსებობდა. 10 წლის მანძილზე მათი რაოდენობა 22-მდე გაიზარდა. რუსეთის ბაზარზე ქვანახშირის დიდი მოთხოვნილება იყო, რის გამოც გაიზარდა ტყიბულის ქვანახშირის წარმოება. ტყიბულის ქვანახშირის მოპოვებას განაგებდა ფირმა „ნახშირ-ტყიბულის სამთო-სამრეწველო საზოგადოება“, რომელიც რუსეთის ბაზრის მოთხოვნის მიხედვით ზრდიდა ქვანახშირის ამოღებას.

მსოფლიო მნიშვნელობის სამრეწველო დარგს წარმოადგენდა საქართველოს მანგანუმი. მართალია, 900-იანი წლების ეკონომიკურმა კრიზისმა მისი განვითარებაც შეაფერხა, მაგრამ 1906 წლიდან დაიწყო მანგანუმის წარმოების ზრდაც. ამ წელს 50 მილიონი ფუთი მანგანუმი იქნა მოპოვებული. მანგანუმის მრეწველობაში ძირითადი უცხოური კაპიტალი იყო. 900-იან წლებში აქ პირველობდნენ ინგლისური და ფრანგული ფირმები, რაშიც დიდალი კაპიტალი დააბანდეს. რუსული ფირმები უცხოურს კონკურენციას ვერ უწევდა, სამაგიეროდ, მათ უპირატესობა ჰქონდათ მანგანუმის ექსპორტის საქმეში. სატარიფო პოლიტიკა იყო ძალზე მიუღებელი და ქართველი ხალხი მანგანუმის წარმოებიდან ვერავითარ მოგებას ვერ იღებდა. შედარებით მსხვილი მასშტაბით მიმდინარეობდა სპილენძის მაღნის წარმოება – ალავერდში, რომელზედაც მონოპოლია რუსეთის მსხვილ სინდიკატს – „მედს“ ჰქონდა დაწესებული. საქართველოს მრეწველობის განვითარება სრულყოფილი არ იყო, რადგან სამანქანო წარმოების განვითარებას ცარიზმი შეგნებულად უვლიდა გვერდს. კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში, მას მხოლოდ იმ დარგების წარმოების დანერგვა სურდა, რაც მის ინტერესებში შედიოდა: ნავთობწარმოებისათვის ბათუმში აშენდა ნავთობგადამუშავებელი და საექსპორტოდ საჭირო ჭურჭლის მწარმოებელი სახლოსნოები, ხე-ტყის დამამუშავებელი ქარხნები, ტყავის გადასამუშავე-

ბელი ფაბრიკები და სხვ., ასევე – ფეხსაცმლის, თამბაქოს, მინის, საპნის, ზეთსახდელი ფაბრიკები, ყველისა და კარაქის დამამზადებელი ქარხნები, სადაც ნელა ვითარდებოდა მანქანური ტექნიკა, მსხვილდებოდა წარმოება. საქართველოში, ისევე, როგორც მეტროპოლიაში, იქმნებოდა სააქციო საზოგადოებანი, რომლებიც ხელში იგდებდნენ მრეწველობის ამა თუ იმ დარგის მონოპოლიას.

რუსეთი ვერ ახერხებდა საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების სრულყოფილად ათვისებას, რადგან მასაც ბევრი ნედლეული ჰქონდა და იმ ნედლეულსაც კი ვერ ითვისებდა, რითაც ასე გამოირჩეოდა ურალი და ციმბირი. საქართველოს მრეწველობის ჩამორჩენილობის მიზეზი ესეც იყო. ამასთან, საქართველოს არავითარი საკუთარი კაპიტალი არ ჰქონდა მრეწველობის ასაღორძინებლად. რუსეთის მთავრობა მას ამ თანხებს არ აძლევდა. მას რომ მარტოდენ საქართველოში აკრეფილი გადასახადები დაეხარჯა საქართველოს სამრეწველო-ეკონომიკური პოტენციალის გასავითარებლად, ესეც ეყოფოდა, მაგრამ იმ პოლიტიკურ რეჟიმში, რომელშიც იმდროინდელი რუსეთი ცხოვრობდა, ასეთი რამ ვერ მოხდებოდა.

იგივე ვითარება იყო საქართველოს სოფლის მეურნეობაში, როგორიც მრეწველობაში. საქართველო აგრარული ქვეყანა იყო და, ბუნებრივად, მისი მცხოვრებლების დიდი ნაწილი გლეხობა და სოფლად მცხოვრები ადამიანები იყვნენ. მცირემიწიან ქვეყანაში ვერ ხერხდებოდა ამ სოციალური კლასის უზრუნველყოფა ვერც მიწით, ვერც სამუშაო იარაღებით და ვერც შრომის პროდუქტით. მდგომარეობას ისიც აუარესებდა, რომ ქართული მიწების საუკეთესო ნაწილზე ხელისუფლება სხვა ეროვნების ჩამოსახლებულ ხალხს ასახლებდა, ქართველთა ერთი ნაწილი კი, უმიწობის გამო, სხვა ქვეყნებში მიდიოდა და ეროვნულ სახეს ჰქარგავდა. გადმოსახლებულთა საკითხს და რუსული კოლონიზაციის პოლიტიკას საქართველოში ცალკე შევეხებით, ამჟამად

კი ვისაუბრებთ სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად პრიორიტეტებზე XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში. ძირითადი სოფლის მეურნეობის დარგები იყო: მევენახეობა-მებაღეობა, მარცვლეული კულტურების მოყვანა, მეაბრეშუმეობა, მეცხოველეობა, მეთამბაქოეობა. შესაბამისი ზონების მიხედვით მისდევდნენ მეფუტკრეობას, მებამბეობას. XX საუკუნის დასაწყისში, ზღვისპირა ზოლში, ფართოდ დაინერგა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ჯიშები.

სოფლის მეურნეობის მრავალდარგოვნება, შესაფერისი ბუნებრივი პირობები, ქმნიდა იმის საშუალებას, რომ საქართველოს მოსახლეობას საკუთარი პროდუქციით არამარტო გამოეკვება თავი, არამედ დიდი შემოსავალიც მიეღო საგარეო ვაჭრობიდან, მაგრამ ეს არ ხდებოდა, რადგან: 1. საქართველო მცირემიწიანი ქვეყანა იყო. ბუნებრივი მატებისა და ცარიზმის აქტიური კოლონიზაციის პირობებში მას არ შეეძლო ესარგებლა ქართული სიმდიდრით, ხშირად უწევდა საშოარზე გასვლა და მკვიდრ საცხოვრებელ ადგილს მოწყვეტა; 2. ბატონყმური გადმონაშოების არსებობა, კერძოდ, დროებითვალდებულ გლუხოთა ინსტიტუტის შემორჩენა საქართველოში, ამუხრუჭებდა სოფლის მეურნეობის განვითარებას და მის გადასვლას კაპიტალისტურ ყაიდაზე; 3. სოფლის მეურნეობის აღმავლობას ხელს უშლიდა კაპიტალიზის დაბალი დონე, პრიმიტიული ხერხები მიწის დამუშავებასა და მოსავლის აღებაში, მანქანური ტექნიკის დაუნერგაობა და მინერალური სასუქების გამოუყენებლობა; 4. სოფლის მეურნეობიდან დაბალი შემოსავლიანობა განპირობებული იყო სუსტი საბაზო კავშირებით და რუსეთის ნაკლები დაინტერესებით მეურნეობის დარგების განვითარებისადმი საქართველოში, ამ დარგში ფინანსების არარსებობითა და მშრომელი ადამიანების სოფლისგან მოწყვეტით, რაც გამოიხატებოდა გლუხობის მასობრივი გადასახლებით ქალაქებში და მისგან პროლეტარიატის ჩამოყალიბებით.

ამიტომ იყო, რომ გლეხობას, თავდადებული და ტრადიციული ჩვევების მიუხედავად, უჭირდა და ბრძოლის წინა ხაზზე იდგა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. ასე იყო XX საუკუნის დასაწყისშიც, როდესაც შექმნილმა სამრეწველო-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა გამოიწვია აგრარული და მუშათა მოძრაობა, ხოლო ახლად ჩამოყალიბებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა იდეური ნიადაგი შეუქმნეს რუსეთში დაწყებულ დიდ რევოლუციურ ტალღას. რუსეთის იმპერიის მთელი მოსახლეობის 90%-ს სურდა რეჟიმის დამხობა, დემოკრატიული მართვა-გამგეობის შემოღება. ეს არ იყო ადვილი საქმე, რადგან ყველა კლასის წინაშე იდგა როგორც ვიწროკლასობრივი ინტერესი, ასევე საერთო დემოკრატიული მიზნებიც. კლასებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის თანხმობის მიღწევა უძნელესი იყო, ამას აკეთებდა და საერთო მიზნისათვის ბრძოლას ხელმძღვანელობდა მოწინავე ინტელიგენცია, რომელიც თავისი გაგებით, ეროვნული ცნობიერებითა და საერთო ინტერესების გააზრებით – ყველაზე მაღლა იდგა არსებულ კლასებს შორის, ამ ფენის უმრავლესობისთვის უცხო იყო ავანტიურიზმი და ექსტრემიზმი. მისი ბრძოლის მეთოდი იყო არა შეიარაღებული აჯანყებები და ტერორისტული აქტები, არამედ პოლიტიკური გაფიცვები, მშვიდობიანი დემონსტრაციები და სხვა დემოკრატიული ხერხები, რომლის გამოყენებითაც სურდა არსებული წყობილების შეცვლა ბურუჟაზიულ-დემოკრატიული მართვის ფორმებით.

1905 წლის 9 იანვარს რუსეთში დაწყებულ რევოლუციის ნაკადს არც საქართველო დაუტოვებია გულგრილი. 18 იანვარს თბილისის რკინიგზის სახელოსნოს მუშებმა დაიწყეს პოლიტიკური გაფიცვა, რასაც ქალაქის სხვა საწარმოებმაც დაუჭირეს მხარი. მთავრობის წარმომადგენლებთან ეკონომიკური და პოლიტიკური მოთხოვნების ენით საუბრობდნენ გაფიცულები, მათ კაზაკების რაზმებთანაც უწევდათ დაპირისპირება. სახელისუფლო ორგანოებს საქმეს ურთულებდა ისიც, რომ

თბილისელ მუშებს სოლიდარობა გამოუცხადეს და გაფიცვები მოაწყვეს ჭიათურის მანგანუმის საბადოებისა და ბათუმის ნავთის სარეწების მუშებმაც. გაფიცულები მართავდნენ კრებებს და მიტინგებს, დუღულობდნენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს.

რუსეთის რევოლუციის დაწყებისთანავე საქართველოში დაიწყო მძლავრი აგრარული მოძრაობა, რასაც მეფის ხელისუფლებამ განსაკუთრებულად საშიში აქტი უწოდა და მთელი თავისი ყურადღება საქართველოსკენ მომართა. ქართველი გლეხები მასობრივად ამბობდნენ უარს ბატონყმური ვალდებულებების შესრულებაზე, რაც რუსეთში ოცწლიანი ვადით დარჩა 1861 წელს, ანუ 1881 წლამდე, საქართველოში კი, რატომდაც, 1912 წლამდე გაგრძელდა. გლეხები, ამით შეურაცხეოფილნი, ცარიზმის მორჩილებაზე აცხადებდნენ უარს, რაც ადგილობრივი რუსული ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობაში გამოიხატებოდა.

ანტირეჟიმულმა მოძრაობამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო გურიაში, სადაც ადგილობრივი მმართველობა, ძირითადად, ხალხის ხელში აღმოჩნდა. რევოლუციურმა გლეხობამ შექმნა თავისი კომიტეტები, რომელიც ღებულობდა მთავარ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით გურიის გლეხთა წინააღმდეგ საგანგებო რაზმი გაიგზავნა. იმდენად დიდი და საყოველთაო ხასიათის იყო გლეხთა მოძრაობა და ხალხის აღშფოთება ისე მასშტაბური, რომ მთავრობამ უკან დაიხია. რეპრესიებს და სადამსჯელო აქციას არ მიმართა, სცადა მოლაპარაკებით დაემშვიდებინა აღელვებული გლეხთა მასები. ამ მიზნით მან კავკასიის მთავარსამმართველოს საბჭოს წევრი – სულთან კრიმ გირეი გაგზავნა გურიაში, მეფის ეს მოხელე 12 თემში დაესწრო გლეხთა შეკრებებს, მოუსმინა მათ მოთხოვნებს და ნათლად დაინახა ქართველ გლეხთა პრობლემები, ბახველმა გლეხებმა მეფის მოხელეს გამოკვეთილი მოთხოვნები წარუ-

დგინეს, „ბახვის მანიფესტში“ აღწერილი იყო გურულ გლეხთა აუტანელი ყოფა, მათი სოციალური სიდუხჭირე, მათი პრეტენზიები ადგილობრივი ხელისუფლებისადმი, უნდობლობა მთავრობისადმი, სურვილი ამ მთავრობის უკეთესით, ხალხის ინტრესების დამცველი მთავრობით შეცვლისა. ბახველი გლეხები ითხოვდნენ სახაზინო, საუფლისწულო და სამონასტრო მიწების კონფისკაციას და ხალხის განკარგულებაში გადაცემას, მემამულეთაგან სანადელო მიწების გადაცემას საკუთრებაში, წოდებრივ პრივილეგიათა გაუქმებას, არაპირდაპირი გადასახადების მოპობას, სიტყვის, კრების, კავშირების, გაფიცვების თავისუფლებას, პიროვნების ხელშეუხებლობას, მოსამართლეთა არჩევითობას, საყოველთაო-საგალდებულო სწავლებას მშობლიურ ენაზე და სხვა. ამ გადაწყვეტილებების აღსასრულებლად, გლეხების აზრით, რუსეთში უნდა მოწვეულიყო დამფუძნებელი კრება საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე და მას უნდა აღესრულებინა საკანონმდებლო ფუნქცია. კრიმ გირეის მოგზაურობა ფართოდ შუქდებოდა იმდროინდელ ქართულ და რუსულ პრესაში, ხდებოდა საზოგადოებრივი აზრის გააქტიურება, ხალხის უკეთ გათვითცნობიერება, თუმცა მეტი რეალური შედეგი ამ მოგზაურობას არაფერი მოუტანია. ამიტომ გრძელდებოდა გლეხთა რევოლუციური გამოსვლები მთელს დასავლეთ საქართველოში. მთავრობის ჯართან შეტაკებები ხდებოდა ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში, მასობრივი გამოსვლები ცხადდებოდა რაჭა-ლეჩეუმში, ქუთაისისა და შორაპნის მაზრებში.

1905 წლის გაზაფხულზე გლეხთა გამოსვლებმა დიდი მასშტაბი მიიღო. მთელს საქართველოს მოედო რევოლუციის ტალღა. მასობრივ მოძრაობაში ჩაებნენ: თბილისის, გორის, დუშეთის, თელავის, სიღნაღის მაზრები. საქართველო ბალტიისპირეთთან ერთად მთელს იმპერიაში გამორჩეული რევოლუციური აქტივობის მქონე ქვეყანა იყო, სოციალურზე მეტად, ამ ქვეყნებში რევოლუციას ეროვნული ხასიათი ჰქონდა. ქა-

როველი ხალხი იმედოვნებდა, რომ რევოლუცია მისცემდა საშუალებას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხანგრძლივი დროის შემდეგ მიეღწია სანუკვარი თავისუფლებისათვის, აღედგინა დაკარგული სახელმწიფოებრიობა. ამიტომ იყო, რომ გაზაფხულსა და ზაფხულში, 1905 წელს, რევოლუციურმა აღმავლობამ ზენიტს მიაღწია. მასში დიდი ადგილი მუშებსა და გლეხებთან ერთად – ინტელიგენციამ დაიკავა. სისტემატური ხასიათი მიეცა მოსწავლეთა გამოსვლებს, რევოლუციის ბარიკადებზე იდგნენ მსახიობები, მასწავლებლები, შემოქმდებითი დარგის მუშაკები. 29 აგვისტოს თბილისის ქალაქის მმართველობაში – დეპუტატები იხილავდნენ სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის საკითხს, როდესაც დარბაზში შეიარაღებული პოლიცია შევიდა და ჩაკეტილი ხალხის წინააღდეგ სროლა დაიწყო. მოხდა სისხლისლვრა, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია.

რევოლუციურად განწყობილი ქართველი ხალხის მიმართ ხელისუფლება დიდ ანგარიშსწორებას ამზადებდა. აღდგა მეფისნაცვლის ბიუროკრატიული თანამდებობა, ეს ადგილი ი. ლ. ვორონცოვ-დაშვილმა დაიჭირა, რომელიც კავკასიაში ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ გამოდიოდა და პროსომხურ ინტერესებს ავლენდა. მან დიდი სადამსჯელო რაზმები გაგზავნა გურიაში, სოფელ ნასაკირალთან, ჩოხატაურიდან მომავალ 120-კაციან კაზაკთა რაზმს დახვდნენ აჯანყებული გლეხები და შეუპოვრად შეებრძოლენ, მთავრობამ გურულთა დასასჯელად შეიარაღებული რაზმი გაგზავნა ალიხანოვ-ავარსკის სარდლობით.

## § 1. რუსეთის სადამსჯელო ოპერაციები საქართველოში და ქართული საზოგადოებრივი აზრი

1905 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში რევოლუციური ბრძოლების ძლიერმა ტალღამ მთელ საქართველოს გადაუარა. ნასაკირალთან გლეხთა წინააღმდეგობამ კაზაკთა 120-კაციან რაზმთან, მთავრობას გურულ გლეხთა სამაგალითოდ დასჯა გადააწყვეტინა. ამ მიზნით, დამსჯელ ოპერაციათა განხორციელება დაევალა ჯარს გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით. რუსეთის სხვა ჯარის ნაწილებთან ერთად, ამ რაზმაც დიდი სისასტიკით იძია შური რევოლუციის მონაწილე თუ უბრალო, მშვიდობიან მოსახლეობაზე, გურიას მართლაც განადგურება ელოდა. მის დასაცავად აღსდგა მთელი ქართული საზოგადოებრიობა, პროტესტი იმდენად საყოველთაო იყო, რომ მეფისნაცვალი იძულებული გახდა უკან დაეხია და საბრძოლო ოპერაციები დროებით შეეჩერებინა.

1905 წლის ოქტომბერში საყოველთაო პოლიტიკურმა გაფიცვებმა და დემონსტრაციებმა მოიცვა მთელი რუსეთი. 15 ოქტომბერს დაიხურა ყველა წარმოება და სავაჭრო დაწესებულება. გაიფიცნენ რკინიგზები, შეწყდა მატარებლების მოძრაობა, პარალიზებული აღმოჩნდა იმპერიის ყველა დიდი ქალაქი, რამაც მეფის ხელისუფლება აიძულა 17 ოქტომბრის მანიფესტი გამოეცა. მთავრობა ხალხს აღუთქვამდა სიტყვის, პრესის, კრებების, კავშირების თავისუფლებას და ფართო საარჩევნო უფლებებს სახელმწიფო სათათბიროში. ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი მანიფესტს მოწონებით შეხვდა, მეორე ნაწილი კი უნდობლად, იგი მთავრობის ახალ სატყუარად იქნა მიჩნეული. საქართველოში ხალხმრავალი მიტინგები იმართებოდა, სადაც აკრიტიკულნებ მთავრობას. საზოგადოება არ ენდობოდა რუსეთის იმ ხელისუფლებას, რომელიც ერთი მხრივ მანიფესტს ამქვეყნებდა, მეორე მხრივ კი რეპრესიებს აგრძელებდა, საგანგებო მდგომარეობას არ აუქმებდა და უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლეს უქმნიდა საფრთხეს.

ადგილობრივი ხელისუფლების წაქეზებით ამოძრავდნენ შავრაზმული ძალები, რომელთაც რუსული შოვინისტური ხასიათის დამარბეველი გამოსვლები მოაწყვეს თბილისში. 1905 წლის 22 ოქტომბერს რუსულმა შავრაზმულმა ორგანიზაციამ – „პატრიოტული საზოგადოება“, გოლოვინის პროსპექტზე მოაწყო მანიფესტაცია, რომელშიც გადაცმული პოლიციელებიც მონაწილეობდნენ. ვაჟთა I გიმნაზიის ახლოს ისინი დაერივნენ მშვიდობიან მოსახლეობას, შეიჭრნენ სკოლის შენობაში, მოპკლეს რამდენიმე მოწაფე, რამაც მთელი ქალაქი და საქართველო აღაშფოთა. ხალხმა პროტესტი საყოველთაო სამგლოვიარო სვლით გამოხატა.

ნოემბერ-დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება, რაც მოსკოვში დაიწყო, გაგრძელდა მთელს რუსეთში და დიდი გამოძახილი ჰქოვა საქართველოშიც, მთავრობამ თბილისის გუბერნიაში საგანგებო წესები გამოაცხადა. გაძლიერდა სადამსჯელო ექსპედიციებიც დასავლეთ საქართველოში, 18 დეკემბერს, ნაძალადევის მუშათა რაიონზე შეტევისას, 9 მუშა დაიღუპა, კაზაკებმა მთელი ეს უბანი დაარბიეს. 22 დეკემბრს დარბეული იქნა ე.წ. „სალდათის ბაზრის“ რაიონი, 23 დეკემბერს არტილერიით შეუტიეს დიდუბეს, რასაც დიდძალი ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა. აჯანყებები იმავდროულად ხდებოდა საქართველოს სხვადასხვა რაიონში – ქუთაისში, ჭიათურაში, ონში, ყვირილაში, ტყიბულში, ზუგდიდში, ბათუმში და სხვაგან. ზესტაფონელმა გლეხებმა განაიარადეს რუსული პოლკის – თენგინის ასეულები, ჩაკეტეს სურამთან რკინიგზის გვირაბი, რითაც მთავრობის ჯარებს გზა გადაუდობეს. დიდი სიმტკიცით იბრძოდნენ, გორის, თელავის, თიანეთისა და დუშეთის მაზრები.

მართალია, მთავრობის შეტევით რევოლუცია უკან იხევდა, მაგრამ არც 1906 წელი ყოფილა საქართველოსთვის მშვიდი. 17 იანვარს რკინიგზელმა მუშამ არსენა ჯორჯიაშვილმა მოკლა დამსჯელი ოპერაციების ორგანიზატორი გენერალი გრიაზნოვი, რის გამოც სამთავრობო

ტერორი ქართველი ხალხის მიმართ გაძლიერდა. 1906 წლის ივნისში ტერორისტებმა მოკლეს I გიმნაზიის მასწავლებელი, ეროვნული მოღვაწე შიო ჩიტაძე კავკასიის რუსული ხელისუფლება რევოლუციონერებს საქართველოს ყველა კუთხეში უსწორდებოდა.

ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშილი, ვაჟა-ფშაველა და სხვები, დიდი იმედით შეეგებნენ რევოლუციას, მიიჩნიეს, რომ ხალხის მასობრივი გამოსვლები და ბრძოლა თვითმკყრობელურ რეჟიმს დაამხობდა და საქართველოს ნანატრ თავისუფლებას მოუტანდა, პრაქტიკულად შეასხმდა ხორცს იმ იდეებს, რაც 60-იანელებმა წამოაყენეს. გაზეთი „ივერია“ 1905 წლის დასაწყისში წერდა: „საქართველოს ყველა კუთხიდან მოდის ახალ-ახალი ამბები, რომელნიც ცხადად გვიმტკიცებენ, რომ ჩვენი მრავალტანჯული ერიც იღვიძებს, დღევანდელი პირობების შეცვლას თხოულობს, ვეღარ იტანს იმ მძიმე უღელს, რომელსაც აქამდის ატარებდა და განთავისუფლებას ლამობს. თუ აქამდის დელავდა მცირე ნაწილი საქართველოსი, როგორც გურია, დღეს პლელავს აჭარა, სამეგრელო, იმერეთი, კახეთი და ქართლიც კი. ამიტომაც ეს საერთო მოძრაობა ფრიად საგულისხმიერო და დამაფიქრებელია. საჭიროა ყოველმა შეგნებულმა ქართველმა, ვისაც კი გული შესტკივა თავის საშობლოსთვის, შეძლებისდაგვარად მონაწილეობა მიიღოს ამ მოძრაობაში, საფუძვლიანად დაუკვირდეს ხალხის დღევანდელ მოთხოვნილებას, დაიცვას ხალხის უმეტესობის ინტერესები და სამართლიანად განსაჯოს“.

ქართველი მოღვაწეებისთვის რევოლუციის უმთავრეს მიზანს დაკარგული საელმწიფოებრიობის აღდგენა, ქვეყნის განთავისუფლება წარმოადგენდა, ამ პროცესში ყველა კლასს, ყველა წოდებას უნდა მიეღო მონაწილეობა. რევოლუცია, მათი აზრით, აცდა ჭეშმარიტ გზას, გარკვეულმა ძალებმა იგი ერისთვის საზიანო მიმართულებით წარმა-

რთეს, ერთმანეთს დაუპირისპირეს სხვადასხვა სოციალური ფენები და სამოქალაქო ომის ხანძარი გააჩადეს, რასაც უდიდესი ზიანი მოჰქონდა ისეთი პატარა და მრავალეროვანი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველო იყო. საერთო-კლასობრივ ნიადაგზე მდგარი ქართული ეროვნული მოძრაობისთვის რუსეთის პირველი რევოლუციით მიღებული ეს შედეგი არათუ მიუღებელი, ტრაგიკული იყო. „დღევანდელ მოძრაობას თავი იქით უნდა უბრუნოს კაცმა, საითკენაც ჯერ არს და არა იქით, რომ ერთმანეთს მივესიოთ და ციხე-სიმაგრე ჩვენი ჩვენვე შიგნიდან გავტეხოთ. ამას თხოულობს არა მარტო სიკეთე და ბედნიერება ჩვენი ქვეყნისა, საერთოდ, არამედ გლეხკაცობისაც, საკუთრივ“, – წერდა ილია ჭავჭავაძე. იგი ქადაგებდა წოდებათა შერიგებას და მათ დარაზმვას საერთო მტრის წინააღმდეგ. ამავე აზრს ავითარებდა აკაკი წერეთელი „ივერიაში“ და ერს საყოველთაო შერიგებისკენ მოუწოდებდა.

ქართველი ინტელიგენცია, ილიას თანამებრძოლები და თანამოაზრენი ყოველნაირად ცდილობდნენ გლეხობისათვის აეცილებინათ მთავრობის რეპრესიები. ილია ჭავჭავაძის თაოსნობით შედგა დეპუტაცია, რომელმაც აიძულა ვორონცოვ-დაშკოვი შეეჩერებინა გურიაში ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიციის შეყვანა; ილია აფრთხილებდა თავადაზნაურობასაც, ხელი აედო გლეხობასთან დაპირისპირებაზე, როდესაც მან გაიგო, რომ თავადები – აბდუშელიშვილები და ციციშვილები – საგანგებო რაზმს ქმნიდნენ აჯანყებულ გლეხთა წინააღმდეგ, საკითხი თბილისის სათავადაზნაურო კრებაზე გაიტანა განსახილველად და მკაცრად დაპგმო განზრახვა. 1905 წლის 6 მარტს, თავადაზნაურთა კერძო თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში ი. ჭავჭავაძემ ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია მიმდინარე რევოლუციაში. რევოლუციას, მისი აზრით, საქართველოსთვის უნდა მიეცა შინაგანი დამოუკიდებლობა, ხალხი თვითონ აირჩევდა თავის ხელისუფლების ორგანოებს, რომელიც კანონიერად წარმართავდა ერის ცხოვრებას, ილია

ესწრაფვოდა ისეთი პარტიის შექმნას, რომელსაც ეროვნული და იმავდონულად დემოკრატიული ინტერესები ექნებოდა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნაში მას გვერდით ედგნენ იაკობ გოგებაშვილი, გიორგი გვაზავა, სპირიდონ კედია, ივანე ზურაბიშვილი და სხვები. ილია კიდევ დაეხმარა ამგვარად მოაზროვნე მოღვაწეთა ჯგუფს პარტიის პროგრამისა და წესდების ჩამოყალიბებაში, თუმცა ამ პარტიის გაფორმება ამ დროს ვერ მოხერხდა.

ილია ჭავჭავაძე 1906 წელს რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს და უველაფერს აკეთებდა ამ მაღალ ორგანოში ქართველი ერის ინტერესების დასაცავად.

ქართველი მოაზროვნეები დიდ პროტესტს გამოთქვამდნენ სადამსჯელო ლონისძიებების მიმართ, მიაჩნდათ, რომ გლეხთა გამოსვლები, ისევე როგორც რუსეთის მთელს იმპერიაში, სოციალური ხასიათის იყო. მათ წინააღმდეგ კი ისეთი ბრძოლა გაიმართა, როგორც სახელმწიფოს და ხელისუფლების მტრებისადმი. მათი დასჯა განსაკუთრებულად მოხდა და არა რუსი გლეხების მსგავსად, ცხადი იყო, რომ ისინი ეროვნული ინტრესების გამო ისჯებოდნენ და არა სოციალური მოთხოვნებისათვის. ამას აღნიშნავდნენ ცალკეული პუბლიცისტები, მწერლები. დიდი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი განსაკუთრებულ პროტესტს გამოხატავდა ალიხანოვ-ავარსკის მოქმედებისადმი, გამხეცებულმა გენერალმა 1906 წლის იანვარში თავისი ჯარი რამდენიმე ნაწილად დაყო და მთელ დასავლეთ საქართველოს შეუსია. ცეცხლის აღში გაეხვია ქალაქები, დაბები, სოფლები, ძირიანად დაანგრიეს რევოლუციონერთა სახლ-ჯარი, დამსჯელი რაზმის ოფიცრები მოსახლეობას იარაღის ჩაბარებას თხოვდნენ, ასევე აიძულებდნენ რევოლუციის ხელმძღვანელთა გაცემას. პოლკოვნიკმა კრილოვმა გურიის გლეხებს 4 ათასი შაშხანის ჩაბარება მოთხოვა, რაზედაც უპასუხეს: ამდენი იარაღი რომ გვქონოდა, დღეს

არცერთი თქვენგანი ცოცხალი აღარ იქნებოდითო. დამსჯელი ექსპედი-  
ციები აღმოსავლეთ საქართველოშიც ამოქმედდნენ.

„სეპარატიზმი“ რუსეთის იმპერიული ხელისუფლებისათვის სა-  
სტიკ სიტყვად ჟღერდა, მას იმპერიის მესვეურნი საქართველოში გაჩა-  
ღებულ რევოლუციურ მოძრაობაშიც ხედავდნენ. თუ ისინი შიგა რუსე-  
თის გამოსვლებს სოციალური ნიშნით ხსნიდნენ, საქართველოს მო-  
ვლენებს „სეპარატიზმის“ ნიშნით გამოარჩევდნენ და სასტიკი რეპრესი-  
ებით ჰასუხობდნენ. „ცნობის ფურცლის“ პუბლიცისტები განსხვავებულ  
მიდგომას აჯანყებებისადმი პოლონეთში, ფინეთსა და კავკასიაში მი-  
იჩნევდნენ არაკანონიერად და მთავრობას იმ მშობელთა ბედს უწინა-  
სწარმეტყველებდნენ, რომელიც გამორჩეულად დასჯილი შვილისაგან  
უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი. რედაქცია დარწმუნებული იყო, რომ  
დასავლეთ საქართველოს დასჯა მთავრობას არაფერში წაადგებოდა,  
მით უმეტეს, რომ საქართველოს ამ ნაწილს არასოდეს უფიქრია იარა-  
ლის ხელში აღება რუსეთისაგან გამოსაცალკევებლად.<sup>1</sup>

გურიაში ხალხის გაგზავნას და აჯანყებულებთან შეხვედრის წი-  
ნადადებას აყენებდა იაკობ გოგებაშვილი.

მწერალი ითხოვდა მთელი საზოგადოების მობილიზაციას უდა-  
ნაშაულო ხალხის დასაცავად. მას მოჰკონდა რუსი დამსჯელების ქცე-  
ვის მაგალითები, აღწერდა მათგან დატრიალებულ უბედურებას, მო-  
ითხოვდა საგანგებო კრების მოწვევას და დაზარალებულთათვის სპე-  
ციალური ფონდის დაარსებას.<sup>2</sup>

უკეთესი დღე არც აღმოსავლეთ საქართველოს ადგა. ქართველი  
პუბლიცისტები აღწერდნენ სადამსჯელო რაზმების მოქმედებას ხაშუ-  
რსა და სურამში, ყაზახების მიერ მოსახლეობის დარბევის მაგალი-  
თებს, „ქართლის სოფლებში ყაზახები და ჯარისკაცები დადიან“, –  
აცხადებდა „ცნობის ფურცელი“<sup>3</sup>

საქართველოში შექმნილი მდგომარეობა რუსული პრესის თემაც იყო. რუსეთში გამომავალი დემოკრატიული უურნალ-გაზეთები აკრიტიკებდნენ დამსჯელი ექსპედიციების ღონისძიებებს ქართველი ხალხის მიმართ, მას უსამართლობად თვლიდნენ. ერთ-ერთი ასეთი გაზეთი იყო „ნაროდნი ვესტნიკ“, რომელმაც რამდენიმე პუბლიკაცია მიუძღვნა საქართველოს თემას – „საქართველოს, რომელიც ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს ავტონომიურ საფუძველზე, – წერდა რუსული გაზეთი, – სძარცვაგდნენ, ჩაგრავდნენ, ამცირებდნენ ისე, როგორც შეუძლიან ძარცვა, ჩაგვრა და დამცირება მხოლოდ რუსის ჩინოვნიკებს, ქართველების დედა-ენა განდევნილი იქნა არა მარტო სასკოლო და სამოსამართლო დაწესებულებებიდან, არამედ ეკლესიიდანაც კი, ქართველ გლეხებს ხელიდან აცლიდნენ სამშობლო მიწებს, რომ მიეცათ შიდა რუსეთიდან გადმოსახლებულთათვის. გადასახადებს და ხარჯებს საზღვარი არ ჰქონდა, აუტანელი დევნისგან საქართველოში დაიწყო იგივე მოძრაობა, რაც მთელს რუსეთში, და იქ გაგზავნილნი იქნენ დამამშვიდებელნი, – ალიხანოვი, ტიმოფეევი, ბაუერი და სხვები, ნაკლებად ცნობილნი, მაგრამ არანაკლებად მოძალადენი“.<sup>4</sup>

რუსული გაზეთის ამ პუბლიკაციებს გაზეთი სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ორგანო „შრომა“ აქვეყნებდა, რომელიც დაარსდა მთავრობის მიერ დახურული „ცნობის ფურცელის“ ნაცვლად, ეს უკანასკნელი კი ხელისუფლებამ და უანდარმერიამ მხოლოდ იმიტომ დახურა, რომ ობიექტურად აშუქებდა რუსული უანდარმერიის, ალიხანოვავარსკის, კრილოვის, გავრილოვის და სხვათა სასტიკ ქმედებებს.

„შრომა“ ადასტურებდა რუსული გაზეთის მოსაზრებას, რომ მხოლოდ რეჟიმის მოსპობა უშველიდა ხალხს, შექმნილი მდგომარეობიდან ის გამოიყვანდა, რადგან „მისი მავნე შინაარსი უკვე საცნაური გახადა რევოლუციამ“.

მეფის მთავრობის ულმობელმა ანგარიშსწორებამ ყველა ქვეყნის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა გულში ერთსულოვანი აღშფოთება გამოიწვია. რამდენიმე უცხოელმა უურნალისტმა (ვილლარი, დორკანდი, ბრაუნი) აღწერა და თავ-თავიანთი ქვეყნის მკითხველებს გააცნო რუსეთის ადმინისტრაციის სისახტიკე საქართველოში, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. ვ. ჩერქეზიშვილის სიტყვით, „რუსეთის მთავრობის სიმხეცეთა წინააღმდეგ საჭირო იყო კარგად მოწყობილი პროტესტი დასავლეთ ევროპაში“<sup>6</sup>

ქართული პრესის მონაცემებით, ევროპის ქალაქებში გამართულ მიტინგებზე საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე, ჟენევაში სიტყვით გამოსულ პოლიტიკურ მოდგაწეს – ბერტონის, დაუგმია რუსეთის სისახტიკე საქართველოში, ბევრი ფაქტი მოუყვანია, რასაც დამსწრეთა აღშფოთება მოჰყოლია. მსგავსი მიტინგები გამართულა საფრანგეთში, ინგლისში და სხვაგან.<sup>7</sup>

მალე საქართველოში ინგლისიდან საგანგებო დელეგაციაც ჩამოვიდა, რომელმაც თანაგრძნობის ადრესი ჩამოიტანა. ამასთან, ლონდონში შედგა ინგლისურ-ქართული კომიტეტი. მან ქართველებს დახმარება აღუთქვა „გათელილი უფლებების აღდგენაში“<sup>8</sup>.

ასეთი იყო მსოფლიო რეზონანსი იმ სადამსჯელო ოპერაციებზე, რაც რუსეთმა საქართველოში ჩაატარა პირველი რევოლუციის დროს.

1906 წლის 20 თებერვლის ბრძანებულებით, რუსეთის იმპერატორმა სახელმწიფო სათათბიროს საკანონმდებლო უფლება მიანიჭა. დეკუტატებს შეეძლოთ მოქმედი კანონის ან გაუქმება, ან შეცვლა. ძირითადი კანონის შედგენის უფლებას მეფე თვითონ იტოვებდა, მას სათათბიროს გვერდის ავლით, კანონების გამოცემა შეეძლო, სათათბიროსგან მეფის დაცვის მექანიზმის ფუნქცია ენიჭებოდა სახელმწიფო საბჭოს, რომელიც თავისებურად ზედა პალატის როლს ასრულებდა. მას შეეძლო სათათბიროს მიერ შედგენილი კანონპროექტის უარყოფა. მთა-

ვრობაზე მთელ კონტროლს მეფე ინარჩუნებდა, სათათბირო მთავრობის პოლიტიკაზე გავლენას ვერ მოახდენდა. მინისტრებს იმის უფლებაც კი პქონდათ, რომ უპასუხოდ დაეტოვებინათ სათათბიროს დეპუტატთა შეკითხვები. ქართველი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ ამიერკავკასიას სათათბიროში წარმომადგენლობის ყოლის უფლებას არ აძლევდა ხელისუფლება, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ხალხის წარმომადგენლები პრესაში აქვეყნებდნენ საპროტესტო წერილებს და დაუშვებლად მიიჩნევდნენ ამიერკავკასიაში არჩევნების ჩაუტარებლობას, მთელს ამიერკავკასიაში იმდენად დიდი უკმაყოფილება იყო, რომ მეფე იძულებული გახდა სპეციალური კომისია შეედგინა საკითხის შესასწავლად დ. სოლსკის თავმჯდომარეობით. ვორონცოვ-დაშკოვმა შეარჩია კავკასიელ ერთა დელეგაცია, რომელსაც სოლსკის კომისიის მუშაობაში უნდა მიეღო მონაწილეობა. დელეგაციაში შევიდნენ და პეტერბურგს გაემგზავრნენ: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი ჟურული, ნ. ვეიდენმაიენი და სხვ.

კავკასიელთა დელეგაციის მეთაურობა ილია ჭავჭავაძემ იკისრა, რადგან მიაჩნდა, რომ ეს ლეგალური ბრძოლის საშუალება იქნებოდა თვითმკყრობელობის ანტიხალხური პოლიტიკის წინააღმდეგ. დელეგაციის უველა წევრი ამოუდგა ილიას გვერდით და კატეგორიულად მოითხოვეს კავკასის ხალხთა დაშვება სახელმწიფო სათათბიროში.

რუსეთის ხელისუფლება დათმობაზე წავიდა და კავკასიისთვის ცალკე საარჩევნო წესები შეიმუშავა. შეიქმნა მემამულეთა, გლეხთა და ქალაქელთა კურიები, არჩევნები ორ და სამსაფეხურიანი იყო, თავდაპირველად ცენზიანები ირჩევდნენ რწმუნებულებს და ამომრჩევლებს, ისინი კი – დეპუტატებს, საქართველოში სახელმწიფო სათათბიროს 8 დეპუტატი უნდა აერჩიათ. არჩევნებში მონაწილე პარტიებიდან გაიმარჯვეს სოციალ-დემოკრატებმა, მათ სათათბიროში 5 დეპუტატი გაიყვანეს, ესენი იყვნენ: ნოე ჟორდანია, ივანე გომართელი, ი, წერეთელი, ს.

ჯაფარიძე, ი. რამიშვილი. სოციალისტ-ფედერალისტებმა ერთი დეპუტატი – იოსებ ბარათაშვილი აირჩიეს, მათთან ბლოკში მყოფმა კადეტებმა – ალ. ხახანაშვილი, მემარჯვენებებმა მემამულე პ. შარვაშიძე. სათათბიროში შექმნილი ფრაქციებიდან გამოირჩეოდა სოციალ-დემოკრატია ფრაქცია, სადაც წამყვან როლს ქართველები ასრულებდნენ. 12 ივნისის სხდომაზე ისიდორე რამიშვილმა რუსეთის ხელისუფლება ამხილა კოლონიურ პოლიტიკაში, ხალხის ინტერესთა იგნორირებასა და ერებს შორის შუღლის გაღვივებაში. მან სათათბიროს აუწყა, რომ დამსჯელი ექსპედიციები საქართველოში აწიოკებდნენ მოსახლეობას, მთავრობა კი ამას უსირცხვილოდ ხალხს აბრალებდა. რამიშვილმა მოითხოვა მთავრობის გადადგომა და სათათბიროს წინაშე პასუხისმგებელი მინისტრთა კაბინეტის შექმნა.

მთავრობა გააკრიტიკა ასევე სოციალისტ-ფედერალისტმა დეპუტატმა – იოსებ ბარათაშვილმა, მან დაგმო კავკასიის მეფისნაცვლის ანტიხალხური ქმედება, აღნიშნა, რომ პოლიციის უფროს შირინჯინთან ერთად, ვორონცოვ-დაშკოვის მოღვაწეობა კავკასიაში მიმართული იყო 17 ოქტომბრის მანიფესტის წინააღმდეგ. მან სათათბიროს აუწყა, რომ თბილისის გუბერნიაში 200 კაცი ამოხოცეს, ალიხანოვ-ავარსკიმ დასავლეთ საქართველოს ბევრი დასახლებული პუნქტი ცეცხლს მისცა.

ქართველმა დეპუტატმა სათათბიროს ტრიბუნიდან ითხოვა რუსეთის სახელმწიფო წყობილების შეცვლა, მისი გახალხურება.<sup>9</sup> ამავე დეპუტატმა, 4 ივლისის სხდომაზე განაცხადა შიო ჩიტაძის მხეცურად მკვლელობის შესახებ, მოითხოვა გამოძიება ამ და სხვა მკვლელობათა ირგვლივ. ქართველმა დეპუტატებმა დაგმეს რუსეთის კავკასიური პოლიტიკა, რასაც გამოეხმაურნენ რუსული გაზეთებიც: „მისლი“, „გოლოს ტრუდა“, „ეხო“ და სხვ.

ანტისამთავრობო აზრების გამო მეფემ სათათბირო გარეკა 1906 წლის 8 ივლისს. მეფე ბრძანებდა, რომ „უკანონობისა და ურჩობის“

გამო შლიდა სათათბიროს და უახლოეს მომავალში ახალს აირჩივდა. უკანონოდ იგი თვლიდა მთავრობის კრიტიკას. დათხოვნილმა დეპუტატებმა, 181 ადამიანმა ხელი მოაწერეს „ვიბორგის მანიფესტს“, რომელთა შორის იყვნენ ქართველი დეპუტატებიც: ნ. უორდანია, ი. წერეთელი, ნ. რამიშვილი, ი. გომართელი, ს. ჯაფარიძე, ლ. ბარათაშვილი, უველა პროტესტანტი დააპატიმრეს.

1906 წლის 7 აპრილს ილია ჭავჭავაძე აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრად და ხშირად ესწრებოდა სათათბიროს სხდომებს, ის აქტიურად თანამშრომლობდა 200-კაციან ავტონომისტ-ფედერალისტთა ფრაქციასთან, გამოთქვამდა თავის მოსაზრებებს, არწმუნებდა სათათბიროს რუსეთის ფედერაციულ სახელმწიფოდ მოწყობის აუცილებლობაში.

ამავე ფრაქციასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდათ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებს – ზურაბ ავალიშვილს და ვარლამ გელოვანს.

ქართველი მოღვაწეები კავკასიაში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებას ადგილობრივი მმართველობის რეორგანიზაციაშიც ხედავდნენ. კერძოდ: მ.თუმანიშვილის აზრით, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს შექმნა ჭკუას ვერ ასწავლიდა მეფის მთავრობის კავკასიურ ადმინისტრაციას, ამ ბიუროკრატიული აპარატის მოქმედების „შესანელებლად“, მას საჭიროდ მიაჩნდა წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნა მეფისნაცვალთან – ეს იქნებოდა კავკასიის საოლქო საკრებულო, რომელსაც ექნებოდა საინიციატივო, საკონტროლო და კანონპროექტების განხილვის უფლება. მასვე უნდა შეესრულებინა სახელმწიფო სათათბიროს კავკასიური ფილიალის როლი, მაგრამ ასეთი ცვლილება კავკასიის მართვა-გამგეობის სისტემაში არ მომხდარა.

ახალ არჩევნებში, თავიანთი ტაქტიკის მიუხედავად, ვერ გაიმარჯვეს სოციალისტ-ფედერალისტებმა<sup>10</sup>.

გასული 8 დეპუტატიდან, ყველა სოციალ-დემოკრატი იყო. ფრაქციას სათავეში ირაკლი წერეთელი ჩაუდგა, რომელმაც შეადგინა ფრაქციის დეკლარაცია და წარუდგინა სათათბიროს, სადაც დაგმო მეფის მთავრობის პოლიტიკა და მისი რეპრესიები.

ირაკლი წერეთლის გამოსვლა სათათბიროში გამოქვეყნდა გაზეთ „ისარში“<sup>11</sup>.

II სახელმწიფო სათათბიროდან საინტერესო პუბლიკაციებს გადმოსცემდა სოციალისტ-ფედერალისტი პუბლიცისტი – მალაქია ბოლქვაძე. მისი რეპორტაჟები გაზეთ „ისარში“ ცოცხლად ხატავდა სათათბიროს კულუარებში მიმდინრე მოვლენებს. ერთ-ერთ ინფორმაციაში ის საუბრობდა ირაკლი წერეთლის გამოსვლაზე, წერდა, რომ ამ „ძლიერმა სიტყვამ შეძრა მთელი სახელმწიფო სათათბირო, ის მშვენიერი იყო როგორც ორატორი და როგორც შვილი დაქცეული ქვეყნისა.<sup>12</sup>

მალაქია ბოლქვაძე კარიკატურულ პორტრეტებს ხატავდა სათათბიროში მოღვაწე რუსი მემარჯვენე დეპუტატების – სტოლიპინის, პურიშკევიჩის, კრუშევანის, ბობრინსკის და სხვების სახით. პუბლიცისტი აღწერდა დეპუტატთა ცალკეულ გამოსვლებს, აფასებდა მათ, როგორც შოგინისტებს, „ინოროდცების“ მოძულეთ<sup>13</sup>

II სახელმწიფო სათათბროს ქართველმა დეპუტატებმა 1907 წლის 2 აპრილის სხდომაზე დასვეს საკითხი კავკასიაში რეფორმების გატარების შესახებ, მოითხოვეს საერობო რეფორმის გატარება ამ მხარეში, მეფისნაცვლის საბჭოს რეორგანიზაცია, მასში ხალხის წარმომადგენლების შეყვანა, სამაზრო მმართველობის გარდაქმნა, მართლმსაჯულების სფეროში ადგილობრივი მოსახლეობის დაშვება, ადგილობრივ სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღება, რუსეთის გუბერნიებიდან კავკასიაში კოლონისტების გადმოსახლების შეწყვეტა, მცირემიწიანი ადგილობრივი გლეხებისთვის მიწის დარიგება, დროებით ვალდე

ბული და ხიზანთა ინსტიტუტების გაუქმება. ირაკლი წერეთელმა მოითხოვა მემამულეთა მიწების დარიგება გლეხებისათვის და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატი დეპუტატები (მენშევიკები) სათათბიროში, ძირითადად ხალხის ინტერესებს იცავდნენ, ქართული საზოგადოებრივი აზრი მათ აკრიტიკებდა. ეროვნული მიმართულების პარტიები და მათი პრესა თვლიდა, რომ ისინი ნაკლებად აქტიურობდნენ. მათ ბევრი მასალა ეგზავნებოდა იმის დასამტკიცებლად, რომ კავკასიაში მეფის ხელისუფლება ანტიხალხურ პოლიტიკას ატარებდა, ამიტომ ადგილობრივი მმართველობა ადგილობრივი ხალხის ხელში უნდა გადასულიყო, მაგრამ ჩვენი არჩეული დეპუტატები ამ მასალას ვერ იყენებენო, საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას მთავრობასა და ამიერკავკასიის ადმინისტრაციასაც უთმობენო, დეპუტატებმა უნდა იცოდნენ, რომ მეფის მთავრობის მოხელეთა მიერ შემუშავებული კანონები ქართველ ხალხს არ გამოადგებათ.

ქართული საზოგადოების ამგვარად მსჯელობის მიუხედავად, ნოკოლოზ II-ის ხელისუფლებამ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას ანტისახელმწიფოებრივი „მამხილებელი“ საბუთები მოუძებნა და 1907 წლის 3 ივნისს II სათათბიროც გარეკას, რაც სახელმწიფო გადატრიალების ტოლფასი იყო. კონტრრევოლუციური ძალები იმპერიის ყველა კუთხეში შეტევაზე გადადიოდნენ. დაპატიმრებული იქნენ სათათბიროს ქართველი დეპუტატები: ირ. წერეთელი, გერასიმე მახარაძე, კონსტანტინე კანდელაკი, ჯ. ლომთათიძე, ა. ჯაფარიძე, ნ. კაციაშვილი. მათ ბრალი დასდეს სამხედრო გადატრიალების და მთავრობის დამხობის განზრახვაში. საბრალდებო დასკვნაში ეწერა, რომ მათ სათათბიროს ნაცვლად დამფუძნებელი კრების მოწვევაც სურდათ. ამ მიზნით აგზავნიდნენ მოწოდებებს ხალხსა და ჯარის ნაწილებში. სასჯელი მკაცრი იყო: ყველა უფლება-დირსების ჩამორთმევა და 4-5-წლიანი კატორდა.

სათათბიროს დახურვის მიზეზად იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მანიფესტი შემდეგს ასახელებდა: „უნაყოფობა ორჯერ მოწვეული სათათბიროსი აიხსნება იმით, რომ საქმის სიახლისა და საარჩევნო წესის უვარგისობის წყალობით, სათათბიროში მოხვდნენ ის კაცები, რომელნიც არ იყვნენ ნამდვილი გამომხატველნი ხალხის სურვილისა და საჭიროებებისა“. იმპერატორის მანიფესტი კონკრეტულ შემთხვევასაც ასახელებდა, სათათბიროს დათხოვნას რომ შეუწყო ხელი: „მოხდა ისეთი ამბავი, რომლის მსგავსიც ისტორიაში არ მომხდარა. სასამართლო უწყებამ აღმოაჩინა შეთქმულება სათათბიროს ერთი ნაწილისა მთავრობისა და მეფის წინააღმდეგ. ხოლო როდესაც ჩვენმა მთავრობამ მოითხოვა დროებით, სასამართლოში საქმის გარჩევამდე, 55 ბრალდებული დეპუტატის დათხოვნა და ზოგიერთების დაპატიმრება, სახელმწიფო სათათბირომ დაუყონებლივ არ აასრულა მთავრობის ბრძანება. ყველა ამან გვაიძულა დაგვეთხოვა II სათათბირო და 1907 წლის 1 ნოემბრისთვის დაგვენიშნა ახალი სათათბიროს მოწვევა“.

მეფის მანიფესტი ახალი სათათბიროს მოწვევისას, პირველ რიგში, რუსეთის ინტერესთა დამცველების არჩევას ითხოვდა. განაპირა რაიონებიდან, სადაც არარუსები ცხოვრობდნენ, მცირენი უნდა არჩეულიყვნენ, რადგან მათ ხელი არ შეეშალათ რუსული ინტერესების განხორციელებისათვის. „განვიზრახეთ შვცვალოთ თვით საარჩევნო წესი, – ბრძანებდა იმპერატორი, – რათა ხალხის ყოველმა ნაწილმა იყოლიოს თავისი წარმომადგენლები სათათბიროში. რუსეთის სახელმწიფოს გასამაგრებლად შექმნილი სახელმწიფო სათათბირო რუსული უნდა იყოს სულით და გულით, სხვა ერებმა, არა რუსებმა, რომელნიც ჩვენს სახელმწიფოში ცხოვრობენ, უნდა იყოლიონ სახელმწიფო სათათბიროში თავიანთი წარმომადგენელნი, მაგრამ იმდენი, რომ მათზე არ იყოს დამოკიდებული რუსების შესახებ საქმეების გადაწყვეტა“.<sup>14</sup>

მეფის მიერ გამოცემული 3 ივნისის მანიფესტი ქართული საზოგადოებრივი აზრის კრიტიკის საგნად იქცა. გაზეთები აღნიშნავდნენ, რომ I სათათბიროს 1905 წლის 6 აგვისტოს, II სათათბიროს 1905 წლის 11 დეკემბრის საარჩევნო კანონებზე უფრო რეაქციული III სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კანონი იყო. ის კვეცავდა ე.წ. „ინოროდცთა“ უფლებებს, ყოველგვარ პრივილეგიებს აძლევდა რუსებს. განაპირა რეგიონებში, სადაც არარუსებს შეზღუდული საარჩევნო უფლებები ჰქონდათ, იქ მცხოვრებ რუსებს ნება ჰქონდათ აერჩიათ საკუთარი დეპუტატები, რითაც ხელისუფლება აღვივებდა ნაციონალურ შუღლს, ზრდიდა ერთა დაპირისპირებას.

რუსეთის ამგვარი პოლიტიკური კურსი აისახა ქართველ რევოლუციონერთა წინააღმდეგ ბრძოლაშიც.

საქართველოში რევოლუციონერთა მიმართ უმკაცრესი რეაქტი გატარდა. 3704 მსჯავრდებული გააციმბირეს.

საზოგადოების მოწინავე ნაწილი, ერის საუკეთესო შვილები იდევნებოდნენ მართალი სიტყვისათვის, მაგრამ ისინიც არ იხევდნენ უკან, აკრიტიკებდნენ მარქსიზმს (არჩილ ჯორჯაძე), ისტორიული მატერიალიზმის დოქტრინას, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის პროგრამას.

მეფის უანდარმერია სდევნიდა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს, საქართველოს ეროვნულ ინტერესებს კი მძლავრი კოლონიზატორული პოლიტიკა დაუპირისპირეს და 1907-1912 წლებში 100-მდე რუსული დასახლება შექმნეს 1,5 მილიონ ჰექტარ „თავისუფალ“ მიწაზე.

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი ნაწილი გახდა ქართველი სამდვდელოების ბრძოლა ავტოკეფალიისათვის; XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის ხელისუფლების მიერ ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმებამ და

მისმა შესვლამ რუსეთის სინოდის დაქვემდებარებაში, დიდი ზიანი მიაყენა ერის სულიერ ცხოვრებას. ეკლესიაში გაბატონდა რუსული ენა, ქართული ეკლესის უზენაესი მმართველები რუსი ეგზარქოსები იყვნენ, რომლებიც პოლიტიზებულ საეკლესიო პოლიტიკას აწარმოებდნენ, ხელს უწყობდნენ რუსული იმპერიული რეჟიმის განმტკიცებას და ებრძოდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ მოთხოვნებს. ამის გამო, რუსეთის I რევოლუციის დროს, ქართულმა სამღვდელოებამ, მოწინავე ქართული ინტელიგენციის მხარდაჭერით დაიწყო ბრძოლა ეკლესის ავტოკეფალიის აღსადგენად.\*(ქოქრაშვილი)

1905 წლის თებერვალში იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებამ გვერდი აუარა სინოდს და პეტიცია მიართვა რუსეთის მინისტრთა საბჭოს. პეტიციაში ნათქვამი იყო, რომ შექმნილ ჟანდარმულ პირობებში ქართულ ეკლესიას აღარ ენდობოდა მრევლი, მათში პოლიციის ჟანდარმებს, მტრებს ხედავდნენ, რაც ეკლესიასა და ქართველ ხალხს შორის საუკუნეების მანძილზე არსებულ დამოკიდებულებას ეწინააღმდეგადოდა. „ქართველები აღშფოთებულნი არიან თანამედროვე საეკლესიო წყობით, ეწერა პეტიციაში, ვერ ურიგდებიან ამ მახინჯი წესების ცხოვრებაში შემოტანას.

პეტიციაში საუბარი იყო დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ქართული ეკლესიის მეთაურის – კათალიკოსის სახელის განუსაზღვრელად დიდ მნიშვნელობაზე, ხალხის ცხოვრებასა და ეროვნულობის შენარჩუნებაში, ქართული სამღვდელოების ზნეობრივ ძალასა და გავლენაზე, მწყემსმთავართა და სამწყსოს სიყვარულსა და ერთიანობაზე. რუსეთის მიერ საქართველოსთვის ეკლესიური ავტოკეფალიის გაუქმებამ, ქართული ეკლესია ფაქტობრივად გააუქმა, დაცა მღვდლის ავტორიტეტი, რადგან მას მცირე ჯამაგირი ჰქონდა და მთლიანად იყო დამოკიდებული იმ თანხაზე, რასაც ხალხს ახდევინებოდა.

ბდნენ ჯვრისწერის, ნათვლის, მიცვალებულთა წესის აგების დროს, რაც გლეხებს სამღვდელოების წინააღმდეგ განაწყობდა.

იმერეთის სამღვდელოება რუსეთის მინისტრთა საბჭოს შემდეგ მოთხოვნებს უქენებდა: 1. აღდგენილიყო ქართული ეკლესიის ავტოკუფალია და მის სათავეში სამღვდელოებისა და ხალხის არჩეული კათალიკოსი დადგენილიყო; 2. ჩატარებულიყო სასულიერო სასწავლებლების ძირეული რეფორმა; 3. სამღვდელოებას მიცემოდა სიტყვის, კრების, ყრილობის თავისუფლად მოწვევის უფლება; 4. სამღვდელოება გათავისუფლებულიყო მრევლზე დამოკიდებულებისაგან და დანიშვნოდა გადიდებული სახაზინო ჯამაგირი. პეტიციას ხელს აწერდა იმერეთის სამღვდელოების 45-ე ყრილობის 387 მონაწილე.

მომდევნო ხანებში რუსეთში მსგავსი პეტიციები გაგზავნეს გურია-სამეგრელოს და აღმოსავლეთ საქართველოს ეპარქიების სამღვდელოებამაც. როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდელობას ყრილობის ჩატარების უფლება არ მისცეს, მათ თვითნებურად ჩატარეს იგი, რის გამოც, ეგზარქოსის ბრძანებით ისინი დაშალეს და დაარბიეს.

პოლიციის მიერ დარბეული ყრილობის თავმჯდომარე ეგზარქოსს წარუდგა აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდლელოების მიერ შედგენილი პეტიციით, რომელსაც 472 კაცი აწერდა ხელს და სადაც შემდეგი მოთხოვნები იყო: 1. ივერიის ეკლესიას დაბრუნებოდა ავტოკუფალია, აღდგენილიყო მცხეთის საკათალიკოსო ძველ საზღვრებში; 2. დამკვიდრებულიყო არჩევითობის პრინციპი საეკლესიო თანამდებობათა დაკავებაში; 3. შექმნილიყო საქართველოს ეკლესიის სინოდი კათალიკოსის თავმჯდომარეობით; 4. დაბრუნებოდა ყველა ჩამორთმეული მამული ივერიის ეკლესიას, რაც რუსეთის ხაზინას ჰქონდა წართმეული. სულ 4 თხოვნა წარედგინა საქართველოს ეგზარქოსს ქართული ეკლესიის მღვდელმთავრებისაგან 1905-06 წლებში. რა თქმა უნდა, ეს მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, მაგრამ ეგზარქოსი მაინც წავიდა

ნაწილობრივ დათმობაზე. მან ქართული ეპარქიებისაგან ერთი განსაკუთრებული სამიტროპოლიტო ოლქის დაარსებაზე განაცხადა თანხმობა, თუ ამას არ დათანხმდებიან და არ დარწმუნდებიან, ქართული ეკლესიის რუსულ ეკლესიასთან მჭიდრო კავშირის სარგებლიანობაში, მაშინ ჩვენ აღარაფერი დაგვრჩენია, იძულებულნი ვიქნებით დავეთანხმოთ და ქართულ ეკლესიას ავტოკეფალია დავუბრუნოთ.

სინდს არ მოეწონა საქართველოს ეგზარქოსის ეს პოზიცია, რუსიფიკაციის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას – ეკლესიას – ხელიდან ასე ადგილად ვერ გაუშვებდა ხელისუფლება, ამიტომ სპეციალური კომისია შექმნა საკითხის შესასწავლად, რომელიც განგებ აჭიანურებდა საქმეს. ავტოკეფალისტების ძლიერმა გუნდმა პროტესტი განაცხადა შექმნილ მდგომარეობაზე. 1906 წლის 3 თებერვალს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდმა აღშფოთებით განუცხადა ეგზარქოსს: კომისიის მოქმედება ქართველებს გვაიძულებს, რომ სინდისის, რწმენისა და საეკლესიო მმართველობის თავისუფლება, რითაც დაუბრკოლებლად სარგებლობენ ჩვენი მეზობელი სომხები, მაკმადიანები და კათოლიკები, ჩვენც

მოვიპოვოთ ბრძოლით, რუსულ ეკლესიასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტის გზითო. მან დიდმპყრობელურ შოვინიზმში დასდო ბრალი რუსეთის მთავრობასა და სინდს. მისი აზრით, ავტოკეფალის მოპოვების სურვილმა კი არ განაპირობა ქართველთა სეპარატისტული მოძრაობა, არამედ პირიქით, ავტოკეფალიის გაუქმებით შექმნილმა აუგანელმა მდგომარეობამ. რუსებს უნდა ესმოდეთ, რომ საქართველოს საკათალიკოსოს აღდგენა სულაც არ გამოიწვევს სეპარატიზმის გაძლიერებას, იგი ქვეყანაში მხოლოდ მშვიდობასა და ერთიანობას დაამყარებსო.

მიმოწერაში და ავტოკეფალისტთა მოძრაობის წარმართვაში ჩარეული პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი იმედოვნებდა რუსეთის სა-

ეკლესიო კრების მხარდაჭერას და საკითხის სამართლიან გადაწყვეტას. ამ საქმეში მსოფლიოს საპატრიარქოების ჩარევა ზედმეტიაო, – წერდა იგი, რადგან ისინი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების დროსაც არ ჩარეულან საქმეში, ეს საკითხი რუსეთის იმპერატორის ნებით გადაწყდა მაშინ და ახლაც მისი ნებით უნდა მოხდეს ავტოკეფალიის აღდგენაო.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის იბრძოდნენ ეპისკოპოსები: ლეონიდი, კირიონი, პეტრე, დაგითი, მათ მიერ ჩამოყალიბებულ „ავტოკეფალისტთა საზოგადოება“ და მისი წევრები. საზოგადოების რადიკალური გადაწყვეტილებები განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდა, რაც სინოდმა საქართველოდან გაიწვია ეგზარქოსი ნიკოლოზი და მის ადგილზე რუსიფიკატორი ნიკონი გამოგზავნა.

ავტოკეფალისტთა მოძრაობას, მართალია, სამდვდელოება წარმართავდა, მაგრამ მასში დიდ ოლს თამაშობდა ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია მეფის ხელისუფლებას და ამიტომ იგი ეროვნულ-პოლიტიკურ მოძრაობად მიაჩნდა.

## §2. საქართველოს ავტონომიის საკითხები და ქართველი ინტელიგენცია

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მთელს მის ისტორიას გასდევს, მაგრამ მან განსაკუთრებული სახე მიიღო XIX საუკუნეში, როდესაც რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართული სახელმწიფოებრიობა, ტახტი წაართვა ბაგრატიონთა ათასწლოვან სამეფო დინასტიას და საქართველო ნაწილ-ნაწილ მიუერთა რუსებს, აქცია მის გუბერნიებად.

ქართველი ხალხი ვერ შეურიგდა ეროვნული ჩაგვრის ახალ უდელს, რომელსაც განსაკუთრებულად სასტიკად მიიჩნევდა, რადგან საქართველოს რუსეთისგან მეგობრობა, მოკავშირეობა სურდა მეზობელი მუსულმანი აგრესორების წინააღმდეგ, ამისთვის ისწრაფვოდა, მაგრამ მიიღო სრულიად სხვა: თუ მუსულმანურ ქვეყნებს, ათასგზის შემოსევების შემდეგადაც არ გაეუქმებია სახელმწიფო მართვის აპარატი, არ ჩამოუგდიათ ტახტდან ქართველი მეფეები, კმაყოფილდებოდნენ დახარკვითა და სუვერენიტეტის შეზღუდვით, რუსეთმა ისარგებლა ქვეყნის ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებით და ყოველნაირად მიწასთან გაასწორა იგი.

1801 წლიდანვე დაიწყო მძლავრი ანტირევიმული მოძრაობა, ბრძოლა რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ, რომელსაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფორმა ჰქონდა.

XIX საუკუნის II ნახევრიდან, თერგდალეულთა ხელმძღვანელობით ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მწვავე იდეოლოგიური, ფართო სახალხო ხასიათი შეიძინა, სწორედ ამ დროს, ილია ჭავჭავაძის „ივერიამ“ დასვა პირველად ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი, თუმცა ძალზე შეზღუდულად, შეფარულად, მაგრამ მაინც ეს იყო პირველი ცდა ავტონომიის მოთხოვნისა რუსეთის ფა-

რგლებში, რაც შემდეგში იღია ჭავჭავაძემ უფრო ფართოდ განსაზღვრა ეროვნულ-დემოკრატთა პროგრამაში. „ივერიის“ მოწინავე სტატიის შინაარსი იმაზე მეტყველებდა, რომ იღია ჭავჭავაძესა და მის თანამებრძოლებს რუსეთის მრავალეროვნული სახელმწიფოს პოლიტიკურადმინისტრაციული მოწყობის საუკეთესო ფორმად ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიათა ფედერაცია მიაჩნდათ.<sup>1</sup>

შემდეგში ეს პრობლემა დეტალურად დაამუშავეს და უფრო ენერგიული საქმიანობა გააჩადეს ავტონომია-ფედერაციის საკითხზე – გაზეთების „ცნობის ფურცელისა“ და „საქართველოს“ – პუბლიცისტებმა.

XX საუკუნის დასაწყისში გამომავალი ქართული პრესის ეს ორი ორგანო („ცნობის ფურცელი“ 1896-1906 წლებში გამოდიოდა, „საქართველოს“ პირველი ნომერი 1903 წელს გამოვიდა, საზღვარგარეთ) ავტონომიის საკითხს დიდ ყურადღებას აქცევდა. მიმდინარე მწვავე პოლიტიკური პროცესების ფონზე, რასაც პირველი რევოლუცია და მთავრობის მწვავე რეაქცია მოჰყვა, ხსენებული საკითხის დაყენება ადვილი არ იყო. ამაზე მიუთითებს ცნობილი ქართველი პუბლიცისტის, სოციალისტ-ფედერალისტი გიორგი ლასხიშვილის მოგონების ერთი ადგილი: „მაშინ შეუძლებელი იყო ეროვნული საკითხის დაყენება, მისი რეალური შინაარსის გარკვევა ვერ იქნა და ვერ მოვახერხე მთელი წლის განმავლობაში, სიტყვა „ადგილობრივი ეროვნული თვითმმართველობა“ ვერსად გავაპარე. ყველაზე დიდი კურიოზი ის იყო, რომ ჩვენს ცენზორებს იმ ხანებში მეტად ეშინოდათ სიტყვა „საქართველოსი“. იშვიათად თუ გაუშვებდნენ ამ სიტყვას, უმეტეს შემთხვევაში წაშლიდნენ და ზედ დააწერდნენ „ჩვენი ქვეყანა“. ასეთ პირობებში, რა თქმაუნდა, არ შეიძლებოდა ეროვნული პროგრამის წამოყენება, ლეგალურ გაზეთში მის შესახებ წერა“<sup>2</sup>.

რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ავტონომიის მოპოვების შუალედურ რგოლად ქართველი ინტელიგენციას XX საუკუნის დასაწყი-სში ამიერკავკასიის ფედერაცია მიაჩნდა, სადაც შევიდოდა ავტონომი-ური საქართველო, შემდეგ კი ა/კ ფედერაცია რუსეთის ფედერაციული სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად იქნებოდა აღიარებული.

გაზეთი „საქართველო“ 1903 წელს ამ თეორიის სისწორეს ასე ასაბუთებდა: „საქართველო ეკონომიკურად მჭიდროდ არის დაკავშირუ-ბული დანარჩენ ამიერკავკასიასთან, რაც დრო გავა არსებული ეკონო-მიური ურთიერთობა მეტად განვითარდება. საერთო ეკონომიური ინტე-რესების დასაცავად, კულტურულ საერთო მოთხოვნილებათა დასაკმა-ყოფილებლად საჭიროა შესაფერი პოლიტიკური ორგანიზაციის დაფუ-ძნება. საქართველოს ავტონომია ისე, როგორც ავტონომია კავკასიის სხვა ნაწილებისა, პირველი პოლიტიკური ნაბიჯი იქნებოდა რთული ფედერალისტური სისტემის დამყარებისათვის, ვინაიდან ფედერალიზმი იმგვარი ფორმაა ხალხთა შეკავშირებისა, რომელიც თითოეულ ერს, მხარეს და პროვინციას სრულ თვითმოქმედებას ანიჭებს და მეორე მხრივ, განსაზღვრულ ტერიტორიაზე მაცხოვებელ რამდენსამე ერს გაერთიანებული პოლიტიკური მმართველობის ფორმას აძლევს.“<sup>3</sup>

„ცნობის ფურცლისა“ და „საქართველოს“ ირგვლივ თავმოყრილი იყო ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი, კერძოდ: არჩილ ჯო-რჯაძე, გიორგი ლასხიშვილი, სამსონ ფირცხალავა, გრიგოლ რცხი-ლაძე, კიტა აბაშიძე, ალექსანდრე ადლაძე, ვლადიმერ ლორთქიფანიძე.

ამ ჯგუფმა, რომელიც შემდეგში სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის შექმნის ინიციატორი იყო, იმთავითვე თავისებური მიდგომა გამოამჟღავნა ავტონომიის იდეისადმი.

უნდა ითქვას, რომ ამ ჯგუფის შიგნით არსებობდა უთანხმოება ავტონომიის საკითხზე, მცირე ჯგუფს მიაჩნდა, რომ რუსეთის ფედერა-ციაში ავტონომიის მოპოვება საქართველოსთვის ვერაფერი დიდი მონა-

პოვარი იქნებოდა, მას უნდა ებრძოლა, ევროპის ერთა დახმარებით, სრული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ამგვარად მოაზროვნებს 900-იან წლებში „სეპარატისტებს“ უწოდებდნენ და მათ გმობდნენ, მხოლოდ I მსოფლიო ომის დროს, უფრო სწორად 1912 წლიდან, როდე-საც ჩამოყალიბდა ეროვნულ-დემოკრატიული პრესა, შესაძლებელი გა-ხდა ფართო ავტონომიის, შემდეგში კი სრული დამოუკიდებლობის იდეის წამოყენება.

900-იან წლებში მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მიერ წამო-ყენებული ავტონომიის იდეას მხარდაჭერა ჰქონდა თვით იმპერიული ხელისუფლების მხრიდან. რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია ამ დროს ამ იდეას ფართო პროპაგანდას უწევდა. 1906 წელს რუსეთის სათათბი-როში შეიქმნა ფრაქცია, რომელიც საკანონმდებლო მხარდაჭერას უცხადებდა ავტონომია-ფედერაციის პრინციპით რუსეთის მოწყობას, იმ ერებისთვის კულტურულ-ადმინისტრაციული უფლებების მინიჭებას და ავტონომიური ფორმით არსებობის უფლებას, რომლებიც იბრძოდნენ ამისთვის. ამით რუსეთი შეანელებდა ანტირეჟიმულ გამოსვლებს, ცე-ნტრიდანულ მმართველობას გააადვილებდა და იმპერიის კუთხეებს შორის კავშირს განამტკიცებდა, ეს ერები და ქვეყნები იყვნენ: პოლო-ნეთი, ფინეთი, ბალტიისპირეთი, ამიერკავკასიის ქვეყნები.

სათათბიროში შემავალ ავტონომისტთა ფრაქციაში შედიოდნენ და მუშაობას წარმართავდნენ ცნობილი რუსი პროფესორები: ბოდუენ დე კურტენე, ლუჩიცკი, ლედნიცკი, კოლუბიაკინი, შრაგი და სხვ. კა-ვშირი აღიარებდა რუსეთის მთლიანობის პოლიტიკას და ითხოვდა ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიებს.

ჯგუფის პროგრამა ეფუძნებოდა 5 ძირითად მოსაზრებას:

1. განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც თანდათან ამზა-დებს რუსეთის მოწყობას დემოკრატიულ საფუძველზე, საერთო საქმეა რუსეთის ყველა ერისათვის;

2. ამ ერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარანტიას, რომ მომავალ რუსეთში ყველას შეეძლოს სულიერი და ეკონომიკური განვითარება;

3. რადგან მრავალეროვნულ რუსეთში ცენტრალური მართვა-გამგეობა შეუძლებელია, ამიტომ საჭიროა ხალხის მართვა-გამგეობა და მყარებული იქნას ფედერაციული მოწყობის პრინციპზე, რაც საერთო საქმეა რუსეთის ყველა ერისათვის;

4. ისეთი ერების დასაცავად, რომელთაც საკუთარი ტერიტორია არა აქვთ, ან ამა თუ იმ ტერიტორიაზე უმცირესობას შეადგენენ, განსაკუთრებული წეს-წყობილება უნდა იქნეს შემოღებული, რომელიც უზრუნველყოფს მათი უფლებებისა და ინტრესების დაცვას. ამის განხორციელება შეიძლება პროპორციული წარმომადგენლობით.

5. იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შეგნებულია ამა თუ იმ ოლქში თვითმმართველობის საჭიროება, მას უნდა მიეცეს ავტონომია საყოველთაო საარჩევნო უფლებით, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და სქესისა.

ახალი სათათბიროს სექციამ შეადგინა თავისი საპარლამენტო დებულება, რომელიც ექვსი მუხლისგან შედგებოდა.<sup>4</sup>

„ავტონომისტთა“ ფრაქციის შესახებ გაზეთი „მოსკოვსკი ვედომოსტი“ წერდა: „თვით უსასტიკესი კრიტიკა ამ პროგრამაში ვერ იპოვის ვერც ვიწრო ნაციონალისტურ ტენდენციას და ვერც ისეთ რამეს, რაც დემოკრატიულ პრინციპს ეწინააღმდეგებოდეს. ავტონომისტ-ფედერალისტების კავშირი გამოიწვია ცხოვრებაში ხალხის რეალურმა მოთხოვნილებამ და მანვე მისცა კავშირს დემოკრატიული ელფერი.“

ფედერაციულ მოწყობას ეთანხმებოდნენ ცნობილი რუსი მეცნიერები, მწერლები, შემოქმედებითი ჯგუფები, პუბლიცისტები.

„ცნობის ფურცელი“ მიიჩნევდა, რომ დიდი რუსეთის სახელმწიფოს ფედერაციული პრინციპით მოწყობა რუსი და სხვა ერების მოწი-

ნავე ადამიანთა საერთო ამოცანა იყო. ამიტომ ქართველებს მთავარი უურადღება საქართველოს ავტონომიურ სახელმწიფოდ მოწყობის ოპ-ორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავებისკენ უნდა მიემა-რთათ. გაზეთის პუბლიცისტთა აზრით, საქართველოს ავტონომიის სა-კითხი, თუმცა დაკავშირებული იყო მთელი რუსეთისა და ამიერკავკა-სიის ქვეყნების მმართაველობის რეორგანიზაციასთან, მაგრამ მას პქო-ნდა დამოუკიდებელი მნიშვნელობაც. გაზეთ „საქართველოს“ პუბლიცი-სტებს მიაჩნდათ, რომ საქართველოს ავტონომიის საკითხი არ უნდა გა-დაედოთ, არ უნდა დალოდებოდნენ იმპერიაში შემავალ სხვა ერთა ავტონომიისთვის მომწიფებას, თუ საქართველოში ეს შეიძლებოდა, ახლავე უნდა მომხდარიყო მის ავტონომიურ სახელმწიფოდ ორგანი-ზება.

ქართველი მოაზროვნეები იხსენებდნენ 1783 წლის ტრაქტატით ქართლ-კახეთის სამეფოს ავტონომიურობას, მაგრამ დაუშვებლად მი-იჩნევდნენ მონარქიის აღდგენას და საქართველოს სახელმწიფოებრი-ობის განახლებას კონსტიტუციურ-პარლამენტურ საფუძველზე ვარა-უდობდნენ. პარლამენტი აღიჭურვებოდა საკანონმდებლო უფლებით. მის მიერ მიღებული კანონები საფუძვლად დაედებოდა ავტონომიური მთა-ვრობის ადმინისტრაციული ორგანოების, სასამართლოს, მილიციის, სკოლის და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობა—საქმიანობას. პარლამენტის დეპუტატები არჩეული უნდა ყოფი-ლიყვნენ დემოკრატიული არჩევნების საფუძველზე.

საქართველოს ავტონომიის ფარგლებში სახელმწიფო ენად ქა-რთული ენა გამოცხადდებოდა, მაგრამ კანონმდებლობა უზრუნველყო-ფდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეროვნებათა ენების, კულტურის, ზნე-ჩვეულებების დაცვას და თავისუფალ განვითარებას.

ავტონომიური საქართველოს პარლამენტი საშინაო პოლიტიკას წარმართავდა, ხოლო საგარეო პოლიტიკის გაძლოლის უფლება მას არ

ექნებოდა. საქართველო თავის წვლილს შეიტანდა ფედერალურ ბიუჯეტში და რუსეთის თავდაცვის ხარჯებში. რუსეთის ერთიანი ფედერაციული სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში ავტონომიური საქართველო მონაწილეობას მიიღებდა ცენტრალურ პარლამენტში გაგზავნილი წარმომადგენლების მეშვეობით.<sup>5</sup>

იმის გამო, რომ ავტონომიის საკითხში საზოგადოების მოწინავე ნაწილის აზრი ორად გაიყო: ერთნი ემხრობოდნენ რუსეთის ფედერაციაში საქართველოს შესვლას ავტონომიის სახით, მეორენი კი – სრულ დამოუკიდებლობას ითხოვდნენ და ყოველგვარი პოლიტიკური კავშირის გაწყვეტას რუსეთთან – საჭირო გახდა ამ ორი აზრის შეთანხმება. ამიტომ, 1904 წლის აპრილში ჩატარდა პარტიათა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობათა წარმომადგენლების კონფერენცია, სადაც უნდა მიღებულიყო საერთო რეზოლუციები განხილულ საკითხებზე, რის გამოც სოციალ-დემოკრატებმა კონფერენცია დატოვეს, კონფერენციამ ყველაზე დიდი ადგილი ავტონომიის საკითხის განხილვას დაუთმო. ავტონომიის მოთხოვნას სოციალისტ-ფედერალისტებთან ერთად მხარი დაუჭირეს სოციალისტ-რევოლუციონერებმა და ანარქისტებმა. კონფერენციაზე „სეპარატისტებიც“ გამოვიდნენ, თუმცა ისინი უმცირესობაში აღმოჩნდნენ.

კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ეწერა: „ქართველ რევოლუციონერთა კონფერენცია უარყოფს სეპარატიზმს რომელიც არ ჩაითვლება ერთა სოციალური განვითარებისა და ერთა, შორის სოლიდარობის განმტკიცების თავდებად და აცხადებს, რომ განთავისუფლებულ საქართველოსათვის საუკეთესო და უსაჭიროესი წყობილება უნდა იყოს ავტონომიური საქართველო სხვა ერებთან ფედერაციულად შეკავშირებული“.<sup>6</sup>

კონფერენციის რეზოლუციაში თუმცა დეტალურად არ დასახელებულა 1783 წლის ტრაქტატის საფუძველი, მაგრამ ისტორიულ სამა-

რთლიანობაზე მაინც იყო მინიშნება გაკეთებული: „წარსულმა ცხოვრებამ გვიანდერძა ისტორიულ შელახულ უფლებათა აღდგენის მოვალეობა, ზნეობრივი და კანონიერი უფლება გვაქვს პასუხი მოვთხოვოთ მთავრობას, თუ საერთაშორისო სამართალს რაიმე ძალა აქვს, ამ სამართალმა უნდა გაგვსაჯოს და წარმეული დაგვიბრუნოს“.<sup>7</sup>

ამ კონფერენციის ორგანიზატორი და ცნობილი მოაზროვნე არჩილ ჯორჯაძე შემდეგში აღნიშნავდა, რომ მალე მიხვდა უაზრობას: საერთაშორისო სამართალზე იმედის დამყარებით დამოუკიდებლობის აღდგენას, დასავლეთ ევროპაზე დამყარებული იმედებიც მალე განელდა, ცხადი გახდა, რომ ამგვარი იმედებით ქართველები ვერც საერთაშორისო ასპარეზზე გავიდოდით და ვერც ეროვნულ ავტონომიას მივიღებდითო.<sup>8</sup>

კონფერენციაზე გაკრიტიკებული იქნენ რუსი და ქართველი სოციალ-დემოკრატები, რსდმპ II ყრილობის გადაწყვეტილებები, სახელმწიფოს ცენტრალიზის პრინციპის აღიარება ყრილობის მიერ. კონფერენციის მონაწილე ს. გაბუნია ურჩევდა რუს და ქართველ სოციალ-დემოკრატებს – აედოთ მაგალითი ავსტრიელი სოციალ-დემოკრატებისგან, რომლებიც ფედერაციულ ავტონომიას მიიჩნევდნენ ერთა შორის შუღლისა და მტრობის მოსასპობ იარაღად.

ქართული პრესა დიდ ადგილს უთობდა სახელმწიფოებრივი მმართველობის სხვადასხვა ფორმებს: ფედერაციის, კონფედერაციის, უნიახელშეკრულების ფორმებს, არჩევდა მათ, არგებდა ქართულ ინტერესებს.

ამ მხრივ საინტერესო იყო სამსონ ფირცხალავას წერილები „ცნობის ფურცელში“, სადაც ის უპირატეს როლს ფედერაციის ფორმას ანიჭებდა.<sup>9</sup>

„მესამე დასელებმა“ გააკრიტიკეს „ცნობის ფურცლის“ პუბლიცისტები და მათ ნაციონალისტები, ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესთა

დამცველები, მშრომელი ხალხის ინტერესთა მოწინააღმდეგენი უწოდეს. აღნიშნეს, რომ ამისათვის შეუძლებლად თვლიდნენ მათთან საერთო ენის გამონახვას.

ნაციონალიზმის შესახებ, მესამე დასის კრიტიკის შემდეგ, თავიანთი შეხედულებები გამოთქვეს გრიგოლ რცხილაძემ და სამსონ ფირცხალავამ.

გრიგოლ რცხილაძე ნაციონალიზმში ხედავდა სხვა ერის სიძულვილს, მიაჩნდა, რომ სიყვარულისთვის მთავარი ეროვნება კი არა, სოციალური ნიშანი იყო: ერთი ერის შვილებს, მჩაგვრელებს და ჩაგრულებს შეიძლებოდა ერთმანეთი სძულებოდათ, სხვა ერთა დაჩაგრულ შვილებს კი – ჰყვარებოდათ. ამიტომ უარყოფდა რცხილაძე ნაციონალიზმს და საყოველთაო სიყვარულს პქადაგებდა.

რცხილაძის საწინააღმდეგოდ, ს. ფირცხალავა ამბობდა, რომ ნაციონალიზმს, ეროვნულ სიყვარულს პქმნიდა მხოლოდ ისტორია და სადაც არ იყო საერთო ისტორია, იქ არც ერი იარსებებდა: „საერთო წარსული, საერთო სიხარული, ბედნიერება, მაგრამ განსაკუთრებით საერთო მწუხარება, გაჭირვება და უბედურება აერთიანებს ადამიანებს, ანათესავებს და აკავშირებს მათ. ერთად ვიტანჯებოდით, ვიჩაგრებოდით, ერთად ვიბრძოდით, ერთად მოვიპოვეთ ის, რაც დღეს გვაქვს და გვინდა ერთად ვიბრძოლოთ, ვიშრომოთ და ვიცხოვროთ მომავალშიც, საერთო აწმყო და მომავალი, აი, აუცილებელი გზა ერის ცხოვრებისა“. ს. ფირცხალავა აღნიშნავდა, რომ საკუთარი ერის სიყვარული არ ითხოვს სხვა ერის სიძულვილს. ეროვნული სიყვარული არ იხედება მარტო წარსულისკენ, იგი არაა არც რეტროგრადული და არც კონსერვატიული. ნაციონალური სიყვარული დიდი ძალაა და ის მაღალ სიყვარულს იწვევს მთელი კაცობრიობისადმი.<sup>10</sup>

რაც შეეხება ფედერაცია-ავტონომიის საკითხს, სამსონ ფირცხალავა, ისევე როგორც მთლიანად ქართველი სოციალისტ-ფედერალი-

სტები, მსოფლიოს ფედერაციული მოწყობის მომხრე იყო, ვინაიდან ჯერ მთელი კაცობრიობის, მსოფლიოს ყველა ერის ფედერაციის შექმნა შორსაა, ამიტომ, ავტორის აზრით, უნდა შეზღუდულიყო გეგმა და სადღეისო ამოცანა უნდა განხორციელებულიყო: ეს იყო იმ ერთა შეკავშირება, „რომლებიც მეზობლად ცხოვრობენ, რომელთა დაახლოება მოუნდომებია თვით ბუნებას“. ასეთ ერებად ს. ფირცხალავას კავკასიის ერები მიაჩნდა. ამ ნიშნით, სამსონ ფირცხალავას და მის თანამოაზრე მოღვაწებს კავკასიის ფედერაციის შექმნა და რუსეთის ფედერაციაში მისი შესვლა მიაჩნდათ რეალურ მოვლენად.

საერთო დემოკრატიულ თვალსაზრისზე მდგარი ქართული პრესა მიიჩნევდა რუსეთის დემოკრატიულ საფუძველზე გარდაქმნის შესაძლებლობას და ავტონომიური მმართველობის განხორციელებისათვის ბრძოლაში თავადაზნაურობის გამოყენებასაც.

„თავადი ევგენი ტრუბეცკოი, – ვკითხულობთ ქართულ პრესაში, – წერდა, როცა რუსეთის ხალხის წარმომადგენლები შეიკრიბებიან, რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ხალხები წარმოგვიდგენენ მხოლოდ სამართლიან მოთხოვნას – ავტონომიას განსაზღვრულ ტერიტორიაზე და ჩვენც უნდა დავაკმაყოფილოთ ეს მოთხოვნაო.

ამას წერს რუსი, მერე ისეთი, რომელსაც რომელიმე უკიდურეს მიმართულებასთან საერთო არა აქვს რა. ერის თვითმმართველობა – ავტონომია დღეს რუსეთის საზოგადოების საუკეთესო ნაწილს სულ უბრალო, ელემენტარულ სამართლიანობად მიუჩნევია, საჯაროდ აცხადებს ამას და არც შეიძლება სხვაგვარად ყოფილიყო“. პრესის აზრით, განაპირა ქვეყნებისათვის

თვითმმართველობების მიცემა, რუს ჩინოვნიკებს ეძნელებოდათ, რადგან ამით ისინი უსაქმურად დარჩებოდნენ, ამიტომ დევნიდნენ თვითგამორკვევისათვის მებრძოლ ერებს, დევნა კი ნამდვილ სეპარატისტულ განწყობას წარმოქმნიდა დევნილებს შორის.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, კერძოდ, კახეთში, იმერეთში, თბილისის სათავადაზნაურო კრებებზე გამოჰქოდათ გადაწყეტილება „ქვეყნის მმართველობის პრინციპად ავტონომიის დასადებად“. საქართველოს ინტელიგენციას მიაჩნდა, რომ სასწრაფოდ უნდა მოწველიყო დამფუძნებელი კრება აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად.

მხოლოდ განახლებულ რუსეთს შეეძლო შერიგებოდა ნაციონალური ბატონობის დაკარგვას და იმ აზრს, რომ განახლების გზაზე დამდგარ ერებს ესაჭიროებოდა თავისუფლება და თვითმმართველობა.<sup>11</sup>

1905 წლის 18 თებერვალს რუსეთმა გამოსცა იმპერატორის უმაღლესი ბრძანება სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის თაობაზე, ამას დიდ მიღწევად თვლიდა დავით კარიჭაშვილი, თუმცა საეჭვოდაც მიიჩნევდა, რომ ამ ორგანოში წარმომადგენლების არჩევის უფლება ქართველებს მისცემოდათ.

საქართველოს შესვლა რუსეთის მფარველობაში ქართველ მეფებს და ხალხს, კარიჭაშვილის აზრით, სხვაგვარად წარმოედგინათ. რუსეთის ბიუროკრატიამ კი უარყო ქართველთა ეროვნული არსებობა და მისი სრული გადაგვარება მოისურვა. თანამედროვე პირობებში დ. კარიჭაშვილი აყენებდა ახალ მოთხოვნებს. ესენი იყო:

1. სახელმწიფო (რუსულ) ენასთან ერთად ქართული ენის და შვება სკოლებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში;
2. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა;
3. საქართველოში მოხელეებად ძირითადად ქართველების დანიშვნა;
4. ჩვენს ქვეყანაში საგუბერნიო ერობების ნაცვლად ერთი, ცენტრალური საქართველოს ერობისა და მისი დაწესებულებების ჩამოყალიბება.<sup>12</sup>

ეს მოთხოვნები მეტად ზომიერი და შეზღუდული იყო, რაც მოწინავე ქართველ ინტელიგენციას და ქვეყნის პატრიოტულ ძალებს ამ დროს სრულიად აღარ აკმაყოფლებდათ.

ეროვნული საკითხის დასმას, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას ან შექმნას უმთავრეს მიზნად აცხადებდნენ ქართველი პუბლიცისტები. ანონიმი ავტორი სტატიაში – „ერი და სახელმწიფო“ – იხილავდა სხვადასხვა თვალსაზრისს ეროვნულ საკითხზე. ის უარყოფდა და განხილვის დირსადაც არ მიიჩნევდა იმათ თვალსაზრისს, რომელთა თეორიით დიდ ერებს უნდა ჩაეყლაპათ პატარები.

ანონიმი ავტორი წერს, რომ ერის სახელმწიფოებრივი მდგომარეობის გარკვევა-მოწესრიგების დროს სამი საკითხი დგება: 1. როგორი იქნება ერთი ერის შვილების კავშირი – ტერიტორიული თუ პიროვნული; 2. რა უფლება-კომპტენციით იქნება აღჭურვილი ერი; 3. როგორი კავშირი უნდა დამყარდეს ერთა შორის, რა პრინციპების საფუძველზე ჩამოყალიბდება ფედერაციული სახელმწიფო. თუმცა, შემდეგ, როდესაც თითოეულ ამ საკითხს ეხებოდა, ვერ გამოჰქონდა სწორი დასკვნები და თვით „ცნობის ფურცლის“ პუბლიცისტთა შეხედულებებს ეწინააღმდეგებოდა. „ცნობის ფურცლის“ რედაქცია ემხრობოდა და იმეორებდა რ. შპრინგერის თვალსაზრისს ერის შესახებ. ამ თვალსაზრისით, ერი ორგანული ერთეულია და თუ მას არა აქვს თავის ნების გამომხატველი ორგანოები, მასში მუდამ ლვივის ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბების სურვილი, ყოველი ერის მოწოდება და უფლებაა საკუთარი სახელმწიფოს შექმნა. ერი ამ თანდაყოლილ, ბუნებრივ უფლებას ვერ გასცვლის ისეთ უბრალო რამეზე, როგორიცაა პიროვნების თავისუფლების უზრუნველყოფა. ვინც ფიქრობს, რომ ეროვნული პრობლემა ინდივიდებისთვის ენის და თავისუფლების დაცვის უფლებათა მინიჭებით გადაწყდება, იგი ვერ ერკვევა ეროვნული საკითხის არსში. თუ ერის მთლიანობა, დამოუკიდებლობა მოსპობილია,

იგი პოლიტიკური ბრძოლის გზას ადგება, რომ ბრძოლით მიაღწიოს ამ მთლიანობას და ავტონომიას. ერისთვის თავისი ინტერესების დასაცავად და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად აუცილებელია სახელმწიფოებრივი პრეროგატივები.<sup>13</sup>

ავტონომისტთა იდეას დაპირისპირებული ქართველი პოლიტიკოსები აცხადებდნენ, რომ ეს არ იყო ხალხის მოთხოვნა, რომ ავტონომია მხოლოდ ბურჟუაზიის ინტერესთა დამცველებმა მოიგონეს. სამსონ ფირცხალავა ამას არასამართლიან განცხადებად თვლიდა. მისი აზრით, ხალხი ითხოვდა საერთო დემოკრატიულ გარდაქმნებს, არჩევნებს. უკულაფერი, რასაც ხალხი ითხოვდა, იყო ნამდვილი ავტონომიის შინაარსი. მოხელეთა არჩევნები, ქართულ ენაზე სასამართლო და სხვა ბიუროკრატიული დაწესებულებების მუშაობა შეიძლებოდა მხოლოდ ავტონომიური თვითმმართველობის მქონე ქვეყანაში. ხალხი დეცენტრალიზაციის გზით უნდა დაახლოვებოდა მართვა-გამგეობას.

გიორგი ლასხიშვილი თვლიდა, რომ ავტონომიის საკითხი არ უნდა გადადებულიყო. მას მაგალითად ჰაბსბურგთა დინასტია მოჰქონდა. ავსტრია-უნგრეთის კონსტიტუციაში მკრთალად ფორმულირებულმა სათანადო მუხლებმა ვერავინ დააკმაყოფილა და ამიტომ ეროვნული ბრძოლა ჰაბსბურგთა ამ ძველ იმპერიას დანგრევით ემუქრებაო, – წერდა იგი. „რუსეთის იმპერიის დამფუძნებელმა კრებამ არ უნდა გაიმეოროს ავსტრიის შეცდომა. სავსებით გარკვევით და ნათლად უნდა მოაწესრიგოს ერთა ურთიერთობა და ერთა დამოკიდებულება სახელმწიფოსთან. უამისოდ ძნელია და შეუძლებელიც ნამდვილად დამშვიდეს სახელმწიფო, ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს რუსეთის ხალხთა ცხოვრება“.<sup>14</sup>

„ივერია“ და „ცნობის ფურცელი“ ხშირად ბეჭდავდა გაზეთის ფურცლებზე რუსი მოაზროვნების წერილებს. ესენი, უმთავრესად, ის ავტონომისტები იყვნენ, რომლებმაც დამოუკიდებელი ფრაქცია შექმნეს

რუსეთის საბჭოში, ან, თავიანთი დემოკრატიული აზროვნების გამო, მხარს უჭერდნენ ერთა თვითგამორკვევის პროცესს – ავტონომიურ-ფედერაციულ სახელმწიფოში.

„ცნობის ფურცელში“ 1905 წლის მაისში გამოქვეყნდა ვ. გოლუბაევის წერილი – „ეროვნება და ერები.“ ავტორის აზრით, ცარიზმი ხშირად ჰკიდებდა ერთმანეთს სხვადასხვა ერებს, მიმართავდა რა „დაჰყავ და იბატონებ“ იმპერიულ პრინციპს, ამ გზით ცდილობდა თავის გადარჩენას. ის მკითხველს ახსენებდა XIX საუკუნის 80-იანი წლების პოლიტიკურ რეაქციას, ებრაელთა აკლებას, რასაც ნაციონალიზმითა და პატრიოტიზმით ამართლებდნენ. ამის გამო ეს მაღალი ცნებები დაამახინჯეს და შერყვნესო. „საზოგადოებრივი სამართალი და რუსი ერის სახელი თხოულობს ამ ცნების გასუფთავებას ნაციონალური საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა საჭიროა, უპირველს ყოვლისა, რუსი ხალხისათვის, რომ საბოლოოდ განთავისუფლდეს ეს ხალხი ოფიციალური ნაციონალიზმის გამრყვნელი გავლენისაგან“.

გოლუბაევის სიტყვით, რუსეთის პროგრესული პარტიები ერებისათვის ნაციონალურ-კულტურული თვითგამორკვევის უფლებას უჭერდნენ მხარს, იმ პირობას, რომ ამ უფლებას სახელმწიფო თავისი კანონებით უზრუნველყოფდა. „რაც შეეხება სახელმწიფოებრივ ურთიერთობას, დემოკრატიული პარტიების უმრავლესობამ სამართლიანად და საჭიროდ სცნო, ყველა იმ ერს, რომელსაც განსაზღვრული ტერიტორია აქვს, მიენიჭოს უფლება ავტონომიის მიღებისა საოლქო სეიმის ფორმით. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ შეგვირიგდებიან ის ერები, რომელთაც ვძულვართ როგორც ჩვენ, ისე რუსეთი, მაგალითად, პოლონელები, ებრაელები, კავკასიელები და სხვ. როცა შერიგება მოხდება, აღარც სახელმწიფო დაირდვევა, აღარც ძალმომრეობა იქნება საჭირო“.<sup>15</sup>

ასეთივე შინაარსის იყო კავკასიის ეთნოგრაფიის ცნობილი მკვლევარის მ. ქოვალევსკის წრილი – „ცენტრი და განაპირა ქვეყნები“. ავტორი დარწმუნებული იყო, რომ კავკასიის ხალხებს გამოყოფა კი არ სურდათ რუსეთისაგან, არამედ კულტურული ავტონომია. ისინი რუსეთის მეშვეობით უნდა ეზიარონ მსოფლიო ცივილიზაციას და პროგრესს. მაგრამ „ამიერკავკასიის ხალხების ყოფა-ცხოვრება თავისებურია, რუსებისას არ ჰგავს. ამიტომ რუსეთი ვერ დაიმსახურებს ამიერკავკასიის ნდობას და ერთგულებას, თუ ცენტრიდან მოახვევენ კისერზე რუსულ წესებს და არ განავითარებენ ადგილობრივ თვითმმართველობას.“

მ. ქოვალევსკი დაწვრილებით აღწერდა, თუ როგორი ავტონომია უნდა მიეღო ამიერკავკასიას, რაც კი არ დაარღვევდა რუსეთის მთლიანობას, არამედ განამტკიცებდა „უნაყოფოდ არ ჩაივლის რუსეთისათვის ფედერაციული სახელმწიფოების გამოცდილება. მან უნდა გაუფანგოს ეჭვები იმათ, ვინც იმპერიის მთლიანობის დაცვისათვის ეროვნებასა და ადგილობრივ თვითმმართველობას სდევნის. იმპერიის მთლიანობა სრულიად არ მოითხოვს, რომ სახელმწიფომ პიროვნება ჩაყლაპოს და ველიკოროსებმა ყველა ის ხალხები, რომლების ისტორიული ბედი ველიკორუსიასთან არის დაკავშირებული.“<sup>16</sup>

ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ეროვნულ-დემოკრატი ვასილ წერეთელი და სოციალ-დემოკრატი (ბოლშევიკი) ალექსანდრე წულუკიძე. ავტონომიას წულუკიძე მიუღებლად თვლიდა: რუსეთში ბურჟუაზია უფრო გაძლიერდება და ჩვენში დიდ ბაჟებს შემოიტანსო, რაზედაც ვასილ წერეთელი პასუხობდა: მარტო ეგ თუა მიზეზი, მაშინ ჩვენი ბურჟუაზიაც საკუთარ ბაჟებს დააწესებს და ავტონომია უკეთესიც იქნებათ.<sup>17</sup>

საქართველოს ავტონომიას მხარს უჭერდა მწერალი მიხეილ ჯაგახიშვილი. მისი პუბლიკაციები ხშირად წარმოადგენდა ავტონომისტთა

ოპოზიციის სოციალისტური პარტიების წარმომადგენლებთან პოლემი-კას.

ამ საკითხზე მსჯელდობდნენ გაზეთები – „შრომა“ და „ლა-მპარი“. „შრომა“ ეროვნული მიმართულების იყო, „ლამპარი“ კი პრორუ-სული ორიენტაციის,

„შრომაში“ გამოქვეყნებულ წერილში მწერალი ქართველ სო-ციალ-დემოკრატიულ დეპუტატებს საყვედურობდა სახელმწიფო სათათბი-როში ავტონომიის საკითხის დაუყენებლობას, ეროვნული ინტერესები-სადმი გულგრილობას. თავის მოსაზრებას ასაბუთებდა ერთ-ერთი სო-ციალ-დემოკრატის მიერ პირად საუბარში გაკეთებული განცხადებით: „თუ სათათბიროში ვინმემ ჩვენთვის ავტონომია მოითხოვა, მე წამო-ვდგები და გამოვაცხადებ: იმ 300 000-მა კაცმა, რომელმაც მე გამო-მგზავნა აქ, დამავალა ცხმამაღლა განვაცხადო, რომ მათ ავტონომია არ სურთ“.

„ლამპარსა“ და „შრომას“ შორის გამართულ პოლემიკაში ჩანდა, რომ მიხეილ ჯავახიშვილი მხარს უჭერდა ავტონომიის იდეას, მას რა-მდენჯერმე მოუხდა თავისი თვალსაზრისის დასაბუთება.<sup>18</sup>

სოციალისტურ ფედერალისტური „შრომა“ თავგამოდებით იცავდა ეროვნულ ავტონომიასა და მსოფლიო ფედერაციას. მისი აზრით, უნდა მოსპობილიყო სახელმწიფოთა იმდროინდელი საზღვრები, რადგანაც ისინი „არ ეთანხმებოდნენ ეთნოგრაფიულ და ეროვნულდ საზღვრებს“<sup>19</sup>

ავტონომიის მოთხოვნაში იგი იმოწმებდა რუსული დემოკრატიული პრესის ისეთ ორგანოს, როგორიც იყო პეტერბურგში გამომავალი გაზეთი „სტრანა“. ეს რუსული გაზეთი აკრიტიკებდა ქართულ სო-ციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც, მისი აზრით, გაურბოდა ერო-ვნულ საკითხს და ინტერნაციონალურ იდეებს ემსახურებოდა, საჭირო იყო ქართული ეროვნული პარტიის დაწინაურება, რომელიც ხალხის ინტერესებს გამოხატავს და ხალხიც მას დაუჭერს მხარსო. „შრომა“

რუსული გაზეთის ამ აზრს ეთანხმებოდა და გამოთქვამდა იმედს, რომ ასეთ პარტიად იქცეოდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, რომელსაც სულ ორი წლის ისტორია ჰქონდა, ჯერ ხალხის სრული მხარდაჭერით ვერ სარგებლობდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს საზოგადოება მიხვდებოდა მის ეროვნულ მიზანდასახულებას და მხარს დაუჭერდა. „შრომა“ თვლიდა, რომ სოციალ-დემოკრატებმა 1903 წლიდან დაკარგეს ეროვნული სახე, როცა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში აითქვიფნენ. გაზეთი იხილავდა 1903 წლის ყრილობაზე წარსალგენი პროგრამის პროექტის II მუხლს, სადაც ეწერა: „დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც დაფუძნებული იქნება ფედერაციული პრინციპის თანახმად (სახელმწიფოს სხვადასხვა ერის შეთანხმებული მოქმედების საფუძვლებზე), რუსეთის დაყოფა ოლქებად ეკონომიკურ და ტერიტორიული პირობების მიხედვით“.<sup>20</sup>

ეს შეხედულება ნაციონალურ მოთხოვნებთან სიახლოვესა და სოციალ-დემოკრატთა ჯერ კიდევ ქართულ ნიადაგზე დგომას ნიშნავდა. „შრომის“ რედაქცია მათ გადახრას კოსმოპოლიტიზმისაკენ აბრალებდა რუს კოლეგებს. გაზეთი ამის შესახებ წერდა: „მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატებმა ვერ შეიგუეს და ვერ შეიგნეს დამონავებულ ერთა ნაციონალიზმის ბუნებრივობა და აუცილებლობა, მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა არ მოისურვეს პარტიული დისციპლინის დარღვევა, მხოლოდ ამის წყალბით მან უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ფარდა წააფარეს ეროვნულ საკითხს და თითქოს ეროვნულ თვითმმართველობის პრინციპიალურ მოწინააღმდეგებად გამოვიდნენ შესაძლოა ქართველი სოციალ-დემოკრატების მეთაურებმა პარტიული დისციპლინის დასაცავად კიდევ დიდხანს განაგრძონ თავისი ანტინაციონალური პოლიტიკა, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა მოველოდეთ, რომ ისინი მალე სრულიად

დაკარგავენ გავლენას მშრომელ ხალხებზე და მათ ადგილს სხვა პარტიები დაიჭერენ“.<sup>21</sup>

ამ ადგილის დამჭერად, როგორც ვთქვით, „შრომა“ სოციალ-ფულერალისტურ პარტიას მიიჩნევდა. რადგან ხალხს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა სურდა, ავტონომიური თვითმმართველობისაკენ მიისწრაფვოდა დიდი რუსეთის იმპერიაში და ამას კიდევ სოციალ-დემოკრატები უარყოფდნენ, სოციალისტ-ფედერალისტები კი მხარს უჭერდნენ, – ასეთი გათვლა „შრომისა“ რეალობასთან ახლოს იყო, ქართველი ხალხი წინამდლოლებს თავისი ინტერესების გათვალისწინებით თავადვე აირჩივდა.

„შრომა“ აკრიტიკებდა ცალკეულ მოსაზრებებს ავტონომიის შესახებ. ის მხარს არ უჭერდა ეროვნულ ავტონომიას, იმ მოსაზრებით, რომ ტერიტორიალურ ავტონომიაში ერთი ერის ჰეგემონია განხორციელდებოდა და მოხდებოდა პატარა ერების დაჩაგვრა, ეროვნული ავტონომიების შემოღება სწორი არ იყო. „ვერ დავეთანხმებითა ავტორს,“ – წერდა გაზეთი თავის მოწინავე წერილში, – რომ ეს მოსაზრება სრულიად სამართლიანი იყოს, ჯერ ერთი, ისიც არ არის მართალი, ვითომ დღეს თითქმის ადარ მოიპოვება ტერიტორია, სადაც ერთი ერი იყო დასახლებული, შორს რომ არ წავიდეთ, ავიდოთ თუნდაც ჩვენი ქვეყანა – საქართველო, ერთმანეთზე გადაბმული მაზრები: გორის, შორაპნის, ქუთაისის, სენაკის, ზუგიდის, ოზურგეთის, რაჭა-ლეჩხეუმ-სვანეთი – იდეალურად მთლიანი ტერიტორია არის, რომელიც მჭიდროდ არის დასახლებული ერთი მოდგმის ხალხით. აღმოსალეთი ნაწილი საქართველოსა, მართალია, არ წარმოადგენს ამგვარსავე იდეალურს ტერიტორიას, მაგრამ აქაც დიდი უმრავლესობა ქართველს ერს შეადგენს. მთელ ამ მოზრდილ ტერიტორიაზე სახლობს ერთი ერი, რომელსაც თავისი განსაკუთრებული ენა აქვს, თავისი კულტურა, თავისი ზნე-ჩვეულება, ტრადიციები, მისწრაფება-საჭიროებანი და სხვ. ამ შემთხვევაში

ჩვენს თვალშინ არის ის ბედნიერი კომბინაცია, როცა ტერიტორია და ერი ერთი და იგივეა (სოვპადენიე) და აქ აღარ არსებობს საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ავტონომიაა უფრო სამართლიანი – ეროვნული თუ ტერიტორიალური. ამგვარ შემთხვევაში უფრო კანონიერი და სამართლიანია აღიარება ტერიტორიულ- ეროვნული ავტონომიისა, მთელი ერი უზრნველყოფს თავის დაცვასა და განვითარებას, უსამართლობა იქნება, თუ ასეთ ქვეყანას დავაქუცმაცებო მხოლოდ იმიტომ, რომ აქა-იქ იმის ტერიტორიაზე გაფანტულია რამდენიმე ჯგუფი სხვა ერის წარმომადგენლებისა. არის ისეთი კულტურულ-ეკონომიკური მოთხოვნილბანი, რომელთა დაკმაყოფილება უთუოდ მოითხოვს ჩვენის ხალხისათვის მთლიან და განსაზღვრულ ტერიტორიაზე ერთის ავტონომიის განხორციელებას“.<sup>22</sup>

„შრომა“ გამორიცხავდა საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენას, ისეთი ტერიტორიების მოთხოვნას, როგორიც იყო, მაგალითად, ზაქათალა, რომელიც „უკვე სხვა მოდგმის ხალხით“ იყო დასახლებული, მაგრამ მტკიცედ იცავდა თვალსაზრისს, რომ ის ტერიტორია, რომელიც რეალურად წარმოადგენდა ქართველი ხალხის საცხოვრებელ ადგილს, საქართველოს ავტონომიაში უნდა შესულიყო, თუნდაც მის შიგნით, რამდენიმე რაიონში, კომპაქტურად ყოფილიყვნენ დასახლებულნი სომხები ან სხვა ერის ხალხი.

გაზეთის აზრით, ერთი ერის გაბატონება ვერ მოხდებოდა, რადგან ამას გამორიცხავდნენ სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტები.

სოციალისტ-ფედერალისტური „შრომის“ ამგვარი თვალსაზრისი პროგრესული იყო ამ დროისათვის, თუმცა ბოლომდე მისადები იგი ქართველი ხალხის მოწინავე მოაზროვნებისათვის არ ყოფილა. ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკოსები ამგვარ ავტონომიაში ხედავდნენ ქართველი ერის ინტერესებისადმი წინააღმდეგობას,

მათ ზაქათალა თუ სამაჟმადიანო საქართველოს ტერიტორიები მომავალი ქართული სახელმწიფოს ნაწილად მიაჩნდათ.

რუსეთის I რევოლუციის დროს გააქტიურებული ეს საკითხი რევოლუციის შემდეგ თითქოს მიივიწყეს, ქართული პრესა მაინც არ ივიწყებდა ამ საკითხს, რუსეთის ავტონომია-ფედერაციული პრინციპებით მოწყობას და საიმპერიო ეროვნულ პოლიტიკას, კოლონიზაციის მიმდინარე პროცესებს ერთმანეთთან აკავშირებდა და აანალიზებდა, რათა სათანადო დასკვნები გამოეტანა.

„დროების“ პუბლიცისტი „ალაროდიელი“ იკვლევდა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის, მასში შემავალი ხალხების ერთობის კრიტერიუმს. მისი აზრით, უპირველესად, ხალხებს შორის სოციალური თანასწორობის მიღწევა იყო საჭირო. „რასაკვირველია, კავკასია ერთია რუსეთის ადმინისტრაციის თვალთახედვით, წინათ იგი სანამესტნიკო იყო, შემდეგ სამმთავარმართებლო, ეხლა ისევ სანამესტნიკოა, – წერდა „დროება“; იგი ექვემდებარება რუსეთის იმპერიის საერთო კანონებს. იგი დაყოფილია გუბერნიებად, როგორც სხვა მიწა-წყალი რუსეთის იმპერიისა. ევროპიდან რომ გამოხედოს კაცმა ამ თვალთახედვით კავკასიას, იგი მისთვის რუსეთის ორგანული ნაწილი იქნება, ისეთივე „რუსეთი“, როგორიც მოსკოვის გუბერნიაა. ეს პირდაპირ შეესაბამება რუსეთის სახელმწიფოებრივ თვალთახედვას, მის იდეალსა და მიზანს“.

გაზეთი აანალიზებდა რუსეთის დამპყრობლურ მიზნებს ამ რეგიონში, მისი სახელმწიფო პოლიტიკის არსეს და წერდა: „როდესაც საქართველოში მეფობა მოსკეს, ამ მიზნისა და იდეალის სახელით პირდაპირ ბრძანება იყო ჩვენში მოსულ ახალ გამგეთადმი – საჭიროდ ვცნოთ საქართველო რუსეთის გუბერნიად გადავაქციოთო. და ამ გადაწყვეტილების შესაფერისად მოქმედებას ავალებდნენ. როდესაც მთელი კავკასია დაიპყრეს და მთელი ერთი ერი – ჩერქეზობა მთლად ერთიანად გაწყდა და ოსმალეთში გადაასახლა, მათ ადგილებში რუსები ჩა-

ასახდეს. აგრეთვე საქართველოში და კავკასიის სხვა ნაწილებში მთავრობა ცდილობს რუსების დასახლებას, რადგან იდეალი მისი კავკასიასა და რუსეთს შორის მარტო ადმინისტრაციული ერთობა კი არ არის, არამედ ნამდვილი, რეალური, რომლის დამატებაც, შედეგიცა და თვით უმთავრესი საშუალებაც იქნება ადმინისტრაციული ერთობა. როდესაც განხორციელდება ეს ერთობა, როდესაც კავკასიაში 99% რუსი იქნება, მაშინ სახელი კავკასიისა დარჩება, მაგრამ იგი რუსეთის ნამდვილი და პომოგენური ნაწილი იქნება“. შემდეგ ავტორი აღწერდა კავკასიის 14 გუბერნიას, მათ დემოგრაფიულ და ეთნიკურ სახეს, რუსეთის მიერ გატარებულ პოლიტიკას თითოეულ მათგანში, რაც საფრთხეს უქმნიდა ამ ტერიტორიების ავტონომიურ მოწყობას რუსეთის ფედერაციაში, რადგან ბევრი მათგანი უკვე კომპაქტურად აღარ იყო ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფებით დასახლებული, მომხდარი იყო მოსახლეობის აღრევა, რაც გააძნელებდა მათი გამიჯვნის პროცესს. მონაცემებით, რომელსაც გაზეთი მკითხველს სთავაზობდა, საქართველოში ასეთი მდგომარეობა იყო: თბილისის გუბერნიაში ზაქათალის ოლქიანად 1051032 მცხოვრებზე 50,9% ქართველი იყო. 19.80% სომები, დანარჩენი სხვები, რუსი კი – 8,16%. ქუთაისის გუბერნიაში სოხუმის ოლქიანად და ბათუმთან ერთად 1058241 მცხოვრებზე 85% ქართველი იყო, დანარჩენი სხვები, რუსი კი მხოლოდ – 2,22%.

აქედან ცხადი იყო, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში 80,90% მოსახლეობისა რუსი იყო, საქართველოში კი, ძირითადად, ქართველობა, რასაც უნდა გაეადვილებინა მისი ტერიტორიული მოწყობა რუსეთის მომავალ ფედერაციულ სახელმწიფოში. თუმცა ავტორი იწუნებდა ფედერაციული მოწყობის შვეიცარულ, კანადურ, ავსტრალიურ, ავსტროუნგრულ მოდელებს და საქართველოსთვის მიუღებლად მიაჩნდა კავკასიურ ფედერაციაში საქართველოს შესვლა.<sup>23</sup>

პუბლიცისტი ალაროდიელი საინტერესო სქემას იძლეოდა კა-  
ვკასიის ხალხთა ფედერაციისას – იგი წერდა, რომ თავდაპირველად,  
ასეთი კავშირის შეკვრამდე, ყველა ერს უნდა მოეხდინა თვითგამო-  
რკვევა, დაედგინა ტერიტორიული საზღვრები და შემდეგ გაერთიანებუ-  
ლიყო ერთიან კავკასიურ სახელმწიფოში. უნდა მომხდარიყო ერთიანი  
ტერიტორიული ერთობის შექმნა სახელწოდებით – „საქართველო“, სა-  
დაც ადარ იქნებოდა გუბერნიები და არცერთი მაზრა არ ჩამოეჭრე-  
ბოდა, თუნდაც იმ საბაბით, რომ იქ ქართველები ცოტანი იქნებოდნენ,  
ანდა სულაც არ იქნებოდნენ. „მაზრების ჩამოჭრა ვერავითარ საერთო  
კავკასიურ კრებაზე ვერ გადაწყდება, – იგი წინდაწინვე უნდა იქნეს გა-  
დაწყვეტილი თვით საქართველოს მიერ, რადგანაც ეს მაზრები ჩვენს  
ტერიტორიაზე არიან, იქ მცხოვრებთ, უცხო ელემენტთ კი უფლება  
აქვთ ან დარჩნენ საქართველოს მოქალაქეებად ყველა უფლებით მოსი-  
ლნი, ანდა წავიდნენ. ხოლო თვით რომ მოსჭრან ჩვენს ქვეყანას ეს მა-  
ზრები და სხვებს შუერთონ, ამის უფლებას საქართველო ვერავის მი-  
სცემს, დააკანონეთ ასეთი უფლება ტერიტორიების ჩამოჭრისა, სადაც  
კი ვინმე ჩასახლებია რომელიმე ერსა და წესიერებისა და კავშირის  
გარეშე ერთა შორის ქაოსი და ჟღერი გამეფდება.“<sup>24</sup>

პუბლიკაციის მიხედვით, საქართველოს ეკუთვნოდა ეროვნული  
სახელმწიფო, რადგან აქ, მირითადად უმეტესობა ქართველი ეროვნების  
მოსახლეობა ცხოვრობდა. იგი საჭიროდ თვლიდა მის გაერთიანებას  
არა კავკასიის ფედერაციაში, რადგან აქ ბევრი პროთურქული და პრო-  
ირანული ორიენტაციის ხალხი ცხოვრობდა, არამედ პირდაპირ რუსე-  
თის ფედერაციაში.

ავტონომიის იდეას აყენებდა მიხაკო წერეთელი, ცნობილი ქა-  
რთველი ანარქისტი გაზეთ „ერში“ გამოქვეყნებულ ვრცელ პუბლიკაცი-  
აში – „ერის უფლება“, სადაც პუბლიცისტი მთავარ საკითხად სა-

ერთაშორისო თრგანიზაციების მიერ ერების უფლებათა დაცვას აყენებდა და არა ქვეყნების უფლებებისას.<sup>25</sup>

ასევე საინტერესო იყო გიორგი ჟორდანიას ბროშურა „აქვს თუ არა საქართველოს კანონიერი უფლება მოითხოვოს ავტონომია. ეს ნაშრომი „გრაკხის“ ფესევდონიმით დაიბეჭდა ქუთაისში 1907 წელს, მაგრამ გავრცელება ვერ მომხდარა ცენზურის გამო, ნაშრომზე რეცენზია გამოაქვეყნა ცნობილმა ისტორიკოსმა გივი ჟორდანიამ.<sup>26</sup>

გიორგი ჟორდანიას ეს ნაშრომი 1917 წელს დაიბეჭდა. მასში ნათქვამი იყო, რომ საქართველოს სრული უფლება პქონდა ავტონომიის მოთხოვნისა, რადგან 1783 წლის ტრაქტატი დაარღვია რუსეთმა, ეს კი ისტორიულ-იურიდიული საბუთი იყო, რაც ქვეყანას გამოადგებოდა სუვერენიტეტის აღსადგენად. რუსეთმა სრულიად უკანონოდ წაართვა ქართველებს თავისუფლება, – აღნიშნავდა გიორგი ჟორდანია, და თუ ახლა ჩვენ მოვითხოვთ სახელმწიფო მოწყალებას როდი თხოულობს, ის მარტო იმას ითხოვს, რაც მას კანონით ერგება, რაც გამომდინარეობს საერთაშორისო უფლების ელემენტარულ წესრიგიდან და რის უარყოფა რუსეთს არასგზით არ შეუძლიან“.

ისიც, როგორც სხვა ქართველი მოდვაწეები, ითხოვდა არა მონარქიის აღდგენას, არამედ საპარლამენტო ქვეყნის (რესპუბლიკის) შექმნას.<sup>26</sup>

ამიერკავკასიის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის საკითხი დაისვა არა მარტო ავტონომიის იდეის განხილვის პერიოდებში, არამედ მაშინ, როდესაც საერობო რეფორმის გატარების იდეა წამოიჭრა კავკასიაში, რუსეთის საიმპერიო ხელისუფლება მხარს უჭერდა სომებთა პრეტენზიებს, რომლებიც ითხოვდნენ ეთნიკური ნიშნით გადამიჯვნას და საერობო რეფორმის გატარებას, ეს იგივე იყო, რაც სოციალ-დემოკრატთა „რეალური მოსახლეობის პრინციპი“, რაც დიდ ზი-

ანს მოუტანდა საქართველოს, დააკარგვინებდა მას ისტორიულად კუთვნილ ტერიტორიას.

ტერიტორულ პრეტენზიებს ძირითადად სომხური დაშნაკცუტიუნის პარტია აყენებდა, რომელიც 1894 წელს თბილისში ჩამოყალიბდა. ეს პარტია თავდაპირველად ევროპის ქვეყნებზე იღებდა ორიენტაციას და რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული მისი პოლიტიკა. დასახელებული პარტია ეწეოდა ტერორისტულ საქმიანობასაც, რასაც მოჰყვა ეთნოკონფლიქტების გახშირება ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით სომებ-თათართა შეტაკებანი. ეს იყო შეიარაღებული დაპირისპირება ბაქოში, შუშაში და თბილისში.

1905 წელს მეფისნაცვლის თანამდებობაზე ვორონცოვ-დაშკოვის დანიშვნის შემდეგ, მასთან მივიღნენ სომხური რაიონების წარმომადგენლები, სულ 24 რაიონის დეპუტაცია. მათ რუსული მმართველობის წარმომადგენელს კავკასიაში აჩვენეს სომებთა, კავკასიაში რუსთა ყველაზე ერთგული ხალხის, დაჩაგრული მდგომარეობა, მათი დევნა და ა.შ. მეფისნაცვალი სომხებს დახმარებას დაპირდა, აღუთქვა მათ, რომ აღკვეთდა ტერორიზმს, რაც პატიოსან სომხის ერს სახელს უტეხდა. ამის შემდეგ თვით დაშნაკცუტიუნის პარტიამ შეცვალა თავისი ტაქტიკა: შეასუსტა ტერორი, ევროპის ნაცვლად რუსეთზე აიღო პოლიტიკური კურსი, მასზე გადაიტანა მთელი იმედები.<sup>27</sup>

ვორონცოვი მზრუნველობას არ აკლებდა თურქეთიდან გადმოსახლებულ თუ იქაურ სომხებს. ამით იგი ანხორციელებდა რუსეთის ანტითურქულ პოლიტიკას, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე გაბატონებაში ხელისშემშლელად თურქეთს ასახელებდა.

სომხებმა სცადეს გამოეყენებინათ კავკასიის მეფისნაცვლის კათილგანწყობა და თბილისის გუბერნიიდან ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრების გამოყოფა ითხოვეს. მეფის ნაცვლად კანცელარიაში შედგა სამხრეთ კავკასიის ახალი ტერიტორიული გადამიჯვნის პრო-

ექტი, რომლის თანახმად ყარსის ოლქს უნდა შეერთებოდა ახალციხის მაზრის სამხრეთი ნაწილი, ერევნის გუბერნიის ახალქალაქის მაზრა და ბორჩალოს მაზრის ნაწილი, ელიზავეტპოლის გუბერნიის შემადგენლობაში უნდა შესულიყო ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთი ნაწილი, სართიჭალის რაიონისა და სიღნალის მაზრის სამხრეთი.

ვორონცოვ-დაშკოვის ცირკულარის თანახმად შეიქმნა თბილისის გუბერნიის, ახალქალაქისა და ბორჩალოს სამაზრო კომისიები, რომელთაც საქმის დეტალური შესწავლა დაევალათ.

ახალქალაქის სამაზრო კომისიამ, მიუხედავად იმისა, რომ 14 წევრიდან მასში 8 რუსი იყო, 4 ქართველი და მხოლოდ 2 სომეხი, მიიღო სწორი გადაწყვეტილება და ერევნის გუბერნიასთან ამ რეგიონის შეერთება მიუღებლად ჩათვალა. კომისიის დასკვნაში ნათქვამი იყო, რომ მაზრის მოსახლეობა ძირითადად თბილისთან იყო დაკავშირებული.<sup>28</sup>

მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო ბორჩალოს სამაზრო კომისიამაც.

სამაზრო კომისიების გადაწყვეტილებებს მიემსრო 1914 წლის 24 იანვარს ჩატარებული თბილისის გუბერნიის განსაკუთრებული საბჭოც, რომელმაც მხოლოდ ზაქათალას ოლქის მცირე ნაწილის შეერთება ცნო საჭიროდ თბილისის გუბერნიასთან, დანარჩენი კი უცვლელად დატოვა.<sup>29</sup>

ეს გადაწყვეტილება იმანაც გამოიწვია (გარდა ისტორიული სამართლიანობისა), რომ მთელი რიგი სასიცოცხლო არტერიები, სამიმოსვლო კომუნიკაციების მშენებლობა არსებულ ადმინისტრაციულ დაყოფასთან იყო დაკავშირებული, ახალი გადამიჯვნა კი სერიოზულ დისკომფორტს შექმნიდა. არც რუსეთს აწყობდა ეს და არც ის უნდოდა, რომ დაძაბავდა ისედაც დაძაბულ მდგომარეობას სამხრეთ კავკასიაში, გაართულებდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობას. ამას აღნიშნავდა დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილიც ნაშრომში – „დე-

მოგრაფიული პროცესები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი რუსეთ-საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში (XIX–XX ს.ს.).<sup>30</sup>

საერობო რეფორმის საკითხი, ამასთან, კავკასიის გადამიჯვნისა და ავტონომიური საქართველოს შესაძლო ტერიტორიული საზღვრების პრობლემა მთელი ათეული წლების მანძილზე იყო საკამათო, როგორც ქართულ პარტიებს შორის, ასევე ქართველთა და სომხეთა შორისაც, რასაც ზურგს უკან რუსეთის იმპერიული წრეები ედგნენ. ისინი სარგებლობდნენ კავკასიელ ერთა ინტერესების შეჯახებით და რეალურად არაფერს აკეთებდნენ, კიდევ უფრო აღრმავებდნენ მათ შორის კონფლიქტს.

I მსოფლიო ომის დროს რუსეთი ცდილობდა კვლავ ჩარეულიყო საქართველოს დემოგრაფიულ პროცესებში, აყრილი აჭარლების ნაცვლად აჭარის სოფლებში სხვა ეთნოსი ჩაესახლებინათ, რასაც ხელი შეუშალა ქართულმა ეროვნულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ, რომელმაც შეძლო თანხის შეგროვება და იქ კვლავ აჭარლები დააბრუნა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიამ მართლაც მოიპოვა ავტონომიური ფედერაცია. მასში ეთნოგრაფიული მხარე: საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი გაერთიანდა. ამიერკავკასიის ფედერაციულ სახელმწიფოს ქართველი სოციალ-დემოკრატები, სომები დაშნაკცუტუნები და აზერბაიჯანელი მუსავატის პარტიები მართავდნენ. ცენტრი ფედერაციისა ქ. თბილისი იყო. მის მთავრობაშიც ძირითადად ქართველები ჭარბობდნენ.

მმართველი მენშევიკი სოციალ-დემოკრატები იმედოვნებდნენ, რომ რუსეთში გაძლიერდებოდა დემოკრატიული ხელისუფლება და ამიერკავკასიის ფედერაციას მიიღებდა მის შემადგენლობაში. სოციალ-დემოკრატი ივანე გომართელი გაზეთში – „ჩვენი მეგობარი“ იმედოვნებდა, რომ საქართველო ავტონომიის სახით შევიდოდა ამიერკავკასიის სხვა

ქვეყნებთან ერთად რუსეთის ფედერაციულ სახელმწიფოში. მისი აზრით, საამისოდ ქართველი ხალხი სპეციალურად უნდა მომზადებულიყო. „პირველ დიდ საქმედ“ მას ხალხის განათლება მიაჩნდა. ქართველები მაღალპროფესიონალურად უნდა დაუფლებოდნენ მევენახეობას, მედვინეობას, მეაბრეშუმეობის დარგებს, ყოველგვარი ცოდნა უნდა აფთვისებინათ უმაღლეს დონეზე. მეორე მიმართულებად გომართელი ჯანმრთელობაზე ზრუნვას თვლიდა, მესამედ – გზების, მათ შორის რკინიგზების ფართო ქსელის შექმნას, მეოთხე – მედვინეობის განვითარებას და მის აყვანას მსოფლიო სტანდარიტების დონეზე, მეხუთე – მუშა ხალხის დაზღვევას, მეექვსედ – სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე ზრუნვას: თავშესაფრების დაარსებას, მშივრების გამოკვებას, ვეტერინარული დარგის განვითარებას, მინერალური წყლების მოვლას, ტყეების დაცვას და სხვ. გომართელი წერდა: „ჩვენ რომ ავტონომია მივიღოთ, სად წავლენ ჩვენებური რუსები, სომხები და სხვები? არსად, ჩვენთანვე დარჩებიან, თავის საქმეს განაგრძობენ და ვიცხოვრებო ძმურად და მეგობრულად. ისინიც ისეთივე თავისუფალი მოქალაქეები იქნებიან საქართველოსი, როგორიც ჩვენ“.<sup>31</sup>

პუბლიცისტი ეხებოდა საქართველო-რუსეთის დამოკიდებულებასაც და წერდა, რომ უმაღლესი ხელისუფლება ქართველებისათვის იქნებოდა ავტონომიური მთავრობა. „რუსეთის მთავრობა დაგვიფარავს ჩვენ, – წერდა იგი, – გარეშე მტრების შემოსევებისაგან. ასე რომ, ჩვენს აკლება-აწიოკებას ვერავინ გაბედავს. რუსეთის მთავრობა იქნება ჩვენი თვალ-ყურის მდევნელი და ჩვენს შინაურ საქმეებში ჩაერევა ყოველთვის, თუ რომ ჩვენმა ადგილობრივმა მთავრობამ კანონები დაარღვია“.

მისი აზრით, სასამართლო უნდა გაქართულებულიყო, ხალხი უნდა დაუცვა პოლიციას და კანონს, წოდებები გაუქმდებოდა და კანონის წინაშე ყველა თანასწორი იქნებოდა.

როდესაც ამიერკავკასიის სახელმწიფო დაიშალა და კავკასიის დამოუკიდებელი ქვეყნები ჩამოყალიბდნენ, რუსეთი ამას ვერ შეეგუა. ცხადი იყო, დემოკრატიული რუსეთიც ყოფილ კოლონიებს მისი სახელმწიფოს შემაგენლობაში მოიაზრებდა, ასევე აზროვნებდნენ რუსი მონარქისტები თუ ბოლშევიკები, მათ დაიწყეს ბრძოლა საქროველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებელი ქვეყნების ხელისუფლების დასამხობად და მიაღწიეს კიდევ ამას.

### §3. საქართველოს კოლონიზაციის საკითხი XX საუკუნის დასაწყისში და ქართული საზოგადოებრივი აზრი

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიაში წარმოიქმნა ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი, რაც კიდევ უფრო გაამწვავა ჯერ 1905-1907 წლების რევოლუციამ, შემდეგ კი მსოფლიო ომმა. იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ერები ცდილობდნენ ესარგებლათ ამ კრიზისით და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებით თავი დაეხსნათ კოლონიური რეჟიმისაგან, აღედგინათ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა. ასეთ მოძრაობაში ჩაბმული იყო: პოლონეთი, ფინეთი, ბალტიისპირეთი, სამხრეთ კავკასია.

დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენას ქართული ეროვნული ძალები რუსეთის ფედერაციაში ავტონომიის მოპოვებით ცდილობდნენ. პირველი რევოლუციის ძლიერი მასშტაბით შეშინებულმა ხელისუფლებამ ამ მოთხოვნაზე პროტესტი არ გამოხატა, პირიქით, მას დაუჭირა კიდეც მხარი. 600 კაცისაგან შემდგარ რუსეთის სახელმწიფო საბჭოში შეიქმნა 200-კაციანი ე.წ. „ავტონომისტთა“ ფრაქცია, სადაც იმპერიის გამორჩეული დემოკრატიული ნაწილი გაერთიანდა. ესენი იყვნენ ცნობილი რუსი და არარუსი მეცნიერები, მწერლები, შემოქმედებითი ინტელიგენცია, რომლებიც მხარს უჭერდნენ რუსეთის მოწყობას ფედერაციულ სახელმწიფოდ და ამ ფედერაციაში სუვერენულ ერთეულებად სხვადასხვა კუთხის, მათ შორის პოლონეთის, ფინეთის, ბალტიისპირეთის და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შესვლას. საქართველოს ინტერესებს საბჭოში ილია ჭავჭავაძე იცავდა. მისმა სიტყვამ და პეტერბურგის გაზეთებისადმი მიცემულმა ინტერვიუ დიდი გამოხმაურება პპოვა ქვეყნაში. ხელისუფლების ლოიალობა და სათათბირო ორგანოში ამ საკითხის წინ წამოწევა რომ ხელისუფლების მხრიდან ახალი ფარსი იყო, ამას მოწმობდა თუნდაც ერთი ფაქტი:

რა გამალებით, იმავდროულად რა დიდი მიზანსწრაფვით ანხორციელებდა რუსეთის მთავრობა კოლონიზაციის საკითხს იმ ქვეყნებში, რომელთაც ავტონომიას პპირდებოდა, ეს კი სხვა არა იყო რა, თუ არა დემოგრაფიული, პოლიტიკური დივერსია აღნიშნული ქვეყნების მიმართ, რასაც სავალალო შედეგები მოხდევდა მცირე ერთა მომავლისათვის.

რუსეთის მიერ ჩაფიქრებული პროექტით – კოლონიზაციას საქართველოში უნდა მოჰყოლოდა შავი ზღვისპირეთის, ცენტრალური (შიდა) და ქვემო ქართლის, ასევე კახეთის აჭრელება უცხო ეთნოსით, რაც, ბუნებრივად შეუშლიდა ხელს შემდგომში მტკიცე ეროვნული სახელმწიფო ერთეულის ჩამოყალიბებას ამ ტერიტორიაზე.

რუსეთის საკოლონიზაციო პოლიტიკა XIX საუკუნეშიც მიმდინარეობდა, მაგრამ მაინც განსაკუთრებული მასშტაბი ამ პროცესმა პირველი რევოლუციის შემდეგ შეიძინა.

რუსული კოლონიზაციის მასშტაბმა შეშფოთება გამოიწვია ქართულ საზოგადოებრიობაში.

რევოლუციის დაწყებისთანავე, 1905 წლიდან დაიწყო რუსთა გადმოსახლება საქართველოში. ეს იყო შიდა რუსეთის მოსახლეობა, რომელიც, მთავრობის აზრით, უფრო დიდ ზეგავლენას მოახდენდა ადგილობრივი მოსახლეობის გარუსებაზე. 1905 წლამდეც ეს პროცესი დაწყებული იყო და შავიზღვისპირეთში, ქართლსა და კახეთში, ბორჩალოს მაზრაში გაშენდა რუსული სოფლები, სადაც სულ 121 ათასი რუსი დასახლდა. რევოლუციის შემდეგ ეს პროცესი კიდევ უფრო გააქტიურდა. გაზეთი „დროება“ წერდა: „უმაღლესმა მთავრობამ უკვე შეიმუშავა გეგმა ამიერკავკასიაში რუსის ელემენტის გასაძლიერებლად. იმისთანა ადგილებს არჩევენ, სადაც რუსების დასახლებას დიდი მნიშვნელობა ექნება მერმისისთვის. დასასახლებლად არჩეულია შავი ზღვის ნაპირები და სხვა ადგილები. პეტერბურგში უმაღლეს მთავრობას უკვე გადაუწყვეტია მომავალი სამი წლის განმავლობაში ნახევარი

მიღიონი რუსი გლეხი ჩამოასახლოს ამიერკავკასიაში. შავი ზღვის პირად და მუდანში უკვე დაამზადეს ადგილები. მეორე წელიწადია ამ ადგილებში მუშაობს მთელი ჯგუფი ინჟინრებისა, აგრონომებისა და სხვა სპეციალისტებისა, პგეგმავენ ადგილებს და გაჰყავთ სარწყავი წყალი. აზრად აქვთ მტკვრიდან დიდი წყალი გადააგდონ მუდანის სარწყავად, ასეთი მეცადინეობაა ამჟამად რუსების ჩამოსასახლებლად.<sup>1</sup>

„გარეთ კახეთი გაიყიდა“, – ამ სათაურით წერდა „დროება“ და მოვლენის დრამატულობას არ მალავდა: „გარეთ კახეთში, ივრის ხეობაზე, რუსის გლეხები ბევრს ადგილებს იძენენ, – წერდა გაზეთი. ეხლა უკვე დასრულდა აქ ადგილების გაყიდვა და თავისუფალი მიწა თითქმის აღარ მოიპოვება. ეჭვი არ არის – რუსის გლეხებს ვიღაც-ვიღაცები ეხმარებიან მამულის შეძენაში და ფულს აძლევენ. რუსებმა ხელში ჩაიგდეს ის ადგილები, რომელსაც კახეთის მომავალი რკინისგზა გადასჭრის. სულ მცირე ხნის განმავლობაში ნავთლუდის სადგურის მახლობლადაც იყიდეს რუსებმა მამული და დასახლდნენ. სადგურ კაკაბეთოან 26500 დესეტინა მიწა გაყიდა ამას წინათ სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა მარშალმა. ესეც რუსებმა შეიძინეს და მალე იქ დიდი სოფელი გაიშლება. აქედან წვრილ მემამულეთა ადგილებია. შემდეგ მდებარეობს მამული თავად ნიკოლოზ აბაშიძისა, რომელმაც ასევე რუსებზე გაასაღა ეს მამული. თავადმა ნ. აბაშიძემ არა მარტო თავისი ადგილები გაასაღა, არამედ აგენტობასაც კი ეწევა მემამულეთა და რუს გლეხთა შორის. თავად აბაშიძის ადგილების გაგრძელებაა გენერლის, თავად ივანე მაყაშვილის ადგილი – 1000 დესეტინამდე. თავადმა მაყაშვილმაც ეს ადგილი რუსებს მიჰყიდა. დარჩა კარგი ადგილი სადგურ კაჭრეთის მიდამოებში თავად ლევან ანდრონიკაშვილისა, 2000 დესეტინამდე, რადგან თავადაზნაურთა საადგილმამულო კომისიამ ყურადღება არ მიაქცია თავად ლ. ანდრონიკაშვილის მუდარას ამ ადგილის გაყიდვაში დახმარების შესახებ, ადგა და ანდრონიკაშვილმაც რუ-

სებთან დაიჭირა საქმე, დესეტინას გაურიგდა 100 მანეთად. საბუთის ქალდებზე საგლეხო ბანკში რუსის გლეხები და თავადი ანდრონიკაშვილი 10 იანვრამდე მოაწერენ ხელს“<sup>2</sup>

საქართველოში ხელისუფლების მიერ, დაარსებული იყო ე.წ. „Переселенческий пункт“—ები, სადაც მრავალი თავადი მიდიოდა და ითხოვდა მამულების გაყიდვის გაფორმებას. მიუხედავად სოციალური გასაჭირისა, თავადთა ამ საქციელს პრესა დიდი აღშფოთებით აკრიტიკებდა. „საქართველოს მოამბე“ სწორედ ამგვარად ხედავდა მოვლენას და გულმტკივნეულად აღწერდა საქართველოში დატრიალებულ უბედურებას, – ქართული მიწების გადასვლას უცხოტომელთა ხელში და ქართველი ერის უმომავლოდ დარჩენას. „როგორც შავი ყორნები მინდორში დაგდებულ ლემს, ისე დასტრიალებენ ჩვენს ტერიტორიას უცხოტომის ხალხი, „ხოდოკები“, „კომისიონერები“, „აგენტები“ (ამ უკანასკნელთა შორის ბევრი ქართველი თავადია). დაძრწიან სოფელ-სოფელ, მემამულეთა ოჯახებში და სადაც კი დაინახავენ ისეთ ველსა და მინდორს, სადაც ქართველი გლეხის ქოხი არა სდგას, ხოლო მარტო ჰენავს და თესავს და თავისი წლიური სარჩო მოჰყავს, დაადებენ ზედ ფეხს და მივლენ გაჭირვებულ მემამულესთან: მამული უნდა მოგვყიდოთ ფული ბლომად გინდაო და ჩვენებურ მემამულეს, ოლონდ კი მამულის გაყიდვა გაუხსენე, ჩოხას არცკი ჩაიცვამს, ისე გარბის „გადმოსახლებულთა პუნქტებში“ ან კიდევ ნოტარიუსთან. რაღაც ციებ-ცხლება დაემართათ როგორც მყიდველებს, ისე გამყიდველებს, ქართველ გამყიდველებს და უცხო ტომის მყიდველებს. დღე არ გავა, რომ ათასობით დესეტინა მიწა არ გაიყიდოს. დღე არ გავა, რომ ახალი და ახალი „ხოდოკები“ არ გაჩნდნენ ტფილისში, დღე არ გავა ისე, რომ გაყიდვის პირობა არ იწერებოდეს, და როგორ გგონიათ, რამდენი დღეა საჭირო, რომ ქართველი ერის „თავისუფალი“ მიწები სრულიად გაიყიდოს? მგონი, რომ ორი კვირაა საკმარისი და ასეც მოხდა კახეთში და ბო-

რჩალოს მაზრაში. მთელი ივრის ხეობა, სადაც ქართველი გლეხი ხნავდა და სთესავდა, თავის საქონელს ბალახს აძოვებდა, მთლად გადავიდა უცხო ტომის ხალხის ხელში დღეს ჩვენს სოფლებს მუდმივ ეპთეპუციას უყენებენ, მიწა-წყალს ართმევენ, სულს უხუთავენ, სიცოცხლის ნებას მხოლოდ 10-20 წლით აძლევენ და ჩვენ ვკომისიონერობთ, ვდალალობთ

ხელიდან წავიდა და მიდის ალაზნის ხეობა, ივრის ხეობა, მთელი ბორჩალოს მაზრა, გორის მაზრის საუკეთესო ნაწილები, „ტორიფონა“, დუშეთის მაზრის საუკეთესო ველ-მინდორი, შავი ზღვის ნაპირებზე სათქმელიც ადარაფერი გვაქვს. ასეთია საქმის ვითარება დღეს და ამ დროს რას შვრება დეპუტატთა საკრებულოსთან არსებული საადგილმამულო კომისია, რომლის დამაარსებლებმაც ყურები გამოგვიჭედეს, ეროვნულ საქმეს ვაკეთებთო?..“<sup>3</sup>

გაზეთს მოჰკონდა კომისიის უგულო მუშაობის ფაქტები და ითხოვდა მის საჯარო განხილვას.

„დროება“ უამრავ ფაქტს აქვეყნებდა ქართველი მემამულეების უგულობის, მათ მიერ მამულების გაყიდვისა უცხო ეროვნების ადამიანებზე და არა ნაკლები თანხის გამდებ ქართველებზე. ერთი ასეთი შემთხვევა იყო სოფელ გლდანში მცხოვრები მემამულის – აკიმოვის მიერ 500 დესეტინა მიწის გადაცემა რუსეთიდან ჩამოსულ გლეხებზე. ეს მემამულე, გაზეთის ცნობით, ყოფილა გიორგი XII-ის მეუღლის, დედოფალ მარიამის პირადი ექიმის თათულა აკიმოვის (ალიაშვილის) შთამომავალი, რომელმაც ლაზარევის მოკვლისას დაჭრილ დედოფალს ჭრილობები შეუხვია. აკიმოვებს ეს მამული მეფე გიორგისგან ჰქონიათ ნაბოძები,

ასეთი იყო მკაცრი რეალობა: საქართველოში მცხოვრები მემამულეებიც, ნებით თუ უნებლიერ, ეხმაურებოდნენ ხელისუფლებას ანტიქართული პოლიტიკის გატარებაში, არ აცნობიერებდნენ შექმნილ მდგო-

მარეობას და საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას ანიჭებდნენ უპირატესობას.<sup>4</sup>

ჩამოსახლებულთა თემას გაზეთი „დროება“ – არც მომდევნო 1910 წელს ივიწყებდა, მიაჩნდა, რომ სპეციალური ორგანზაციები ბევრს მუშაობდნენ კოლონისტების დასასახლებლად, ქართველი ხალხი კი არაფერს აკეთებდა პროცესის ჩასაშლელად, სულ მაღე ალბათ, მიწის ფასიც აიწევს და ქართველებისთვის უფრო მიუწვდომელი აღმოჩნდება ქართული მიწაო.<sup>5</sup>

„დროებას“ რუსული გაზეთის „– ზაკავკაზიეს“ ცნობაც მოჰქონდა, ეს გაზეთი თბილისში გამოდიოდა და რუსეთის იმპერიული ინტერესების გამომხატველი იყო. გაზეთის ცნობით, 1910 წლის დასაწყისში საქართველოში ჩამოსულა რუსი „ხოდოკების“ ჯგუფი. ისინი კახეთში, სოფელ იყალთოში წასულან თავად მაყაშვილის მამულის დასათვალიერებლად. „ამრიგად, შუაგულ კახეთშიც აპირებენ რუსი გლეხები ადგილების შეძენას“ –ო, – დანანებით აცხადებდა გაზეთი „დროება“.

ქართველი მამულიშვილები ცდილობდნენ ერი გამოეფხიზლებინათ, ეჩვენებინათ რუსული კოლონიალიზმიდან მომდინარე საფრთხე, ჩაეგონებინათ მისთვის საკუთარი ტერიტორიების დაცვისა და ათვისების სასიცოცხლო მნიშვნელობა.

ამ მიზანს ემსახურებოდნენ ქართული, ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთები.

შავიზღვისპირეთის კოლონიზაციას აკრიტიკებდნენ ქუთაისში გამომავალი გაზეთები: „კოლხიდა“, „იმერეთი“, „ერი“, ასევე თბილისში არსებული უურნალ-გაზეთები: „კლდე“, „საქართველო“, „სახალხო საქმე“ და სხვ.

„იმერეთი“ 1912-1915 წლებში გამოდიოდა. ამ დროს ქუთაისში ბევრი საუკეთესო ქართველი ინტელიგენტი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, არსებობდა მძლავრი კულტურულ-საგანმანათლებლო კერები,

რომელთა მიზანს ერის სულიერი ადორძინება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის ხელისშეწყობა წარმოადგენდა.

ეს ის დრო იყო, როდესაც საკუთარ ქვეყანაში შევიწროვებული და დაბეჩავებული ქართველობა გარბოდა სამშობლოდან, მთავრობა კი არაფერს აკეთებდა ამ პროცესის შესაჩერებლად, რადგან ემიგრირება ძირითადად რუსეთში ხდებოდა, სადაც ქართველები მალე ითქვიფებოდნენ ადგილობრივ რუსულ მოსახლეობაში, კარგავდნენ ენას, ზნე-ჩვეულებებს, ეროვნულ სახეს. ამიტომ გახდა გაზეთ „იმერეთისთვის“ ეს თემა მთავარი. მწვავედ, კრიტიკულად განიხილავდა იგი შექმნილ ვითარებას და პირუთვნელად გამოთქვამდა თავის პოზიციას. როდესაც ვსაუბრობთ რუსეთის ხელისუფლების იმპერიულობასა და ნაციონალისტურ-შოვინისტურ ხასიათზე არც მეორე უნდა დავივიწყოთ: მიუხედავად ცენზურის არსებობისა, თემების აკრძალვისა, პრესა მაინც იყო დემოკრატიული, რადგან ადამიანებს შეეძლოთ თავიანთი ანტისამთავრობო შეხედულებები გამოეთქვათ მის ფურცლებზე, პრესის დემოკრატიულობას XX საუკუნის 10-იან წლებში მოწმობს პრესის ფურცლებზე დასმული საკითხების სიმწვავე თუ პუბლიცისტთა მიერ სამთავრობო წრეების მკაცრი კრიტიკა, რუსეთის შოვინისტური პოლიტიკის მხილება. გამოითქმებოდა ურთიერთგამომრიცხავი აზრებიც, ყველა ავტორი საკუთარ აზრს გამოხატავდა. თუმცა მთავრობა ვერ ახერხებდა ბოლომდე დაეხუჭი თვალი გაზეთების მამხილებელ კრიტიკაზე, მათ ანტისამთავრობო პუბლიკაციებზე, რის გამოც დაიხურა „ცნობის ფურცელი“ 1906 წელს, „შრომა“ – 1907 წელს, „ისარი“, „დროება“ და სხვა. მიუხედავად ამისა გაზეთების დახურვას არ უშინდებოდნენ, ამდროინდელი ქართველი რედაქტორები და პუბლიცისტები და დახურული პრესის ნაცვლად ახალ-ახალ ჟურნალ-გაზეთებს აარსებდნენ. სათაურის შეცვლა არაფერს ნიშნავდა: შინაარსი, მძაფრი კრიტიკული პათოსი და ეროვნული ინტერესების ერთგულება იგივე რჩებოდა.

განსაკუთრებულად ეს ნიშნები ახასიათებდა საუკუნის 10-იანი წლებიდან დაარსებულ ეროვნულ-დემოკრატიულ პრესის ორგანოებს, რომელთა შორის იყო ქუთაისში დაარსებული გაზეთი „იმერეთი“.

„იმერეთს“ განსაკუთრებით აღელვებდა თერგის სოფელ ალაგირში გადასახლებულ ქართველთა ბედი.

გაზეთი გულისტკივილით წერდა, რომ საქართველოში რუსეთის ხელისუფალნი უამრავ თავისუფალ მიწას ძებნიდნენ, შიდა გუბერნიებიდან ჩამოჰყავდათ აქ რუსული მოსახლეობა და ასახლებდნენ ქართველთა წინაპრების სისხლით მორწყულ ადგილებში, ქართველებს კი რუსეთში უშვებდნენ. ამოდენა მიწის მქონე რუსეთს რა უჭირს, საქართველოში არ ეძებდეს თავისი ხალხისათვის სამოსახლოს, თუ აქ გარკვეული პოლიტიკა არაა ჩაფიქრებულიო, – კითხულობდა „იმერეთის“ პუბლიცისტი. და ეს მაშინ, როდესაც უმიწოდის გამო ბევრი ქართველი ტოვებს თავის ქვეყანას და უცხო მხარეში მიდის სამუშაოსა და დასახლებული ადგილის მოსაძებნადო, ამ უკუდმართობის წყალბით, – წერდა გაზეთი, – ოცდაათი წლის წინათ მიწის სივიწროვით შეწუხებულმა ქართველობის დიდმა ნაწილმა დასთმო საქართველო. გადავიდა თერგის ოლქში და იქ დასახლდა. ალაგირელი ქართველობა, – წერდა კორესპონდენტი, – ოსთა და რუსთა შეა გამომწყვდეული. უცხო მხარეს გადახვეწილნი, ქართულ ეროვნულ საქმეს ჩამოშორებულნი, ისინი მაინც ცდილობენ დაიცვან თავიანთი ეროვნული მეობა. ქართული ენა აქ ჯერჯერობით მშვენივრადაა შენახული, აქვთ საკუთარი ქართული სკოლა, ხშირად მართავენ ქართულ წარმოდგენებს, დიდი ყურადღებით ექცევიან ქართული სიმღერების შესწავლის საქმეს, საქმიანობენ და მხურვალედ მამულიშვილობენ. დიდი სიფრთხილე კი მართებთ, – უმატებს პუბლიცისტი, – რომ დროთა განმავლობაში არ დაკარგონ ქართველობა, შეინარჩუნონ მშობლიური ენა და არ გადაგვარდნენ.

„იმერეთთან“ ერთად, კოლონიზაციის საკითხებს ფართოდ აშუქა-  
ბდა გაზეთი „ერიც“. ეს გაზეთიც ქუთაისში გამოდიოდა 1913 წლის 1  
ნოემბრიდან 1914 წლის ბოლოდე. მასში მოთავსებულ წერილებს, რო-  
მლებიც შავიზღვისპირეთში რუსულ კოლონიზატორულ პოლიტიკას  
ასახავდნენ, ხელს აწერდა აფხაზეთში მცხოვრები ნიჭიერი პუბლიცი-  
სტი და ნამდვილი მამულიშვილი – ნიკო თავდგირიძე.

კოლონიზაციის პროცესს, ქართველების აყრას სამშობლოდან  
და საქართველოს შავიზღვისპირეთში სხვა ერთა ჩამოსახლებას – თა-  
ვდგირიძე დიდ უსამართლობად მიიჩნევდა. მისი სიტყვით, თუ რუსეთის  
შიდაგუბერნიების მცხოვრებნი სურვილს გამოთქვამდნენ საქართვე-  
ლოში ჩამოესახლებინათ, მთავრობა, რუსეთის სათათბირო მათ დიდ  
თანხებს აძლევდა, ახალ ადგილზე დამკვიდრებაში ყოველნაირად ეხმა-  
რებოდა.

პუბლიცისტი გულისტკივილს გამოთქვამდა ქართული პრესის  
უყურადღებობის გამო, საჭიროდ თვლიდა, ასეთ მოვლენაზე ეროვნული  
განგაშის ატეხვის აუცილებლობას, იხსენებდა პრესაში გახმაურებულ  
ერთ ფაქტს, – პარნათელი გლეხების ძალით აყრა-აწიოკებას დასახლე-  
ბული ადგილებიდან, რაც არ ყოფილა ერთადერთი შემთხვევა. მთავარი  
ტრაგედია, ავტორის აზრით, იყო რუსეთის იმპერიის ანტიქართული პო-  
ლიტიკა, მისი დაუნდობელი ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრი-  
ობის იდეის დასასამარებლად, მისი ტერიტორიული მთლიანობის დასა-  
რღვევად, რისთვისაც გამოყენებული იყო ქართველთა აყრა მამა-პაპური  
მიწებიდან და აქ უცხოტომელთა ჩამოსახლება.

პუბლიცისტი შემდეგ ფაქტს აცნობებდა მკითხველს: XIX საუკუ-  
ნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში 40 ათასი ქართველი მოიჯა-  
რადრეობის წესით დასახლებულა შავიზღვისპირეთში, აფხაზეთის ტე-  
რიტორიაზე, კერძო მესაკუთრეთა მიწა-ადგილებზე. 1905 წლის შემდეგ  
მათი მდგომარეობა აუტანელი შექმნილა. როდესაც მმართველ წრეებს

დაუნახავთ, რომ საცხოვრებელი ადგილები არ კმაროდა შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებული რუსებისათვის, თავისი მოხელეების წყალობით, ჩაუგონებიათ აფხაზი მემამულეებისათვის ქართველების განდევნა. მათ აღარ უნდა მიეცათ იჯარით მიწა ქართველებისათვის და მთავრობის განკარგულებითაც ნება დართეს უცხოეთიდან შემოსულებს – აქ დასახლებულიყვნენ. ესენი იყვნენ რუსები და თურქეთიდან შემოსული ბერძნები და სომხები. სულ 50 ათასი თურქეთის ქვეშევრდომი შემოსულა და ქართველების კუთვნილი მიწები მათ ჩაუგდიათ ხელში.

აი, რას წერდა ამის შესახებ გაზეთი „ერი“. „გასაოცარი მოვლენაა და ასახსნელად გაუგებარი ის, რომ რუსთა მთავრობა და მოხელენი თუ კერძო პირები ხელს უწყობენ უცხოელების დასახლება-გამაგრებას ქართველების ბუნებით კუთვნილ და წილხვდომილ ადგილებზე. მოვიყვანთ აქ ერთ აღმაშლფოთებელ მაგალითს: მოვახერხეთ, რომ ჩვენებურ გლეხებს ვურჩიეთ მიწა კერძო საკუთრებათ შეეძინათ. ძლივს შეაგროვა 200-მა ჩვენებურმა ფული, მაგრამ აფხაზი მემამულეები მოელაპარაკნენ იქაურ ჩინოვნიკებს და საქმე ჩაიფუშა. ადგილობრივი კუქილები ყველგან რუსები არიან და თანაც განსაკუთრებულად განწყობილი ქართველების საწინააღმდეგოდ. მიუხედავად ამისა, მოვაწყვეთ საქმე ისე, რომ ერთი მოსკოვში მცხოვრები, ტომით გერმანელი რეინჰარტი დიდი ხნის მიწერ-მოწერისა და თხოვნა-ვედრების შემდეგ დავაჯერეთ, რომ თავისი საკუთრება მიწა წებელდაში, სოხუმის ოლქში, 711 დესეტინა – ქართველი გლეხებისათვის მიეყიდა. დეპეშით თანხმობა მოგვივიდა, ფასი გადავწყვიტეთ, გლეხები დავამზადეთ, ფულები ბანკში შევიტანეთ ამ მამულის საყიდლად. გამყიდველიც დავიბარეთ საქმის გასაკეთებლად, წინასწარი ბეც მივართვით. ამ დროს ადგილობრივმა რუსებმა გაუგზავნეს დეპუტაცია ამ მემამულეს და შეუთვალეს: „მთავრობა და ჩვენ აქედან ვასახლებთ ქართველებს და თქვენ კი გინდათ დაამკვიდროთ. დაარღვიეთ პირობა, ჩვენ გიზღავთ ზარალს და მიწა

სომხებს მიყიდეთო“. ჩვენს მზადებაში მათ გააპარეს გამყიდველი ქუთა-ისში და იქ სათათბიროს ქვეშევრდომმა სომხებმა რამდენიმე რუსის სახელზე გააკეთეს ხელშეკრულება ამ მამულის ყიდვის შესახებ, ჩვენ კი ადგილობრივი სომხების ნოტარიუსის წინაშე წარმოვადგინეთ დაპი-რებულ ვადაზე პირობის ძალით აღთქმული მამულის საყიდლად ნაღდი ფული“.

წერილის მიხედვით, ქართველები მოატყუეს, რუსი ვექილი გა-მყიდველს მიუდგა, რუსული კანონის თანახმად შეიძლებოდა ნასყიდო-ბის პირობის დარღვევა. გამყიდველი მხოლოდ იმ ზარალზე იყო პასუ-ხისმგებელი, რასაც სასამართლო ცნობდა, ამასთანავე, ქართველებს ნაკლებად უჯერებდნენ მსაჯულები ზარალის მოთხოვნის დროს.

ასეთი მუქი ფერებით ხატავდა გაზეთი „ერი“ შავიზღვისპირეთის კოლონიზაციას. ქართველობა ნელ-ნელა ჰკარგავდა მიწებს, სისხლითა და ოფლით დაცულს წინაპრებისაგან, თვით ცენტრალურ რაიონებშიც.

ქართლსა და კახეთში მიმდინარეობდა ოსების, სომხების და აზერბაიჯანელების მიგრაცია. სამხრეთ საქართველოში სომხების, ბე-რძნების, ქურთების. ამას ემატებოდა სავალალო მდგომარეობაში ჩავა-რდნილ მემამულეთა გადაწყვეტილება გაეყიდათ მამულები და საკუ-თარი სიღარიბე ამით მოესპოთ. მათვის სულერთი იყო, მეტს ვინც გა-დაუხდიდა, მიწასაც მას აძლევდნენ. ამის გამო გაზეთები „ცნობის ფურცელი“, „სამშობლო“, „ცხოვრება“ და სხვები აკრიტიკებდნენ ქა-რთველ მემამულებს, მათ ერის მტრებად აცხადებდნენ.

მთელი კამპანია მიმდინარეობდა ქართულ პრესაში რუსეთის კო-ლონიზაციის ირგვლივ, საქართველოში რუსთა ჩამოსახლებისა და რუ-სული სოფლების შექმნის საკითხზე.

„იყიდება საქართველო!“ – დიდი მწერლის – ნიკო ლორთქიფანი-ძის სიტყვებიც ამ საერთო-სახალხო წუხილმა გამოიწვია.

უფრო ადრე, თითქმის იმავე აზრს გამოხატავდა მოსკოველი ქართველი სტუდენტების წერილი – „სამშობლო გვეყიდება“.

ეს წერილი-მოწოდებაც გაზეო „ერში“ დაიბეჭდა.<sup>6</sup>

წერილი პასუხი იყო „ერში“ გამოქვეყნებული ფ. ასათიანის პუბლიკაციაზე – „კეზელის მამულების გაყიდვაზე“.

მიმართვა ქართველი ერისადმი ქართველი ახალგაზრდობის მამულიშვილურ გულისტკივილსა და დიდ წუხილს გამოხატავდა სამშობლოს მომავლის გამო, ქართველ მემამულეთა დაუკვირვებელი ნაბიჯების გამო. მიმართვის ტექსტი ასეთი იყო:

„ჰაი-ჰაი, რომ ჩვენთვის ეს მარტო ახალი ამბავი არაა.

დიდი ხანია ჩვენი ბრწყინვალე წოდება ნივრის ნაფცევენათ გვიყიდის ჩვენი მამა-პაპის სისხლით გაპოხიერებულ მიწა-წყალს.

და ყველა ჩვენ, ბრძნული თვითკმაყოფილებით აღსავსენი, ვიმეორებთ: „თავისია, რას უზამ!“

სამშობლოს მიწა-წყალი გვეყიდება!

დროა, ბატონებო, ხმა ავიმაღლოთ ერის გამყიდველებზე, დროა, საერთო ძალით გავუმკლავდეთ ერის საპირკველის გამომთხრელებს, შევერთდეთ ყველა, ვისაც გული უცემს ერის საკეთილდღეოდ. ერი ისტორიული განსაცდელის წინაშე დგას!

ყოველი მხრით დევნილი ქართველობა წელში წყდება.

ნახეთ დასავლეთისაკენ შავი ზღვის ნაპირებზე ქართველებს არ აჭაჭანებენ, იქაურ დაბა-ქალაქებში ხშირად ქართველ მუშას არტელშიც აღარ იდებენ. ქართველ მწარმოებელს, ქართველ მესაკუთრეს ათასნაირად ავიწროებენ. საკმაოა ქართველის ატრიბუტი შეამჩნიონ ქართველ მუშახელს და მას საკუთარი ძალ-ღონის გაყიდვაც აღარ შეეძლება.

სამშობლო გვეყიდება!

სირცხვილი ჩვენს თანამედროვე ქართველებს! სირცხვილი ჩვენ, როცა ჩვენმა მამა-პაპამ სპარს-თურქოსმალთა ყიზილბაშებს და-გლიჯა ხელიდან და უვნებლად შეგვინახა ჩვენი „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ და ჩვენ დღესაც ვერ დაგვიცავს იგი.

შეგვინახა მიწა, რომელზეც ყოველი ნამდვილი ქართველი ხშირად სიხარულის ცრემლმორეული ფიქრობს, უცხოეთში გადახვეწილიც, თუ გინ მას საკუთრად იმდენი ალაგიც არ მოეძეოდეს იქ, რომელიც საფლავად ეყოფა, მაგრამ ბედნიერია, რომ შეუძლია სთქვას:

აი, ჩემი ქვეყნის მიწა არის შორს აქედან!

მიწა, რომელზეც მას უვლია, უოცნებია, პირველი სიყვარულისა და პირველი ტანჯვის ცრემლები დაუფრქვევია.

მიწა, რომელზეც პირველად „დგა“ ასწავლა დედამ,

ვიდონოთ რამე, რომ ის მიწა ხელიდან არ გამოეცალოს ჩვენს ხალხს და მომავალი თაობისაგან, ერისა და მამულის გამყიდველების სახელები არ დავიმსახუროთ.

ვიკმაროთ ფლეგმატური „რას უზამ“, ვიკმაროთ სენტიმენტალური ამოოხვრანი.

საქმეზე გადავიდეთ!“

სტუდენტები წინადადებას იძლეოდნენ დაარსებულიყო ეროვნული ფონდი, რომელიც ხელს შეუწყობდა გლეხობას მემამულეებისაგან მიწების გამოსყიდვაში. მათ „ერის“ რედაქციაში გამოუგზავნიათ ფული ხსენებული ფონდისათვის. ეს ჩვენი სადილის ფულია, ისედაც უფულონი, პირში სულს ვიძრობდით, იქნებ ყოველმა ქართველმა მოგვბაძოს, ჩვენსავით მოიკლოს ყოველდღე თავის კერძის თითო-ოროლა გროში და ეროვნული ფონდის შედგენას ესეც ეყოფაო. მტერს ნუ გაატანთ სამშობლო ქვეყნის მიწას, თორემ მიწამაც გვიყოს პირი მაშინ, თუ ჩრდილოეთში მყოფ ქართველებს სამხრეთისკენ მოხედვა შეძაგდება, რადგან აქ ჩვენი მიწა აღარ დაგვეგულებაო.

მოწოდებას რუსეთში მოსწავლე ქართველი სტუდენტები ასე ამთავრებდნენ: „დარწმუნებული ვართ, ჩვენი ერი ჯერ კიდევ არ დაცემულა, ჯერ კიდევ არ აღსრულებულა საქართველოს უარისმყოფელთა დაღადისი: „საქართველო ქართველებს აღარ ფარავს და ქართველები საქართველოსო“.

შევერთდეთ, რათა დაინახონ ჩვენი ერის ყვავ-ყორნებმა, რომ მათი ჩხავილი ჯერ კიდევ ნაადრევია, რომ თუ საქართველოს ტერიტორია ორიათასი წლის განმავლობაში ქართველის ულუფას შეადგენდა, აწიც ქართველ მშრომელ ხალხს უნდა ეკუთვნოდეს, მიუხედავად იმისა, რომ იგი თავადაზნაურებს ეცლება ხელიდან.

გავიხსენოთ ჩვენი დიდებული მოძღვრის – არჩილ ჯორჯაძის ანდერძი: „ჩვენთვის საქართველოს ტერიტორია აუცილებელია მისთვის, რომ ქართველი მშრომელი ხალხი შიმშილს გადავარჩინოთ.

საქართველოს ტერიტორია ქართველ ერს, მიწა – ქართველ მაშვრალ გლეხებაცობას!“

მაშასადამე, მთელს ამ უკუღმართობას, – საქართველოს მიწა-წყლის გასხვისებას ქართველი სტუდენტებიც და გაზეთი „ერიც“ აბრალებდნენ რუსულ მმართველობას, ადმინისტრაციულ აპარატს, მიაჩნდათ, რომ რუსეთი ხელოვნურად სთესდა საქართველოში მცხოვრებ ხალხებს შორის შუღლსა და მტრობას, ხელოვნურად აჭრელებდა ჩვენს მიწა-წყალს უცხო ეთნოსით.

რაც შეეხება რუს მოხელეებს, გაზეთის აზრით, ისინი გამოირჩეოდნენ უვიცობით, ადგილობრივი ადათებისა და კანონების უცოდინარობით, უსულგულობით, არ იცოდნენ იმ ხალხის ენა, რომლის ბედიდიდალსაც განაგებდნენ. ყველაფერ ამის გამო კოშმარად ევლინებოდა ხალხს ასეთ მოხელეთა თვითნებობა. ახალი მოხელეები, როცა ძველს ცვლიან, აღარც კი იწვევენ ინტერესს ხალხში, მათ იციან, რომ ყველაფერი ძველებურად გაგრძელდება. მიზეზად გაზეთი „ერი“

თვლიდა, იმას, რომ წვრილმანი თუ მსხვილი მოხელის დანიშვნის დროს უმაღლესი მთავრობა ნაკლებად აქცევდა ყურადღებას, სამოხელეო კანდიდატი რამდენად სრული იყო „ფიზიკური და გონებრივი სიმართლით“, პქონდა თუ არა კარგი ადმინისტრატორობისა და მსაჯულობის ნიჭი, იყო თუ არა კანონიერების მომხრე, პქონდა თუ არა იმდენი ზნეობრივი სიმტკიცე, რომ მიუდგომლად ეწარმოებინა ადმინისტრაციული გამგებლობა, პქონდა თუ არა შესაფერისი ცოდნა და გამოცდილება.

აკრიტიკებდა რა რუსეთის მთავრობას საქართველოში მოხელეთა დანიშვნის საქმეში, გაზეთს საუკეთესო მაგალითად მოჰკონდა ინგლისელ მოხელეთა დანიშვნა და საქმიანობა ინდოეთში.

კორესპონდენტი წერდა, ჩვენთანაც რომ ასე იყოს, ჩვენც გადავრჩებოდით სატანჯველს და მთავრობაც ქვეყნის თვალში ლირსეულ პატივისცემას დაიმსახურებდათ.

„ინგლისელმა მოხელეებმა, – წერდა „ერი“, – ინდოეთში გამწესებამდე უნდა გაიარონ დიდი და რთული კონკურსი, სადაც უნდა გამოამჟღავნონ ენების ცოდნა, უნდა იცოდნენ როგორც იმ პროვინციის ენა, სადაც არიან გამწესებულნი, ასევე უნდა პქონდეთ ზნეობრივად სპეციაკი ოჯახი, იცოდნენ ინდოეთის წესები და კანონები; მიუხედავად ასეთი კონკურსის გავლისა, რასაც 2 წელი მაინც ჭირდებოდა, ინდოეთში მისული მოხელე თანამდებობაზე პირდაპირ მაინც არ ინიშნებოდა, ის მაღალი თანამდებობის პირთან შტატგარეშე მოხელედ იწყებდა მუშაობას, არავითარი უფლება და მინდობილობა არ პქონდა, მხოლოდ ენისა და კანონების შესწავლაში ვარჯიშობდა, ქვეყნის ისტორიასა და გეოგრაფიას ეცნობოდა, აკვირდებოდა საქმეთა წარმოებას, ადმინისტრაციულ ფუნქციებს. ასეთი მომზადების შემდეგ დებულობდა შტატის ადგილს და იქცეოდა სრულუფლებიან მოხელედ. „ასე გაწვრთნილი მოხელე,“ – აღნიშნავდა გაზეთი „ერი“, – თუ მთლად მხე-

ცის სული არ უდგას, დირსეულად შეასრულებს თავის წმინდა მოვალეობას და მინდობილ საქმეს ქვეყნის სასიკეთოდ წარმართავსო“, ჩვენში კი, არათუ ადმინისტრაციულ მუშაკებს არ თხოვენ ხალხის ენის ცოდნას, არცერთმა რუსმა მოხელემ არ იცის ქართული, არამედ საერო სკოლების მასწავლებლებმა და მსაჯულებამც კი არ იციანო.

„დიდი რუსეთის მთლიანობას არ აწყენდა და ჩვენც ძლიერ მოგვიხდებოდა, რომ რუსეთის უმაღლესი მთავრობა ინგლისის მაგალითს აყვებოდეს სამოხელეო კანდიდატების წვრთნასა და დანიშვნის საქმეში“—ო, — ასკვნიდა იგი.

ასე მძაფრად არიტიკებდა გაზეთი „ერი“ რუსეთის უხეშ კოლონიალურ პოლიტიკას საქართველოში, მის მიერ ქართველი ერის ნების სრულ იგნორირებას. ეს წერილები ცხადყოფენ, რომ რუსეთის დამპყრობლური ინტერესები მთელს საქართველოში, განსაკუთრებით კი აფხაზეთის შავიზღვისპირეთში, ძველია.

ქართული პრესისა და საზოგადოებრივი აზრის შეშფოთებას იწვევდა ოსთა მიგრაციის საკითხი საქართველოში, ეს განსაკუთერბით მას შემდეგ, რაც რუსეთის ხელისუფლებამ მიიღო კანონი „ხიზნობის შესახებ“ და ოსებს უნდა მიკუთვნებოდათ მათ მიერ ძალით დაკავშირებული ქართული მიწები მაშინ, როდესაც მიწის ფონდი თვით აქაურ ქართველ გლეხობას არ ჰყოფნიდა.

ოსების საკითხს, საქართველოში მათი მიგრაციის ქაოტურობასა და მოუწესრიგებლობას დიდ უურადღებას აქცევდა ეროვნულ-დემოკრატიული უურნალი „კლდე“ (1912-1919 წ.).

პირველივე ნომერში უურნალი ერთგულებას აცხადებდა იმ პრიციპისადმი, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა აღმდგარიყო 1783 წლის ტრაქტატის პირობებით, შექმნილიყო საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტია.

ურნალი აკრიტიკებდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკისათვის ჩვეული მეთოდებით შედგენილ „ხიზანთა მოწყობის პროექტს“.

იმპერიის მესვეურო კარგად ესმოდათ, რომ ტერიტორიის თანდათან ხელიდან გამოცლა ქართველებისათვის ისტორიულ-პოლიტიკური ნიადაგის გამოცლა იქნებოდა. „ხიზანთა მოწყობის პროექტით“ კი გათვალისწინებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობა, რასაც ქართული მოწინავე საზოგადოებრივი აზრი არაკანონიერად მიიჩნევდა.

როგორც ცნობილია, ჩვენში ხიზნები ძირითადად ოსები იყვნენ. მათ ქართველ თავადთა საუკეთესო მიწები ეჭირათ და ეს მიწები, ვორონცოვის პროექტით, კავკასიის ქედიდან მეჯვრისხევამდე, საციცანოსა და საჯავახოში, ათიათასობით დესეტინა, უფასოდ უნდა გადაცემოდათ ზედ მოსახლე ოსებს.

„კლდემ“ გააპროტესტა ეს უსამართლო პროექტი. ურნალი მკითხველს ახსენებდა, რომ 1864 წელს, ბატონყმობის გაუქმებისას, ქართველ გლეხებს მხოლოდ რაღაც საცოდავი „ჩამონაჭრები“ მისცეს, ისიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში გამოსყიდვის უფლებით, რაც ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული „კლდის“ გამოსვლის დროს (1912 წლის დასაწყისში)<sup>7</sup>. ამის ფონზე ახალი „პროექტი“ ქართველთა ძარცვას წარმოადგენდა ოსთა სასარგებლოდ.

ურნალი შეახსენებდა მკითხველს, თუ როგორ გაჩნდნენ ხიზნები ქართლში, როგორ ახერხებდნენ ოსები ქართული მიწების დასაკუთრებას, რედაქცია საკითხის არასამართლებრივად დასმაში ბრალს სდებდა რუსეთის სათათბიროში ამეირკავკასიის სოციალ-დემოკრატ დეპუტატს კარლო ჩხეიძეს, რომელმაც ხიზნების მხარე დაიჭირა და საკითხი განსახილველად გადასცა კავკასიის მეფისნაცვლის მდივანს, სენატორ ვატაცილს. კონკრეტულ საქმეში ფიგურირებდა ქართველი მემამულე-მდივანი, რომელსაც შეუსყიდია ციციშვილის მამული და იქ

მოსახლე ხიზნებისათვის კანონის ადსრულება – დაკავებული შენობებისა და მიწების დატოვება მოუთხოვია, რისთვისაც მათთვის გამოსასყიდი თანხის გადახდაც დაუვალებია. ხიზნებს ეს „შევიწროებად“ და „რეპრესიად“ ჩაუთვლიათ და ამიერკავკასიის დეპუტატისთვის მიუმართავთ საჩივრით.<sup>8</sup> „კლდე“ მიიჩნევდა, რომ კანონის დაცვა ყველას მოვალეობაა და, ამ შემთხვევაში, არც დეპუტატი ჩხეიძე და არც ოსი ხიზნები მართლები არ იყვნენ.<sup>9</sup>

„კლდის“ ამ სტატიამ დიდი გამოხმაურება პპოვა იმდროინდელ ქართულ პრესაში. სოციალისტური მიმართულების გაზეთებმა „კლდე“ გააკრიტიკეს. უფრო მძაფრი კრიტიკა გაჩადდა სოციალისტ-დემოკრატების პრესაში, არანაკლები სიმწვავით გამოირჩეოდა სოციალისტ-ფედერალისტური „სახალხო გაზეთი“.

„კლდის“ პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული ჯგუფის ერთერთი ლიდერი დავით კახელი (ვაჩნაძე) მძაფრად პასუხობდა სოციალისტ-ფედერალისტ არჩილ ჯაჯანაშვილს და მას შეახსენებდა მისი პარტიის ლიდერის – არჩილ ჯორჯაძის სიტყვებს: „ჩვენ არც მისვლა-მოსვლის წინააღმდეგნი ვართ, არც უცხოელების გარეკვის აზრი გვაფრთვანებს, ჩვენ ვამბობთ მხოლოდ, რომ ემიგრაცია-მიგრაციის საკითხი მოწესრიგებული უნდა იქნას თანახმად სამართლიანობისა და კავასის ყველა ერთა ინტერესებისა. ჩვენ გვინდა ემიგრაცია-მიგრაცია გაბატონებული ბიუროკრატიის ხელში პოლიტიკის იარაღად არ იყოს“.<sup>10</sup>

„კლდემ“ – „თემისა“ და „სახალხო გაზეთის“ საპასუხოდ, რომლებმაც მას ხიზნობის საკითხზე ამგვარი ჯანსაღი და ეროვნული პოზიციისათვის რეტროგრადობა და რეაქციონერობა დასწამეს, დაიწყო ალექსანდრე ყიფშიძის (ფრონელის) სტატიების ციკლის ბეჭდვა – „აწმყო და მომავალი ხიზნობისა“.<sup>11</sup>

ხსენებულ სტატიათა ციკლში ავტორი განიხილავდა ხიზნობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას საქართველოში, მის ტრადიციებსა და დანიშნულებას. ავტორს მიაჩნდა, რომ ხიზნობამ დრო მოჭამა და რომ საჭირო იყო ამ ინსტიტუტის გაუქმება, რაც სარგებლობას მოუტანდა თვით ხიზნებს. „კლდის“ პუბლიცისტი დავით ვაჩნაძე კი შეუძლებლად თვლიდა ქართლის მიწების განიავებას, რომელიც ერთადერთ თავისუფალ ტერიტორიულ ფონდად ითვლებოდა აღმ. საქართველოში, სადაც შეიძლებოდა იმიგრაცია იმ იმერლებისა, საქართველოში სიგიწროვეს რომ განიცდიდნენ და ჩრდ. კავკასიაში გარბოდნენ.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატი, „კლდის“ რედაქტორი რევაზ გაბაშვილიც საკითხის ისე დასმას, როგორც ამას ხელისუფლება და სოციალისტური მიმართულების ქართული პრესა აკეთებდა, უბედურებად და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასარღვევად წინასწარ ჩაფიქრებულ გეგმად მიიჩნევდა.

„ხიზნების პროექტის“ გარდა, „კლდე“ ხელისუფლების მიერ განხორციელებულ სხვა ანტიქართულ პროექტებსაც აცნობდა მკითხველებს, რომელთა მიზანი იყო საქართველოს დენაციონალიზაცია და რუსული კოლონიების შექმნა – რუსებით დასახლებული სოფლების, ქალაქების, მთელი კუთხეების სახით. თუ ჩამოსახლებული არ იქნებოდნენ ეთნიკურად რუსნი, სხვა ერებსაც რუსეთი გაარუსებდა და საქართველოს შიგნით ეთნიკურ და რელიგიურ დაპირისპირებებს შექმნიდა, რითაც ქართველ ხალხს გაუმნელდებოდა ოდესმე მიეღწია ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისათვის. ეს იყო ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული მთელი პროგრამა. ასეთივე ანტიქართული პროექტები იყო რუსული სამხედრო პოლიგონის მოწყობის პროექტი ქართლში, სოფელ ტირიფონაში, მუდანლოს ველზე ბამბის პლანტაციების გაშენების პროექტი და სხვ., რო-

მელთა მიხედვით მტკვრის ხეობის მიწები უნდა დაესაკუთრებინა აქ ბაბის მოსავლელად სპეციალურად ჩამოსახლებულ ხალხს, ტირიფონას ნაყოფიერი მიწა კი, 40 ათასი ქართველით დასახლებული, უცხოებს უნდა გადასცემოდა. სამხედრო უწყება აპირებდა აქაური 15 ათასი დესეტინა მიწის შესყიდვას. საკითხის ასე გადაწყვეტას ემხრობოდა გორის მაზრის თავადაზნაურობის მარშალი ნიკოლოზ ალექსის ძე თუმანიშვილი, რომელსაც „კლდე“ დაუნდობლად აკრიტიკებდა და მოუწოდებდა გლეხობას, ხელი შეეშალა ამ პროექტის განხორციელებისათვის.<sup>12</sup>

გაზეთმა „ერმა“ ამ შემთხვევაში დათმობა ამჯობინა და წინადაღება წამოაყენა – ტირიფონადან აყრილი ქართველები თბილისში, საბურთალოს თავისუფალ მიწაზე ჩაესახლებინათ, დედაქალაქში ქართული ელემენტის გასაძლიერებლად.<sup>13</sup>

„კლდემ“ ეს პოზიცია „ერისა“ გააკრიტიკა, მიუღებლად ჩათვალა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში უკანდახევა.

მთავრობის წინააღმდეგ უკომპრომისობას გამოხატავდა ეროვნულ-დემოკრატიული პრესის პუბლიცისტიკა.

მწერალი დავით კასრაძე გაზეთ „საქართველოში“ სინანულს გამოტქვამდა, ქართულმა ინტელიგენციამ რატომ არ გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოს რუსეთთან შეერთების აღსანიშნავი თარიღის დროს. მას არ მოსწონდა ქართველთა იმედი გარეშე ძალების და საკუთარ თავში გადარჩენის იმპულსის მოუძებნელობა.

ამდროინდელ ქართულ პრესას აინტერესებდა საქართველოს ეროვნული მისიისა და ეროვნული ენერგიის საკითხები, იმ გზების ძიება, რაც გადაარჩენდა ქართულ სახელმწიფოს, აღადგენდა და განამტკიცებდა მას მომავალში. „ძალთა მოკრება და ხსნის საშუალებათა ძებნა შორს კი არ უნდა მოხდეს, უცხო ელემენტთა დახმარება-შველაში, არამედ ჩვენშივე“, – წერდა დავით კასრაძე.

მისი აზრით, ქვეყნის ადორძინების იმედი უნდა ჩადებულიყო კო-ოპერატივების, სამრეწველო საწარმოების დაარსებაში, ქვეყნის ეკონო-მიკურ წინსვლაში, „სიზარმაცედაძლეული“ ადამიანების ქმედებაში. მო-მავლის რწმენის იდეა, – მისი პუბლიცისტიკის მიხედვით, – უნდა ყო-ფილიყო თვით საქართველოს იდეა, და არა ცარიელი ფაქტი საქართვე-ლოს არსებობისა.

ასეთივე აზრის იყვნენ რევაზ გაბაშვილი, სპირიდონ კედია, გი-ორგი გვაზაგა, რაფიელ ინგილო, ალექსანდრე ასათიანი და სხვა საზოგადო მოღვაწენი.

საინტერესოა გაზეთ „საქართველოს“ სარედაქციო წერილი – „შინაური კოლონიზაციის მოგვარების საჭიროება“, რომელიც პასუხს სცემდა იმ დიდი კოლონიზაციის პროცესის წინააღმდეგ დაპირისპირე-ბის საჭიროებაზე, რასაც რუსეთის ხელისუფლება ატარებდა საქართვე-ლოში და რაც აზიანებდა ქართულ ეროვნულ ინტერესებს.

წერილში საუბარი იყო დასავლეთ საქართველოს მთის მოსა-ხლეობის მიგრაციაზე როგორც შავიზღვისპირეთში, ასევე ად. საქა-რთველოში. განსაკუთრებულად გამოყოფილი იყო იმერელთა დასა-ხლება საქართველოს სხვა კუთხეებში. გაზეთი ამას დადებით მოვლე-ნად მიიჩნევდა, თუნდაც იმიტომ, რომ „იმერელის გვერდით სხვა უცხო ელემენტი, უცხო ეროვნების წარმომადგენელი, ვეღარ ხეირობს. იმე-რლის გამჭრიახობას, უნარსა და მედიდურობას შემოხიზნული ელემე-ნტი ვერ უძლებს“. გაზეთი იმ ფაქტებსაც იხსენებდა, როგორ აბა-რგდნენ სამეგრელოში ჩასახლებული სომხები, კერძოდ, დადიანების ტყის დასამუშავებლად არამიანცისა და კომპანიის, – ტყის ახალი პა-ტრონების მიერ განჯისა და ერევნის გუბერნიებიდან ჩაყვანილმა დი-დქალმა სომხობამ აქ ფეხი ვერ მოიკიდეს. მეგრელებმა აიძულეს ისინი უკანვე გაბრუნებულიყვნენ, არადა, მათი ჩამოსვლის მიზანი ცხადი იყო: აქაც ისევე დასახლებულიყვნენ, როგორც სხვაგან, საქართველოში. სო-

მეხმა ვაჭრებმა ვერც ქუთაისში ჩაიგდეს ხელში ვაჭრობის საქმეები, აქაურმა ვაჭრებმა არ მისცეს ამის საშუალება. ერთადერთი სომხის მამული იმერეთში – ანანოვის მამულია, – ვკითხულობთ პუბლიკაციაში, მაგრამ ანანოვმა იმდენი კი იცის, რომ აქ სომებთა კოლონიზაციაზე არ იფიქროს და მოსამსახურებად სულ იმერლობა პყავსო. თვით იმერელია საუკეთესო კოლონიზატორი, რადგან მას რუსეთის ხელისუფლება ათწლეულებია უარს ეუბნება მიწაზე, თავს თვითონ უნდა უშველოს ახლა. ჩვენს ინტელიგენციას შნო და უნარი რომ პქონოდა, – წერს მოწინავე, შეა საქართველოში არ გვექნებოდა (არც კახეთში, არც ქართლში) სომხებით და რუსებით დასახლებული სოფლებიო. ნუ გავუშვებთ ჩვენს მოსახლეობას თერგსა და ალაგირში, სადაც ისინი ადგილობრივ მოსახლეობაში გაითქვიფებიან, გავაჩაღოთ მწყობრი საკოლონიზაციო მუშაობა და დავასახლოთ ჩვენი მოსახლეობა, იმერლები, რაჭველები, სვანები თუ სხვა მცირემიწიანები გამოთავისუფლებულ ქართულ მიწებზე, ნუ ველოდებით სხვებს, ისინი საჩვენო კარგ საქმეს არ გააკეთებენო.

ასეთი იყო მკაფიო ეროვნული პოზიციის მქონე „საქართველოს“ თვალსაზრისი შიგაკოლონიზაციისა და მიგრაციის საკითხებზე.<sup>15</sup>

ქართველ უმიწო გლეხთა მდგომარეობასა და მათ მიმართ რუსეთის მოხელეთა გამოჩენილ უყურადღებობაზე მიუთითებს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული (1916 წ.) წერილი „ქართველ-სომებთა მისწრაფებანი“, სადაც საუბარია 1908-1914 წლებში ვორონცოვ-დაშკოვის სახელზე 204 კომლი ქართველი გლეხის ადვოკატის – გიორგი სპირიდონის ძე გრიგოლაშვილის მიერ დაწერილი თხოვნისა, რათა უმიწო ქართველები ჩაესახლებინა სოფ. ჭიაურში, მაგრამ რუსეთის ხელისუფლების კავკასიური ადმინისტრაცია უარს ეუბნებოდა მთხოვნელებს მთელი ამ წლების მანძილზე – სიტყვებით: „თავისუფალი მიწა არ არისო“. „ამავე დროს კი ჩვენს თვალწინევე რუსგადმოსახლებულთა სო-

ფლებს აშენებდნენ და აშენებდნენ, – წერდნენ ქართველი გლეხები. – ე. წ. „ატამის“ მამულში, ჭიაურის სააგარაკოში, სიღნაღის მაზრაში, ჩვენ გამოგვრეკეს და რუსები კი ჩაასახლეს. თავისუფალი მიწა სოფელ „ვარანცოვკასა“ და ჩოლოყაშვილის მამულთა შუაც რუსებით ჩაასახლეს. ჩვენ კი სახაზინო მამულის მახლობლადაც არ გვაკარებდნენ.<sup>16</sup>

გაზეთები წერდნენ ასევე რუსეთის ხელისუფლების მიერ გერმანელთა კოლონიზაციის გაძლიერებაზე. ეს პროცესი წინა საუკუნეში დაიწყო და XX საუკუნის დასაწყისშიც აქტიურად გრძელდებოდა. „დღითი დღე ძლიერდება ჩვენში გერმანელთა კოლონიზაცია, – წერდა გაზეთი. როგორც ვიცით, მესამოცე წლებში და ადრეც მრავალი გერმანელი დაასახლეს ჩვენს ქვეყანაში. ყველაფრით ეხმარებოდნენ, ფულს აძლევდნენ და ამის წყალობით გერმანელთა სოფლები მშვენივრად მოეწყვნენ. უკვე მოღონიერებულ სოფლებს ეხლა აღარ უჭირთ გაშლა-გაფართოება და ახალი ადგილების შეძენა. თრიალეთში მრავალი ადგილი იყიდეს და ყველის ქარხანა გამართეს გერმანელებმა. გერმანელების კოლონიზაციის გაძლიერებას, როგორც გავიგეო, ძალიან დიდად ხელს უწყობს თურმე ტფილისში არსებული გერმანელთა საზოგადოება. ტფილისის მაზრაში, თელავის მახლობლად თავად სუმბათაშვილის ადგილი ამ დღეებში დაათვალიერეს გერმანელებმა. მათ გადაუწყვეტიათ შეიძინონ რამდენიმე ათასი დესეტინა და გააშენონ ახალი სოფელი.<sup>17</sup>

ცნობილი ქართველი მწერლის – ნიკო ლორთქიფანიძის სიტყვებს – „საქართველო იყიდება“, სადაც ქართველი მამულიშვილის დიდი ტკივილი იყო ჩადებული, იმეორებდა რუსული გაზეთიც, ოღონდ სხვა შინაარსითა და გრძნობებით დატვირთული. ცას ეწეოდა რუსული გაზეთი სიხარულით, საიმედო ნიშნებს ხედავდა მომავლისათვის, ძლიერ და მტკიცე ნიადაგს, ქართველებსაც ახარებდა და ულოცავდა

ამ ფაქტს: ოქვენი მდგომარეობაც გაუკეთესდება, რუსებისგან კულტურის შეთვისებით განათლების სხივი შემოგიშუქებთო.

გაზეთი „დროება“ რუსული გაზეთის ამ სტატიას შემაშფოთებელს უწოდებდა და წერდა: „ეს გამაფრთხილებელი საყვირია, სიკვდილის მოვლინებაა და ვაი, იმ ერს, რომელიც არ ისმენს და ყურად არ იდებს ამ გაფრთხილებას. ისტორიამ არ იცის სიბრალული და ცხოვრების ჩარხი რაკი შეტრიალდება, მისი უკან დაბრუნება აღარავის ძალუბს – ცრემლები, გოდება და მწარე მოთქმა ვერ მოგვიტანს დაკარგულს როცა ქართველი ერი დაკარგავს თავის ტერიტორიას, ის დაამთავრებს თავის ისტორიას, მოისპობა, მოისპობა ყოველი ისტორიული ცხოვრებისათვის ვეღარ გავიგებო მშობლიური სიმღერის ჰანგებს. ტყუილად იმდერებს მგოსანი: „ცა მშვენიერი, და მშობლიური, მარად ბრწყინვალე ზე დაგვნათიდეს“. ამაოდ გვეტყვის: „ჰოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდავ, ადგილნი შენი დამაფიქვრელნი, ვერანანი და უდაბურნი, ვითარ შვენიან, როს მონამენ ცვარნი ციურნი, ოდეს საღამოს, დაშთენ ამოდ ციაგნი ნელნი“. არავინ დაუგდებს ყურს პოეტის აღტაცებულს სიტყვებს: „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო!“ არავის გულს მისწვდება: „ჩვენო არაგვო, რარიგ მიყვარხარ, ქართლის ცხოვრების მოწამე შენ ხარ!“ ყოველივე ეს უცხო იქნება ჩვენთვის ისე, როგორც მთაწმინდა, არაგვი და მთელი საქართველო!“<sup>18</sup>

ასე მტკივნეულად აღიქვამდა ქართული პრესა ამ მართლაცდა საქართველოს დამდუპველ პროცესს და საქართველოს ბედს მომავალში, თუკი ასე გაგრძელდებოდა, ისრაელისა და ებრაელი ხალხის ბედთან აკავშირებდა.

„სამშობლო განსაცდელშია!“ – მიმართავდნენ ქართული პრესის ორგანოები მკითხველს. „სამშობლო განსაცდელშია!“ – ხმას აწვდენდნენ მშრომელ ხალხს უცხოეთში წასული სტუდენტები.

„სამშობლო განსაცდელშია!“ ეს ყველაფერია. ეს ჩვენი ყოფნა და არყოფნაა. სამშობლო განსაცდელშია, იღუპება, მაშასადამე, ვიღუპებით ჩვენც, იღუპება ჩვენი დედა, რომლითაც ვარსებობთ და ურომლისოდ შეწყდება ჩვენი მაჯისცემა და მოკვდება სული“, – ასეთი იყო განგა-შის არსი, ტერიტორიის დაკარგვა სამშობლოს სიკვდილს უდრიდა და მკვდრებსაც კი უნდა გაღვიძებოდათ ამ განგაშზე.<sup>19</sup>

„დროებას“ და მის პუბლიცისტებს სურდათ განსაცდელში ჩავა-რდნილი სამშობლოს ხსნისათვის პრაქტიკული გამოსავალი ეპოვათ. ასეთად მათ ჩათვალეს სპეციალური ფონდის შექმნა, სადაც ყველა მეტ-ნაკლებად შეძლებული ქართველი თავისი შემოსავლის 1%-ს შე-იტანდა. 100 მან-ზე 1 მანეთს. არათუ კერძო პირებს, საზოგადოებრივ დაწესებულებებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა ამ ფონდის შექმნაში – რაც „საეროვნო ბანკის“ დაარსებას დაედებოდა საფუძვლად.<sup>20</sup>

აფხაზი გლეხების მდგომარეობას, აქაური ქართველების საში-ნელ ბედს ეხებოდა ნიკო თავდგირიძის წერილიც „დროებაში“-ში. იგი წერდა: „ამნაირ საცოდავ მდგომარეობაშია პარნაუთელ 400 სულის ქა-რთველის ბედი. ასეთი უსამართლობა რომ სწვეოდა რომელიმე ერის წარმომადგენელს, რაც უნდა კანონისაგან დევნილი ყოფილიყო იგი, მთელი დუნია ალაპარაკდებოდა და გაზეთის მთელ სვეტებს დაუთმო-ბდნენ ამ საქმეს. ჩვენ კი ჩუმად ვართ. ის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს მიმართავდა, – დაეცვათ საკუთარი ერის ინტერესები.

პამუთ-ბეის ფსევდონიმით დაბეჭდილ „დროების“ პუბლიკაციაში პარნაუთელი გლეხების მსგავსი მდგომარეობა აღწერილი იყო დალის ხეობის სვანებშიც, სადაც, სოფელ ტამიშში, სოხუმთან ახლოს, დაუსა-ხლებელ მიწაზე დასახლებული სვანები დიდი ხნის შემდეგ აჰყარეს, როდესაც უკვე მოწყობილი პქონდათ მეურნეობა.

პუბლიცისტი აღნიშნავდა, რომ დალის ხეობაში ვერც ერთი სხვა ეროვნება ვერ მოიდგამდა ფეხს, სვანები კი აქ ინტენსიურად სახლდე-

ბოდნენ და საზოგადოებას თხოვდა მხარი დაეჭირა საქართველოსთვის სასარგებლო ამ პროცესისთვის.<sup>22</sup>

რუსეთის შავრაზმულ და ანტიქართულ პოლიტიკას აფხაზეთში გაზეთი „დროება“ ხშირად ეხებოდა. სოხუმის თვითმმართველობის საქმიანობა ძალზე მძიმე იყო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქალაქის თავი პატრიოტი, აფხაზეთზე გულშემატკივარი და ანტირუსული განწყობის მქონე – ნიკო თავდგირიძე დაინიშნა. იგი ამისათვის დაიჭირეს კიდეც, მაგრამ სამხილი მასალები არ ეყოთ და იძულებულნი გახდნენ გაეთავისუფლებინათ. სწორედ ნიკო თავდგირიძე ამხელდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის დამდუპველობას საქართველოსთვის და ააშკარავებდა მის დანაშაულებრივ მხარეებს ქართულ პრესაში.<sup>23</sup>

გაზეთი „დროება“ აფხაზეთში შექმნილ მძიმე მდგომარეობასთან ერთად, ეხებოდა აფხაზური ანბანის შექმნის საკითხს, რომელშიდაც რუსეთმა ასევე გამოამჟღავნა თავისი ანტიქართული ზრახვები, სცადა ორი მოძმე ხალხის – აფხაზთა და ქართველთა დაშორება.

როდესაც ანტირუსულად განწყობილი აფხაზეთი ცეცხლის ალში გაახვიეს, უდანაშაულო აფხაზობა თურქეთში გარეკეს და მოპაჯირებად აქციეს, მთელი ერი მიწასთან გაასწორეს და თან სამარცხევინო სახელი: – „Виновное население“ – უწოდეს. ამის შემდეგ, პუბლიცისტის აზრით, იცვალეს რუსებმა ტაქტიკა. აი, როგორ აღწერს ამას „დროება“: „ამ ვითარებაზე კიდევ მექნება ლაპარაკი, ახლა მინდა აღვნიშნოთ, თუ როგორ იცვალებ დრონი და გარემოებანი: აქამდე თუ აფხაზებს ერეკებოდნენ და ეძახოდნენ – „მოგვშორდით თავიდანაო“, ეხლა ვითომ მათ ულოლიავებენ, ეალერსებიან, და ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ ბოლო მოუდონ და მოსპონ ის მცირეოდენი ნაშთი ისტორიული კავშირისა, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში აერთებდა აფხაზთა და ქართველთა. ამ მიზნის მისაღწევად იხმარეს ისეთი სასიამოვნო და კულტურული მოვლენა, როგორიც არის მწერლობის

შექმნა აფხაზურ ენაზე. როგორ შეიძლება ეს სასიამოვნო გარემოება იარაღად გამოიყენოს კაცმა, სხვათა შორის, შუღლის და მტრობის დასათესადაო, – იკითხავთ. სულ ადვილად-ო, – წერს კორესპონდენტი და აანალიზებს ამ მოვლენის ირგვლივ შექმნილ ვითარებას.

აფხაზთათვის ანბანის ორი ვარიანტი შეიქმნა: ქართული, რომელიც ბარტოლომეიმ შეადგინა, და რუსული, რომელიც ბარონმა უსლარმა.

ქართული ანბანი აფხაზური ენისათვის გაცილებით შესაფერისი იყო, მაგრამ იგი „ეროვნული“ ნიშნით დაიწუნეს რუსეთის ხელისუფლებმა და უარყვეს. არცერთი ნორმალური ადამიანი, რომელმაც ბრწყინვალედ იცოდა აფხაზური, მაგრამ ქართველი იყო, არ გააკარეს კომისიას. ერთ-ერთ ასეთ პიროვნებად „დროება“ ცნობილ პედაგოგ პეტრე ჭარაიას თვლიდა. არც ეპისკოპოს კირიონს დასცალდა ამ საქმის გაკეთება, დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილიც მხარს უჭერდა აფხაზური ანბანის შექმნას, მაგრამ რუსებმა „იმარჯვეს“, დაასწრეს მათ. „ქართველებს თავის ზურგზე ძალიან კარგად გამოუცდია, თუ რა არის ეროვნული დევნა და ეს მწარე გამოცდილება თავმდებია იმისა, რომ თვითონ არ იკისრებს იმავე ჯალათის როლს, მით უმეტს მთელი ერის ჯალათისას – წერდა გაზეთი.<sup>26</sup>

აფხაზეთის კოლონიზაციის დანაშაულებრივ მეთოდებზე წერდა ქუთაისში გამომავალი გაზეთი „ფონი“, გაზეთი „დროება“ და სხვა.

„დროებამ“ რუსული „რეჩ“-იდან გადმობეჭდა წერილი პარნაუთელ გლეხებზე. პუბლიცისტი – პამუთ-ბეის ფსევდონიმით ვრცელ წერილში „ფონსა“ და „დროება“-ში ააშკარავებდა პარნაუთელ გლეხთა მდგომარეობას, მათ აყრას და ამ ადგილზე რუსების ჩასახლების უსამართლობას. იგივე მდგომარეობას აღწერდა დალში (აფხაზეთი) პუბლიცისტი და ყველაფერს რუსეთის უგულო ადმინისტრაციას აბრალებდა.

გაზეთები დანანებით წერდნენ რაჭველი გლეხების გასაჭიროებული მათ გადასახლებაზე ალაგირსა და ნალჩიკში, სადაც მათ უჭირდათ ადგილობრივი პირობების და ხალხის შეთვისება. ისინი ითხოვდნენ მათ დასახლებას გარე-კახეთში. „დროება“ წერდა: „გაჭირვება რომ არ აიძულებდეთ, რა უნდათ იმ შორეულ ადგილებში, სადაც დიდი დრო უნდა, რომ შეეთვისონ ადგილმდებარეობას და ხალხს. დიდის სიამოვნებით გადმოსახლდებოდნენ კახეთში ან საქართველოს სხვა კუთხებში, სადაც თავისუფალი ადგილებია. რაჭველებმა არაფერი იციან ამ ადგილების შესახებ. საჭიროა ხელმძღვანელი, დამხმარებელი; ურიგო არ იქნება ეს საქმე იკისროს საადგილ-მამულო კომისიამ ან სხვა ვინმებ“

ლებელი (პუბლიცისტის ფსევდონიმია) ეხება „დროების“ 249-ე ნომერში გამოქვეყნებულ ტყავაძის ინფორმაციას ივრისპირად 2000 დეკემბერი მიწის გაყიდვის შესახებ, რომელიც თავად მალხაზ ანდრონიკაშვილს ეკუთვნოდა. მიწა ძალზე იაფად, დესეტინა 4-5 თუმნად ფასდებოდა, რასაც რაჭველები სიამოვნებით გაიღებდნენ.

პუბლიცისტი ითხოვდა „დროების“ რედაქციისაგან, რომ გაეწია პროპაგანდა, რათა ლების, ჭიორას, უწერის, ნაკიეთის და ონის გლეხებს მიეღოთ ინფორმაცია ამ მამულის გაყიდვაზე<sup>25</sup>

საქართველოში ხშირი იყო რელიგიური ნიშნით გამორჩეული, რუსეთის სახელმწიფოსათვის ერთგვარად საშიში რელიგიური სექტის წევრების ჯაუფური გადმოსახლებები. გაზეთი „დროება“ 1909 წლის ნოემბერში წერდა რუმინეთსა და ოსმალეთში მცხოვრებ „სტარობრიადელთა“ გადმოსახლებაზე, რომლებმაც რამდენჯერმე თხოვეს რუსეთის მთავრობას სამშობლოში დაბრუნების უფლება. მთავრობამ საქართველოში გამოგზავნა სრულიად რუსეთის სტარობრიადცების საბჭოს წევრი, „ხოდოკი“ პ. მ. მოისეევი, რომელსაც დაევალა სამოსახლო ადგილების მოძებნა. მას თან გამოჰყვა ოსმალეთში მცხოვრებ სტარობრიადცების მოძებნა. მას თან გამოჰყვა ოსმალეთში მცხოვრებ სტარობრიადცების მოძებნა.

ობრიადცთა ორი რწმუნებული. სანამ მოისეევს და რწმუნებულებს გა-  
მოაგზავნიდნენ, მანამდე საბჭომ შეკითხვით მიმართა კავკასიის მეფი-  
სნაცვალს, პქონდა თუ არა საშუალება ამ ხალხის დასახლების, მან  
უპასუხა, რომ სიხარულით მიიღებდა მათ. გაზეთის აზრით განზრა-  
ხული იყო 800 სტარობრიადელთა ოჯახის ჩამოსახლება.<sup>27</sup>

ამრიგად, რუსეთის თვითმყრობელური ხელისუფლება საქართვე-  
ლოში ატარებდა კოლონიურ პოლიტიკას, რასაც სხვადასხვა დონისძი-  
ებით გამოხატავდა, ერთ-ერთი ასეთი დონისძიება იყო საქართველოს  
ტერიტორიაზე უცხოტომელთა ჩამოსახლება, რაც ეთნიკურად ააჭრე-  
ლებდა ქვეყანას და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შე-  
აფერხებდა, ხელს შეუშლიდა დაკარგული ქართული სახელმწიფოებრი-  
ობის აღდგენას. ეს პროცესი მთელი XX საუკუნის დასაწყისში – 1900-  
1918 წლებში გრძელდებოდა. როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა  
გამოაცხადა, რუსული მიგრაცია არათუ შეწყდა, არამედ რუსთა დიდი  
ნაწილი წავიდა კიდეც საქართველოდან. ყველაზე დიდი მიზეზი ამ მო-  
ვლენისა იყო ის, რომ რუსი ეროვნების მოქალაქეები ემხრობოდნენ რუ-  
სეთის სახელმწიფოს პოლიტიკას საქართველოში არ აღიარებდნენ ქვე-  
ყნის დამოუკიდებლობას და მის დაბრუნებას მოითხოვდნენ რუსეთის  
შემადგენლობაში. საქართველოს ხელისუფლება მათ ამგვარ დამოკიდე-  
ბულებას ანტისახელმწიფოებრივ აზროვნებად თვლიდა და ყოველმხრივ  
ებრძოდა. რუსეთის სახელმწიფოს ანტიქართული პოლიტიკა, ძირითა-  
დად სამაჩაბლოსა, აფხაზეთსა და აჭარაში მყარდებოდა, სამაჩაბლოში  
მცხოვრებ ოსებსა და აფხაზებში მათ სეპარატისტული იდეები გააღვი-  
ვეს, თუმცა საქართველოს ხელისუფლებამ ეს სეპარატიზმი დაძლია და  
თავისი სრული იურისდიქცია გაავრცელა საქართველოს ამ რეგიონე-  
ბში. რაც შეეხება აჭარას, აქ იმდენად დიდი იყო ქართული ეროვნული,  
პატრიოტული გრძნობები, რომ მტრის აგიტაციამ ვერავითარი შედეგი  
ვერ გამოიღო.

## თავი II

რუსეთის პოლიტიკა საქართველოში 1907-1914 წლებში და  
ქართული საზოგადოებრივი აზრი

რევოლუციის დამარცხების შემდეგ რეაქციის შეტევა საქართველოს მიმართ გამოიხატებოდა არა მარტო რევოლუციონერთა დაჭერა დაპატიმრებებით, მათი ახლობლების ოჯახთა დარბევით, არამედ რუსული კოლონიზაციის გააქტიურებით, რელიგიური და ტერიტორიული პრეტენზიების ნიშნით კავკასიის ერთა დაპირისპირებით, ქართული ენის სწავლების შეზღუდვით საქართველოს სკოლებში და ა.შ. ცარიზმი ჩვეული მეთოდებით ეწეოდა ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთწაკიდების პოლიტიკას, „დაპყავი და იბატონე“—ს პრინციპით ცდილობდა მათ გათიშვას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამარცხებას.

მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა, გარკვეული მოსაზრებით, მფარველობის ქვეშ აიყვანა სომხური ბურჟუაზია და მისი პარტია „დაშნაკ-ცუთიუნი. ცარიზმის სატრაპო მსხარდაჭერა ე.წ. „დიდი სომხეთის“ აღდგენისათვის ბრძოლაში სომები ნაციონალისტებს ამიერკავკასიაში უპირატესობის რწმენას უნერგავდა და აღუძრავდა იმედებს, რომ თურქეთის შემადგენლობაში მყოფ სომხურ ტერიტორიებსაც მიიერთებდა. ასეთმა განწყობილებამ წააქეზა თურქეთში მცხოვრები სომხები, რომლებმაც 1914-1918 წლების I მსოფლიო ომში მხარი დაუჭირეს რუსეთს და მიიღეს ის საშინელი ხოცვა-ულეტა, რაც თურქეთმა გენოციდის ფორმით მოუწყო მათ 1915-16 წლებში.

კავკასიის მეფისნაცვალი ცდილობდა მოეგო დემოკრატიული ძალების გული და აქეზებდა ლიბერალურ მოძრაობას და კავკასიაში ერობათა შემოღების მომხრედ გამოდიოდა. საერობო რეფორმის საკითხებე ეწყობოდა შეკრებები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. სომხური პარტია და სომხური ინტელიგენცია ცდილობდა საერობო რეფორმის გატარებისას თავისი ტერიტორიული პრეტენზიები დაეკმაყოფილებინა, რასაც ქართველი ინტელიგენცია პრინციპულად აღუდგა წინ. მან ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას დაუპირისპირა საერთაშორისო სამა-

რთლებრივი ნორმებით ბრძოლა, თუმცა არჩილ ჯორჯაძეს ნაკლები იმედი ჰქონდა ამ ტიპის ბრძოლისა, მაგრამ ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ მაინც მიმართა ამ ხერხს. 1907 წელს პააგაში შეიკრიბა მსოფლიოს სახელმწიფოთა II კონფერენცია, რომელსაც 27 ქვეყანა ესწრებოდა. მიზანი იყო რიგ კონვენციათა მიღება, რასაც საერთაშორისო სამართლებრივი უფლებებით უნდა შეეზღუდა ზოგიერთი ქვეყნის აგრესიული მისწრაფებები.

კონფერენციას წარედგინა ქართველ მოღვაწეთა პეტიცია, რომელიც შეადგინეს: მიხაკო წერეთელმა, გიორგი გვაზავამ და ვარლამ ჩერქეზიშვილმა. მასზე გაკეთებული იყო უამრავ ქართველ მოღვაწეთა ხელმოწერაც, რაც ადასტურებდა პეტიციისადმი ქართველი ხალხის საერთო დამოკიდებულებას. პეტიციის შინაარსი ასეთი იყო: რუსეთმა დაარღვია 1783 წლის ხელშეკრულება, მოახდინა საქართველოს ანექსია, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვა ამ ქვეყნისათვის. პეტიცია მოუწოდებდა პააგის კონფერენციის მონაწილეებს, დახმარებოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე.

პეტიცია პააგაში ვარლამ ჩერქეზიშვილმა ჩაიტანა. იგი კონფერენციის მონაწილეებს დაურიგდა 26 ივნისის სხდომაზე ბელგიელი პროფესორის – ერნსტ ნინსის დახმარებით. კონფერენციამ მოისმინა პეტიცია, თანაგრძნობაც გამოხატა საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი, მაგრამ რაიმე გადაწყეტილების მიღებისგან თავი შეიკავა.

პეტიციის გახმაურებას ხელი შეუწყო მისმა დაბეჭდვამ ბელგიის, აშშ-ს და ინგლისის პრესაში. ინფორმაციები ქართველი ხალხის მდგომარეობაზე და რუსეთის კოლონიურ პოლიტიკაზე საქართველოში – დაიბეჭდა ესპანეთისა და სხვა ქვეყნების ურნალ-გაზეთებში.

ვ. ჩერქეზიშვილის სიტყვით, პეტიცია იყო „სილა ნიკოლოზ II-ის მთავრობისა მთელი განათლებული ქვეყნების წინაშე“. პირველად დაიწყო მსოფლიო პროგრესულმა აზრმა ქართველი ხალხის პრობლემის

გათავისება და მასზე მსჯელობა. საქართველოს საკითხი საზღვარგარეთ გავიდა.<sup>1</sup>

ცნობილი მეცნიერი ალექსანდრე ცაგარელი პააგაში წარმოდგენილი პეტიციის გამოძახილად მიიჩნევდა იმას, რომ ნიკოლოზ II-მთავის საგარეო საქმეთა მინისტრს დაავალა მოხსენებითი ბარათის მომზადება იმის შესახებ, თუ რა საფუძველზე იქნა საქართველო რუსეთთან შეერთებული 1801 წელს. ამგვარი მოხსენება საარქივო მასალების მოშველიებით იმ დროს მართლა მოუმზადებიათ.<sup>2</sup>

პეტიციისათვის საერთაშორისო რეზონანსის მიცემა ვერ მოხერხდა, რადგან რუსეთი ამ დროს მკაცრი ზომებით ებრძოდა „სეპარატიზმს“, ქართველი ინტელიგენციის ეროვნულ იდეალებს, რეპრესიებს ატარებდა მის მიმართ, რისი დამადასტურებელი საზარელი ფაქტიც იყო დიდი ილია ჭავჭავაძის მკვლელობა 1907 წლის 30 აგვისტოს. გაზეთ „ისარში“ გამოქვეყნებულმა ცნობამ ილიას მკვლელობის შესახებ მთელი საქართველო შეძრა. ეს დღეები სახალხო გლოვის დღეებად იქცა საქართველოში. სიონის საკათედრო ტაძარში დასვენებულ დიდ მოძღვარს მთელმა საქართველომ მიაგო პატივი. ილიას მკვლელობის ვერაგული აქტი მთელი ქართველი ხალხის წინააღმდეგ იყო მიმართული. უნდა დარღვეულიყო ერის მთლიანობა, სულიერი მოძღვრის ჩამოშორებით, ერის საბრძოლო განწყობილება უნდა დაცემულიყო.

ჯერ კიდევ I რევოლუციის დროს სცადა რუსეთმა შეერბილებინათავისი პოლიტიკური კურსი კავკასიის მიმართ, მაგალითად, აღმოეფხვრა აგრარული საკითხის ისეთი ნაკლი, როგორიც იყო დროებითვალდებულთა და ხიზანთა ინსტიტუტები, გაეტარებინა საერობო რეფორმა.

1905 წლის ნოემბერში ვორონცოვ-დაშვერია იმპერატორს წარუდგინა კანონპროექტი დროებითვალდებულების ინსტიტუტის გაუქმებისა და ხიზანთა კერძო მესაკუთრეთა კატეგორიაში გადაყვანის შესახებ.

მეფისნაცვლის აზრით, მიწები ორივე ამ კატეგორიას უფასოდ უნდა მიეღო, რადგან გლეხთა ხარჯზე მემამულებისათვის საზღაურის მიცემა აღიქმებოდა უსამართლობად და ეს ხელს არ შეუწყობდა რევოლუციური მასის დაწყნარებას, ცენტრში ეს კანონპროექტი დაიწუნეს, ხაზინის ხარჯზე აგრარული რეფორმის გატარება შეუძლებლად ცნეს. რევოლუციის დამარცხების შემდეგ მეფისნაცვალმაც შეიცვალა აზრი და ცენტრიდან მოსული მითითებების შესაბამისად დაიწყო კანონპროექტის დამუშავება.

ვორონცოვ-დაშკოვის პირველი რადიკალური პროექტის ჩავარდნამ ქართული საზოგადოების ადშფოთება გამოიწვია. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც შეადგინა ვრცელი მოხსენებითი ბარათი, რაც საფუძვლად დაედო 1908 წლის დეკემბერში რუსეთის სათათბიროში სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ წამოყენებულ მოთხოვნას, სადაც ძირითადად 2 პუნქტი იყო: 1. სასწრაფოდ გაუქმებულიყო დროებითვალდებულობა, ყოველგვარი საზღაურის გარეშე; 2. ყველა კატეგორიის გლეხი გათავისუფლებულიყო და მათ სარგებლობაში მყოფი მიწები საკუთრებაში მისცემოდათ.

ამ კანონპროექტს ხელი არ მოაწერა ვორონცოვ-დაშკოვმა, რადგან რევოლუცია უკვე დამარცხებული იყო და სტოლიპინის მკაცრი რეფორმების გატარება მიმდინარეობდა რუსეთის იმპერიაში. მან დაიწყო გადამუშავება თავისი კანონპროექტის, სადაც გლეხებს თავიანთი ნადელები თვითვე უნდა გამოესყიდათ.

ეს კანონპროექტი არ მოეწონა, ბუნებრივია, არც გლეხებს, და არც ქართველ თავადაზნაურობას, რომელთა მთავარი შენიშვნა ასეთი იყო: თავადაზნაურობა უფასოდ ვერ დათმობდა თავის მიწებს, გლეხებს მისი გამოსასყიდი ფული არ ჰქონდა, ამიტომ აგრარული რეფორმის გატარების ხარჯები ხაზინამ უნდა იკისროსო. თუ არადა, მთავრობას მოეხსენება სოციალ-დემოკრატია პროგრამა, მემამულეთა მიწების კო-

ნფისკაციას რომ ითვალისწინებს, სარგებლობს გლეხთა მხარდაჭერით იმიტომ, რომ მათ არა აქვთ სახსრები ნადელების გამოსყიდვისა და სხვა მიწების ყიდვისთვისო.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა კრებებმა ცალ-ცალკე შეადგინეს თავიანთი პროექტები დროებითვალდებულობის შესახებ. მეფისნაცვალმა აქედან მხოლოდ რამდენიმე შენიშვნა გაითვალისწინა და პროექტი სახელმწიფო სათათბიროს გადასცა დასამზადებლად 1911 წლის სექტემბერში. ეს პროექტი ძირეულად განსხვავდებოდა 1905 წლის პროექტისგან. მისი აზრით, თუ გლეხები არ გამოისყიდდნენ მიწებს და უსასყიდლოდ მიიღებდნენ მას, გადავიდოდნენ მესაკუთრეთა კატეგორიაში მემამულეთა ხარჯზე, ეს შექმნიდა საშიშ პრეცენდენტს, წყალს დაასხამდა სოციალ-დემოკრატთა წისქვილზე, გაუადვილებდა მათ მემამულეთა მთელი მიწების კონფისკაციის პროგრამის განხორციელებას.

1912 წლის 9 ივნისს ვორონცოვ-დაშკოვის პროექტი რუსეთის სათათბირომ მოიწონა, 1912 წლის 20 დეკემბერს კი იმპერატორმა დაამტკიცა იგი. გლეხობა სახელმწიფოს მოვალე გახდა, ყოველწლიურად ხაზინაში მას იმდენი თანხა უნდა შეეტანა, რაც ნაკლები არ იყო მემამულეების წინაშე ვალდებულებისგან.

თუ დროებითვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის გაუქმებამ, მიუხედავად ხარვეზებისა, საზოგადოებაში არ გამოიწვია ხმაური, პირიქით მოხდა ხიზნობისადმი ხელისუფლების დამოკიდებულებაზე. ხიზნებისთვის მამულების დაკანონებას ქართული მოწინავე საზოგადოებრივი აზრი ეწინააღმდეგებოდა, განსაკუთრებით ეს ეხებოდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების მოაზროვნებს, ხიზნები უმთავრესად ოსები იყვნენ, ან სომხები. მათთვის ქართული მიწების გადაცემა საზოგადოებას უკანონობად მიაჩნდა. ქართველ მოდგაწებს ხიზანთა საკითხი ეროვნული პრობლემის ნაწილად მიაჩნდათ და ქართული მიწის ქა-

როველთა საკუთრებაში დატოვებას ითხოვდნენ. რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შედეგი, მათი განცხადებით, ის იყო, რომ საქართველოს მიწის ფონდზე ქართველთა უფლება შეიზღუდა, მის ხარჯზე სხვა ერის წარმომადგენლების მიწათმფლობელობა გაფართოვდა, რამაც გააძლიერა ეროვნებათაშორისი შუღლი და მტრობა.

ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი სწორედ რუსულ პოლიტიკას აბრალებდა ამ შუღლის გადვივებას.

XX საუკუნის პირველ ათწლეულში რუსეთის ცარიზმა უარი თქვა კოლონიური საქართველოს გლეხობა მეტროპოლიის გლეხობისათვის გაეთანაბრებინა. აქ 1917 წლამდე რჩებოდა ნახევრადბატონყმური ინსტიტუტი ხიზნობისა და სახელმწიფო გლეხთა ხაზინისადმი დამორჩილების დრომოჭმული სისტემა.

ქართველი მამულიშვილები ცდილობდნენ გამოსავალი მოეძებნათ, არ ჩაეგდოთ ქართული მიწა უცხოელთა ხელში, დახმარებოდნენ ადგილობრივ გლეხობას მის შეძენაში. ამ მიზნით, 1907 წელს, აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულომ შექმნა საადგილმამულო კომისია, რომელსაც საშუამავლო როლი დაეკისრა გლეხებსა და მემამულეებს შორის. კომისიაში შედიოდნენ: მიხეილ მაჩაბელი, კოტე აფხაზი, ეგნატე იოსელიანი, ალექსანდრე ყიფშიძე და სხვები. მათ შეადგინეს გლეხებისადმი მიმართვის ტექსტი, სადაც იყო მტკიცება, რომ მამულის შეძენა მხოლოდ ყიდვით იყო აუცილებელი და შესაძლებელი, ამ კომისიის დამსახურებით 1907-1913 წლებში აღმოსავლეთ საქართველოს 11 ათასამდე გლეხმა 2,2 მილიონ მანეთად შეიძინა 47 ათასი ჰექტარი მიწა. მაგრამ კომისიის მუშაობას ხელს უშლიდა რუსეთის სახელმწიფო საგლეხო ბანკის ამიერკავკასიის განყოფილება, რომელიც დიდი რაოდენობით მიწებს იძენდა ჩამოსახლებული რუსი და სხვა ეროვნების გლეხებისათვის.

არჩილ ჯორჯაძე გულისწყრომით წერდა ამ ფაქტზე და საზოგადოებას მოუწოდებდა – არ ყოფილიყო გულგრილი ამ მამულიშვილური ფაქტისადმი

მართალია, სოციალ-დემოკრატებს არ ანაღვლებთ, ვინ დაეპატრონება ქართულ მიწას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მათაც უნდა შეიგნონ, რომ ამით დიდ შეცდომას უშვებენო. მიუხედავად ჩვენი მემამულებისა და გლეხთა წინააღმდეგობისა, ხალხის საერთო კეთილდღეობა მოითხოვს, რომ მამული ქართველს დარჩეს, გლეხია იგი თუ თავადიო, – წერდა პატრიოტი მოღვაწე და წინადაღებას აყენებდა შექმნილიყო ეროვნული ბანკი, ქართული მიწის ფონდის განკარგვას რომ ჩაუდგებოდა სათავეში. ეროვნული ბანკი შეისყიდდა მიწებს, წვრილ ნაკვეთებად დაყოფდა და გრძელვადიანი კრედიტებით მიჰყიდდა შემდეგ ქართველ გლეხობას.

რუსეთის კოლონიური პოლიტიკის იდეოლოგიურ საფუძვლებს საქართველოში გამომავალი რუსული პრესა, ასევე სხვა ანტიქართული ურნალ-გაზეთები ემსახურებოდნენ. ისინი სისტემატურად აკრიტიკუდნენ მოწინავე ქართველი ინტელიგენციის დამოკიდებულებას აგრარული რეფორმის, საერობო კანონმდებლობის გატარების, რევოლუციის წინააღმდეგ მიმართული რეპრესიების, რუსული კოლონიზაციის, ქართული ენის სტატუსის მიმართ და იცავდნენ იმპერიული წრეების ინტერესებს.

ამ მხრივ რუსულმა და პრორუსულმა შოვინისტურმა პრესამ, რომელიც საქართველოში გამოდიოდა საუკუნის პირველ ოცწლეულში, უარყოფითი როლი ითამაშა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, გახლიჩა საზოგადოებრივ-მოლიტიკური წრეები, დააპირისპირა ისინი ერთმანეთან, ხელი შეუწყო ტერორს, ეროვნულ ძალთა რეპრესიებს, შეეცადა ეროვნულ ფასეულობათა დაკნინება-დევალვაციას და ა.შ. ეს იყო ყველაზე მძიმე ხანა საქართველოს ცხოვრე-

ბაში, როდესაც ე.წ. დასებად დაშლილი ქართველი ინტელიგენცია სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა ერთმანეთს და საზოგადოებრივი ინტერესები პირად შედლსა და მტრობაზე გაცვალა.

ქართული ინტელიგენცია ეროვნული პრესის ფურცლებიდან აკრიტიკებდა რუსეთის პოლიტიკას და მის იდეოლოგებს.

1909 წლის 6 იანვრის გაზეთი „დროება“ რუსული პოლიტიკის კრიტიკას შემდეგ ფორმას აძლევდა: ის იგონებდა „ჰამლეტის“ მონოლოგს, სადაც დანიის პრინცი, სასოწარკვეთილი და შეურაცხყოფილი, გმობდა თავის თავს და შეურაცხყოფაზე დაბლა მდგომად აცხადებდა: თუგინდ პირში ჩამაფურთხოთ, ვერ ვიგრძნობ, ისე დაცემული ვარო.

„დროების“ პუბლიცისტი მკითხველებს საპირისპიროში არწმუნებდა: ყველა ადამიანი, მით უმეტეს ერი, შეურაცხყოფაზე მაღლა უნდა იდგეს და ბოლომდე ებრძოდეს უკანონო დამცირებასო. აი, როგორ აანალიზებდა რუსეთის ანტიქართულ პოლიტიკას გაზეთი: „არცერთი გონიერი ადამიანი არ უნდა შეურაცხყოდეს ნაციონალურ გრძნობებს... ნაციონალურ შეურაცხყოფას სიფრთხილით უნდა ექცეოდეს პრესა, რომელსაც ერთის მხრივ საჯარო ხასიათი აქვს, მორეს მხრივ გამომხატველია არაერთის კალმოსნის ფიქრისა, არამედ მთელის ჯგუფებისა. ეს საანბანო ჭეშმარიტება შეუძლებელია არ იცოდნენ იმ რაინდებმა, რომლებიც ტფილისში გაზეთ „გოლოს კავკაზას“ გარშემო ტრიალებენ. იციან, ძლიერ კარგად იციან, მაგრამ მათ ალბათ ქართველ ერზე ექსპერიმენტის მოხდენა განიზრახეს და საახალწლო ნომერში ისეთი დამამცირებელი ძღვენი მიართვეს მას, რომ უარესი სწორედ ძნელი წარმოსადგენია. რუსული პატრიორტიზმი ჩვენ დროში ფოლადის ჯავშანია, ვინც ამ ჯავშანში ჩაჯდება, იმას ყველაფრის თქმა შეუძლიან, უფრო მეტიც, იმას შეუძლიან დამამცირებელი კითხვები დაგიყენოს წინ და განცხრომილი და დარწმუნებული ბრძანდებოდეს, რომ პასუხს ვერ მიიღებს. ვერ მიიღებს იმიტომ, რომ ვისაც ეკითხება, იმას პირში ბუ-

რთი აქვს ჩატრილი, მოგვაწოდეთ სწორი ცნობები იმის შესახებ, თუ სად, როდის და რით გამოიხატა ქართული კულტურის სიდიადეო“, – ბრძანებს „გოლოს კავკაზა“და შემდეგ განმარტავს: „ჩვენ, ე.ი. რუსებმა გაგასუფთავეთ, გაგწმინდეთ... და მოგეცით განათლებაო“ ამაზე შორს ნაციონალური თავმოყვარეობის შელახვა, ვიქრობ, ვეღარსად წავა“. შემდეგ „დროება“ ჩამოთვლიდა რუსი პატრიორტი „კულტურტრეგერების“ ნამუშაკევს: სკოლას და ცოდნას რუსიფიკაციის იარაღად ხმარობდნენ, ამ მიზნით მოსპეს ქართული სასწავლებლები, სისტემატიურად აჩანაგებდნენ ქართველი ხალხის ეკონომიკურ სიმდიდრეს, მიიათვისეს საქართველოს ეკლესიის ქონება და საქართველოს მიწაზე, ეროვნული აღრევის მიზნით, ათასი ჯურის ხალხი ჩამოასახლესო.<sup>3</sup>

„დროებამ“ დაბეჭდა ცნობილი პუბლიცისტის, არჩილ ჯაჯანაშვილის რეცენზია რუსი ავტორის – ევრეინოვის წიგნზე, რომელიც საქართველო-რუსეთის ურთიერთობას ეხებოდა. ამ წიგნზე რეცენზია გაზეთმა „ამირანმაც“ გამოაქვეყნა. ორივე ეს გაზეთი სოციალისტ-ფედერალისტური მიმართულების იყო.

ჯაჯანაშვილის აზრით, წიგნი ოფიციალური რუსეთის ინტერესებს გამოხატავდა. „კავკასიას ისე უნდა უყუროთ, როგორც რუსეთის კოლონიასო, – წერს რუსეთის პატრიოტი. – კოლონიის არსებითი მნიშვნელობა კი სახელმწიფოსათვის იმაში მდგომარეობს, რომ იმის ყოველნაირ გონებას თავის სასარგებლოდ იყენებს. კოლონია წყაროა სახელმწიფოს ექსპლოატაციისათვის რადგან კავკასიას ისე ვუყურებთ, როგორც კოლონიას, ამიტომ პოლიტიკაც და მუშაობაც ისეთი უნდა იყოს იქ, როგორც კოლონიას შეეფერებაო. კავკასიის მედგარი ბუნება რუსეთმა თავის სასარგებლოდ უნდა გამოიყენოსო“.

ჯაჯანაშვილის აზრით, ევრეინოვი რუს მყვირალა პატრიოტზმზე მაღლა იდგა, რადგან პრაქტიკულ რჩევებს იძლეოდა საქართველოს, როგორც რუსეთის კოლონიის ათვისებაში.

ჯაჯანაშვილის გულისწყრომას იწვევდა წიგნის ავტორის დამოკიდებულება კავკასიელი ერებისადმი. ევრეინოვის აზრით, უნდა მომხდარიყო იმ წვრილ ერთა ასიმილაცია, რომლებიც კავკასიაში ცხოვრობდნენ. ამისთვის რეპრესიებს არ ემხრობოდა რუსი ავტორი, რადგან ეს კიდევ უფრო გააღვივებდა კავკასიელთა ეროვნულ გრძნობებს. უველაფერი ნელ-ნელა, ხალხისგან უჩუმრად უნდა მომხდარიყო. ეს, უპირველესად, რუსულ ენაზე განათლების დანერგვას ეხებოდა, რადგან კულტურის გასაგრცელებლად უპირველესი ენა იყო. რუსული კულტურა ნაძალადევად უნდა გადმონერგილიყო ქართულ ნიადაგზე, ამით ადგილობრივი კულტურა შევიწროვდებოდა და საბოლოოდ გაქრებოდა კიდეც.

არჩილ ჯაჯანაშვილის სწორი შენიშვნით, ასეთი პოლიტიკა რუსეთს ევრეინოვის რეკომენდაციებზე ადრე პქონდა შემუშავებული. პუბლიცისტი ეხებოდა გადმოსახლებულთა პრობლემასაც და მას რუსეთის მიერ საქართველოს საბოლოოდ დასაჩიქებლად გამიზნულს უწოდებდა.<sup>4</sup>

1908 წლის არჩევნების შემდეგ, III სახელმწიფო სათათბიროში გასული ქართველი დეპუტატები – ევგენი გეგეჭკორი და კარლო ჩხეიძე სათათბიროს სხდომებზე აყენებდნენ ქართველი ხალხის პრობლემებს, პიროვნების თავისუფლების, სოციალური საკითხების მოგვარების აუცილებლობას, მაგრამ არ საუბრობდნენ პოლიტიკურ ავტონომიაზე, რადგან ეს არ შედიოდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა პარტიულ პროგრამაში. „თუ ოდესმე მე დამევალა დეპუტატის მოვალეობა, – წერდა არჩილ ჯორჯაძე, – ჩემი მუშაობა პარლამენტში არ დაემსგავსება კარლო ჩხეიძისა და მისი ამხანაგების მუშაობას. შესაფერ მომენტში ჩვენ წამოვაყენებდით რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში საქართველოს ავტონომიის საკითხს და უფლებრივ საფუძველს დავუდებდით ეროვნულ მისწრაფებათა განხორციელების საქმეს“.<sup>5</sup>

ეროვნული საკითხის გამწვავება ამიერკავკასიაში ხდებოდა სო-  
მეხ-ქართველთა და სომეხ-აზერბაიჯანელთა დაპირისპირებით. რუსეთის  
III სახელმწიფოს სათათბიროში გამოსულმა სომეხმა დეპუტატმა საღა-  
თელიანმა ისაუბრა ერობის შემოღებასა და ქართველ-სომეხთა შეუთა-  
ვსებლობაზე, რისთვისაც აუცილებლობად ჩათვალა რუსული კოლონი-  
ზაციის გაძლიერება აღმოსავლეთ საქართველოში. ამან ძალზე გაანა-  
წყენა სათათბიროს ქართველი დეპუტატები და ქართველი ხალხი. სა-  
ღათელიანის სიტყვა გაზეთ „ზაკავკაზიე“-ში გამოქვეყნდა, რასაც კომე-  
ნტარი გაუკეთეს ქართულმა გაზეთებმა. „ბ-ნი საღათელიანი დაშნაკცუ-  
თიუნის წარმომადგენელია, – წერდა „დროება“, რამდენიმე წლის წი-  
ნათ დაშნაკცუთიუნი ჩვენთან სოლიდარობას და მეგობრობას ჰქადაგე-  
ბდა, ეხლა კი გვეუბნებიან, რუსეთის რეაქციონურ მთავრობას უნდა მი-  
კვეთ ხელი, რუსების კოლონიზაციასაც სიხარულით მივეგებოთ, ქა-  
რთველებსა და სომხებს შორის არსებული უთანხმოება გავაღრმა-  
ვოთ. დაშნაკცუთიუნის დეპუტატი შიშით არის შეპყრობილი, ქართვე-  
ლებმა არ გაგვსრისონო და მას ერთდაერთი აზრი აქვს, მთავრობის  
დახმარებით დავამხოთ ჩვენი მტერი ქართველობაო. მეტად გულა-  
ხდილი აღსარებაა“.

გაზეთის აზრით, „პროპორციული წარმომადგენლობის“ იდეა,  
რაც სომხებმა ერობის შექმნისთვის წამოაყენეს, ქართველების წინა-  
აღმდეგ მიმართული იარაღი იყო. სომეხი დეპუტატი „თავხედური გუ-  
ლახდილობით აღიარებს, რომ საჭიროა ხელი შევუწყოთ მთავრობას  
საკოლონიზაციო საქმეში, ე. ი. იმაში, რომ ქართველებს ტერიტორია  
გამოვაცალოთ, თუ ეს ერობის შემოღების გამო ითქვა, მაშინ რაღას  
იტყვიან საქართველოს ავტონომიური სახელმწიფოს შექმნისას“-ო.<sup>6</sup>

ქართველი მოღვაწეები რევოლუციის შემდგომ პერიოდს გარდა-  
მავალ ხანას უწოდებდნენ, მიაჩნდათ, რომ საქართველოს ამ დროში  
უნდა აღედგინა ეკონომიკურ-პოლიტიკური ძალები დაკარგული სუვერე-

ნიტეტის აღსადგენად. ამ საკითხს ეხებოდა არჩილ ჯორჯაძე 1909 წელს „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილში – „გარდამავალი ხანა“.?

1909 წელს მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით აღინიშნა რუსი მოღვაწის – ა. ს. სუვორინის მოღვაწეობის 50 წლისთავი. ქართულმა ეროვნული მიმართულების პრესამ ამ დროს მკაცრად გააკრიტიკა ეს პიროვნება და მის მთავარ „დამსახურებად“ „ინოროდცების“ წინააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებული წარმატებები აღნიშნა.

„ჩვენ, არა-რუსთ, არ შეგვიძლიან ორიოდ სიტყვით არ გამოვთქვათ ის მწარე გრძნობა, რომელსაც გვიღვიძებს ამ მოღვაწის დღესასწაული, – წერდა გაზეთი „დროება“. – არსად ისე დამცირებული და აბუჩად აგდებული, მიწასთან გასწორებული არ არის უცხო ერი „გაბატონებული“ ერისაგან, როგორც რუსეთში. ევროპის არცერთ ხალხს არ შეუქმნია განსაკუთრებული ტერმინი დამონებული ერებისათვის, მხოლოდ რუსეთმა მოიგონა სიტყვა „ინოროდცი“ და მთელი თავისის შოგინისტურის შხამით გაუღინოა ეს სიტყვა“. გაზეთის პუბლიცისტები გმობდნენ რუსეთის თავადაზნაურთა კრებებზე გამომსვლელთა, სახელმწიფო საბჭოს დეპუტატთა და უურნალისტთა აზრებს, სადაც რუსეთის მარცხიც კი იაპონიის ომში არარუსებს, ე. წ. „ინოროდცებს“ ბრალდებოდა, თბილისში მომხდარი კრიმინალური შემთხვევებიც კი „ინოროდცთა“ რუსებისადმი სიძულვილით იყო ახსნილი. „ინოროდცებისადმი მტრობა და ზიზღი ამჟამად უმწვერვალეს წერტილამდე ავიდა, ვინ იცის, რა ცუდ დღეებს გვიქადის კიდევ რუსეთის ახლო მომავლის ისტორია“-ო, – კითხულობდა „დროების“ პუბლიცისტი. სუვორინსა და მის გაზეთ – „ნოვოე ვრემია“-ს ამაში დიდი წელილი ჰქონდა შეტანილი. სიტყვა „ინოროდცის“ შექმნასაც კი „დროება“ სუვორინს უკავშირებდა. გაზეთს ამის დამადასტურებლად მოქმედდა მისი გაზეთის სიტყვები: „უიდ“, „პოლიაკ“, „გრუზინ“, „არმიანინ“ და სხვა, მიაჩნდა, რომ

რუსულმა შოვინიზმა დაღუპა და კრიზისში ჩააგდო დიდი სახელმწიფო.<sup>8</sup>

ქართველთა უფლებობით შეწუხებული მამულიშვილები ხშირად მიმართავდნენ რუსეთის ცნობილ მწერლებსა და მეცნიერებს, საზოგადო მოღვაწეებს, რათა მათ გულამდე მიეტანათ ქართველი ხალხის გასაჭირი, ესარგებლად მათი მხარდაჭერით, უსამართლობით დაწაგრული ერის დასაცავად ეფექტურად გამოეყენებინათ მჩაგვრელი ერის შვილები. ამ მხრივ აღსანიშნავია ცნობილი ქართველი მოღვაწის, შემდეგში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრის, ქუთაისელი დათა მიქელაძის წერილი დიდი რუსი მწერლის – ლევ ტოლსტოისადმი, რომელიც 1908 წლის 18 მარტს გაიგზავნა. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ეს წერილი სრულად მოაქვს თავის ვრცელ მეცნიერულ მონოგრაფიაში „ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან“ მკვლევარ ოთარ ჯანელიძეს და სათანადო კომენტარსაც უკეთებს მას.<sup>9</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ლევ ტოლსტოის და მის მსგავს დიდ რუს მოღვაწეებს არ შეეძლოთ მორალურს გარდა რაიმე პრაქტიკული დახმარების გაწევა, ქართველი ხალხი მაინც ნახულობდა შვებას ამ ადამიანთა თანაგრძნობაში და მომავლის იმედიც უფრო ადგილად უჩნდებოდა.

ქართველი ერის უფლებებზე, მისი მომავლის შესახებ ბევრს წერდა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების პრესა. აღსანიშნავია გაზეთ „ერში“ გამოქვეყნებული წერილები – „ერის უფლება“, რომელსაც ხელს აწერდა პუბლიცისტი – ატონ-ის ფსევდონიმით. ეს იყო ცნობილი ქართველი ანარქისტის – მიხაკო წერეთლის ფსევდონიმი. „სუვერენობა ერის იდეალია, – წერდა იგი; იგი აღიარებული უნდა იყოს სამართლისაგან და ზნეობისაგან, მოწინავე აზრისაგან, და როდესაც ერი მიისწრაფვის ამ იდეალისადმი, სამართალმა მას დახმა-

რება უნდა გაუწიოს, მოწინავე აზრმა ტაში უნდა დაუკრას მაგრამ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი აღიარებს მხოლოდ სახელმწიფოთა უფლებას და არა ერის უფლებას, რომელიც დათრგუნვილია სწორედ ამ სახელმწიფოთა მიერ თვით ფაქტი ერის არსებობისა, ერს არ ხდის თანამედროვე საერთაშორისო სამართლისათვის უფლებამოსილ სოციალურ ინდივიდად, როგორც უბრალო სამართალი უბრალო ინდივიდისა, არამედ ძალა, ომი, განთავისუფლება და დამარცხება ყოფილ პატრონისა. მხოლოდ ასეთის ძალის გამოჩენის შემდეგ იდებს საერთაშორისო სამართალი ერს თავის სფეროში, – მხოლოდ მაშინ, როცა იგი გახდება სახელმწიფოდ“.<sup>10</sup>

## §1. ქართველი დეპუტატები რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში

1906 წელს, I სახელმწიფო სათათბიროში საქართველოდან სოციალისტ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს: სათათბიროს მოწვევა მოხდა რუსეთის იმპერატორის 1906 წლის 20 თებერვლის ბრძანებით. ძირითადი კანონების შედგენის უფლებას იმპერატორი იტოვებდა, სათათბიროს შეეძლო ამ კანონთა გადასინჯვა და შესწორებების შეტანა მასში, თუმცა მეფემ სათათბიროსგან დაცვის მექანიზმიც დაიტოვა. ეს იყო სახლმწიფო საბჭო, რომელიც ერთაგვარად „ზედა პალატის“ როლს ასრულებდა, შეეძლო სათათბიროს მიერ შედგენილი კანონ-პროექტების უარყოფა. მთავარი უფლებები იმპერატორსა და მთავრობას რჩებოდა, სადაც დანიშნული მინისტრები იყვნენ და, ბუნებრივია, ცარიზმის ინტერესებს იცავდნენ.

ამიერკავკასიას თავდაპირველად წარმომადგენლობაც კი არ მოსცეს სათათბიროში. არჩევნები აქ არ გაიმართებოდა, რამაც იმდენად დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ამიერკავკასიის ქვეყნებში, უპირველესად ქართველ ინტელიგენციაში, რომ ხელისუფლება იძულებული გა-

ხდა სპეციალური კომისია შეეღგინა საკითხის შესასწავლად. ფ. სოლსკის მიერ ორგანიზებულ კომისიაში ქართველი ერის წარმომადგენლები – ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი ურული და სხვები მონაწილეობდნენ. ფაქტობრივად ამიერიკავკასიის დელეგაციის მეთაური ილია ჭავჭავაძე იყო, რომელმაც გაბედულად დაგმო ანტიქართული რუსიფიკატორული პოლიტიკა ხელისუფლებისა და კავკასიის თვითმმართველობა მოითხოვა. რუსეთი დათმობაზე წავიდა, – საარჩევნო წესები კავკასიისთვისაც შემუშავდა.

სულ 8 დეკემბერი აირჩა. წინასაარჩევნო ბრძოლა მწვავე იყო. არცერთ ქართულ პარტიას არ სურდა რუსული კადეტთა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის გამარჯვება, თუმცა ქართულ პარტიებსაც ერთმანეთში თანხმობა არ ჰქონდათ, მათი პოზიციები განსხვავდებოდა რუსეთთან ურთიერთობის, ავტონომიის, სოციალ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური საკითხების მიმართ.

I სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები იყვნენ: სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან: ნ. ქორდანია, ივ.გომართელი, ს. ჯაფარიძე, ი. წერეთელი, ი. რამიშვილი; სოციალ-ფედერალისტებიდან – იოსებ ბარათაშვილი, კადეტებიდან: ალ. ხახანაშვილი, მემარჯვენებიდან მემამულე კ. შარვაშიძე.

I სახელმწიფო სათათბირომ 1906 წლის 27 მაისს დაიწყო მუშაობა, სოციალისტ-ფედერალისტები „ტრუდოვიკების“ ფრაქციაში გაერთიანდნენ, სოციალ-დემოკრატებმა კი ცალკე ფრაქცია შექმნეს, სადაც ქართველები იყვნენ წამყვანნი.

12 ივნისის სხდომაზე გამოსულმა ისიდორე რამიშვილმა ამხილა მეფის რუსეთის ანტიხალხური პოლიტიკა, მოითხოვა მისი გადადგომა.

სოციალისტ-ფედერალისტმა იოსებ ბარათაშვილმაც ამხილა ალიხანოვ-ავარსკის სადამსჯელო დონისძიების სისასტიკე, ვორონცოვ-დაშკოვის, კავკასიის მთავარმართებლის პოლიციის უფროსის შირი-

ნკინის ქმედება, მოითხოვა რუსეთის სახელმწიფო წყობილების შეცვლა. ამავე დეპუტატმა მომდევნო სხდომაზე სათათბიროს აუწყა იმ დიდი მსხვერპლის შესახებ, რაც ანტიკავკასიური პოლიტიკის გამო ჩაიდინა ხელისუფლებამ თბილისსა და საქართველოს სხვა კუთხეებში.

1906 წლის 16 ივნისს სახელმწიფო სათათბიროში სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ წაიკითხა საკუთარი დეკლარაცია, სამოქმედო პროგრამა, ამ პროგრამით სათათბირო უნდა გადაქცეულიყო რევოლუციური გარდაქმნების ცენტრად. ამ ამოცანის შესრულების შემდეგ სახელმწიფო სათათბირო ადგილს დაუთმობდა საყოველთაო-სახალხო არჩევნების გზით არჩეულ დამფუძნებელ კრებას.

1906 წლის 7 აპრილს ილია ჭავჭავაძე აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრად, მას უფლება ჰქოდა და ხშირად ესწრებოდა სახელმწიფო სათათბიროს სხდომებს, დიდი ქართველი მამულიშვილის ჭეშმარიტად დემოკრატიული პოზიცია მიუღებელი იყო რუსეთის შავრაზმული და ქართული რეაქციული ძალებისათვის. სახელმწიფო საბჭო, როგორც ცნობილია, 1810 წელს შეიქმნა, როგორც რუსეთის უმაღლესი სათათბირო ორგანო. აქ იხილავდნენ იმ კანონებს, რომლებსაც შემდგომში იმპერატორი ამტკიცბდა. საბჭოს წევრებსაც და თავმჯდომარესაც იმპერატორი ნიშნავდა. რუსეთის პირველმა რევოლუციამ აიძულა იმპერატორი შეეცვალა სათათბირო კანონი და 1906 წლიდან საბჭოს წევრთა მხოლოდ ნახევარი ყოფილიყო დანიშნული, ამიტომ იყო, რომ საბჭოში მოხვდნენ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებიც, ისეთები, როგორიც ილია ჭავჭავაძე და ეპისკოპოსი კირიონი იყვნენ. რაც შეეხება „ავტონომისტთა“ ფრაქციას და ამ იდეებს, მას გამოჩენილი რუსი პროფესორები და მოღვაწენი, ლედნიცკი, კოვალენსკი, კურტენე, დურნოვო და სხვები – იმიტომ კი არ უჭერდნენ მხარს, რომ რუსეთის დაშლა სურდათ, პირიქით, ერთიანი რუსეთის შენარჩუნებას ამ უაღრე-

სად დაძაბულ, რვოლუციურ დროში ამ იდეის განხორციელებითდა იმპ-  
დოვნებდნენ.

ილია ჭავჭავაძემ თავის სიტყვაში რუსეთის სამომავლო იმედად  
სწორედ მისი ფედერაციული მოწყობა და ეროვნული რეგიონებისათვის  
ავტონომიის მინიჭება გამოაცხადა. ამ სიტყვამ პეტერბურგი აალაპა-  
რაკა.

გაზეთი „რეჩ“-ი წერდა იმ შთაბეჭდილებაზე, რაც დიდი ქა-  
რთველი მწერლის სიტყვამ მოახდინა. პეტერბურგის სხვა გაზეთებმაც  
გადაბეჭდეს ეს სიტყვა. ილიას გამოსვლა ერთგვარად შეანელა ქუთა-  
ისელი დეპუტატის – გ. მიქელაძის გამოსვლამ საბჭოში, რომელმაც  
„მგზნებარედ დაუჭირა მხარი რუსეთის განუყოფლობას“.

ილიას სიტყვა დაბეჭდა „პეტერბურგსკიე ვედომოსტმა“, „პეტე-  
რბურგსკი ლისტოკ“-მა და სხვ. ამ უკანასკნელმა ილიასთან ინტე-  
რვიუც აიღო, სადაც მწერალმა თავისი შეხედულებები პოლიტიკურ სა-  
კითხებზე კიდევ უფრო დააკონკრეტა: „სანამ ხმოსნად ამირჩევდნენ,  
ამისთვისაც კი მთელი ბრძოლის გადატანა მომიხდა, – გვითხრა თავა-  
დმა, მე ვარ საერთოდ კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს თვითმმა-  
რთველობის მომხრე. ადგილობრივი საკანონმდებლო ხელისუფლებით,  
მით უფრო ყველა იმ საშინელებათა შემდეგ, კვლავაც რომ გრძელდება  
კავკასიაში“. მწერალი შეეხო ქუთაისელი დეპუტატის მიქელაძის გამო-  
სვლასაც, რომელმაც განმუხტა ილიას დემონსტრატიული მოთხოვნის  
ტონი და რუსი კორესპონდენტის შეკითხვა ამ სიტყვებით დაასრულა: „მე ვარ რეფორმირებული სახელმწიფო საბჭოს წევრი და ბოლომდე  
ვიქნები ამ თვალსაზრისზე, რა გამოვა აქედან, ახლო მომავალი გვიჩვე-  
ნებსო“.<sup>1</sup>

ილია ჭავჭავაძის მიერ წარმოდგენილ დემოკრატიულ პროგრამას  
დიდი შეფსება მისცა საბჭოში მასთან ერთად მყოფმა რუსეთის გამო-  
ჩენილმა ფიგურამ, პროფესორმა მაქსიმ მაქსიმის ძე კოვალენსკიმ

(1851-1916 წ.წ.), ის იყო ისტორიკოსი, სოციოლოგი, იურისტი, ეთნოგრაფი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. 1906 წელს იგი სცემდა გაზეთ „სტრანას“, სადაც დიდი შეფასება მისცა ილიას შეხედულებებს, მის დემოკრატიულ პროგრამას.

I სახელმწიფო სათათბირო გარეკანს 1906 წლის 8 ივნისს. ხელისუფლებამ ეს გააკეთა იმის გამო, რომ დეპუტატების უმრავლესობა მხარს უჭერდა რევოლუციას, აყენებდა მწვავე აგრარული და პოლიტიკური საკითხების მოგვარების აუცილებლობას, მთავრობის გადადგომის მოთხოვნას.

ვერც II სათათბირომ გაამართლა ხელისუფლების იმედები, რის გამოც ისიც სულ მალე იქნა დახურული. 1907 წლის 3 ივნისის მანიფესტით იმპერატორმა ახალი საარჩევნო კანონის მიღება აუწყა ხალხს, მან რუსეთის გაძლიერების საფუძვლად მიიჩნია რუსებისათვის უპირატესობისათვის მინიჭება სახელმწიფო სათათბიროში. შეიკვეცა განაპირობების არარუსი მოსახლეობის საარჩევნო მარათონი, იმათი დეპუტატების რიცხვი სათათბიროში მცირდებოდა.

რუსეთის ხელისუფლების ეროვნულ პოლიტიკას აკრიტიკებდნენ III სახლმწიფო სათათბიროს ქართველი დეპუტატებიც.

სათათბიროს 37-ე სხდომაზე, 1909 წლის 21 იანვარს გამოსულმა დეპუტატებმა კარლო ჩხეიძემ, ევგენი გეგეშვილმა და პ. შერვაშიძემ ვრცლად ისაუბრეს ამ პოლიტიკის ზოგიერთ მხარეზე და გააკრიტიკეს იგი. კარლო ჩხეიძე შეეხო რუსების გადმოსახლების თემას კავკასიაში და თქვა, რომ ეს ღონისძიება მთავრობამ კავკასიაში სეპარატიზმის იდეის აღმოსაფხვრელად გაატარა: „რუსეთი ცდილობდა სოლივით ჩაეჭედა გადმოსახლებულნი მრავალტომიანი კავკასიის მცხოვრებლებში და ამით გაემწვავებინა ერთა შორის დამოკიდებულება და ნიადაგი მოქმედებინა ძმათა სისხლისმდვრელი ომისათვის“, – ამბობდა ორატორი და აკრიტიკებდა კავკასიის აღმინისტრაციასაც. „სეპარატიზმი კავკასი-

აში შექმნილია რუსის მთავრობის მეოხებით“, – ამტკიცებდა იგი და ხალხთა შორის დგომას სეპარატიზმისაგან უეჭველ ფაქტად თვლიდა. ჩხეიძემ ორი საათი ისაუბრა და დაადანაშაულა როგორც კავკასიური ადმინისტრაცია, ასევე იმპერიის ზედა ეშელონებიც.<sup>2</sup>

დეპუტატმა პ. შერვაშიძემ თავის გამოსვლაში მართალია, გააკრიტიკა კავკასიაში რუსეთის პოლიტიკა, მაგრამ მისი გამოსვლა მაინც შეზღუდული იყო, რადგან მეფისნაცვალს მშვიდობის გარანტად, იმპერატორის უზენაესი ნების გამტარებლად თვლიდა კავკასიაში, ხელმწიფეს კი ხალხთაშორის ურთიერთობის და მათი ინტერესების მომწერიგებლად და დამცველად. ამიტომ კავკასიაში დაწყებულ მოძრაობაში ის გამორიცხავდა მეფისნაცვლისა და რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ დაპირისპირებას.

განსხვავებით შერვაშიძისაგან, მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი მძაფრად გააკრიტიკა თავის გამოსვლაში ევგენი გეგეჭკორმა. „ეს ვაჟბატონები, რომელთაც პირზე აკერიათ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის ლიბერალიზმი და პუმანური გრძნობები, – თქვა მან, – მწარედ დასცინიან ხალხს. თუ სულიერად ავადმყოფრი არა, სხვა ვინ ილაპარაკებს ამ კაცის ლიბერალიზმზე, რომელმაც არცერთი პოლიციური საშუალება არ დაიშურა ხალხის დასასჯელად?“

შემდეგ ორატორი დაწვრილებით შეეხო რუსული ადმინისტრაციის საქმიანობას კავკასიაში, დამსჯელი რაზმების მოქმედებას, რასაც გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი ხელმძღვანელობდა. მისი აზრით, გრაფი არჩამორჩა დუბასოვს, მელლერ-ზაკომელსკის და სხვა ჯალათებს. ორატორმა მოიტანა ცნობები ეიდენბაუმის კომისიის მოხსენებიდან და აღნიშნა ის შემთხვევები, როდესაც კაზაკებმა ნამუსი აჰხადეს ქართველ ქალებს, რამაც მემარჯვენე დეპუტატების ხმაური და შეძახილები გამოიწვია: „სიცრუეა! გამოგონილია!“ ამის გამო გეგეჭკორმა მოიტანა დაწვრილებითი ცნობები საქართველოს აკლება-აწიოკების,

აღნიშნა კავკასიის პრესის დახურვის და დარბევის, პროფკავშირების გაუქმების ფაქტები, უარყო ცნობა, თითქოს კავკასიურ ადმინისტრაციაში ადგილობრივები ჭარბობდნენ რუსებს. სიტყვის დასასრულს, ორა-ტორმა მიმართა მემარჯვენებებს: „დროა აღარ ისარგებლოთ რუსი ხა-ლხის უცოდინრობით კავკასიაში მიმდინარე მოვლენებზე, დროა ხელი აიღოთ კავკასიის დატანჯულ ეროვნებათა გამასხარავებაზე“.

გეგმებკორმა შეკითხვით მიმართა სახელმწიფო სათათბიროს: იცოდა თუ არა რუსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარებ, რომ კა-ვკასიის მთავრობა სრულებით არ აქცევდა ყურადღებას ადგილობრივ ხალხთა მოთხოვნებს, მათ ეროვნულ უფლებას. „სახალხო განათლე-ბის, სამკურნალო, აგრონომიული დახმარების და ხალხის გამოკვების საქმე, – თქვა მან, – დაყენებულია პირდაპირ ბორტმოქმედულად, რა-დგან ადგილობრივ კაცები სულ განდევნილნი არიან ამ საქმიდან. იცი თუ არა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარებ, რომ წინააღმდეგ 1904 წლის 12 ნოემბრის ბრძანებულებისა და მეტადრე 1905 წლის 17 ოქტო-მბრის მანიფესტისა, რომლითაც გამოცხადებულია გლეხთა თანასწო-რობა სხვა წოდებებთან, კავკასიაში დღემდე ხალხის ერთი ნაწილი და-მოკიდბულია მეორე ნაწილისაგან და თვით ბატონყმობის ნაშთებიც კი არსებობს? იცის თუ არა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარებ, რომ წი-ნააღმდეგ იმ მოვალეობისა, რომლის ძალით მოვალე იყო კავკასიაშიც დაეწყო შინაგანი შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც განზრახული იყო რუსეთში, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ თავისი მოქმედება შეალია ბრძოლას ხალხის წინააღმდეგ და მოანდომა განსაკუთრებულ რეპრე-სიებს?.. იცის თუ არა მან რომ წესიერების აღსადგენად გაგზავნილმა რაზმებმა ჩაიდინეს მრავალი უკანონო საქციელი? თუ ყველაფერი ეს იცის, რა დონისძიება იქნა მიღებული დამნაშავეთა პასუხისმგებაში მი-საცემად? მან თქვა ის, რითაც თავისი გამოსვლა დაიწყო მისმა თანა-პარტიელმა კარლო ჩხეიძემ, – პურიშკევიჩის სიტყვის კრიტიკით, რომე-

ლსაც, თავის თანამზრახველებთან ერთად, სურდა „აღეგავა კავკასიის მცხოვრებნი კავკასიის ტრიტორიიდან და შავრაზმელების ხელით განთავისუფლებულ ადგილებზე ამკლებ-ამწიოკებლები დაესახელებინათ“.

პურიშკევიჩის გამოსვლას გეგმჭკორმა „ჭეშმარიტი რუსული პროგრაციის ნიმუში“ უწოდა.

სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენე რუსი დეპუტატები თვლიდნენ, რომ ტერორისტული აქტები კავკასიაში მიმართული იყო არა ადგილობრივი მოსახლეობის, არამედ რუსეთის წინააღმდეგ. დეპუტატმა პავლოვიჩმა გააკრიტიკა ბარონი ნოლდე, არ დაეთანხმა მას, რომ შიდა რუსეთსა და კავკასიაში ერთნაირი რევოლუცია იყო და დაბეჯითებით აუწყა დამსწრეებს კავკასიური რევოლუციის ანტისახელმწიფოებრივი მიზნების შესახებ.

იგივე აზრი გამოთქვა დეპუტატმა ტიმოშკინმა. მართალია, ტიმოშკინი საქართველოდან იყო არჩეული, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა. ის ამიერკავკასიის მთელი რუსული მოსახლეობის წარმომადგენლად ითვლებოდა, თევდორე ტიმოშკინი იყო „რუს პატრიოტთა კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილე, ნამდვილი რუსი შოვინისტი. მან თავი კავკასიაში მცხოვრებ რუსად გამოაცხადა და უამრავი მოკლული თანამემამულე დაასახელა, რომლებიც მხოლოდ ეროვნული ნიშნით მოკლეს კავკასიელებმათ.

მან ჭორი და ზღაპარი უწოდა რუსი დამსჯელების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების მოტანას გეგმჭკორისგან, თქვა, რომ კავკასიაში ძირითადად რუსები ისჯებოდნენ. ამას აბრალებდა აქურ მოხელეებს, რომლებიც რუსებზე მეტად თურქეთიდან და სპარსეთიდან გამოქცეულ სომხებს უჭერდნენ მხარს.

ორატორმა გააკრიტიკა დაშნაკცუტიუნის სომხური პარტია და მისი პროგრამა, ქართული გაზეთები და რუსული „ოკრაინი როსსიი“, რომლებიც ანტირუსული ქმედების მქონე ორგანოებად ჩათვალა, ტი-

მოშეკინმა შეაქო „რუს პატრიოტთა საზოგადოება“, რომელიც გეგმვებო-  
რმა გააკრიტიკა და თქვა, რომ ამ ორგანიზაციაში ჭეშმარიტად პატრი-  
ორტი და განათლებული რუსები იყვნენ გაერთიანებულნი. მან, გეგმ-  
ჭკორის მსგავსად, შეკითხვები დასვა კავკასიის ნამესტნიკის მისამა-  
რთით: „იცის თუ არა კავკასიის ნამესტიკმა, რომ კავკასიაში არსებობს  
ბოროტმოქმედი საზოგადოება „დაშნაკ-ცუტიუნი, შეიარაღებული ახალ-  
ახალი სისტემის იარაღით. იცის თუ არა ნამესტნიკმა, რომ ეს საზოგა-  
დოება ოფიციალურად დაკანონებული იქნა როგორც „სომხის კულტუ-  
რული კავშირი“, იცის თუ არა ნამესტნიკმა, რომ მთელი მკვიდრი ხა-  
ლხი შეიარაღებულია, რუს ხალხს კი რვოლვერის ქონასაც უკრძალა-  
ვენ მის შეკითხვებში შევიდა რუს მოხელეთა მიერ რუსი მოსამსახუ-  
რეების დათხოვნის, რკინიგზის რუსი მუშების გათავისუფლების საკი-  
თხიც, ტიმოშეკინი თხოვდა ნამესტნიკს, მიედო ზომები „რუსი ხალხის  
დასახსნელად კავკასიაში“.<sup>3</sup>

რუსი შავრაზმელი დეპუტატების გამოსვლებს, ქართველ დეპუტა-  
ტებთან ერთად, არ ეთანხმებოდნენ კავკასიის სხვა ეროვნების დეპუტა-  
ტებიც. ასეთი იყო ხასამამედოვის გამოსვლა და ტიმოშეკინის გაპრიტი-  
კება მის მიერ.<sup>4</sup>

სომეხმა დეპუტატმა საღათელიანმა პასუხი გასცა დაშნაკ-ცუტი-  
უნის კრიტიკოსებს. მიიჩნია, რომ ამ პარტიის პროგრამა არ იყო ანტი-  
რუსული და „დიდი სომხეთის“ იდეაც გამოგონილი იყო. სომეხი ხალხი  
რუსეთის ყველაზე დიდად ერთგულია კავკასიაში, მისთვის თავგანწი-  
რული და რუსეთის აქ გამარჯვებაში დაინტერესებული. ორატორმა სა-  
საცილოდ მიიჩნია სომები ნაციონალისტთა რუკაზე არარატიდან ვორო-  
ნეჟამდე აღნიშნული საზღვრები, იგი ალექსანდრე მესამის მეფობაში  
მომხდარ ყველაზე დიდ პროვოკაციად ჩაითვალა სომეხთა მიმართ

უკიდურესად მემარჯვენე რუსმა დეპუტატმა – მარკოვმა – გა-  
აკრიტიკა სომხები, კავკასიის მეფისნაცვალს უსაყვედურა მათი მფარვე-

ლობა, სომხური სეპარატიზის შემჩერებლად „თათრის სეპარატიზმი“ ჩათვალა და არა ვორონცოვ-დაშკოვის წყალობა“ სომებთა მიმართ.

მარკოვი ქართველებსაც შეეხო, თქვა, რომ იქ შიშით ეგზარქო-რსსაც ვერ აგზავნის ჩვენი მთავრობა, ამასობაში იქაურობა ქართვე-ლდება, ჩვენი ძლიერება კი კავკასიაში მხოლოდ რუს ხალხზე შე-იძლება დამყარდესო. ის აბათილებდა ვორონცოვ-დაშკოვის შეხედულე-ბას, ქართველები სეპარატისტები არ არიანო და ამბობდა: „რაც შე-ეხება ქართველებს, ნამესტნიკი ამბობს, რომ ისინი ელტვიან ავტონომი-ასა და ავტოკეფალიას, მაგრამ სეპარატიზმი მათში არ არსებობსო“.

მარკოვს არ ჯეროდა ქართველების, არც თანამემამულე მეფისნა-ცვალს ენდობოდა და ამბობდა: „რუსეთისათვის უფრო სასარგებლოა სრული განცალკევება, ვიდრე ასეთი ავტონომია და ასეთი ავტოკეფა-ლია“—ო.

მარკოვმა ისაუბრა რუსულ ორგანიზაციაზე – „რუსი ხალხის კა-გშირი“, რომელიც იცავდა „უდანაშაულო“ რუსების ინტერესებს კავკა-სიაში, აკრიტიკებდა ვორონცოვს, ამბობდა, რომ ბოლო სამ წელიწადში კავკასიაში 12-ჯერ მეტი ტერორისტული აქტი მოხდა, ვიდრე დანარჩენ რუსეთშიო. ის ადანაშაულებდა მეფისნაცვალს პოლიციის უმოქმედო-ბაში, პოლიტიკური პოლიციისათვის გამოყოფილი თანხების მითვისე-ბაში, რუსეთის სახელმწიფოს დალატში, იმპერატორის ბრძანებათა შე-უსრულებლობაში. ასეთ ფაქტად მოჰქონდა ქუთაისის გუბერნატორ სტაროსელსკის ნაგვიანევი დაპატიმრება.

დეპუტატი მარკოვის სიტყვის ბოლო აკორდი განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო და კარგად გამოხატავდა რუსულ იმპერიულ შოვი-ნიზმს: „მე ვეუბნები კავკასიის მკვიდრთ: კეთილად იცხოვრეთ მხოლოდ რუსეთის ბაირადქვეშ, ნუ გაქვთ იმედი ავტონომიური რესპუბლიკა-ბისა, მათ ვერ ეღირსებით, რადგან რუსის დიდებული, მძლავრი დევი

ხალხი ჯერ ცოცხალია, მისი სიცოცხლე ისეთი ძლიერია, რომ მის წინაშე თქვენი მცირე სიცოცხლე უნდა გაქარწყლდეს“

რუსი დეპუტატის ამ სიტყვამ აღაშფოთა მალოროსიელი კადეტი დეპუტატი სტეპანოვი და მან კავკასიაში შექმნილი მდგომარეობა, ქართველ დეპუტატთა მსგავსად, რუსეთის არასწორ კოლონიურ პოლიტიკას დააბრალა. მისი აზრით, რუსულმა პატრიოტულმა ორგანიზაციამ თავისი საქმიანობა ამაռდ შეაზავა პატრიოტული სამოსელით და ადგილობრივ მცხოვრებთა სიძულვილში გაახვია, სეპარატიზმი გამოიყენეს რუსიფიკატორული პოლიტიკის გასამართლებლად, ასეთმა პოლიტიკამ კი მხოლოდ კავკასიის ერთა ეროვნული თვითშეგნების გაძლიერება გამოიწვიაო.<sup>5</sup>

III სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნაზე ქართველი სოციალ-დემოკრატები ეროვნულ საკითხებზე მსჯელობდნენ, თუმცა მათ ხშირად აკრიტიკებდნენ ქართულ პრესაში. როდესაც გაზეთი „კავკაზი“ III სათათბიროს დეპუტატთა სიას ჩამოთვლიდა, აღნიშნავდა ყველა მათგანის სამუშაოს, წარმომავლობას; თბილისის გუბერნიიდან – ნიკოლოზ სიმონის ძე ჩხეიძე, აზნაური, ქართველი, თბილისის საქალაქო სათათბიროს ახალი შემადგენლობის ხმოსანი, სოციალ-დემოკრატი, – ეწერა „კავკაზში“, სხვა დეპუტატებზე კი – ეროვნება „ქართველის“ ნაცვლად აღნიშნული იყო – მეგრელი, აფხაზი. „ქუთაისის გუბერნიის მესამე საარჩევნო ოლქიდან მსაჯულის თანაშემწე, სოციალ-დემოკრატი; ბათუმი, ართვინის ოლქებისა და სოხუმის ოკრუგის მეექვე საარჩევნო ოლქიდან – პორკოფი ლევანის ძე შერვაშიძე, თავადი, აფხაზი, გადამდგარი გენერალ-მაიორი, მიწისმფლობელი, უპარტიო-მონარქისტი.“<sup>6</sup>

პირველივე სხდომაზე, პეტერბურგის თავრიდის სასახლეში, საიდუმლო მრჩეველმა სტატს-მდივანმა გოლუბევმა, როდესაც იმპერატორის ბრძანებით გახსნა სათათბიროს I სესიის I სხდომა, თქვა, რომ მი-

ზანი ამ ორგანოსი იყო, უპირველესად, „განახლებული სახელმწიფო წყობილებისა და განუყოფელი რუსეთის განმტკიცება“.<sup>7</sup>

III სახელმწიფო სათათბიროში მენშევიკური ფრაქციის მეთაური კარლო ჩხეიძე იყო.

კარლო ჩხეიძის გამოსვლებს, მის მოღვაწეობას III-IV სახელმწიფო სათათბიროებში ეძღვნება გელა საითიძის სპეციალური გამოკვლევა.<sup>8</sup> მასში ყველა მისი სიტყვაა შეკრებილი და გაანალიზებული. ასევე მოტანილია სათათბიროს მუშაობაში გამოყენებული დეპუტატების შეკითხვის პრაქტიკა; ქართველი დეპუტატები ხშირად სარგებლობდნენ ამ წესით და თავიანთ საინტერესო საკითხებზე დისკუსიის წამოჭრაში იხმარდნენ მას.

III სახელმწიფო სათათბიროში ყველაზე მეტი გამოსვლა ამიერკავკასიელი რუსების წარმომადგენელს – ტიმოშკინს ჰქონდა, ყველაზე შთამბეჭდავი კი – კარლო ჩხეიძეს. მან დიდი ავტორიტეტი და პოპულარობა მოიპოვა ამ სათათბიროს 5-წლიანი არსებობისას, რასაც დაუფარავად, ვრცლად აღწერდა გაზეთი „ზაკავკაზესკაია რეს“ და ამ პუბლიკაციის თარგმანს აქვეყნებდა გაზეთი „თემი“<sup>9</sup>.

IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები დაინიშნა იმპერატორის ბრძანებულებით 1912 წლის ივნისში.

1912 წლის 20 აგვისტოს რუსეთის შესახებ სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტი „სრულიად საიდუმლო“ შიფრით უგზავნიდა წერილს ყველა გუბერნიის უანდარმერიის სამმართველოს და ოხრანკის განყოფილებებს და მათ არჩევნებისთვის თვალყურის დევნება მოითხოვა. ამ დაწესებულებისადმი მოთხოვნის ძირითადი დებულებები ასეთი იყო: ისინი მიაწვდიდნენ

1. ცნობებს ამომრჩეველთა განწყობილების შესახებ საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით;

2. ინტელიგენციისა და მოსახლეობის დამოკიდებულებას III სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებისა და მათი საქმიანობის შეფასებისადმი;

3. სააგიტაციო მიზნით მოწყობილი კრებების დროს პოლიტიკურ პარტიათა მოქმედებას;

4. დაწვრილებით ინფორმაციას იმ პირებზე, რომლებიც გათვალისწინებული იყვნენ IV სათათბიროში წარსაგზავნად, აგრეთვე მათ პოლიტიკურ ორიენტაციას და არჩევნებში გამარჯვების შანსებს.<sup>10</sup>

თბილისის გუბერნიიდან გადაგზავნილ ცნობაში, ნათქვამი იყო, რომ აქ დიდი ინტერესი არ იყო მოსახლეობის მხრიდან არჩევნებისადმი, სოციალ-დემოკრატების წარმატებულ კამპანიას ხელს უშლიდნენ მათი ლიდერების დაპატიმრებით, ქართულ კურიაში ერთმანეთს სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალ-დემოკრატები უპირისპირდებოდნენ, სოციალისტ-ფედერალისტი, მუდმივად პეტერბურგში მცხოვრები, ნაფიცი ვექილი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და III სათათბიროს ყოფილი წევრი ნიკოლოზ ჩხეიძე უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს.<sup>11</sup>

არჩევნებში, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩხეიძემ გაიმარჯვა, რაზედაც დიდი გულისტკივილი გამოთქვეს ეროვნულ-დემოკრატებმა, მათ ეს სოციალისტ-ფედერალისტთა ალიანსს დააბრალეს სოციალ-დემოკრატებთან, რასაც ჟურნალი „კლდე“ აღნიშნავდა.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერს – არჩილ ჯორჯაძეს ლუარსაბ ანდრონიკაშვილი სასურველ კანდიდატად მიაჩნდა, მაგრამ, მისი აზრით, ქართველი ერის ინტერესებს, ყველაზე მეტად, კიტა აბაშიძე უპასუხებდა. სტატიაში „რატომ არის საჭირო კიტა აბაშიძის გამარჯვება“, – არჩილ ჯორჯაძე ხაზგასმით მიუთითებდა, რომ ასეთი მოღვაწის არჩევა იქნებოდა „გამარჯვება არა პიროვნებისა, არა-მედ მიმართულებისა და პოზიციისა“.

გაზეთ „იმერეთის“ მოწინავის მიხედვითაც, ქართველი ერის პოლიტიკური ინტერესების დაცვისათვის ქართველ დეპუტატს უნდა ეზრუნა, ასეთი მისია კი ვერც ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, ვერც მიქელაძეს, გეგეჭკორსა და ჩხეიძეს ვერ მიენდობოდათ, ამ მოვალეობის ყველაზე უკეთ შესრულება კიტა აბაშიძეს შეეძლო და სწორედ ის მოახერხებდა „რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში მთელი ქართველი ერის ინტერესების დაცვას“.

IV სათათბიროში ქუთაისის გუბერნიიდან ვარლამ გელოვანმა გაიმარჯვა, თბილისის გუბერნიიდან კი ლუარსაბ ანდრონიკაშვილზე მეტი ხმა კარლო ჩხეიძემ დააგროვა. ძირითადი ხმები მან სომეხი ამომრჩევლისგან მიიღო, რის გამოც ეროვნულ-დემოკრატიულმა „კლდემ“ კიდევ ერთი პროტესტი გამოაცხადა საქართველოში მცხოვრებ სომეხთა ანტიქართული პოზიციის გამო.<sup>13</sup>

— სახელმწიფო სათათბირო 1912 წლის ნოემბრიდან 1917 წლის თებერვლამდე მუშაობდა. ამ ხნის მანძილზე სულ ხუთი სესია გაიმართა. ამ სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში მენშევიკებთან ერთად ბოლშევიკებიც იყვნენ გაერთიანებულნი, რაც აძნელებდა მათ თანხმობას, ფრაქციის წარმატებულ მუშაობას. მიუხედავად ამისა, ქართველი დეპუტატები — კარლო ჩხეიძე, ეგგენი გეგეჭკორი და სხვა სათათბიროში ხშირად აყენებდნენ ეროვნულ საკითხებს.

ქართველმა დეპუტატებმა ხმა აიმაღლეს საქართველოს ერთი კუთხის — აჭარისა და იქ მცხოვრებ ქართველთათვის დალატის დაბრალების დროს. ეს იმ მაშინ, როდესაც პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე 200 ათასი ქართველი დგრიდა სისხლს. კარლო ჩხეიძის მიმართვას რუსეთის სათათბიროსადმი ვრცელი ადგილი დაუთმო გაზეთმა „იმერეთმა“, თუმცა ეროვნულ-დემოკრატმა, ვასილ წერეთელმა ეს უდავოდ თამამი სიტყვა მაინც გააკრიტიკა — მასში მეტად უნდა ყოფილიყო საქართველოს ჭირ-ვარამი გადმოცემული.<sup>14</sup> ამავე გაზეთში სოციალი-

სტური პარტიების საქმიანობას IV სახელმწიფო სათათბიროში აკრიტიკებდა დავით გაჩნაძეც, მას შემდეგ, რაც ომისა და ზავის საკითხში ერთმანეთს შეეჯახა პლეხანოვისა და კარლო ჩხეიძის შეხედულებები, ჩხეიძისადმი მეტი ლოიალობით გამოირჩეოდნენ ქართული ეროვნული მიმართულების გაზეთები.

1916 წლის 7 თებერვალს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა სპირიდონ კედიამ დია წერილით მიმართა სათათბიროს ქართველ დეპუტატებს, – ჩხეიძესა და ჩხენკელს, მოაგონა მათ, თუ რა შესაძლებლობები ჰქონდა ამ მაღალ ტრიბუნას „ქართველი ხალხის უკანონოდ ფეხქვეშ გათელილი უფლებების გამოსაჭედად და აღსადგენად“. უნდა შეეცვალათ მუშაობის სტილი, უფრო აქტიურად ებრძოლათ ქართველი ერის ინტერესების დასაცავად, რუსი მუშების დაცვას, ინტერნაციონალურ გრძნობებს შელეოდნენ და თავიანთი სამშობლოს შვილები დაეცვათ.<sup>15</sup>

მიუხედავად პარტიული ინტერესებისა, სათათბიროში მოღვაწე ქართველი დეპუტატები მაინც ახერხებდნენ ეროვნული ინტერესების დაცვას, იმ ურთულეს დროში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტისთვის ბრძოლას.

## §2. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XX საუკუნის პირველ ოცწლეულში და ქართული პოლიტიკური პარტიები

XX საუკუნის პირველ ოცწლეულში საქართველო-რუსეთის დამოკიდებულება მეტროპოლია-კოლონიის ურთიერთობის დონეზე რჩებოდა, მაგრამ, მწვავე პოლიტიკური სიტუაციების დროს ისიც მწვავდებოდა, ან შედარებით ნელდებოდა იმის მიხედვით, რა პოლიტკურ კურსს აირჩევდა შექმნილ სიტუაციაში საიმპერატორო კარი. ამასთან, სა-

ქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიები სხვადასხვაგვარად ხედავდნენ ამ ურთიერთობას მომავალში და თავიანთ პოლიტიკურ პროგრამებში თავისებურად აფიქსირებდნენ მას. თანაც კოლონიური რეჟიმის გამკაცრებას და ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიებს ხშირად ის სოციალისტური ტიპის პარტიებიც აკრიტიკებდნენ, რომელთაც საქართველოს მომავალი რუსეთის გარეშე ვერ წარმოედგინათ. რუსეთ-საქართველოს მომავალი ურთიერთობის გარდა, პოლიტიკურ პარტიებს განსხვავებული მიდგომა პქონდათ საქართველოს მომავალი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობისა და საზღვრების შესახებ. ასეთი შეხედულებების სხვადასხვაობა ხშირად პარტიულ დაპირისპირებაში, პიროვნულ შეჯახებებსა და, რაც უფრო სამწუხაროა, პოლიტიკურ ტერორში გადადიოდა, რასაც ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, უაღრესად ცუდი შედეგები მოჰქონდა.

მიუხედავად რუსული თუ ევროპული ორიენტაციისა, ყველა პოლიტიკური პარტია ებრძოდა ცარიზმს, ისტრაფვოდა მისი დამხობისაკენ და რუსეთის I რევოლუციაში აქტიურად იყო ჩაბმული.

ყველაზე დიდი გავლენა ხალხზე XX საუკუნის დასაწყისში პქონდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას – მისი სოციალური პროგრამა, ხალხის მშრომელი მასებისადმი მხარდაჭერა და თანაგრძნობა, მისი ბრძოლა დაჩაგრული ადამიანების ცხოვრების გამოსწორებისათვის, უბრალო ხალხზე დიდ ზეგავლენას ახდენდა და მომხრეებს უმრავლებდა. შთამბეჭდავი იყო მათი სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობაც. ისინი ქარხნებში თუ სოფლის მოსახლეობაში გასაგები, გულში ჩამწვდომი ფაქტებით აღწერდნენ – თუ რა ფუფუნებაში ცხოვრობდნენ კაპიტალისტები და მემამულეები მაშინ, როდესაც ეს მშრომელი ხალხი უსამართლოდ იჩაგრებოდა; როგორ ითვისებდნენ მდიდრები დარიბთა ნაოფლარს, ამ უსამართლობას კი იცავდა მეფე და მისი მოხელეები. აგიტატორები ხალხს იმასაც ეუბნებოდნენ, რომ მათ გვერდით მოელი

მსოფლიოს მშრომელები იდგნენ, მათთან ერთად კი მათ მჩაგვრელ მეფესა და მის მოხელეებს – ებრძოდნენ რუსი მუშები, ერთიანი ძალით მოუწოდებდნენ მოქმედებას და გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ.

ყველაფერ ამას კი გავლენა ჰქონდა ხალხზე; ადამიანებს უპირველესად საკუთარი არსებობის, ოჯახების გამოკვებისა და უპირველესი პრობლემების მოწესრიგება აღელვებდათ, დანარჩენს შემდეგ გაიაზრებდნენ. სოციალიზმის ნამდვილ შინაარსზე ხალხს წარმოდგენაც არ ჰქონდა, მაგრამ მდიდრების დამხობა და მათი სიმდიდრის დაპატრონება კი ნამდვილად ხიბლავდა. რევოლუციონერებს იარაღის ტარება, თავისებური ჩაცმულობა, ერთმანეთისადმი დამოკიდებულება ჰქონდათ, რასაც „ერთობის“ მსახურება ერქვა. რევოლუციის დაწყებამ გაზარდა შეიარაღებული ტერორი, „სამართლიანობისათვის“ ბრძოლისადმი ექსტრემისტული სწრაფვა. ექსტრემიზმი მეტ-ნაკლებად ყველა სოციალისტურ პარტიას ახასიათებდა, მაგრამ ყველაზე მეტად ის ბოლშევიკურ პარტიას ჰქონდა. I რევოლუციის დროს ამიერკავკასიის რსდმპ-ში ბოლშევიკები ჭარბობდნენ მენშევიკებს, მათი ექსტრემიზმი გაბედულ რევოლუციურ ბრძოლად ინათლებოდა, რაც განაცხადა და მოიწონა კიდეც რსდმპ III ყრილობამ, 1905 წელს, ლონდონში. მან მთელი რუსეთის თვის მისაბაძად მიიჩნია ქართველი რევოლუციონერების ბრძოლა. მათი ხელმძღვანელობით იქმნებოდა „წითელი რაზმები“ და „ტყის მები“. ეწყობოდა თავდასხმები მემამულეებსა და მთავრობის მოხელეებზე. ისინი ხშირად უმიზეზოდ ძარცვავდნენ ადამიანებს, შურს იძიებდნენ თანასოფლელებზე. ასე რომ, რევოლუციურ ტალღას ბევრი ავანტიურისტი აედევნა.

ბოლშევიკთა ხელმძღვანელი ბირთვი გაერთიანებული იყო ურნალ „მოგზაურის“ ირგვლივ, რომელიც 1901-1904 წლებში გამოდიოდა იგანე როსტომაშვილის რედაქტორობით და ეროვნულ პოზიციას იცავდა, მაგრამ 1905 წლიდან ეს უურნალი რსდმპ კავკასიის კომიტეტმა

შეისყიდა და მისი რედაქტორი ფილიპე მახარაძე გახდა, რამაც უურნალის მიმართულება შეცვალა და ის ანტიეროვნული, ბოლშევიკური სულისკვეთების გახდა. ოუმცა „მოგზაურში“ სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მენშევიკური ფრთაც მოღვაწეობდა, მაგრამ ძირითადი მაინც ბოლშევიკური იდეოლოგია და მიმართულება იყო. ძირითადად ეროვნული და ბოლშევიკური იდეოლოგია ერთმანეთს დაუპირისპირდა „მოგზაურისა“ და „ივერიის“ მეშვეობით. ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ ცოლისმწამებლური ბრძოლაც „მოგზაურის“ ფურცლებზე დაიწყო.

ბოლშევიკურ პარტიას, რომელიც არ იყო ქართული პარტია, მაგრამ პქონდა ძლიერი ქართული ორგანიზაციები, ჰყავდა მომზადებული და ასევე ძლიერი ქართველი ლიდერები, საქართველოს დამოუკიდებლობა რაიმე სახით, თუ გნებავთ კულტურული ავტონომიის ფორმით, ვერ წარმოედგინა. მას მეფის ხელისუფლების დამხობის, მემამულეთა და კაპიტალისტთა კლასის ექსპროპრიაციის შემდეგ, სურდა მშრომელი ხალხის ხელისუფლების – მუშათა კლასის დიქტატურის დამყარება.

ავტონომიას ყველანაირი სახით არც სოციალ-დემოკრატთა მენშევიკური ფრთა ემხრობოდა. ეს პარტიაც საქართველოს რუსეთთან ყოფნას უჭერდა მხარს, მის შემადგენელ ნაწილად წარმოიდგენდა, მომხრე იყო სოციალიზმის, მუშათა და გლეხთა განთავისუფლების კაპიტალისტთა და მემამულეთა ბატონობისაგან, ოღონდ ეს არა რევოლუციური გზით, არამედ რეფორმების, გარდაქმნების, სახელმწიფო მმართველობის მშვიდობიანი შეცვლის გზით უნდა განხორციელებულიყო. ამ პარტიის ლიდერს – ნოე ჟორდანიას პქონდა საქართველოს მომავალი მოწყობის ე. წ. შვეიცარულ-კანტონური გეგმა, რაც საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დაყოფას ე. წ. რეალური მოსახლეობის პრინციპით ითვალისწინებდა.

1905-07 წლების რევოლუციამ ეროვნული ინტელიგენციის რეპრესირება მოახდინა როგორც პირდაპირ, ასევე სულიერი თვალსაზრისით.

იდეური რეპრესიები, რასაც „მოგზაური“ მიმართავდა, მიმართული იყო ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლთა მიმართაც. ასე მაგალითად: მის 1905 წლის იანვრის ნომერში ( 1) სასტიკად იყო გაკრიტიკებული გოგება-შვილის „დედა ენა“ და მისი ავტორი. გაზეთი მას ხალხის მტერსა და ახალგაზრდობის გამრყვნელს უწოდებდა. ჭეშმარიტი ინტელიგენციის წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლა თავს იმპერიის სათავიდან იღებდა. ცნობილი რუსი საზოგადო მოღვაწის – დიმიტრი მერეჟკოვსკის წერი-ლიც რუსი ინტელიგენციის საფრთხის შესახებ, ამ ფაქტმა განაპირობა. ინტელიგენცია რევოლუციას უჭერდა მხარს, რათა უკეთესი სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა ყოფილიყო სახელმწიფოში, და არა იმი-ტომ, რომ ყოფილიყო იმგვარი ტერორი, განუკითხაობა, უსამართლო დევნა უდანაშაულო ადამიანებისა, რაც რევოლუციამ მოიტანა. რევო-ლუციის მიერ მოტანილ ამ საშინელ სინამდვილეს გულისხმობდნენ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურნი, როდესაც ადანა-შაულებდნენ ინტელიგენციას, მომავალი განკითხვის უამს პირველ რი-გში მის დასჯას წინასწარმეტყველებდნენ. ეს განცხადება როდესაც გაკეთდა ერთ-ერთ ეკლესიის მესვეურის მიერ და მთელი ეკლესიის აზრად გამოცხადდა, მერეჟკოვსკიმ ეს მიიჩნია რუსეთის გადაქცევად ჩამორჩენილ ქვეყნად, რუსეთის უკუსვლად შუასაუკუნეებისაკენ, პეტრე პირველის გზიდან მის გადაცდენად, რაც უდიდესი საფრთხე იყო ამ ქვეყნის მომავლისათვის. ინტელიგენციის დევნა საქართველოშიც და-იწყო და მისი დიდი ნაწილი საზღვარგარეთ წავიდა. ეროვნულ-დემო-კრატი მოაზროვნები სპირიდონ კედია, რევაზ გაბაშვილი და სხვები გაიქცნენ საზღვარგარეთ. სპირიდონ კედია პარიზში ცდილობდა ქა-რთველ მამულიშვილთა შეკავშირებას და იქიდან ამყარებდა მოწინავე ქართველ პატრიოტებთან კონტაქტს.<sup>1</sup>

პარიზის ქართულმა სათვისტომომ 1909 წლის 2 დეკემბერს კაფე „ვოლტერში“ გამართა აკაკი წერეთლის საღამო, მას დაესწრნენ იქ

მყოფი ქართველები. სადამოს მიმდინარეობას აღწერდნენ ალ. ასათიანი, ნარკანი და სხვები.<sup>2</sup>

სოციალისტ-ფედერალისტური პარტია საქართველოს ავტონომიის მომხრე და ამისთვის მებრძოლი პარტია იყო, ამ პარტიის ლიდერმა – არჩილ ჯორჯაძემ, პარტიის წევრებმა – გიორგი ლასხიშვილმა კიბა აბაშიძემ, ვახტანგ კოტეტიშვილმა და სხვებმა მთელი XX საუკუნის I ოცნებულში დიდი და შეურიგებელი ბრძოლა აწარმოეს საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღსა-დგენად. მაგრამ, ძირითადად, ამ პარტიის პოლიტიკური პროგრამა ითვალისწინებდა მთელი სხეულის მოწყობას ფედერაციული ორიენტა-ციით, ამ ეტაპზე რუსეთის ფედერაციაში უნდა შექმნილიყო სხვადა-სხვა ეროვნების ავტონომიები, რომლებიც იბრძოდნენ ეროვნული თვი-თვამორკვევისათვის.

სოციალისტ-ფედერალისტები რევოლუციის გზით ცდილობდნენ სასურველი სახელმწიფო წყობილების დამყარებას და თავიანთ პა-რტიას – რევოლუციურიც უწოდეს, რაც მათ სხვა სოციალისტურ პა-რტიებთან აახლოებდა, თუმცა ამ პარტიის ძირითადი კრედო იმდენად იყო ეროვნული და მასში გაერთიანებული ქართველი პატრიოტები იმდენად თავდადებული მოღვაწენი ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის, რომ მათი სხვა სოციალისტურ პარტიებთან ერთ სიბრტყეზე განხილვა შეუძლებელია.

სრულიად განსხვავებული, ანტირუსული პოზიცია ეჭირა ქა-რთულ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას. მან 10-იანი წლების დასაწყი-სიდანვე გეზი აიღო გერმანიაზე და ცდილობდა ევროპული ორიენტა-ცია დაეპირისპირებინა რუსეთისათვის, გაენთავისუფლებინა თავი კო-ლონიური რეჟიმისაგან. ამისთვის დიდი მუშაობა გასწიეს სპირიდონ კუ-დიამ, მიხაკო წერეთელმა, გიორგი მაჩაბელმა, რევაზ გაბაშვილმა, და-ვით ვაჩნაძემ, შალვა ამირეჯიბმა და სხვებმა.

ქართველი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა, რომელმაც ჟურნალ „კლდისა“ და შემდეგ გაზეთ „საქართველოს“ ირგვლივ მოიყარა თავი და რომელსაც მთელი ამდროინდელი მოწინავე ქართული ინტელიგენციის კოპორტა თანაუგრძნობდა, დაგმო ამ დროს გავრცელებული სოციალისტური დოქტრინა და ეროვნული ინტერესები ყველაფერზე მაღლა დააყენა.

ეროვნულ-დემოკრატები საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას ბოლომდე ერთგულებდნენ. ეს იდეა მათ თერგდალეულთა ეროვნული ჯგუფისაგან გადმოიბარეს და ყველა სხვა ქართულ პარტიაზე მეტად ცდილობდნენ მისი თეორიული და პრაქტიკული საფუძვლების შექმნას, ცხოვრებაში მის რეალიზებას.

სოციალიზმი, რომელიც ევროპაში ასე პოპულარული გახდა XIX საუკუნის II ნახევრიდან, გავრცელდა რუსეთის იმპერიაში, აქ მიიღო განსხვავებული სახე, შეერწყა რა იმპერიალისტურ ზრახვებს, რუსულ სოციალიზმში გადაიზარდა „აზიურად“, რაც ნიშნავდა იმას, რომ რუსეთს სურდა შეენარჩუნებინა საკუთარი სოციალური ოუ ეროვნული ინტერესები, არ მიეღო დემოკრატიული პროცესები და ამით რუსული საზოგადოება არა სამოქალაქო და დია, არამედ დახურულ, იმპერიული რეჟიმისათვის დამახასიათებელ საზოგადოებად დაეტოვებინა.

ქართველი ეროვნულ-დემოკრატები აკრიტიკებდნენ როგორც რუსულ, ასევე ევროპულ სოციალიზმსაც, ყველანაირად მიუღებლად მიიჩნევდნენ მას.

1913 წელს რუსეთში, ლედნიცკის რედაქტორობით, დაარსდა ჟურნალი „ნაროდნოსტ როსსიი“, სადაც რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის საკითხები იხილებოდა. ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში შეყვანილი იყვნენ გ. წ. „ინოროდცების“ წარმომადგენლებიც. საქართველოდან რედკოლეგიაში შედიოდა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტი კიტა აბა-

შიძე. იგი იცავდა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის იდეას. ამ ჟურნალის თანამშრომლები იყვნენ გამოჩენილი მეცნიერები: გრუშევსკი, რომელსაც „რუსეთის ფედერაციის მამას“ უწოდებდნენ და ბოდუენ დე კურტენე.

I მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ეროვნული საკითხი კიდევ უფრო გამწვავდა და ჟურნალის რედაქციამაც თავისი თანამშრომლები გაგზავნა იმპერიის სხვადასხვა განაპირა რეგიონებში იმის გასარკვევად, თუ რამდენად იყვნენ ისინი მზად ეროვნული მმართველობის რეფორმის გასატარებლად. საქართველოში ამ საკითხის შესასწავლად ჩამოვიდა ცნობილი პოლიტიკოსი და მოღვაწე ალექსანდრე თევდორეს ძე კერენსკი (1881-1970), შემდეგში ქართველ სოციალ-დემოკრატია ერთგული მეგობარი და გულშემატკივარი. მისი სტუმრობა ჯერ თბილისში შედგა, შემდეგ ქუთაისში. ქუთაისში ერთ-ერთი შეკრებისას, კერენსკიმ მიმართა სოციალისტ-ფედერალისტებს, რომელთა წრეში მომავალი ეროვნულ-დემოკრატებიც იყვნენ: თქვენს პარტიაში, როგორც მითხვეს, სულ თავადაზნაურები ყოფილანო. ამაზე ვასილ წერეთელს უპასუხია: თავადაზნაურები კი ვართ, მაგრამ კიტა აბაშიძეს ერთი დესეტინა მიწაც კი არა აქვს, მე კი – ნახევარიცო. არც აქ შეჩერებულა რუსი პოლიტიკოსი და თათბირზე ასეთი აზრი ჩამოუყალიბებია: ვხდავ, რომ საქართველო ძალიან დაბალ სოციალ-ეკონომიკურ დონეზეა, არც მომზადებული ინტელიგენცია ჰყავს, ავტონომიის მოთხოვნას თავი დაანებეთ და ერობით დაკმაყოფილდითო. ამ „რჩევაზე“ გიორგი ზდანოვისმა, მკაცრად უპასუხა: ასე რომ მცოდნოდა თქვენი, აზრები ამ თათბირს არც მოვაწყობდით და არც მოგიწვევდითო. ამ მკაცრად ნათქვამმა კერენსკი აიძულა ტრიბუნიდან ჩამოსულიყო, იგი სილის გაწვნას პგავდა, თუ ვასილ წერეთლის „მემუარებს“ დავუჯერებთ.<sup>3</sup>

კერენსკი და რუსეთის იმპერიულ ხელისუფლებასთან ოპოზიციაში მყოფი რუსი პოლიტიკოსები, ვითომდა დემოკრატიის საბურველში

გახვეულნი, კარგად ხედავდნენ, როგორ უსხლტებოდათ ხელიდან იმპე-  
რიის მართვის სადავეები და ყოველნაირად ცდილობდნენ ამ სადავე-  
ების მარჯვედ დაჭერას. ეს 1914 წელი იყო. დაიწყო I მსოფლიო ომიც  
და რუსეთის იმპერიის შინაგან რყევას გარეგანი ფაქტორებიც დაემატა,  
თუმცა რუსულ არმიას ქართული სისხლი ჭირდებოდა. საქართველომ  
თავისი საუკეთესო შვილები გაგზავნა ფრონტებზე, განსაკუთრებით კი  
— თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლებში.

### თავი III

#### საქართველო-რუსეთის ურთიერთობა 1914-1918 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი

1914 წელს დაწყებულ I მსოფლიო ომში რუსეთი ანტანტის მხარეზე იბრძოდა. ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის კავშირს ბუნებრივად ახლდა შინაგანი წინააღმდეგობანი. რუსეთის მისწრაფებას გაბატონებულიყო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ხმელთაშუაზღვის რეგიონში, აღმოსავლეთში, – ვერც ერთი მისი მოკავშირე ვერ ეგუებოდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ამ ომში სრულიად მოუმზადებელი, სოციალ-ეკონომიკურად დაუძლურებული, პოლიტიკურად არამდგრადი ჩაება, მაინც ვრცელ ტერიტორიაზე გაშლილ ფრონტზე გამართა თავგანწირული ბრძოლა და კიდეც ჩააგდო შლიფენის მიერ შემუშავებული გეგმა, რომლის მიხედვით გერმანიის გენერალიტეტი ვარაუდობდა ელვისებური ომის ჩატარებას, რუსეთის არმიის განადგურებას და ომიდან გათიშვას მას შემდეგ, რაც საფრანგეთს გაანადგურებდა.

გერმანიის არმიას კრიტიკული სიტუაცია შეექმნა პრუსიის ფრონტზე, მიუხედავად ამისა, დასავლეთის ფრონტზე მოწინააღმდეგე 1914-1915 წლებში ახერხებდა საბრძოლო ოპერაციებში წარმატებების მოპოვებას, 1916 წელს კი რუსეთის არმიამ მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვა აღმოსავლეთისა და კავკასიის ფრონტზე – თურქეთის მთელი რიგი ქალაქები აიღო და გერმანიის მოკავშირეები: ავსტრო-უნგრეთის, ბულგარეთის და თურქეთის სამხედრო ძალები გაანადგურა. განსაკუთრებული სიხარული ქართულ საზოგადოებაში რუსეთის მიერ ტრაპიზონის აღებამ გამოიწვია. ომისდროინდელ ქართულ პრესაში ჩანს ორგვარი განწყობილება: ეროვნულ-დემოკრატიული პრესა პესიმისტურად იყო განწყობილი რუსეთის მიმართ, დარწმუნებული იყო მის მარცხეში, უფრო გერმანიის გამარჯვების სწამდა და მომავალ იმედებსაც

მას უკავშირებდა საქართველოს განთავისუფლების საქმეში, სოციალისტური პარტიები კი პირიქით, – რუსეთისა და ანტანტის მოიმედენი იყვნენ.

ქართული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად გერმანიაზე რომ ამჟარებდნენ იმედებს ეროვნულ-დემოკრატები, ეს ჩანს უცხოეთში ჩამოყალიბებული „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ საქმიანობისაგან, რომელიც კაიზერული გერმანიის ხელშეწყობით წარმოებდა. ამასთანავე ქართველი მოაზროვნების ეს ნაწილი დიდ წინდახედულებას იჩენდა, როდესაც თავის ნამდვილ პოლიტიკურ ორიენტაციას გულდაგულ უმაღავდა ხელისუფლებას – ჯერ კიდევ 1910 წელს, უნგვაში ჩამოყალიბებულმა საქართველოს განთავისუფლების ჯგუფმა დაიწყო ამგვარი საქმიანობა პეტრე სურგულაძის – შემდეგში ცნობილი ეროვნულ-დემოკრატის თავმჯდომარეობით. ეს ჯგუფი გადაკეთდა განთავისუფლების კომიტეტად და მჭიდროდ დაუკავშირდა გერმანიის სამხედრო და დიპლომატიურ სამსახურებს, რომლებიც ფინანსურად და იდეურად უჭერდა მხარს ამ ორგანიზაციის მუშაობას. სწორედ ამ კომიტეტმა 1915 წელს გამოაქვეყნა დოკუმენტი, სადაც საქართველო-რუსეთის ურთიერთობა შეფასდა, 1801 წლის ანექსიის ფაქტით დოკუმენტი რუსეთს ადანაშაულებდა. 1783 წლის ტრაქტატის დარღვევაში, საქართველოს ტერიტორიაზე ქართველი ერის ეროვნული უფლებების იგნორირებაში. „თვით ეკლესიაში ქართული ენის ადგილი სლავურმა ენამ დაიჭირა, რუსეთის მთავრობა ცდილობს გაარუსოს მთელი ქართველი ერი და ხმარობს ყოველგვარ საშუალებას მის გასაჩანაგებლად“, – ეწერა დოკუმენტი.

დოკუმენტი განათლებულ კაცობრიობას ახსენებდა დიდ სახელმწიფოთა მიერ ომის დაწყების წინ გაკეთებულ განცხადებას, რომ ეს ომი დაიცავდა პატარა ერების ინტერესებს, საქვეყნო სამართლიანობისა და საერთო მშვიდობიანობისათვის იბრძოლებდა, დოკუმენტის

ავტორები იმედს გამოთქვამდნენ, რომ უსამართლოდ დაჩაგრული საქართველოც იპოვიდა მხარდაჭერას, რადგან რუსეთი ომის შემდეგაც გააგრძელებდა ქართველი ერის გარუსებას.<sup>1</sup> გერმანიის ხელშეწყობით, I მსოფლიო ომის დასაწყისში, რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ ჩაგრული და თავისუფლებისათვის მებრძოლი ერების წარმომადგენელთაგან საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის მსგავსი მრავალი ემიგრანტული კომიტეტი შეიქმნა.

გერმანიის ხელშეწყობით ჩამოყალიბდა „რუსეთის უცხო ერთალიგა“, რომელშიაც იმპერიაში შემავალი სხვა ჩაგრული ერების წარმომადგენლებიც შედიოდნენ. ლიგამ მიმართა აშშ-ს პრეზიდენტს ვუდრო ვილსონს მხარდასაჭერად.<sup>2</sup> მიმართვა ამხელდა რუსეთის შოვინისტურ პოლიტიკას არარუსი ერებისადმი, თხოვდა აშშ-ს პრეზიდენტს – ხმა მიეწვდინა ანტანტის სხვა წევრი-სახელმმწიფოებისთვისაც, გამოთქვამდა იმედს, რომ ამათ შორისაც არიან ისეთნი, რომელთაც უყვართ თავისუფლება და სამართალი და გაიგებენ ჩვენს აუტანელ მდგომარეობას.

წერილში – „ძველი და ახალი“ პუბლიცისტი რაფიელ ინგილო იხსენებდა უახლოეს წარსულს, როდესაც კოსმოპოლიტური აზროვნებით შეპყრობილი ქართველები ადვილად ელეოდნენ ეროვნულ ინტერესებს, მზად იყვნენ, დაუმალათ კიდეც თავიანთი ეროვნული წარმომავლობა, თუ ეს საჭირო იქნებოდა. პირველმა მსოფლიო ომმა, – პუბლიცისტის აზრით, – ქართველებსაც დაანახა კოსმოპოლიტიზმის უარყოფითი მხარე, აჩვენა, თუ როგორ დვრიდნენ თავიანთი სამშობლოსთვის სისხლს პოლონელები, სერბები, ბელგიელები და სხვა პატარა ერების შვილები. „საბედნიეროდ, – წერდა რ. ინგილო, – დღეს ქართველობა, დიდი კვლევა-ძიების შემდეგ, დაადგა უტყუარ გზას, როს ნათლად შეიგნო ეროვნული თავდაცვის საჭიროება. მისთვის საქართველო არ წარმოადგენს მხოლოდ კულტურულ-ისტორიულ კატეგორიას, მან უკვე

ფსიხოლოგიურად განიცადა სამშობლოს სიყვარული. ცნობას სამშობლოს შესახებ იგი უერთებს განუსაზღვრელ გრძნობას, ხარობს მისი სიხარულით და უებროდ იტანჯება მისი ტანჯვით. ეს ფაქტია ცხადზე უცხადესი და სწორედ ეს არის თავდები ჩვენი უკეთესი მომავლისა“.<sup>3</sup>

პუბლიცისტი თვლიდა, რომ ომი არ აშორებდა ქართველ ხალხს ნანატრ თავისუფლებას, არამედ აახლოებდა. საჭირო იყო თავდადებული მუშაობა, მზადება დამოუკიდებლობის მისაღებად, რასაც იგი ბიბლიური ქალწულების მზადებას ადარებდა სიძის შესახვედრად. არ გამორიცხავდა ამის ხელისშემშლელ მიზეზებსაც. პირველ რიგში რაფიელ ინგილოს იმ ინტელიგენციის ეშინოდა, რომელსაც არ შეეძლო თავისუფლად საუბარი საკუთარ ხალხთან; პუბლიცისტი ამ ინტელიგენციაში გულისხმობდა რუსული განათლების მქონე პროფესულად მოაზროვნე ადამიანებს, რომელთაც არც იდეოლოგია პქონდათ ქართული და პირდაპირი მნიშვნელობითაც, ვედარ მეტყველებდნენ ქართულად. ქართული ენის საკითხს ამ დროს მთელი მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრი აყენებდა პირველ ადგილზე, ითხოვდა სკოლებში მისთვის პატივის დაბრუნებას, ქართველი ბავშვების ქართულ ენაზე განათლების მიღებას, ითხოვდა ადმინისტრაციულ ენად, რუსულის ნაცვლად, ქართულის შემოღებას, თუმცა ამას ყოველმხრივად ხელს უშლიდა როგორც რუსული ადმინისტრაციის კავკასიური მმართველობა, ასევე იმ მცირე ერთა წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ.

რუსული განათლების მქონე ქართველ ახალგაზრდებს რაფიელ ინგილო ორ რამეს უწუნებდა: 1. ეროვნულობაზე უარის თქმას და 2. ენის დავიწყებას, ქართული ენის ცუდად ცოდნას. ამის მიზეზად თვლიდა რუსეთის ქართულ სათვისტომოებში რუსულ ენაზე საუბარს, რაც 10-იანი წლების დასაწყისიდან გამოსწორდა. „სალამი და ლრმა მაღლობა იმას, – წერდა პუბლიცისტი, ვინც ბოლომდის ებრძოდა გადა-

მგვარებლებს და ქართული სული ჩატბერა ეროვნულ წრეებს“. განსაკუთრებულად აფასებდა პეტერბურგის ქართული სათვისტომოს საქმიანობას, იმ სტუდენტებს, რომლებიც „წმინდა ტაძრად“ თვლიდნენ სათვისტომოს შენობას. იხსენებდა პეტერბურგელ სტუდენტებს და ასკვიდა: „კბილთა ღრეჭა მოუვათ, ვინც გვამათ გვთვლიდა და არ სჯეროდა მგოსნის წინასწარმეტყველების: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“-ო.

რაფიელ ინგილოც, სხვა ქართველ მოაზროვნებთან ერთად, აღტაცებით შეხვდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციას და მეფის ტახტიდან ჩამოგდებას. მისი აზრით, ჩაგრული ერები ამიერიდან თამამად ჩაებმებოდნენ „მოწინავე კაცობრიობის ფერხულში“, „საქართველოს“ ფურცლებზე, პუბლიცისტი აანალიზებდა ვითარებას, სახავდა რუსეთის მომავალი განვითარების გზებს. ის ამ გზას უკავშირებდა დამფუძნებელი კრების მუშაობას, ახალ საკანონმდებლო გზას, რაც ახალი ქვეყნის სამართლებრივ საფუძვლებს შექმნიდა.

რ. ინგილოს რუსეთის სრული პროგრესისა და ბედნიერებისათვის მისი პერიფერიების აღორძინება მიაჩნდა საჭიროდ, სხეულის სწორად მუშაობა და მასში სისხლის მიმოქცევა მაშინ იქნება სრულყოფილი, თუ კიდურებიც კარგად განვითარდებიანო, – ირწმუნებოდა იგი და ქართველი ხალხის ინტერესების განხორციელებას, – სახელმწიფოებრივი სტატუსის მინიჭებას ითხოვდა. „თავისუფალმა რუსეთმა უნდა მოგვანიჭოს ის, რაც მონურმა რუსეთმა ძალმომრეობით გამოგვტაცა ხელიდან!“ – დაბეჭითებით ამბობდა პუბლიცისტი.<sup>4</sup>

რუსეთის პოლიტიკურ კრიზისს, რაც თებერვლის რევოლუციით დამთავრდა, რუსეთში შექმნილი ვითარების –ხალხისა და მთავრობის წინააღმდეგობით ხსნიდა რაფიელ ინგილო. ის ტირანულ რუსეთს აბრალებდა იმას, რომ ეს ძლიერი და ვრცელი ქვეყანა, პროვინციულ ქვეყნად იქცა განათლებულ მსოფლიოში. აკრიტიკებდა იმპერიას პატარა ერებისადმი დაუნდობელი პოლიტიკის გატარებაში: „მან მოუსპო

ქართველობას თავისი კულტურა და სახელოვანი ერის ასიმილაცია განიზრახა. ყოველივე გამოჩენა ერისა, თვით არსი კულტურისა თავიდანვე იხშობოდა. ერის ბედი ხელთ ეპავათ გარყვნილ მაბეზდარათ. მოგვიკლეს ენა, ზნე, ჩვეულება, განიტაცეს ერის სიმდიდრე, განდევნეს მამულისათვის თავდადებულნი! ზიზღი და კრიტიკა ერის დამჩაგვრელებს!“ – ასეთი იყო პუბლიცისტის აზრი.<sup>5</sup>

1917 წლის თებერვლის რევოლუციის მომდევნო თვეებში რაფიელ ინგილოს პუბლიკაციები გაზეთ „საქართველოში“ აკრიტიკებდა რუსეთის ყოფილ იმპერიულ პოლიტიკას, ეროვნულ შოვინიზმს, იმედოვნებდა, რომ რევოლუციის შედეგად შეიქმნებოდა ახალი დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც ავტონომიას მიიღებდნენ ყოფილი დაპყრობილი ერები, მათ შორის საქართველოც, მოხდებოდა მშვიდობიანი, სამართლებრივი პოლიტიკურ-კულტურული თანამშრომლობა ხალხებისა, ქართველი ხალხი გამთლიანდებოდა, მოისპობოდა პარტიული და კლასობრივი ნიშნით დაპირისპირება. რაფიელ ინგილოს ლოზუნგი იყო: „თავისუფალი საქართველო თავისუფალ რუსეთში“.

ეროვნული პოზიცია იყო სპირიდონ კედიას, ლელი ჯაფარიძის, ვასილ წერეთლის, რევაზ გაბაშვილის, ალექსანდრე ასათიანის, გრიგოლ ვეშაპელის, იმდროინდელ პუბლიკაციებში.

კადეტების პარტიის მეთაურის, მილიუკოვის საქმიანობა დროებით მთავრობაში მიუღებელი იყო ბევრი ქართველისთვის. მათ შორის იყო სოციალისტ-ფედერაციული პარტიის ყოფილი წევრი, შემდგომში ეროვნულ-დემოკრატი ვასილ წერეთელი. წერეთელი განსაკუთრებით გააღიზიანა მილიუკოვის მიერ ავტონომიის საკითხზე სომხეთის დელეგაციის მიწვევამ პეტროგრადში. ცხადი იყო, რუსეთი ძველ, ნაცად იმპერიულ ხერხს მიმართავდა: ერებს უპირისპირებდა ერთმანეთს და ერთი რომელიმე გამორჩეულის ხელით ებრძოდა მეორეს. კავკასიაში განსაკუთრებული სიმწვავით საქართველოს ეროვნულ ინტერესებს ლახავდა

რუსეთის სახელმწიფო. ასე იყო ახლაც. „ერთი რამ მაკვირვებს, – წერდა ვასილ წერეთელი გაზეთ „საქართველოში“, – როდესაც ჩვენ ვალად გვაკისრებენ აკადემიურ სიმშვიდეს, სიწყნარესა და მოთმინებას, ჩვენის გათელილის ეროვნული უფლების წამოყენების საკითხში, საგარეო საქმეთა მინისტრი პ. ნ. მილიუკოვი მიიწვევს ქ. თბილისის თავს ა. ი. ხატისოვს პეტროგრადში სომხეთის ავტონომიის შესახებ მოსალაპარაკებლად (იხ. „ზაკავკ. რეჩ“, 66), როგორ შეიძლება სომხეთის ავტონომიის საკითხის გადაჭრა ისე, რომ ქართველობას ამის შესახებ არა ჰკითხონ-რა?! დავიჯეროთ, რომ ჩვენს ეროვნულ უფლებას და თავმოყვარეობას ასე შეურაცხყოფენ?!“ – კითხულობდა ვასილ წერეთელი.<sup>6</sup>

ზოგიერთ ეროვნულ-დემოკრატთა და სოციალისტ-ფედერალისტთაგან განსხვავებით, ვასილ წერეთელს ვერ წარმოედგინა საქართველოს ავტონომიის სრულყოფილი განვითარება მომავალ რუსეთის ფედერაციულ სახელმწიფოში, ის თვლიდა, რომ რუსეთის სახელმწიფო მაინც დაჩაგრავდა პატარა ერებს და ამ თავის დებულებას ასე აყალიბებდა: „შესაძლებელია თუ არა, რომ რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ზედა პალატაში იმდენივე ადგილი დაუთმონ, მაგალითად, ქართველებს, სომხებს, ლიტველებს, თათრებს და სხვებს, რამდენიც ექნებათ ველიკორუსებს?.. ცხადია, რომ ეს არასოდეს არ იქნება და, მაშასადამე, რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, განუხორციელებელი უტოპიაა, რომელსაც მთელი ჩვენი ენერგია არ უნდა შევალიოთ. 1783 წლის ტრაქტატის განხორციელება კი შესაძლებელი იქნება ადრე თუ გვიან, რადგან რუსეთს ამით უზენაესი უფლება, – სუვერენიტეტი – არ დაეკარგება“.<sup>7</sup>

არა მარტო რუსეთის ფედერაციაში შეყვანის, არამედ საქართველოს ფედერაციული მოწყობის წინააღმდეგიც იყო ვასილ წერეთელი ბევრ მის თანამოაზრესთან ერთად. მისი აზრით, საქართველო უნდა ყოფილიყო ერთიანი რესპუბლიკა ერთი კანონმდებლობით. დასაშვებად

მიიჩნევდა მხოლოდ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიას, მასაც მხოლოდ ადმინისტრაციული თვალსაზრისით, დანარჩენი – ეკონომიკური, პოლიტიკური, საბაჟო, ფინანსური თვალსაზრისით – საქართველოს ყველა კუთხის უნდა ყოფილიყო ერთიანი.<sup>8</sup>

1916 წელს არზრუმისა და ტრაპიზონის აღებას მიესალმებოდნენ პეტრე მირიანაშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, დავით კასრაძე, ალექსანდრე ასათიანი. პეტრე მირიანაშვილმა ვრცელი ისტორიული ნარკვევი მიუძღვნა ამ საკითხს, სადაც ეწერა, რომ არზრუმი და ტრაპიზონი ოდითგანვე მნიშვნელოვანი ადგილები იყო ქართველებისათვის. არზრუმი, იგივე კარნუ ქალაქი, ბევრჯერ აუღიათ ქართველებს, აქ ხომ ქართველები ცხოვრობდნენ, ასევე იყო ტრაპიზონშიო, რომელსაც პუბლიცისტი ძველ ქალდეად მიიჩნევდა. იგი იხსენებდა პირად შეხვედრას ილია ჭავჭავაძის დის, ელისაბედ საგინაშვილის მოურავთან – ჩიკოიძესთან, რომელმაც იმოგზაურა არზრუმის ვილაიეთის ბასიანის ხეობაში, სადაც ამ დროს მრავალ ქართველს უცხოვრია, იხსენებდა წმინდა ნინო კაპადოკიელს, 13 ასურელ მამას, ქალდეველსა და ქართველს – ერთნაირი შინაარსის ტერმინებად თვლიდა; მკითხველს იმასაც შეახსენებდა, რომ ტრაპიზონში სოლომონ II იყო დამარხული, რომ 1783 წლის ტრაქტატით რუსეთი ამ ძველი ქართული მიწების დაბრუნებასაც დაპირდა საქართველოს.<sup>9</sup> მისი აზრით, ეს დაპირება მას ახლა შეეძლო აესრულებინა.

ამავე საკითხს იხილავდა პუბლიცისტი წერილში – „ჭანეთი და ჭანების საკითხი“. აკეთებდა რა ისტორიულ ექსკურსს ჭანეთის წარსულში, მირიანაშვილი გადმოდიოდა აწმყოში და წერდა: „რაკი ასეა, ჭანების, ჭანეთის საქმე ქართველთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში როგორც აჭარის და სხვა სამაკმადიანო საქართველოსი, პირველ რიგზე უნდა დავაყენოთ და გავუწოდოთ ხელი ყოველგვარი დახმარებისა, რო-

მელიც ეგრე საჭიროა ჩვენი ერთობის სიმტკიცისათვის და დიდი რუსეთის ინტერესებისთვისაც“.<sup>10</sup>

მაშასადამე, ქართველი ინტელიგენცია, I მსოფლიო ომის დროს, იმედოვნებდა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას (განსაკუთრებით თურქეთის მიერ მიტაცებული მიწების) რუსეთის დახმარებით, როგორც ეს მოხდა აჭარა-ახალციხის შემთხვევაში, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ამ ინტელიგნციის ნაწილის – ქართველ ეროვნულ-დემოკრატია პროდასავლურ ორიენტაციას, ეს მეტად მნიშვნელოვანია. ეროვნულ-დემოკრატებს, უპირველესად, საქართველოს ინტრესები ამოძრავებდათ და თუკი ამ ინტერესების განხორცილებას შეაძლებინებდა, არც რუსეთთან ურთიერთობის წინააღმდეგები იყვნენ.

ამავე აზრს, თურქეთის შემადგენლობაში დარჩენილი ქართული მიწა-წყლის შეერთებას რუსეთის დახმარებით, იმედოვნებდა გრიგოლ ვეშაპელიც, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი.<sup>11</sup>

1914-1918 წლებში რუსეთის სახელმწიფოებრივ პოლიტიკას კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში, მწვავედ აკრიტიკებდა ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ასათიანი.

1914 წელს პეტერბურგიდან დაბრუნებული იურისტი, ქუთაისში შეუდგა ეროვნულ მოღვაწეობას, სპირიდონ კედიასთან, რევაზ გაბაშვილთან, დავით ვაჩნაძესა და შალვა ამირეჯიბთან ერთად ორგანიზაციას უკეთებდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, მონაწილეობდა მისი პერიოდული პრესის გამოცემაში. ეს იყო ქურნალი „კლდე“, გაზეთები – „საქართველო“ და ქუთაისში გამომავალი გაზეთი „სამშობლო“.

ალექსანდრე ასათიანმა მიხაკო წერეთელსა და დავით ვაჩნაძესთან ერთად შექმნა „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი“.

რუსეთიდან თავდახსნის ერთ-ერთ ძლიერ საშუალებად ალექსანდრე ასათიანს ეპონომიკური გაძლიერება, საქართველოს მიწა-წყლის ეფექტური მოხმარება მიაჩნდა. მისი აზრით, ტექნიკურად ჩამორჩენილი

სოფლის მეურნეობა ვერ ახერხებდა სახალხო დოკუმენტის შექმნას, რაც ქართველ ხალხს გამოკვებავდა. „თოხი და სახნისი ვერ ჰქმნის იმდენ დოკუმენტს, რამდენიც საჭიროა ეროვნული სხეულის გამოსაკვებად. დანაკლისს ჩვენ იმ უძრავი ფონდიდან ვავსებთ, რომელსაც წარმოადგენს ჩვენი მიწა-წყალი. ამ სახით ამ უკანასკნელ ხანებში მრავლად იყიდება მამულები, რითაც მემამულეთა მოთხოვნილებები კმაყოფილდება“, – წერდა ალექსანდრე ასათიანი.

პუბლიცისტი მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო რეცეპტების იძლეოდა: „ამ უძრავი ეროვნული ფონდის გაფლანგვის პროცესი რომ შეჩერდეს, ამისთვის საჭიროა მემამულეებმა თავის შემოსავლის გასაღილებლად სხვა რაიმე საშუალება გამოძებნონ. ჩვენში მიწა უთუოდ ძლიერ ცოტა შემოსავალს იძლევა. მათი მეპატრონეთა მადა და მოთხოვნილება კი მეტად დიდია“. იგი მემამულეებს ურჩევდა ვაჭრობა-მრეწველობის, ან კულტურული მეურნეობის მოწყობის საქმისთვის მიემართათ. მართალია, სხვა ქვეყნებში მამულების გაყიდვა ბუნებრივი პროცესია, რადგან ერთი ყიდის და იქვე, მეორე თანამემამულე ყიდულობს, ჩვენში კი ეს ეროვნულ კატასტროფას ჰქმნის, რადგან ჩვენი გლეხი არაა მსყიდველობითი უნარის მქონე, მიწა სხვა ერის წარმომადგენელთა ხელში გადადის და მომავლისთვის დიდ საფრთხეს გვიქმნის. ეს საქმე, ალექსანდრე ასათიანის აზრით, უნდა მოგვარებულიყო ბანკებისა და ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა საშუალებებით.<sup>12</sup>

ეროვნულ-დემოკრატია სხვა ლიდერთაგან განსხვავებით (გიორგი გვაზავა, ზ. ავალიშვილი და სხვ.), ალექსანდრე ასათიანი არ თვლიდა საქართველოს ავტონომიის ადდგენისათვის 1783 წლის ტრაქტატი ყოფილიყო საფუძველი.

წერილში – „ქართველი ერის სუვერენული უფლებები თუ 1783 წლის ტრაქტატი?“ ალექსანდრე ასათიანი არ ცნობდა 1783 წლის ტრა-

ქტატს დამოუკიდებლობის აღდგენის საფუძვლად; მას მიაჩნდა, რომ ტრაქტატს თვით რუსეთმა გაუკეთა ანულირება, როდესაც 1801 წელს საქართველოს ანექსია მოახდინა. საერთაშორისო სამართალი ასეთი დარღვევის დროს ხელშეკრულებას სრულ ბათილად ცნობსო. რუსეთი ძალადობრივად მართავდა 117 წლის მანძილზე საქართველოსო. ასახელებდა პოლონეთისა და ფინეთის მაგალითებს, რომელთაც მთელი იურიდიული ლიტერატურა შექმნეს თავიანთი დამოკიდებლობის შესახებ, თუმცა რუსეთს ეს განხორციელებული არ ჰქონდა, საყვედურობდა ქართველებს, რომ ამგვარი ლიტერატურა და მოთხოვნები მათ არ შექმნეს, თუმცა სამართლებრივად საქართველოს სრული დამოუკიდებლობა ეკუთვნისო.<sup>13</sup>

ეს იყო ქართველ ეროვნულ-დემოკრატია პირველი საჯარო განცხადება და მოთხოვნა ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის შესახებ, რითაც მათ ყველა ქართულ პოლიტიკურ პარტიას და ეროვნულ ძალას გაუსწრეს.

აი, რას წერდა ალექსანდრე ასათიანი: „იმ წამიდან, რაჟამს რუ-  
სეთის ძველი რეჟიმი დაემხო, საქართველო სრულიად თავისუფალია  
და მისი უმაღლესი, სუვერენული უფლებები მხოლოდ ქართველ ერს  
კუთვნის“.

როგორც რუსეთი, ისე საქართველო, – წერდა ასათიანი, – და-  
უყოვნებლივ უნდა პქმნიდეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც  
მომავალში ერის უმაღლეს უფლებათა, მისი სურვილისა და ნებისყო-  
ფის გამომხატველი შეიქმნება. რუსეთი მოიწვევს დამფუძნებელ კრებას,  
შეიმუშავებს სახელმწიფოს კონსტიტუციას და შეადგენს აღმასრულე-  
ბელ მთავრობას. ქართველმა ერმაც უნდა მოიწვიოს თავისი დამფუძნე-  
ბელი კრება, რომელიც შეადგენს საქართველოს პოლიტიკურ კონსტი-  
ტუციას და შეიმუშავებს რუსეთთან დამოკიდებულების დებულებებს,  
რომელიც რუსეთის მთავრობამ უნდა მიიღოს. შესაძლოა, ეს დამოკიდე-

ბულება კიდევ უფრო მჭიდრო და მტკიცე იქნეს, ვინემ ამას 1783 წლის ტრაქტატი ჰგულისხმობს, ხოლო ასეთი კონსტიტუციისა, რუსეთთან მე-გობრული დამოკიდებულებისა და პოლიტიკური კავშირის შემუშავება მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ერის სუვერენული უფლების კომპე-ტენციას შეადგენს და არა რომელიმე პოლიტიკური ერთეულის, თუ სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების.<sup>14</sup>

ამგვარად, ამ წერილით, ალქსანდრე ასათიანმა პირველად და სწორად დასვა საქართველოს სრული დამოუკიდებლობის საკითხი, მისი საკანონმდებლო ორგანოს – დამფუძნებელი კრების მოწვევა, სა-კუთარი კონსტიტუციის შემუშავებისა და რუსეთთან სამშვიდობო ხე-ლშეკრულების დადების საჭიროება. რუსეთი პირველად გამოცხადდა საქართველოს მეზობელ სახელმწიფოდ, რომელთანაც ჩვენს ქვეყანას უნდა ჰქონოდა თანაბარი სახელმწიფოებრივი უფლებები და ურთი-ერთობები.

მით უმეტეს, წერილში გამოთქმული იდეა იმდენად იყო ძვი-რფასი, რამდენადაც „საქართველოს“ ამავე ნომერში გამოქვეყნებული ივანე გომართელის და მომდევნო პერიოდში სხვა მოაზროვნეთა წერი-ლებშიც მხოლოდ ავტონომიის მოთხოვნა იყო რუსეთის ფარგლებში.<sup>15</sup>

1916-1917 წლებში გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან პუბლიკაცი-ებში ალექსანდრე ასათიანი წერდა ეკონომიკურ პრობლემებზე, აკრი-ტიკებდა რუსეთის დროებით მთავრობას, მინისტრებს – შინგარიოვს, სკობელევს, ირაკლი წერეთელს, ამ უკანასკნელის შეხედულებას – ევროპაში რუსეთის რევოლუციის ექსპანსიას სისულეელედ თვლიდა, რადგანაც ყველაფერი, რაც რუსეთში ჰქონდა რევოლუციას მიზნად და-სახული, – პიროვნების თავისუფლება, სოციალ-ეკონომიკური მდგომა-რეობის მაღალი დონე და სხვა, ევროპაში დიდი ხანია იყო.<sup>16</sup>

მწერალი დავით კასრაძე კრიტიკულად უყურებდა იმ ქართველთა რწმენას, რომლებიც იმედით შეჰყურებდნენ თებერვლის რევოლუციის

შემდეგ მიმდინარე მოვლენებს, დროებითი მთავრობის წევრთა დაპირებებს, მანიფესტებისადმი ნდობას.

მისი აზრით, ქართველი ხალხი უფრო ფანტაზიორი იყო, ვიდრე პრაქტიკოსი, უფრო მეოცნებე, ვიდრე რეალისტი, მწერლის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ამიერკავკასიის ხელისუფლების ქედისმოხრა რუსეთის წინაშე, არ მოსწონდა რუსეთში მიმდინარე მოვლენები.<sup>17</sup>

ეროვნულ-დემოკრატებს ეჩქარებოდათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა, სოციალ-დემოკრატები კი ლოდინის ტაქტიკას არჩევდნენ, რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევას ელოდებოდნენ. ამ პროცესმა დიდხანს გასტანა, 1917 წლის გაზაფხული და შემოდგომა მძიმე გამოდგა რუსეთისთვის, ოქტომბრის გადატრიალებამ დაამხო დროებითი ხელისუფლება, მაგრამ არც მერე შეუცვლიათ ტაქტიკა ქართველ სოციალ-დემოკრატებს: რწმენა რუსეთის „დემოკრატიისა“ და მისი დამფუძნებელი კრების ყოვლისშემძლეობისადმი ამ პარტიას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგაც არ დაუკარგავს.

1916 წლის საომარ ბატალიებს არზრუმსა და ტრაპეზუნდში ეხბოდა სიმონ ქვარიანი. ის, პეტრე მირიანაშვილის მსგავსად, აღწერდა ამ მხარის ისტორიულ წარსულს, ძველი ქართული ტომების განსახლებას ამ რეგიონში და ასკვნიდა: „წარსულმა საუკუნემ ჩვენ შემოგვერთა საუკუნეობით მოწყვეტილი მესხეთი და უფრო დიდი ხნით დაშორებული ძმა გადავეხვიეთ ერთმანეთს, დღეს კიდევ მსოფლიო ომის ქარტებისა გადმოისროლა ჩვენსკენ ჩვენთვის თითქმის დაკარგული ჭანეთი, ეს წმინდა გიორგის და წმინდა ნინოს ტურფა სამშობლო, უსაზღვროა ქართველი ერის სიხარული, დღეს თითქმის გაერთიანდა ძველი საქართველო ორთავა არწივის ქვეშ. დღეს კოლხეთ-ივერიის ფარგლებში მოქმედა ძველი ლაზიკა და კაპადოკია“.<sup>18</sup>

პუბლიცისტის იმედი ზედმეტად ოპტიმისტური და ნაადრევი იყო, თუმცა იგი უკავშირდებოდა აქაურ ქართველებში შემორჩენილ ზნე-ჩვე-

ულებებს, ქართულ ენას, რომელიც ჯერ კიდევ არ მომკვდარიყო ამ ქართველებში, რაც შეეხება პოლიტიკურ იმედებს, სულ მალე რუსეთის იმპერია დაეცა, I მსოფლიო ომში დამარცხდა იგი და სეპარატისტული ზავი დადო გერმანიასთან, რომლითაც, საქართველოს უკითხავად, ქართული მიწები თურქეთს გადაეცა. საბჭოთა რეჟიმმა, რამდენიმე წლის შემდეგ, ალიანსი შეკრა „ახალგაზრდა თურქებთან“, ქემალისტურ რეჟიმთან და თვით საქართველოს დამოუკიდებლობაც, მთელი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობასთან ერთად, რუსმა ბოლშევიკებმა თურქეთისაგან, იმ გარანტით მიიღეს, რომ მოკავშირედ გაუხდებოდნენ ანტანტასთან დაპირისპირებულ, დასაშლელად და გასანადგურებლად განწირულ თურქეთის სახელმწიფოს. მართალია, სრულიად საპირისპირო იდეოლოგიის ამ ორი ქვეყნის პარტნიორობა ხანმოკლე იყო, მაგრამ ამ მცირე პერიოდშიც საქართველოსთვის დიდი უბედურება მოიტანა მან და აზერბაიჯანის და სომხეთის დამოუკიდებლობასთან ერთად, საქართველოს დამოუკიდებლობაც იმსხვერპლა.

რუსეთის პოლიტიკური კურსის შეურიგებელი კრიტიკოსი იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, ქართველი ერის ინტერესების თავდადებული დამცველი სპირიდონ კედია. 1916 წელს მის მიერ გაგზავნილი ლია წერილი სახელმწიფო საბჭოს ქართველი დეპუტატების – კარლო ჩხეიძისა და აკაკი ჩხერიძის მიმართ შეიცავდა ამ პოლიტიკის კრიტიკასაც და მოწოდებასაც – გახსენებოდათ მამულიშვილური ვალი და ქართველ დეპუტატებს სათათბიროს ტრიბუნიდან ემხლებინათ რუსეთი.

„სწორად მსჯელობს ისტორიკოსი ოთარ ჯანელიძე თავის მონოგრაფიულ გამოკვლევაში, როდესაც სპირიდონ კედიას საყვედურს აკაკი ჩხერიძისადმი რამდენადმე გადაჭარბებულად მიიჩნევს, რადგან აკაკი ჩხერიძი ხშირად გამოდიოდა სახელმწიფო სათათბიროში რუსე-

თის კავკასიური პოლიტიკის კრიტიკით, იცავდა ქართველი და სხვა ჩა-  
გრული ერების უფლებებს.<sup>19</sup>

ჯერ კიდევ 1912 წლის 10 დეკემბერს მისი გამოსვლა რუსეთის  
სათაბიროში იყო მწვავე, კრიტიკული და ქართველი ერის ინტერესებით  
გაჟღენთილი.

აკაკი ჩხერიმელის სიტყვაში ასეთი შინაარსი იდო: საქართველოს  
რუსეთთან შეერთება მოხდა განსაკუთრებული ტრაქტატის თანახმად,  
რომელიც ორივე მხარისათვის სავალდებულო იყო. ამ ტრაქტატით  
უზრუნველყოფილი იყო საქართველოს სრული ავტონომია ყველა ში-  
ნაურ საქმეში. ტრაქტატზე ხელი პქონდათ მოწერილი ორივე სახელმწი-  
ფოს მონარქებს, მაგრამ არ გაუვლია 50 წელსაც, რომ რუსეთის მთა-  
ვრობა მოურიდებლად შეუდგა ქართველი ხალხის უფლებათა დარღვე-  
ვას, რაც ამ საერთაშორისო აქტით იყო განსაზღვრული. მან გააუქმა  
თავისი მონარქის ნება, რომელიც ნათლად ჩანდა ტრაქტატში და იმ  
ზომამდე მივიდა, რომ ამჟამად თვით სახელი „საქართველოც“ არ არსე-  
ბობს და ადგილი არ მოეპოვება ოფიციალურ ლექსიკონში.

რუსეთის მთავრობამ ქართველ ხალხს ხელიდან გამოგლიჯა თი-  
თქმის მთელი მესამედი საქართველოს ტერიტორიისა, რომ ამ ჩამო-  
რომეულ ადგილებზე გადმოსახლებულთა შემწეობით ეწარმოებინა  
ანტიეროვნული პოლიტიკა მთელს რუსეთში თქვენ ვერ ნახავთ ვა-  
რცერთ ისეთ კუთხეს, სადაც მიწის მომუშავე გლეხთა კლასი ისეთ ტა-  
ნჯვას განიცდიდეს მიწის სიმცირისაგან ან უმიწობისაგან, როგორც  
საქართველოში<sup>20</sup>

გერმანიისა და მისი მოკავშირეების მიერ დაარსებულ „რუსეთის  
სხვისტომთა ლიგას“, ანტანტის ქვეყნებმა დაუპირისპირეს ჯერ კიდევ  
ადრე, პარიზში ჩამოყალიბებული „ერთა კავშირი“. მისი გენერალური  
მდივანი ლიტველი იუოზას გაბრისი იყო. კავშირის მუშაობაში მონაწი-  
ლეობდნენ ფრანგი, შვეიცარიელი და სხვა ქვეყნის წარმომადგენლები.

კავშირმა განიზრახა 1916 წლის ზაფხულში დიდი კონფერენციის მოწყობა შვეიცარიაში, სადაც მოხსენებებით თუ ფოტოგამოფენით უნდა ემხილებინა გერმანიისა და მისი მოკავშირების იმპერიალისტური პოლიტიკა ეროვნულ საკითხში.

გერმანიასა და მის მოკავშირებს „ერთა კავშირის“ განზრახვა არ დარჩათ შეუმჩნეველი და მათ ორგანიზაცია გაუკეთეს ლოზანაში თავიანთი წარმომადგენლების დასწრებას, რომლებიც ამხელდნენ რუსეთსა და ანტანტის სხვა ქვეყნებს. ქართველებიდან გერმანიამ ამ შეკრებაზე დასასწრებად მიხაკო წერეთელი და კონსტანტინე გამსახურდია გაგზავნა. როგორც ო. ჯანელიძე ამბობს, პეტერბურგის ცნობაზე დაყრდნობით, კონსტანტინე გამსახურდია 1915 წლის შემოდგომიდან გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს „აღმოსავლეთის სააგენტოს“ ხელფასიანი თანამშრომელი იყო.<sup>21</sup>

ალბათ, ამის გამოც იყო, რომ 1916 წელს კონსტანტინე გამსახურდიამ ვრცელი ნაშრომი გამოაქვეყნა კავკასიის ხალხების ბედზე რუსეთის იმპერიაში გერმანულ ენაზე, რაც სწრაფად ითარგმნა ინგლისურ ენაზეც. ეს ბროშურა გამოქვეყნებულია ქართულადაც.

რაც შეეხება ქართველთა პოზიციას, ეს იყო ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე პოზიცია, თორემ ეროვნულ საკითხში ანტანტის ქვეყნებიც ისევე ცოდავდნენ, როგორც გერმანია და მისი მოკავშირები. განა ავსტრია-უნგრეთის იმპერია ან თურქეთი რუსეთში ნაკლებად ჩაგრავდა თავიანთ სახელმწიფოში შემავალ მცირე ერებს?..

ლოზანაში გამოსულმა ბელგიელმა პროფესორმა ოტლეტმაც მიაქცია ამას ყურადღება, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ავსტროუნგრეთში 35 მილიონი ჩაგრავდა 17 მილიონს, რუსეთში კი – 50 მილიონი იბრძოდა 100 მილიონის უფლებების წინააღმდეგ.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა მიხაკო წერეთელმა და, კონსტანტინე გამსახურდიას აზრით, შთამბეჭდავად ისაუბრა ქართველი ხალხის დამცირებულ უფლებებზე.<sup>22</sup>

მიხაკო წერეთლის სიტყვა ბერლინში ფრანგულ ენაზე დაისტაბბა, შემდეგ კი იქ გამომავალმა „ქართულმა გაზეთმაც“ დაბეჭდა.<sup>23</sup>

1917 წლის 22 იანვარს აშშ-ს პრეზიდენტმა ვილსონმა მანიფუსტით მიმართა სენატს, რომელიც მცირე და დიდ ერებს თანაბარ უფლებებს პირდებოდა ომის შემდგომ დადებული ზავის პირობებით.

ქართველმა პატრიოტებმა ისარგებლეს ამ მანიფესტით და იმავე წლის 25 იანვარს სპეციალური დეპეშით მიმართეს აშშ-ს პრეზიდენტს. ესენი იყვნენ მიხაკო წერეთელი და გიორგი მაჩაბელი, მათვე 1917 წლის შემოდგომაზე, შვეიცარიაში ფრანგულად გამოსცეს დოკუმენტი – „საქართველოს დამოუკიდებლობის უფლებანი“; მასში ხაზგასმული იყო საქართველოს მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ, დასაბუთებული იყო ამ სწრაფვის პოლიტიკურ-სამართლებრივი და ისტორიული საფუძვლები, დოკუმენტში ნაჩვენები იყო რუსეთის პოლიტიკური კურსი და მისი იმპერიალისტური მიდგომა ქართველი ერისადმი, დოკუმენტი მთავრდებოდა განათლებული კაცობრიობისადმი მოწოდებით: „კმარა უგულო მოწმედ ყოფნა განათლებულ ერის მოსპობისა, რომლის აღსა-დგენადაც საკმარისია სცნოთ მისი ყოველ ეჭვს გარეშე მყოფი და უწმინდესი უფლებანი, რათა მოეწყოს იგი პოლიტიკურად და დაიჭი-როს თავისი ადგილი დამოუკიდებელ ერთა ოჯახის წევრისა“.<sup>24</sup>

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ დაამხო მონარქია რუსეთში და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პრეზენტია განაცხადა. ჩაგრულმა მცირე ერების წარმომადგენლებმა ისარგებლეს ამით და დაკარგული უფლებების აღდგენა უფრო თამამად მოითხოვეს. ამავე გაზაფხულზე საქართველომ ნანატრი ოცნება აისრულა: აღიდგინა ეკლესიის ავტოკეფალია, რასაც ქართველი ინტელიგენცია დიდი ზეიმით შე-

ხვდა. ამ საყოველთაო ზეიმში ჩაბმული იყო მოსახლეობის ყველა ფენა, ქართული პრესის თითქმის ყველა ორგანო ამ მოვლენას ღირსსახსოვარ თარიღად და ერის დიდ მიღწევად მიიჩნევდა.

1917 წლის აგვისტოში მოსკოვში მოწვეული იქნა ხალხთა კრება, სადაც მონაწილეობდნენ საზოგადო პირები, ხალხთა წარმომადგენლობითი დელეგაციები.

შეკრებას ხელმძღვანელობდა მთავრობის თავმჯდომარე კერუნისკი. „დიდი რუსეთის მოქალაქეთა, თავისუფალი სამშობლოს შვილების“ მომავალზე იყო მის სიტყვაში საუბარი.<sup>25</sup>

ამ დროს ამიერკავკასიის მთავრობის – ოზაკომის პოზიცია და პოლიტიკური კურსი პრორუსული იყო. ოფიციალური პირები მთავრობაში იყვნენ სოციალ-დემოკრატები, აზერბაიჯანელი „მუსავატები“ და სომხური პარტია „დაშნაკ-ცუტიუნი“. ამიერკავკასია რუსეთის ნაწილად მოიაზრებოდა, ხოლო რუსეთი თავისუფალ, დემოკრატიულ ქვეყნად. ასეც განაცხადა თათბირზე ოზაკომის სახელით გამოსულმა აკაკი ჩხერიელმა: „ამიერკავკასიის ერნი თანაზიარნი არიან არა მარტო ერომანეთს შორის, არამედ მთლიანად რუსისა და სხვა ხალხებთან, რომლებიც ცხოვრობენ დიდ სახელმწიფოში ჩვენ აღარ გვყავს „ინორდიცები“ რუსეთში, არის მხოლოდ ერთადერთი რუსი ხალხი, ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ გვაქვს ერთი სამშობლო“<sup>26</sup> ეს პოზიცია, რა თქმაუნდა, არ იყო მოწინავე ქართველი ინტელიგენციის პოზიცია. ის მისწრაფვოდა სრული დამოუკიდებლობისაკენ და საქართველო რუსეთთან ერთად მოიაზრებოდა მხოლოდ მეზობლურ, სახელმწიფოებრივ ურთიერთობაში. ეს პოზიცია თათბირზე იოსებ მაჭავარიანმა გამოხატა, როდესაც ჩაგრულ ერთა სრული პოლიტიკური თავისუფლება ითხოვა. არც თათბირის მონაწილე რუსეთის წარმომადგენლები და არც მთავრობის მეთაური კერენსკი მის გამოსვლას არ გამოხმაურებია. მოხდა

პირიქით, თათბირმა რეალობად ქცეული ფინეთის და უკრაინის დამოუკიდებლობაც დაგმო.

ამ დროს, უკრაინის ცენტრალური რადა წარმოადგენდა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს და ესტრაფვოდა რუსეთისგან სრული დამოუკიდებლობის მიღებას. ამ სტრაფვაში უკრაინის ეროვნულ ძალებს გერმანელები ეხმარებოდნენ. ამავე პოზიციაზე მყოფმა ქართველმა პატრიოტებმა, რა თქმა უნდა, მჭიდრო კავშირი დაამყარეს უკრაინის ცენტრალურ რადასთან.

1917 წლის სექტემბერში კიევში გაიმართა რუსეთის ერთა ყრილობა, სადაც იმ ერთა წარმომადგენლები შეიკრიბნენ, რომლებიც პოლიტიკური ავტონომიისთვის იბრძოდნენ. გაზეთი „საქართველო“ ამ ფაქტს თეორიული სფეროდან პრაქტიკულ სფეროში გადასვლას, ეროვნული საკითხის ნამდვილი მოგვარების გზას უწოდებდა. ამავე აზრს ავითარებდა კიევში გამოსულ სიტყვაში იოსებ მაჭავარიანიც.<sup>27</sup>

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, სადაც აღნიშნული იყო, რომ ეველა ერს ავტონომიის დამყარების უფლება პქონდა და ამ ერთა შინაგან ცხოვრებას მოაწესრიგებდა მათი დამფუძნებელი კრება.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას XX საუკუნის 10-იან წლებში მრავალი პუბლიკაცია და გამოსვლა მიუძღვნა ეროვნულ-დემოკრატია, პროფესიონალური გორგი გვაზავამ. მან 1917 წელს რუსულ ენაზე გამოსცა წიგნი „საქართველო საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით“. ასევე მნიშვნელოვანი იყო მისი სტატიები საქართველოს მომავალი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ გაზეთ „საქართველოში“.

პირველივე წერილში, რომელიც თებერვლის რევოლუციის შემდეგ გამოქვეყნდა სათაფრით – „ჩვენი დროშა“, – გვაზავა მიიჩნევდა, რომ საქართველოს მთავარი საზრუნავი იყო ახალი ხელშეკრულების გაფორმება რუსეთთან, რაც ქვეყნის ავტონომიურ-ტერიტორიულ მოწყო-

ბას დაეფუძნებოდა, ეს ხელშეკრულება 1783 წლის ტრაქტატს, მის მთავარ პუნქტებს დაეყრდნობოდა.

გიორგი გვაზავა, როგორც იურისტი იკვლევდა ამ აქტის დამოკიდებულებას საქართველოს სახელისუფლო ორგანოებისადმი, ამჯერად ის მეფის უფლებებში ზოგად უფლებებს დებდა და წერდა, რომ ხელისუფლება განუწყვეტლივ უნდა დარჩეს ქართველი ერის ხელშიო, საქართველოს უნდა ჰქონდეს თავისი საკანონმდებლო ორგანო (სეიმი, პარლამენტი), აშენებული ფართო დემოკრატიულ პრინციპზე, ე.ი. ამორჩეული საყოველთაო არჩევნებით საქართველოს ყველა მკვიდრის მიერ, განურჩევლად სქესისა, რჯულისა და ეროვნებისა.<sup>28</sup>

გიორგი გვაზავამ მოუწოდა საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს, რომ წინასწარ შეემუშავებინათ ავტონომიის სტატუსი, რადგან რუსეთმა 1917 წლის მარტში გამოაცხადა დამფუძნებელი კრების მოწვევა, სადაც საქართველოს ხმა ძალზე მცირე იქნება, რადგან იგი რუსეთის მოსახლეობის 2%-ს შეადგენსო.

თუ ჩვენ შევადგენთ ავტონომიის სტატუსს, განვსაზღვრავთ ჩვენი პოლიტიკური მმართველობის დეტალებს, რუსეთის დამფუძნებელი კრებაც იძულებული გახდება ამას ანგარიში გაუწიოსო.<sup>29</sup>

საქართველოს ავტონომიის მოდელს გიორგი გვაზავა აყალიბებდა წერილების სერიაში, რომელიც გაზეთ „საქართველოს“ რამდენიმე ნომერში გრძელდებოდა.<sup>30</sup> მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში გვაზავა საქართველოს ავტონომიას რუსეთის ფარგლებში განიხილავდა, თუმცა ეს ავტონომია ფართო იყო, განსხვავებით ალექსანდრე ასათიანისაგან, რომელიც საქართველო სრულ ავტონომიას ითხოვდა. დამსახურება გვაზავას ავტონომიური მოდელისა იყო ის, რომ იგი საქართველოს უეჭველ ტერიტორიად მიიჩნევდა: „თბილისის და ქუთაისის გუბერნიებს, ბათუმისა და სოხუმის მხარეებს, საინგილოს, არტაანისა

და ოლთისის ოლქებს,“ და უმატებდა: არ ვეხები ოსმალეთის საქართველოს, ეს საერთაშორისო პოლიტიკის საკითხია.

1917 წელი ურთულესი იყო ფრონტისპირა რაიონებისთვის. ასეთი იყო საქართველოც, რომლის ახლოს იყო ანტანტის ფრონტი – თურქეთ-გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ჯარებთან. ფრონტებზე მებრძოლი რუსეთის არმიის რიგებში ბევრი ქართველი მსახურობდა, ჯარში ანტისამთავრობო ბოლშევიკური მოწოდებებით უწესრიგობა სუფევდა. მას მოუწოდებდნენ „მიეტოვებინათ ფრონტი, დაემხოთ მემამულე-ბურჟუაზიის კლასი, აღედგინათ მშრომელი ხალხის რუსეთი“. ასეთი ჯარი ბოლშევიკური სულისკვეთებით იმსჯვალებოდა და საშიში იყო საქართველოსთვის, რადგან რუსეთში დაბრუნებული ამ ჯარის დიდი ნაწილი საქართველოში მოხვდებოდა და შეიძლებოდა პროვოკატორებს იგი ქართველი ხალხის წინააღმდეგ განეწყოთ, შეტაკება მომხდარიყო ჯარსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. რუსეთის მიმართ „სეპერატიზმად“ იყო მიჩნეული საქართველოს ბრძოლა ავტონომიისათვის, ავტოკეფალიის აღდგენა, რასაც, გიორგი გვაზავას სიტყვით, დიდი კატასტროფის მოტანა შეეძლო. ამ საშიშროებაზე საუბრობდა გვაზავა წერილში – „ჯარი და პროვოკაცია“.<sup>31</sup>

ეს საფრთხე რეალურად არსებობდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამიერკავკასიის მთავრობის ქართველმა ლიდერებმა – ნოე ჟორდანიამ, ევგენი გეგეჭკორმა, აკაკი ჩხერიმა, ნოე რამიშვილმა და სხვებმა, იგი ოსტატურად ააცდინეს საქართველოს.

საქართველოს დამოუკიდებლობაზე, 1917 წლის ისტორიულ ფაქტებზე და ქართველთა პოლიტიკურ მიზნებზე წერდა გრიგოლ ვეშაპელი წიგნში – „საქართველოს ერთიანობა და რუსეთის პროტექტორი“, რომელიც 1917 წელს მოსკოვშიც გამოიცა რუსულად და თბილისშიც, 1918 წელს, ქართულ ენაზე.<sup>32</sup>

გრიგოლ ვეშაპელის აზრით, ახლადადგენილ საქართველოს სახელმწიფოს, თავისი იურისდიქცია უნდა განევრცო თავის რეალურ და ისტორიულ მიწა-წყალზეც.

განსაკუთრებული ინტერესით ქართული საზოგადოებრივი აზრი დატრიალებდა საინგილოს, ტაო-კლარჯეთს. ამიტომ პრესა აქვეყნებდა მასალებს, რომლებიც ასახავდნენ ამ ისტორიული ტერიტორიების წარსულს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ზაქარია ედილაშვილის (ეროვნულ-დემოკრატი, წარმოშობით ინგილო) წერილებს რუსეთის კოლონიზაციის პოლიტიკისა და ინგილო ქართველების ბედზე.

1916 წელს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა ედილაშვილის მიერ აღმოჩენილი დიმიტრი ჯანაშვილის რვეულები, სადაც ბევრი საინტერესო ცნობა იყო რუსული მმართველობის მიერ გატარებულ მკაცრ პოლიტიკაზე ინგილო ქართველების მიმართ, მათ ძალით გამაჰმადიანებაზე, ციმბირში გადასახლებაზე და სხვ. ამ მასალით კიდევ უფრო ცხადი ხდება რა მკაცრი იყო ცარიზმი ეროვნული საკითხის მიმართ, როგორ თიშავდა ეროვნულ ორგანიზმს, აქუცმაცებდა და წინააღმდეგობის გაწევის ძალას უსუსტებდა.<sup>33</sup>

ზაქარია ედილაშვილი, როგორც გაზეთ „საქართველოს“ კორესპონდენტი საინგილოში, ბევრ პუბლიკაციას აქვეყნებდა ამ მხარის მდგომარეობაზე, რუსიფიკატორულ პოლიტიკაზე და ეროვნული სულისკვეთების ჩახშობაზე – 1916-1918, ასევე დამოუკიდებლობის წლებში (1918-1921).

ეროვნულ-დემოკრატები – ნიკო ნიკოლაძე, სპირიდონ კედია, ვასილ წერეთელი, მიხაკო წერეთელი, რევაზ გაბაშვილი, პეტრე სურგულაძე, გრიგოლ ვეშაპელი, ალექსანდრე ასათიანი, დავით ვაჩნაძე, გორგი მაჩაბელი არ აჰყვნენ ეროვნულ ნიკილიზმს, რომელიც სოციალისტურ პარტიებში შეიმჩნეოდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შე-

მდებ, პირიქით, დაირაზმნენ ეროვნული საკითხის გარშემო და 1917 წლის ივნისში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ჩამოაყალიბეს.

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებას ამიერკავკასიის დემოკრატიული პარტიები სრული უნდობლობით შეხვდნენ. 1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში შედგა ამ პარტიათა და ა/კ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა თათბირი, რომელმაც მიზანშეწონილად ჩათვალა რუსეთში მდგომარეობის გამოსწორებამდე და ანარქიის ჩახშობამდე შეექმნათ ადგილობრივი მთავრობა.

15 ნოემბერს შედგენილ ახალ მთავრობას ამიერკავკასიის კომისარიატი ეწოდა, რომელშიც შევიდნენ სოციალ-დემოკრატთა, დაშნაკცუტუნის, მუსავატის, სოციალისტ-ფედერალისტების და ესერების პარტიების წარმომადგენლები. თავმჯდომარედ ევგენი გეგეჭკორი იქნა არჩეული.

ამ დროს საზავო მოლაპარაკებები წარმოებდა რუსეთსა და გერმანია-თურქეთს შორის, რუსეთის ზოგმა ნაწილმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ბაქოში ძალაუფლება ბოლშევიკებმა აიღეს, აქ შეჭრილი თურქეთის არმია ებრძოდა ბოლშევიკებს.

1918 წლის იანვარში გაიხსნა რუსეთის დამფუძნებელი კრება, რომლის დიდი იმედი ჰქონდათ ქართველ სოციალისტურ პარტიებს. ლენინის დეკრეტით 6 იანვარს დამფუძნებელი კრება გარეკას ბოლშევიკებმა საბჭოთა ხელისუფლებისადმი უარყოფითი პოზიციისათვის.

ამიერკავკასიის კომისარიატის გადაწყვეტილებით 1918 წლის 22 იანვარს შეიქმნა ადგილობრივი დამფუძნებელი კრება – ამიერკავკასიის სეიმი.

ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ სეიმი უკანონოდ ცნო, მანვე გაუკეთა ორგანიზაცია ბოლშევიკური ჯარების შემოსვლას და წააქეზა ეს ჯარი ამიერკავკასიის ოკუპაციისაკენ, რაც ამიერკავკასიის კომისარიატმა და თბილისის საბჭომ აღავეთა, ბოლშევიკურ გა-

რნიზონს ხელიდან გამოსტაცა იარაღის არსენალი, რამაც რუსეთის ხელისუფლების აღშფოთება გამოიწვია.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში მცხოვრებმა ეროვნულმა უმცირესობებმა შექმნეს თავიანთი ეროვნული საბჭოები: მუსლიმანთა, სომეხთა, რუსთა, აფხაზთა, ოსთა, ბერძენთა და ა.შ. ეროვნული საბჭოები ესწრაფვოდნენ ამ ხალხთა თვითგამორკვევას. დღის წერიგში დადგა საქართველოს ეროვნული საბჭოს შექმნაც, რომლის ინიციატორი 1917 წლის აპრილში შექმნილი ინტერპარტიული საბჭო იყო.

1917 წლის 19 ნოემბერს სახაზინო თეატრში შეკრებილმა ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილმა შექმნა საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ეროვნული საკითხების გადაჭრასა და საქართველოს ინტერესების დაცვაში იმ რთული სიტუაციის დროს, რაც 1917 წლის ბოლოს და 1918 წლის დასაწყისში შეიქმნა საქართველოს ირგვლივ. ეს იყო უმნიშვნელოვანესი აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე.

ამიერკავკასიის სეიმის ამოცანა იყო თურქეთთან საზავო მოლაპარაკების წარმოება და კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა. ეს განცხადება 1918 წლის 13 მარტს სეიმის სხდომაზე გვგენი გეგეჭკორმა გააკეთა.<sup>34</sup> განცხადება ეხებოდა ბრესტის საზავო ხელშეკრულებით რუსეთის მიერ თურქეთისთვის გადაცემულ ქართულ ტერიტორიებს, რის გამოც საქართველოს ეროვნულმა საბჭომ და ამიერკავკასიის სეიმმა მაშინვე განაცხადა პროტესტი.

ბრესტში საზავო მოლაპარაკება 1917 წლის დეკემბრიდან დაიწყო, მაგრამ საბჭოთა დელეგაციის მეთაურის, ლევ ტროცკის გამო, რომელმაც არ მიიღო გერმანიის უკიდურესად გაზრდილი მოთხოვნები რუსეთის მიმართ, მოლაპარაკება ჩაიშალა, ლენინი და ტროცკი ამ საკითხში ვერ თანხმდებოდნენ, ლენინის აზრით, ბრესტის ზავზე ხე-

ლმოწერა რუსეთის გადარჩენის ერთადერთი შანსი იყო, რასაც ტროკი და ბოლშევიკთა ზოგი სხვა ლიდერი არ იზიარებდა. გაიმარჯვა ლენინის პოზიციამ.

საქართველოს საკითხი ბრესტში 1918 წლის 18 იანვარს დაისვა. გერმანიის საზავო დელეგაციის მეთაურმა ფონ კულოვმა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელს ლ. ტროცკის დაუსვა კითხვა: არის თუ არა ამიერკავკასია რუსეთის შემადგენლობაში, ტროცკიმ დაადასტურა, ამის საფუძველზე გერმანიამ რუსეთს ოსმალეთის დაკავებული ტერიტორიების დაცლა, ყარსის, არდაგანისა და აჭარის გადაცემა მოთხოვა. რუსეთი დათანხმდა. გერმანიამ რეფერენდუმის ჩატარება მოითხოვა ამ ტერიტორიებზე;

ქართული საზოგადოების ისეთი წარმომადგენლები, როგორიც გერონტი ქიქოძე, ტიციან ტაბიძე, რევაზ გაბაშვილი, სპირიდონ კედია და სხვები იყვნენ, ბოლომდე საყვედურობდნენ სოციალ-დემოკრატებს ბრესტში წაუსვლელობასა და საქართველოს ინტერესების დაუცველობას. თავის მხრივ ისინი ამბობდნენ, რომ რუსეთის ბოლშევიკურ ხელისუფლებას არაკანონიერად ცნობდნენ და მათი ხელშეკრულებებიც ბათილი იყო, მაგრამ ბრესტის ხელშეკრულებამ იმუშავა და დიდი ზოანიც მიაყენა ქართულ ინტერესებს.

თურქები არ დაელოდნენ რეფერენდუმს და 1918 წლის მარტში საქართველოში შემოვიდნენ: დაიკავეს აჭარა, გურიის ნაწილი და ახალციხე-ახალქალაქი. ჩამოუყალიბებელმა და ცუდად შეიძრალებულმა ქართულმა ჯარმა ვერ გაუძლო თურქ ასკერთა კარგად გაწვრთნილ არმიას და დამარცხდა, აპრილიდან ქართული ქალაქი ბათუმი – თურქელი გახდა, ქართველი საზოგადოება ამ ტრაგიკულ პოლიტიკურ სიახლეს ვერ შეეგუა.<sup>35</sup> მისი მოწინავე ნაწილი აგრძელებდა მოლაპარაკებას გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობასთან, აღრმავებდა 10-იანი წლების დასაწყისიდან აღებულ პოლიტიკურ კურსს, რათა გადაერჩინა

საქართველო. მდგომარეობას ის ართულებდა, რომ ამიერკავკასიის ინტერნაციონალურ მთავრობაში განხეთქილება იყო: აზერბაიჯანული მუსავატი პროტერქულ ორიენტაციაზე იდგა, საქართველო დამპყრობელ თურქებს ებრძოდა, სომხეთი კი იმდენად ძალაგამოცლილი იყო მაჰმადიანებთან ხანგრძლივი ომით, არაფრის გამკეთებელი აღარ იყო.

ასეთ პირობებში ქართველი სოციალ-დემოკრატებიც, რომლებიც მანამდე რუსეთის განუყოფლობის იდეას ერთგულებდნენ, ნელ-ნელა გადაისარნენ ეროვნული ძალების მიერ არჩეული ევროპული ორიენტაციისაკენ. სოციალ-დემოკრატებიდან, ამიერკავკასიის მთავრობაში რომ მოღვაწეობდნენ, უპირველესად ეს პოზიცია საგარეო საქმეთა მინისტრმა, ტრაპიზონის კონფერენციაზე ამიერკავკასიის რესპუბლიკის დელეგაციის ხელმძღვანელმა – აკაკი ჩხერიმა დაიჭირა. საბოლოოდ ამ პოზიციას შეუერთდნენ: ნოე უორდანია, ევგენი გეგეჭკორი, ნოე რამიშვილი და სხვები.

ტრაპიზონიდან ბათუმში გადმოტანილმა საზავო მოლაპარაკებამ, რომელიც 1918 წლის 6 მაისიდან 4 ივნისამდე მიმდინარეობდა, ახალ დიპლომატიურ ვითარებაში გააგრძელა მუშაობა. კონფერენციაზე გარმანიის დელეგაციას ფონ ლოსოვი წარმოადგენდა, აქ იყვნენ მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენლები, რომლებიც დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ქართველების დახმარებით ფიქრობდნენ, ქართულ დელეგაციას ნიკო ნიკოლაძე და აკაკი ჩხერიმა მეთაურობდა, სომხურ დელეგაციას ხატისოვი და ქაჩაზნუნი, აზერბაიჯანის ინტერესებს იცავდა გენერალი გაჯინსკი და რასულ-ზადე, თურქთა დელეგაციას კი – ხალილ-ბეი ხელმძღვანელობდა.<sup>36</sup>

თურქეთი არ დაჯერდა ბრესტის ზავით მიღებულ ტერიტორიებს და რეალურად დაკავებული ტერიტორიები ითხოვა, მან 72-საათიანი ულტიმატუმი წამოაყენა, ითხოვა ალქსანდროპოლ-ჯულფის სარკინი-

გზო ხაზის გადაცმა, რითაც ჩრდილოეთ აზერბაიჯანს უკავშირდებოდა და საგრძნობლად ასუსტებდა ქართულ და სომხურ პოზიციებს.<sup>37</sup>

თუ ამ მოთხოვნას არ მიიღებდა, თურქეთი ომით იმუქრებოდა, საქართველო იძულებული იყო მიედო ულტიმატუმი, მას მხარს უჭერდა და ამხნევებდა გერმანიის დელეგაცია, რომელიც პპირდებოდა, რომ მოკავშირე თურქეთს უკან დაახევინებდა ამ მოთხოვნებში.

1918 წლის 4 ივნისს გაფორმდა საქართველო-თურქეთის ხელშეკრულება, 1918 წლის 28 აგვისტოს კი, გერმანიამ შეასრულა საქართველოსთვის მიცემული პირობა: რუსეთთან დადებული ბრესტის ზავის ის ნაწილი, რომელიც ქართული ტერიტორიების თურქეთისთვის გადაცემას ითვალისწინებდა, გააუქმა. 1918 წლის 26 მაისს კი, საქართველომ, გერმანიის მხარდაჭერით, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა აღიდგინა.

#### თავი IV

რუსეთის პოზიცია საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ

1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი

1918 წლის 26 მაისის აქტმა რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება აღაშფოთა. ბოლშევიკური პარტია და მთავრობა ცდილობდა

რუსეთის იმპერიის რეანიმაციას, ამიტომ ვერ შეურიგდებოდა სამხრეთ კავკასიაში დამოუკიდებელი, ევროპული ორიენტაციის მქონე სახელმწიფოს წარმოშობას.

საბჭოების ყრილობაზე გამოსულმა ლენინმა გააკრიტიკა საქართველოს დამოკიდებლობა, მის მიერ გერმანიასთან დამყარებული კავშირი და ქართველ პოლიტიკოსებს მარცხი უწინასწარმეტყველა, რუსი ბოლშევიკების ბელადი ყურადღებას ამახვილებდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ერებზე და ქვეტექსტით მეზობელი ხალხების დაპირისპირებას უქადდა მას საზღვრების საკითხეში, სადაც ის, ეჭვი არ იყო, საქართველოს მოწინააღმდეგეთა მხარეზე იქნებოდა.

1918 წლის 30 მაისს გაზეთმა „ერთობამ“ გამოაქვეყნა ლენინის ეს სიტყვა და ანტირუსული სულისკვეთებაც გამოხატა მისი ანალიზისას, ლენინი ლანძღავდა ქართველ სოციალ-დემოკრატებს, მიიჩნევდა, რომ ჩეეიძემ, გეგეტერმა, წერეთელმა, ჩეენკელმა „შეითვისეს რადას პოლიტიკა და ბოლშევიკების გასაჟღებად ოსმალეთი „მოიწვიეს“

და ისინი უეჭველად მოიმკიდნენ იმას, რაც რადამ მოიმკო. თუ კავკასიის რადას „მოსაქმეებმა“ დახმარება მიიღეს გერმანიის ჯარებით, როგორც უკრაინის რადამ, – ამბობდა ლენინი, – ეს ახალ გასაჭირში ჩააგდებს საბჭოთა რესპუბლიკას და დააყენებს მას ახალი ომის აუცილებლობის წინაშე. თურქეთთან საომარი მდგომარეობა შეგვექმნა იმიტომო, რომ გეგეტერმა და წერეთელმა ჯერ არ ცნეს ბრესტის ხელშეკრულება, შემდეგ კი კავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, ის კი არ გვიპასუხეს უამრავი რადიოდეპუშის პასუხად, რომელ ტერიტორიაზე ქმნიან თავიანთ სახელმწიფოსო. ლენინის აზრით, ქართველები ხელს უწყობდნენ გერმანია-თურქეთს კავკასიის დაპყრობაში, რაც, რა თქმა უნდა, რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა ამ რეგიონში.

„ერთობა“ ომის მუქარად მიიჩნევდა ლენინის ამ განცხადებას და მართლაც იყო ეს სიტყვა მიღიტარისტული ხასიათის, შეიცავდა ფაქტების დამახინჯებას, ჯერ ერთი, თურქები საქართველოში ქართველებს არ მოუწვევიათ. ისინი ბრესტის ზავით, ანუ რუსეთის ნებით განუქებული სამხრეთ კავკასიის, კერძოდ კი საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის თურქეთზე გადაცემის შემდეგ მოვიდნენ. თურქეთის საქართველოში შემოსვლამ და მთელი ქვეყნის ანექსიის საფრთხემ კი ქართველი პოლიტკოსები გერმანიასთან პოლიტიკური კავშირის დამყარების აუცილებლობამდე მიიყვანა. „ერთობა“ ამართლებდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა პოლიტიკურ კურსს, გერმანიაზე აღებულ ორიენტაციას და რუსეთის ბოლშევიკურ სახელმწიფოს აკრიტიკებდა.

ხშირად ქართველ სოციალ-დემოკრატებს და, ბუნებრივია, მათ პრესას თანამედროვე ოპოზიციაც და შემდგომი საზოგადოებრივი აზრიც მიიჩნევს პრორუსულად, ასეთი შეხედულება ეფუძნება „ერთობისა“ და სხვა მისი თანამოაზრე ორგანოს თვალსაზრისს. რუსეთში დემოკრატიული ძალების მოსვლის შემთხვევაში საქართველო-რუსეთის კეთილ ურთიერთობაზე, რუსული ორიენტაციის შესაძლებლობაზე, თუკი რუსეთში ისეთივე პროგრესული ძალები გაიმარჯვებდნენ, როგორც საქართველოში იყო, ლენინის მიერ ხელისუფლებაში მოსვლას და ბოლშევიკური დიქტატურის დამყარებას ისინი არაკანონიერად, დროებით მოვლენად მიიჩნევდნენ და სწამდათ, შინაგანი თუ უცხოური პროგრესული ძალები მაღე მოუდებდნენ ბოლოს ამ უკანონო და უსამართლო აქტს.

პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ერთობა რუსეთის მომავალ პროგრესულ სახელმწიფოსთან ამ ძალებს ყველაზე სასურველად მიაჩნდათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის. თუმცა მათი სიტყვებიდან გაურკვეველი იყო, რას გულისხმობდნენ ისინი: რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს დაბრუნებას თუნდაც ავტონო-

მიური უფლებით, თუ ორი ქვეყნის თანაბარ ურთიერთობას, სახელმწიფოებრივ კავშირს და კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას. ვინაიდან დამოუკიდებლობის პირველ თვეებში ეს თვალსაზრისი არ იკვეთებოდა, ოპოზიცია და მისი პრესა, კერძოდ კი „საქართველო“ – „ერთობასა“ და მმართველ პარტიას ადანაშაულებდა პრორუსულ პოლიტიკაში, საქართველოს დამოუკიდებლობის დალატში, რისთვისაც ხშირად მის წარსულსაც იხსენებდნენ, ეროვნული იდეოლოგიის უქონლობას უკიუინგბდნენ სოციალ-დემოკრატებს, ხელისჩასაჭიდ ფაქტებს და მიზეზებს ისინი ხშირად ნახულობდნენ „ერთობის“ ფურცლებზე, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ გაზეთის პუბლიკაციები სრულიად არ გამოხატავდა ამ პარტიის ყველა წევრის თვალსაზრისს, მთავრობის წევრთა შეხედულებებსა და მათ მიერ გატარებულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას.

ბოლშევიკური რუსეთის კრიტიკაში „ერთობა“ ისეთივე პირდაპირი იყო, როგორც „საქართველო“, მაგრამ თუ ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი მთლიანად უარყოფდა საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის პრორუსულობას და ევროპულ ორიენტაციას ემხრობოდა, „ერთობა“ დემოკრატიული რუსეთის ადდგენის შემთხვევაში რუსეთთან კავშირის აუცილებლობას აღიარებდა. „საქართველოს“ პოზიცია გაცილებით სწორი და შეუმცდარი იყო, რადგან ისტორიის გამოცდილებით რუსეთში არსებული დემოკრატიული ძალებიც კი ვერ მიდიოდნენ საქართველოს და იმპერიაში შემავალი სხვა სუბიექტების სრული დამოუკიდებლობის აღიარებამდე, არც შემდეგში იყო ასეთი რამ მოსალოდნელი, თუმცა ეს დემოკრატიული ძალები ამ დროს არც ჩანდნენ და არც იგრძნობოდა მათი გამოჩენისა და გამარჯვების შანსი.

შესაძლებელია, 1918 წლის 5 იანვრის აქტის შემდეგ, როდესაც ლენინმა გარეკა რუსეთის დამფუძნებელი კრება და დემოკრატიულ ძალებს გზა გადაუღობა ქვეყნის ხელისუფლებაში მოსასვლელად, არც

ქართველ სოციალ-დემოკრატებს დარჩათ ამის იმედი, მაგრამ, როგორც მმართველი პარტია, ახლად დაარსებული, მტრულ გარემოცვაში მყოფი ქვეყნის წამყვანი პოლიტიკური ძალა, არ ამწვავებდა სიტუაციას და მდგომარეობის განეიტრალების მიზნით არ უარყოფდა მომავალში რუსულ-ქართული ურთიერთობების გაუმჯობესების შესაძლებლობას.

იქვე, 1918 წლის 30 მაისის „ერთობაში“ დაბეჭდილი მაქსიმ გორგის წერილიც მიუთითებს, რა შეხედულება ექნებოდა რედაქციას იმდროინდელ რუსეთზე. წერილი დაწერილი იყო სამხრეთ რუსეთში და შესაძლებელია იგი ქართველ პოლიტიკოსებს თვითონ მოეპოვებინათ, მით უმეტეს, თუ გორგის განწყობილებას გავითვალისწინებთ ქართველებისადმი.

მაქსიმ გორგი ამათრახებდა რუსეთს, მის დამპყრობლურ პოლიკას, მის ეროვნულ ხასიათს, „მთვრალსა და ტლანქს“ უწოდებდა რუს ხალხს, მიაჩნდა, რომ ევროპა დაიღუპებოდა, თუ ასეთ ხალხს აირჩევდა მესიად, ანუ თუ მის იდეოლოგიას გაჰყვებოდა. გორგის მიაჩნდა, რომ ევროპის მუშათა კლასი იყო მშრომელი, შემოქმედი, რუსეთისა კი „უსაქმური“ და იგი ვერ იქნებოდა ევროპული პროლეტარიატის წინამდებლი. <sup>1</sup>

საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ რუსეთმა ყველა მანქანა აამუშავა, ეს იყო ამ ქვეყანაში არსებული ბოლშევიკურ-რუსული პრესა, ეროვნული დაპირისპირების ინსპირირება, ქართველი ბოლშევიკების მიერ გაჩაღებული აგიტაცია-პროპაგანდა მოსახლეობაში ქვეყნის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისარგებლა არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, ომის ვითარებაში ჩავარდნილი ქვეყნის არასტაბილურობით და სცადა აჯანყებების მოწყობა საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ. „ერთობა“ იხილავდა ბოლშევიკების გამოსვლებს, მათ მიერ მოწყობილ პროგრაციებს საქართველოს სხვადასხვა რაიონში და გმობდა ამას.

1918 წლის გაზაფხულზე ბოლშევკებმა არაერთი გამოსვლა მოაწყვეს საქართველოში. ერთ-ერთი დიდი გამოსვლა იყო ლეჩხუმის მაზრაში. გაზეთმა ამას პროვოკაცია უწოდა და მკითხველს აუხსნა, – თუ რა ინტერესები ჰქონდათ დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგ, საკუთარი ერის ინტერესების წინააღმდეგ მებრძოლ ამ ძალებს და ვინ აქვთებდა მათ.

გაზეთი პირდაპირ მიუთითებდა, რომ მთელი მათი მოქმედება მესამე ძალის, კერძოდ კი, რუსეთის მიერ იყო ინსპირირებული.<sup>2</sup>

როგორც ვიცით, 1918 წლის 28 აგვისტოს გერმანიასა და ბოლშევკურ რუსეთს შორის შედგა ახალი მოლაპარაკება, სადაც გადაისინჯა ბრესტის ზავის ზოგიერთი მუხლი; გერმანიამ, დაპირებისამებრ, აიძულა რუსეთი ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ ფაქტს გამოეხმაურა გაზეთი „ერთობა“, აღნიშნა, რომ ეს დიდი მიღწევა იყო საქართველოსთვის, თუმცა რუსები ამას სიტყვით აქამდეც აღიარებდნენ, საქმით კი საწინააღმდეგოს ამტკიცებდნენ. „ჩვენ ვამბობთ, რომ ბოლშევკების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას აქვს საერთაშორისო მნიშვნელობა, მაგრამ მას არ შეუძლია გვიხსნას თვით ბოლშევკების მუხანათური მოქმედებისაგან, თუ მათ ამის საშუალებას მივცემთ. მათ შესახებ დღესაც ისევე უნდა ვიწამოთ, როგორც სიტყვა, რომელსაც ისინი დაარღვევენ ისე, რომ არცერ გაწითლდებიან“; – წერდა გაზეთი.<sup>3</sup>

რედაქცია სწორად აფასებდა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას, მიაჩნდა, რომ ამას მხოლოდ სამართლებრივი დირექტულება ჰქონდა, ფაქტობრივად კი რუსეთის ნდობა არ შეიძლებოდა, ის კვლავ მტრად რჩებოდა და საქართველოს დიდი სიფრთხილე მართებდა მასთან ურთიერთობაში.

აკრიტიკებდნენ რა ბოლშევკიზეს, როგორც რუსულ რეაქციულ იდეოლოგიას, ქართველი სოციალ-დემოკრატები წინ წამოსწევდნენ თა-

ვიანთ როლს დემოკრატიული საზოგადოების შექმნაში, ქვეყანაში სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარებასა და აღმშენებლობით პროცესებში.

1918 წლის 11 ნოემბერს თბილისში გაიხსნა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატთა მე-8 ყრილობა, რომლის მუშაობა ფართოდ გააშუქა „ერთობამ“. განსაკუთრებული ყურადღება გაზეთმა გაამახვილა სილიბისტრო ჯიბლაძის სიტყვაზე, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ეხებოდა. ჯიბლაძე გამოყოფდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა განსაკუთრებულ როლს ამიერკავკასიის მშრომელთა ცხოვრებაში, იმ რევოლუციურ ბრძოლებში, რომელსაც ეს პარტია ედგა სათავეში.

ამიერკავკასიის გამოყოფას რუსეთისაგან იგი თავის დაცვის საშუალებას უწოდებდა და ქართველი ერის გადამრჩენად მიიჩნევდა, გმობდა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის კრიტიკოსებს, იმ მტრებს, რომლებიც მარტო რუსეთში კი არა, თვით ჩვენს ქვეყანაში და მის მეზობლად იყვნენ. ჯიბლაძე ლაპარაკობდა იმ დიდ მისიაზე, რაც სოციალისტურ პარტიას დაეკისრა საქართველოში, „რომელმაც დემოკრატიული, კეთილი იდეებით ნასულდგმულები საზოგადოების აშენება გადაწყვიტა“, გაატარა დემოკრატიული რეფორმები მაშინ, როდესაც რუსეთში სოციალისტებმა არნახული ტერორი და სისხლისდვრა გააჩადეს. ივანე მრისხანეს შემდეგ რუსეთს არაფერი უნახავს წითელ არმიელებზე საშინელიო, – ირწმუნებოდა ყრილობის ორატორი, „ჩვენ ჯვარს ბოლომდე ვზიდავთ“, – ამბობდა იგი, – რევოლუციასაც გადავარჩენთ და ჩვენს ქვეყანასაცო.

გაზეთი „ერთობა“ ეთანხმებოდა სილიბისტრო ჯიბლაძის ამ პათოსს და აუცილებლად მიიჩნევდა ქვეყანაში შინაგანი წესრიგის დამყარებას.<sup>4</sup>

რუსეთთან ურთიერთობას გაზეთი დამოუკიდებლობის მთელ მანძილზე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. რედაქცია ბეჭდავდა,

როგორც ვრცელ პუბლიცისტურ წერილებს მეზობელ ქვეყანასთან არსებული პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ წინა საუკუნიდან მოყოლებული, ასევე იმ საინფორმაციო მასალებსაც, რომელიც ასახავდა რუსეთის სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე პროცესებს. გაზეთი პოლე-მიკას უმართავდა როგორც ქართულ ოპოზიციურ, ასევე რუსულ გაზე-თებს, დასაწყისში რუსულ დემოკრატიას აქებდა, იმედოვნებდა მის ხე-ლისუფლებაში დაბრუნებას და მოვლენების შემობრუნებას ანუ საქა-რთველო-რუსეთის ახალი დაკავშირების შესაძლებლობას, შემდეგ კი, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ ერთნაირი სისა-სტიკით გამოილაშქრეს როგორც ბოლშევიკურმა, ასევე მონარქისტუ-ლმა ძალებმა, „ერთობის“ პოზიციაც გამკაცრდა, იგი რადიკალური გა-ხდა რუსეთის დამპურობლური პოლიტიკის გამო საქართველოსადმი. ამასთან, უნდა ითქვას, რომ არც პირველ შემთხვევაში და არც შემდე-გში, „ერთობა“ არ დალატობდა ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეას და მტკიცედ უჭერდა მას მხარს.<sup>5</sup>

გაზეთი ეხებოდა ომში მონაწილე სახელმწიფოების ბედს, ზავი-სადმი მათ დამოკიდებულებას და იმედოვნებდა, რომ ევროპის დემო-კრატიული საზოგადოება მხარს დაუჭერდა კავკასიაში მშვიდობის და-მყარებას. მისი რწმენით, გერმანიის წასვლა ევროპის ქვეყნების დამო-კიდებულებას საქართველოს დამოუკიდებლობისადმი არ შეცვლიდა.<sup>6</sup>

ქვეყნის დამოუკიდებლობა წმიდათაწმიდა საქმედ მიაჩნდა გაზე-თის რედაქციას და მის მიღწევას მიაწერდა სოციალ-დემოკრატიულ პა-რტიას, რომელიც იღვწოდა პოლიტიკური და სოციალური თანასწორო-ბისათვის. ეკამათებოდა რა ოპოზიციურ აზროვნებას, გაზეთი ამტკიცე-ბდა, რომ ამ პარტიამ თანმიმდევრულად იბრძოლა დამოუკიდებლობისა-თვის. იგი იმეორებდა ირაკლი წერეთლის იმ აზრს, რაც მან წარმო-თქვა საქართველოს პარლამენტში, მაშინ ეროვნულ-დემოკრატმა დეპუ-ტატებმა უსაყველურეს მის პარტიას და შეახსენეს წარსული, როდესაც

ეროვნული საკითხი მათ წინაშე არც მდგარა, პირიქით, ებრძოდნენ კი-დეც ამ საკითხით განსაკუთრებულად დაინტერესებულ პოლიტიკურ ძალებს. ირაკლი წერეთელმა კრიტიკაზე ასეთი პასუხი გასცა ოპონენტებს: ჩვენ რუსეთის შიგნით ვიბრძოდით და დავანგრიეთ იმპერია, ეს რომ არ გვექნა, თქვენ ვერასოდეს მოიპოვებდით დღევანდელ თავისუფლებასო.

გაზეთმა განსაკუთრებით აღნიშნა დამოუკიდებლობის 6 თვე, მკაცრი პასუხი გასცა დამოუკიდებლობის მაკრიტიკებელ რუსულ გაზეთებს, განსაკუთრებით „სოციალ-დემოკრატს“.<sup>7</sup>

დამოუკიდებლობის აუცილებელ გარანტად გაზეთი მიიჩნევდა სახელმწიფოებრივ წესრიგს, დისციპლინას, კანონების მკაცრად დაცვას მისი მოქალაქეებისაგან, მთავრობისაგან კი მოითხოვდა ამ პროცესებისადმი შეუნელებელ კონტროლს.<sup>8</sup>

სამწუხარო იყო ისიც, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ წელს „ერთობის“ საინფორმაციო მასალებში, რომლებიც ეხებოდნენ მეზობელი ქვეყნების პოლიტიკურ ვითარებას, იგრძნობოდა ერთგვარი მხარდაჭერა პროლეტარიატის გაფიცვებისადმი, მუშათა მოძრაობისადმი, ამ მოძრაობის სულისკვეთება კი ძირითადად ბოლშევიკური იყო. სწორედ ეს გახდა მიზეზი, რომ ბაქოში შესულმა მოკავშირეების ჯარმა, კერძოდ, მისმა ხელმძღვანელმა ინგლისელმა გენერალმა ტომსონმა უარით გაისტუმრა ბაქოელი მუშების დელეგაცია, 5 დაპატიმრებული „ამხანაგის“ განთავისუფლებას რომ ითხოვდა, ტომსონმა უთხრა მუშებს – სოციალურ პირობებს აუცილებლად გავაუმჯობესებთ, შემოვიტანთ პროდუქტებს და სამეურნეო საჭიროების ნივთებს, იმ მუშების დაპატიმრება კი ისევ თქვენს ინტერესებში შედისო. ეს გაცხადება ბაქოელმა მუშებმა დაცინვად მიიღეს და მოაწყვეს დიდი გაფიცვა, სადაც აღნიშნეს: ჩვენ რუსეთის თვითმპურობელობას ვებროდით, მით უმეტეს, ინგლისის თვითმპურობელობას არ დავემორჩილე-

ბითო. ინგლისელი გენერალი იძულებული გახდა დაპატიმრებულები გაეთავისუფლებინა. „ერთობა“ კი ამ პოლიტიკურ მოვლენას დიდი სისარულით ამცნობდა საკუთარ მკითხველს.<sup>9</sup>

გაზეთის ამგვარი პოზიცია შორდებოდა იმ სახელმწიფოებრივ დამოკიდებულებას მუშათა გაფიცვებისადმი, სოციალური და პარტიული ნიშნით საზოგადოების ისეთ დანაწილებას, რაც დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებას უნდა უკუგდო, მით უმეტეს, ისეთ გამწვავებულ საგარეო ვითარებაში, რომლის დროსაც უხდებოდა ამ სახელმწიფოს ფორმირება. ასეთი სოციალისტური აზროვნება, ევროპულზე მეტად რუსულ მოდელს უახლოვდებოდა, რისთვისაც აკრიტიკულნენ ქართულ სოციალ-დემოკრატიას ეროვნულ-დემოკრატები. იმავე დროს გამოსულ გაზეთ „საქართველოში“ გიორგი გვაზავა ითხოვდა, რომ ევროპულ დელეგაციაში მხოლოდ სოციალისტური შემადგენლობა თუ იქნებოდა, ეროვნულ ინტერესებს სრულად ვერ დაიცავდა. „ერთობა“ გვაზავას ამ მოსაზრებას აბსურდულს უწოდებდა და მიაჩნდა, რომ ქართული დელეგაცია, როგორც ხალხის ინტერესების გამომხატველი, უნდა ყოფილიყო სოციალ-დემოკრატიული, რადგანაც სახელმწიფოს სათავეში ეს პარტია იდგა. გვაზავას ვარაუდს, რომ მათ კერძნების ბედი ელოდათ, რომელსაც ევროპულმა სტრუქტურებმა ანგარიში არ გაუწიეს, „ერთობა“ იმით აბათილებდა, რომ კერძნები, „ევროპაში რუსი ხალხისგან უარყოფილი წავიდა“, ქართული დელეგაცია კი ხალხის ნდობით აღჭურვილი და მისგან ზურგგამართული მიდიოდა.<sup>10</sup>

კამათში, რაც „ერთობა“-, „საქართველოს“ შორის იმართებოდა და რაც მათი დამაარსებელი პარტიების ინტერესებს გამოხატავდა, ბოლომდე მართალი და გამარჯვებული არც ერთი არ ყოფილა, თუმცა, შეიძლება ვთქვათ, რომ „საქართველო“ წმინდა ეროვნული თვალსაზრისით გაბედულ და გულწრფელად პატრიოტულ იდეალებს გადმოსცემდა. მაგრამ ერთია ასეთი იდეალები და სურვილები, მეორე: რეალობა

და სახელმწიფოებრივი ინტერესები. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა სომხეთ-საქართველოს ომისა და სხვა, ეროვნულ უმცირესობათა კონფლიქტების დროს. „ერთობა“ გადმოსცემდა თელავის მუშათა დეპუტატების საბჭოების კრების ანგარიშს, სადაც მოხსენება მიმდინარე მოვლენებზე გააკეთა თბილისიდან გაგზავნილმა მომხსენებელმა (ბატონმა ჭუმბურიძემ), და როდესაც გამომსვლელმა მოუწოდა ყველას, „განურჩევლად ეროვნებისა, დახმარებოდა მთავრობას“, დამსწრე ეროვნულ-დემოკრატულმა დაიწყეს შეძახილი: ჩვენ არ გვინდა სომხების დახმარება, განიდგვნონ სომხებიო, „ერთობა“ აღნიშნავდა ამ ფაქტს და მას მიიჩნევდა „ერთა სოლიდარობის“ საწინააღმდეგო აქციად და ასკვნიდა: „ჩვენ გვმართებს თავდაჭერილობა, სიდინჯე ამ საპასუხისმგებლო დროს“.<sup>11</sup> ასე დისკრედიტებული (თვით დამოუკიდებლობის წლებში!) „ერთა სოლიდარობის“ მიუხედავად, ეს თვალსაზრისი არსებითად სწორი იყო, რადგან მრავალეროვნულ ქვეყანაში სხვაგვარად სახელმწიფო და ისიც დემოკრატიული – ვერ აშენდებოდა, მიუხედავად ამისა, „საქართველო“ მაინც სიმართლეს ამბობდა, რადგან საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნული უმცირესობა იმაზე მეტ მოთხოვნებს აყენებდა, რისი განხორციელებაც სახელმწიფოს ერთიანობას დაანგრევდა. ისინი არ ჯერდებოდნენ არც თანაბარ პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს, სამოქალაქო კანონით მინიჭებულ თანასწორობასა და ერთიანობას ქართველებთან, აყენებდნენ ტერიტორიულ პრეტენზიებს, მოითხოვდნენ სახელმწიფოებრივი მოწყობის უფლებას საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის ხარჯზე. ასეთი ხალხი კი ქვეყანას არ დაეხმარებოდა გარეშე კონფლიქტების წინააღმდეგ ბრძოლაში, არ დადგებოდა ქართველობის გვერდით სახელმწიფოებრივი მშენებლობის, ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საქმეში.

თუ „საქართველოს“ ეროვნულ-დემოკრატი პუბლიცისტები თვლიდნენ ამიერკავკასიის გაერთიანებას აუცილებლად რუსეთის წინა-

აღმდეგ ბრძოლაში, „ერთობაც“ ემხრობოდა ამ აზრს, ოდონდ იგი „ერთა მეგობრობისა“ და ინტერნაციონალიზმის ოპუსით იცავდა თავის პოზიციას. იგი განსაკუთრებულად წუხდა დაშნაკელთა ანტირევოლუციურ, ნაციონალურ-შოვინისტურ ქმედებაზე.<sup>12</sup> ვითომდა ეს პოზიციები მარტო რევოლუციური პრინციპების დარღვევა იყო და სომხები ტერიტორიულ პრეტენზიებს მუდმივად არ აყენებდნენ საქართველოს ისტორიული რაიონების მიმართ. „ერთობა“ რუსეთს ადანაშაულებდა სომხეთთან კავშირისათვის, აანალიზებდა 1918 წლის შემოდგომაზე გამოცემულ ბოლშევიკურ პროკლამაციებს, სადაც საქართველოს ხელისუფლება ანტიდემოკრატიულ ძალად იყო გამოცხადებული, „ერთობა“ ამ ფაქტს ასეთი პუბლიცისტური ხერხით ამკობდა: „მათ უნდათ ერთხელ კიდევ სცადონ თავისი ბოროტი მიზნის მიღწევა, – საქართველოს პატარა ნავის გადაგდება იმ ამდვრეული სისხლის მორევში, რომელსაც სოვდეპის სამეფო ეჭოდება და რომელიც ბოლშევიკების საჭყუმპალაო გამხდარა“.<sup>13</sup>

ის სახელმწიფო იდეოლოგია, რაც მმართველ პარტიას გააჩნდა, კარგად აისახა „ერთობის“ მოწინავე პუბლიკაციებში. ამ მასალების გაანალიზების შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, გატარდა თუ არა თეორიულად დასაბუთებული იდეოლოგია სახელმწიფოებრივი ცხოვრების პრაქტიკაში და ამის მიზეზებიც გამოვიკვლიოთ.

გაზეთი „ერთობა“ (1919 წლის 7 იანვარი, 5) მოწინავე წერილში – „ორი სახელმწიფოებრიობა“ არ მალავს, რომ ის სახელმწიფო ფორმა, რომელსაც ისინი აშენებდნენ, უჩვეულო იყო ამ პარტიისათვის. წერილში ჩამოყალიბებული იყო აზრი, რომ საქართველო ევროპისაგან განსხვავებულ სახელმწიფოს აშენებდა. ევროპაში იყო ბურჟუაზიული წყობა, რომელსაც ბურჟუაზია ედგა სათავეში, საქართველოში კი, გაზეთის აზრით, სოციალიზმამდე უნდა აშენებულიყო ბურჟუაზიული სახელმწიფო, რომლის წარმართველი ძალა მუშათა კლასი იქნებოდა. ეს

იქნებოდა ეროვნულიც, საქართველოში მცხოვრები ყველა ერის შემა-ერთებელი სახელმწიფოს ფორმა. გაზეთი აკრიტიკებდა ეროვნულ-დე-მოკრატებს სახელმწიფო მშენებლობის საკითხში, კერძოდ, სპირიდონ კედიას, რომელიც იცავდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს ინტერესს და მას უწოდებდა ნაციონალისტურს, სოციალ-დემოკრატიული მოდელის ბურჟუაზიულ სახელმწიფოს კი დემოკრატიულად თვლიდა. რა თქმა უნდა, ეს სადაცო და ძნელად მოსარიგებელი პრობლემა იყო, რადგან „საქართველოს“ რედაქციას ვერაფრით გაეგო როგორ უნდა აეშენებინა პროლეტარიატს ბურჟუაზიული სახელმწიფო, „ერთობა“ კი თეორიულად ამ საკითხს გადაჭრილად თვლიდა.

„ერთობა“ თვლიდა, რომ „მშრომელი ხალხის“ გაერთიანება შე-იძლებოდა, მათ შორის ომს ბურჟუები აჩაღებდნენ, თორემ ქართველი მშრომელები და სომხები არაფერს ერჩოდნენ ერთმანეთს. ეს გულუ-ბრყვილო, ნამდვილი პოლიტიკისგან შორს მდგომი აზრი იყო, თუმცა გაზეთის ამ თვალსაზრისს სოციალ-დემოკრატიის ლიდერები არ იზი-არებდნენ.

„ერთობა“ და „საქართველო“ განსაკუთრებით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს სომხეთ-საქართველოს ომის დროს. თუ ომის საკითხში სა-ქართველოს ყველა პოლიტიკური ძალა გაერთიანდა, ომისშემდგომი მო-ვლენებისას ისინი კვლავ დაპირისპირებულნი აღმოჩნდნენ. „საქა-რთველო“ ვერ პატიობდა მმართველ პარტიას მოგებული ომის შედეგე-ბის გაქარწყლებას, – ლორეს ნეიტრალურ ზონად გამოცხადებას. „ერთობა“ და მისი პუბლიცისტები კი ამ ფაქტს ისტორიულ კანონზო-მიერებად, მოვლენების განვითარების რეალურ შედეგად მიიჩნევდნენ. ჩვენ მოკავშირეთა ჯარებმა შეგვაჩერეს, გვითხრეს, რომ ტერიტორი-ებისა და საზღვრების საკითხი პარიზის კონფერენციაზე გადაწყდება, ამიტომ უნდა დაგმორჩილებულიყავითო, – ამტკიცებდნენ ისინი.

ლორე-ბორჩალოს მაზრის „სადავო ტერიტორიად“ გამოცხადება დემოკრატიის მშვიდობიანი ბუნების მაჩვენებელიაო, – ამტკიცებდა „ერთობა“.<sup>14</sup> ასეთ მსჯელობას არ შეიძლებოდა ეროვნულ-დემოკრატია გადიზიანება და მათ შორის ინფორმაციული ბრძოლა-კამათის გაჩაღება არ გამოეწვია.

გაზეთი „საქართველო“, მისი ყველაზე მგზნებარე პუბლიცისტი რევაზ გაბაშვილი აკრიტიკებდა მთავრობას სომხებისადმი ლოიალური პოლიტიკის გამო. „მე დარწმუნებული ვარ, რომ ახლაც მოვიდნენ და შემოგვფიცონ ერთგულება, თქვენ ახლაც დაუჯერებთ მათ, – ამბობდა იგი, – ეს არის თქვენი „ტონკაია პოლიტიკა“, მაგრამ იცოდეთ, რომ იგი იმდენადაა ტონკაია, რომ როდისმე გაწყდება.<sup>15</sup>

„ერთობაც“ ამჟღავნებდა მაქსიმალისტურ დამოკიდებულებას სომხური საკითხისადმი. მან არც ცნობილი სომები მწერალი – შირვანზადე დაინდო, რომელიც თბილისში გამომავალ სომხურ გაზეთ „მშაქ“-ში იმ სომებს პოლიტიკოსებს აკრიტიკებდა, რომლებიც საქართველოს უპირისპირებდნენ სომებს ხალხს. მოპქონდა რა ამ წერილის შინაარსი, „ერთობის“ რედაქცია აღნიშნავდა: შირვანზადეს პგონია, რომ ამჟამად არაა სომებთა საქციელისათვის შესაფერისი დრო, ჩვენ კი ვუპასუხებთ, რომ უსამართლოდ არც ერთ დროში არავის ვალაპარაკებთო.<sup>16</sup>

1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნებში გამარჯვების შემდეგ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია ცდილობდა თავისი ორგანიზაციები განემტკიცებინა როგორც საქართველოში, ასევე მეზობელ აზერბაიჯანში. აზერბაიჯანის საკითხი განსაკუთრებით აღჭლვებდათ ქართველ ხელისუფალთ, ეს რომ ასე იყო, კარგად ჩანს „ერთობის“ მრავალფეროვან მასალებში, რომლებიც ბაქოელი ქართველი მუშებისა და იქაური პროლეტარიატის მოღვაწეობას ასახავს. გაზეთი სინანულით აღნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატიული ორგანი-

ზაცია ბაქოელ ქართველ მუშებში შესუსტდა, სამაგიეროდ გაძლიერდა ნაციონალ-დემოკრატიული მოძრაობა და მათ ბაქოს პარლამენტში დე-პუტატის გაყვანაც შეძლეს,<sup>17</sup> გაზეთის მომდევნო ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს პარლამენტის წევრის – რაჟდენ არსენიძის მიმართვა – „ბაქოელ ამხანაგებს“, სადაც ეს პრობლემა იყო დასმული. არსენიძე უმტკიცებდა ბაქოელ მუშებს სოციალ-დემოკრატიის სახელმწიფო-ებრივი მოდვაწეობის წარმატებულობას, შეცდომებსაც არ გამორიცხავდა მათ მუშაობაში, მაგრამ დასძენდა: „არ ცდება ის, ვინც არაფერს აკეთებს, ჩვენ კი უჩვეულო საქმეს ვაკეთებთ და რომ შევცდეთ, განა გასაკვირველია?!“-ო.<sup>18</sup> ის თხოვდა ბაქოელ ამხანაგებს შეკავშირებოდნენ ქართველ სოციალ-დემოკრატებს, ებრძოლათ ერთიანი მიზნებისათვის, რა იყო „გაყოფილი ძმების კვლავ ახალი ფორმით შეერთება“ – ამას არსენიძე ვერ აზუსტებდა. „ერთობის“ ამგვარი პუბლიკაციები კი ეროვნული პარტიების კრიტიკას, ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკისადმი დაეჭვებას კიდევ მეტად აძლიერებდა.

გაზეთები „ერთობა“ და „საქართველო“ ხშირად აკრიტიკებდნენ ერთმანეთს რუსეთთან დამოკიდებულების გამო, ეროვნულ-დემოკრატებს სოციალ-დემოკრატები რუსოფილებად, საქართველოს დამოუკიდებლობისადმი ბოლომდე არაერთგულ ძალად მიაჩნდათ, რაც იწვევდა დაპირისპირებას არამარტო მათ პარტიულ პრესაში, არამედ ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოშიც. საქართველოს პარლამენტი მუდმივად იყო საპაექო ტრიბუნა, სადაც ეს ორი ძალა ერთმანეთს დაუნდობლად აკრიტიკებდა და ყოველგვარი მეთოდით ცდილობდა მოწინააღმდეგის დისკრედიტაციას.

„ერთობა“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ წელს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ფრთხილად ეხებოდა, მკითხველს ებოდიშებოდა რუსეთთან საქართველოს გათიშვის გამო, საერთაშორისო დემოკრატიული პრინციპის დარღვევას

თავად რუსეთის პოლიტიკურ ძალებს აბრალებდა: ბოლშევიკებს – აგრესიული და პოლიტიკური ავანტიურიზმის, დემოკრატიულ ძალებს კი შეუკავშირებლობის გამო, რამაც რუსეთის დაშლა და ბოლშევიკურ-ტოტალური რეჟიმის გამარჯვება გამოიწვია.

მომდევნო პერიოდში, როდესაც ცხადი გახდა, რომ ყველანაირი ძალა რუსული პოლიტიკური სპექტრისა საქართველოს მიმართ და-მპყრობლურ მიზნებს ისახავდა, „ერთობაც“ უფრო მკაცრად აკრიტიკ-ბდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობას და მყარად იდგა ქვეყნის დამოუკიდებლობის პრინციპზე. ეს სიმკაცრე კიდევ უფრო ცხადი ხდე-ბოდა, როდესაც ქვეყანას რუსეთიდან ახალი საფრთხე ემუქრებოდა ხან მონარქისტული, ხანაც ბოლშევიკური ინტერვენტების სახით.

რუსეთი ერეოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სა-კითხში, ის ცდილობდა აემხედრებინა აქ მცხოვრები მცირე ერები და კომპაქტურ მოსახლეობას პოლიტიკური ავტონომიის ნაცვლად დამო-უკიდებელი სახელმწიფოებრივი სტატუსის მიღებაში დახმარებოდა. ასე წააქეზეს რუსმა პოლიტიკურმა ძალებმა ჯერ სომხეთი – რათა საქა-რთველოსთვის წაერთმიათ ძირძველი ქართული მიწები, შემდეგ აფხა-ზები, ოსები და აჭარლებიც კი, რათა ამ კუთხეებს დამოუკიდებლობა მოეთხოვათ, გამოყოფოდნენ დედა-სამშობლოს, რათა შემდეგ უკეთ მო-ეხდინათ ამ ხალხის ასიმილაცია.

გაზეთი „საქართველო“ წინააღმდეგი იყო ისეთი დემოკრატიისა, რომელიც თვალს ახუჭინებდა ხელისუფლებას მისი მტრების ნამოქმე-დარის მიმართ, თავისუფლებას ანიჭებდა ყოველ ანტიქართულ აზრს და მოქმედებას. განსაკუთრებულ აღშფოთებას გამოთქვამდა რუსი ესე-რებისა და კადეტების მიმართ, რომლებთანაც საქართველოს ხელისუ-ფლებას უფრო ლოიალური დამოკიდებულება ჰქონდა, ვიდრე ბოლშევი-კებთან და მონარქისტებთან. გაზეთი საქართველოში მცხოვრებ ესე-რებს რუსული ინტერესების გამტარებლად მიიჩნევდა, საამისოდ იმო-

წმებდა გკატერინოდარში გამომავალ ესერულ გაზეთს „-ს ფურცლებზე დაბეჭდილ, რუსი ესერების ლიდერის – ბერიოზოვის წერილს. ბერიოზოვი აღშფოთებული იყო სოჭის სოციალისტ-რევოლუციონერთა რეზოლუციით – სოჭის ოლქის საქართველოსთან შეერთების შესახებ და მრისხანედ მიმართავდა მათ: „ნუთუ სოჭის სოციალისტ-რევოლუციონერებმა არ იციან, რომ ამიერკავკასიის ესერთა საოლქო კომიტეტი სახტიკ ბრძოლას აწარმოებდა და აწარმოებს ჯერ ამიერკავკასიისა და შემდეგ საქართველოს რუსეთისაგან ჩამოშორების წინააღმდეგ? „საქართველოს პუბლიციისტი მიმართავდა მკითხველს, – ეს არ გეგონოთ წინათ იყო ასე, დღესაც ამიერკავკასიის ესერთა საოლქო კომიტეტი რუსეთთან მიერთების მომხრეა და ამას არც მალავს მათი გაზეთიო.

იგი იმოწმებდა ესერთა მე-8 ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციას, სადაც მიმართვა გაკეტდა ებრძოლათ რუსეთთან დაშორების მომხრე-ებთან, ავალებდა ხელისუფლებას, მიეღოთ მათ წინააღმდეგ უსასტიკესი ზომები. გაზეთი აკრიტიკებდა ამიერკავკასიის ესერთა საოლქო კომიტეტის წევრებს – თარხანოვს და თუმანოვს, რომლებიც, მისი აზრით, ცნობილნი იყვნენ, „როგორც მებრძოლნი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და რომლებიც სომხური დაშნაკ-ცუტიუნის პარტიის სახელით შევიდნენ საქართველოს პარლამენტში. „ამ პირების მანდატები ჯერ, გვგონია, არ განუხილავთ და თუ დროზედ არ მიექცა მათ ყურადღება, შეიძლება მათი აღმშენებელი მუშაობა ჩვენს საკანონმდებლო დაწესებულებაში ძალზე სავალალო გამოდგეს საქართველოსთვის“, – ასკვნიდა „საქართველო“.<sup>19</sup>

ამგვარადვე აკრიტიკებდა გაზეთი რუს კადეტებს, მიაწერდა მათ სომხეთთან ალიანსს. „არარატის რესპუბლიკის ჯარები რომ ახალციხე-ახალქალაქის მხარეში დაბინავდნენ და ამავე ჯარის ნაწილებმა ბამბაკისა და ლორეს ოლქები დაიკავეს და სანაინ-გოზერის სიმა-

ღლეზე გადავიდნენ, რუსულ-სომხურმა პრესამ უცნაური ენით ამიერკა-  
ვკასიის ერთიანობა გაიხსენა“, – წერდა „საქართველოს“ პოლიტიკური  
მიმომხილველი – ლელი ჯაფარიძე წერილში – „კადეტები და ამიერკა-  
ვკასიის აღდგენა“.<sup>20</sup>

„საქართველო“ ეჭვობდა რუსეთის კავშირს სომხეთის მიერ წამო-  
წყებულ ომთან და სამართლიანადაც. რუს კადეტთა მეთაური სემი-  
ონვი, ეროვნულ-დემოკრატი პუბლიცისტების აზრით, „მაშინ ალაპარა-  
კდა საქართველოს დამოუკიდებლობის შეუძლებლობაზე, როდესაც გა-  
შიშვლებული ხმლები აღიმართა ჩვენი ტერიტორიის დასაპყრობად.“  
სემიონოვის მტკიცებით, საქართველო ორგანულად იყო დაკავშირე-  
ბული სომხეთ-აზერბაიჯანთან. გაზეთი აკრიტიკებდა სემიონოვს, გაზეთ  
„რეჩ“-ს და მის მოწინავე სტატებს, სადაც საქართველოს რუსეთთან  
დაბრუნებაზე იყო საუბარი და თვლიდა, რომ ეს იყო მიზეზი სომხეთის  
გათავხედებისა.

გაზეთი „საქართველო“ ხატავდა ქვეყანაში შექმნილ ნამდვილ ვი-  
თარებას, რუსული ორგანიზაციების ანტიქართულ მოქმედებას, მათ პო-  
ლიტიკურ ზრახვებს. თბილისსა და სხვა ქალაქებში თავისუფლად  
ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ რუსი ბოლშევიკები, დენიკინელები,  
სომები, აზერბაიჯანელი, თურქი აგენტები. საქართველოს ხელისუ-  
ფლება დემოკრატიული ნიშნით მათ არ სდევნიდა, რაც გაზეთის რედა-  
ქციას აღიზიანებდა. იმის ნაცვლად, რომ მთავრობას თავადაც დაეპი-  
რისპირებინა ამ ჯაშუშური ქსელისთვის საკუთარი აგენტურა, ათასი  
თვალი და ყური გამოება, მტრის ბანაკებში შეეგზავნა საკუთარი ხა-  
ლხი მათი ნამდვილი ზრახვების გასაგებად, მთავრობა თვალს ხუჭა-  
ვდა.

გაზეთი ადანაშაულებდა ხელისუფლებას რუსთა, სომებთა, ოსთა  
და სხვა ანტიქართული პროგრამის მქონე ეროვნული საბჭოების თავი-  
სუფალი მოქმედებისათვის. „აქაურ რუსულ ორგანიზაციებს, – წერდა

გაზეთი, – ორგანული კავშირი აქვთ დენიკინის ჯართან და მისი ინსტრუქციით მოქმედებენ. კადნიერება იქამდისაც მიდის, რომ კავშირი აშკარა არის და ეს დაწესებულებანი არც მაღავენ ამას. მაშინ, როდესაც რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს იმ მხარეებიდან გაზეთებიც კი ვერ მიუღია საინფორმაციოდ, თბილისის „რუსსოვეტს“ მუდმივი კავშირი აქვს გაბმული სხვადასხვა კურიერებით და საგანგებო რწმუნებულებით“.<sup>21</sup>

„საქართველო“ განსაკუთრებულად აკრიტიკებდა რუსთა ეროვნული საბჭოს საქმიანობას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორგანიზაცია ამიერკავკასიის მასშტაბით იყო დაარსებული, იგი ძირითადად თბილისა და სხვა ქართულ ქალაქებში მოღვაწეობდა. ოსმალთა ბატონობის დროს, ბათუმში რუსთა ეროვნული საბჭო ქართველების წინააღმდეგ გამოდიოდა, ბაქოს საბჭო კი კ. წ. „კავკასია-კასპიის მთავრობასა და ბიჩერახოვთან იყო დაკავშირებული“, – გაზეთის აზრით, – საქართველოს წინააღმდეგ უველანაირ ზომას რომ ღებულობდა.

გაზეთი მკითხველს აცხობდა ამ ანტიქართული ორგანიზაციის თავმჯდომარეს – ლებედევს, რომელიც დენიკინის მოხალისეთა ჯარის ინტერესებს ატარებდა საქართველოში. ლებედევმა მონაწილეობა მიიღო ცნობილ „აჭარლების პროცესში“, საქართველოს მთავრობამ მას ყალბი მანდატებიც აღმოუჩინა, მაგრამ „საქართველოს“ რედაქციის აზრით, ეს რუსი მოღვაწე მაინც „ოფიციალურად“ საქმიანობდა.

არანაკლებ ყურადღებას აქცევდა გაზეთი ქართველ ბოლშევიკთა გამყიდველობას, მათ პრორუსულ საქმიანობას, აკრიტიკებდა ბუდუ მდივანს, ფილიპე მახარაძეს, მიხა ცხაკაიას, სტალინს. ყველა ამ წერილში მთავარი იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, ყველა ქართველი პატრიტოგის განწყობილების გადმოცემა, მისი კრიტიკული დამოკიდებულება ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილებებისადმი, მისი პრაქტიკული საქმიანობისადმი.

საქართველოში რუსეთიდან შემოსულ ბოლშევიკებს ხელისუფლება იჭერდა და შემდეგ, რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეთა ჩარევის გამო, მათ ათავისუფლებდა და ასახლებდა საქართველოდან. უმეტესად ისინი კავკავში იყრიდნენ თავს, სადაც რსდმპ კავკასიის კომიტეტის შტაბი იყო. აქაურ ბოლშევიკურ გაზეთში – „კავკაზსკაია რეს“, აქვეყნებდნენ წერილებს საქართველოს დამოუკიდებლობის შეუძლებლობაზე, წინასწარმეტყველებდნენ მის შეერთებას რუსეთთან.<sup>22</sup>

გაზეთი „საქართველო“ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში მთავრობის პოლიტიკას იწუნებდა, კონკრეტულ პასუხებს სცემდა გაზეთ „ერთობის“ ამ თემაზე დაწერილ პუბლიკაციებს.

თუმცა „საქართველოზე“ არანაკლებ თავად „ერთობა“ გმობდა რუსეთის ბოლშევიკური სახელმწიფოს პოლიტიკას, მის ვითომდა „ერთა თვითგამორკვევის“ პრინციპს, რაც სინამდვილეში პატარა ერების ხელახალ დაპყრობას ითვალისწინებდა.

განსაკუთრებით აკრიტიკებდა „ერთობა“ რუსეთის პოზიციას ე. წ. „ინოროდცებისადმი“ 1920 წლის დასაწყისიდან, როდესაც ბოლშევიზმი საბოლოოდ გამდლავრდა რუსეთში: დამარცხდა დენიკინი, განადგურდა ვრანგელის არმია ყირიმში, ხოლო 1920 წლის შემოდგომაზე პოლონეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის ზავი დაიდო ქ. რიგაში, ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა, თუმცა გარეგნულად კვლავ შეურიგებელნი ჩანდნენ ბოლშევიკური რუსეთისადმი, ერთგვარი დათმობა გამოიჩინეს ამ ზავით. რუსეთმა უარი თქვა ბალტიისპირეთზე, დას. უკრაინასა და დას. ბელორუსიაზე, ფინეთზე, პოლონეთზე, მაგრამ სანაცვლოდ მას ხელ-ფეხი ეხსნებოდა შუა აზიასა და ამიერკავკასიაში.

აზიასაკენ სწრაფვა საბჭოთა არმიამ 1919 წლის ბოლოდან დაიწყო და 1920 წლის დასაწყისში კიდევ უფრო გაააქტიურა. „ერთობა“ ამ ახალ „აღმოსავლეთის პოლიტიკას“ აკრიტიკებდა და მას იგივე იმპერიულს უწოდებდა, როგორიც რუსეთის ცარიზმს ახასიათებდა XIX

საუკუნეში. „ერთობა“ ასკვნიდა, რომ ეს იყო დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებთან დაპირისპირება, ბრძოლა ინდოეთისათვის, ინგლისის პოზიციების დამხობა ახლო აღმოსავლეთში. გაზეთი მიიჩნევდა, რომ ეს პოლიტიკა შესაძლო იყო საზიანო გამხდარიყო დამოუკიდებელი საქართველოსთვის. იგი წერდა: საბჭოთა რუსეთის ამნაირმა „სააღმოსავლეთო პოლიტიკამ“ შესაძლოა ჩვენს ქვეყანას ისეთივე შედეგები მოუტანოს, რომელიც მოუტანა მას ძველი რუსეთის „სააღმოსავლეთო პოლიტიკამ“, საქართველო მდებარეობს რუსეთიდან აღმოსავლეთისაკენ გასასვლელ გზაზე და მისი ხელში ჩაგდება რუსეთისათვის ხელსაყრელი საშუალება იყო აღმოსავლეთისაკენ გაჭრის საქმეში. რუსეთის იმპერიამ „დიდი რუსეთის“ ლოზუნგით შემოდგა ფეხი საქართველოში, შესაძლებელია საბჭოთა რუსეთმა „კომუნიზმის“ ლოზუნგით მოინდომოს წითელი არმიის შემოყვანა ჩვენს საზღვრებში“. გაზეთი „ერთობა“ მკითხველს ანუგეშებდა, რომ საქართველო ახლა ისეთი აღარ დაუხვდებოდა მტერს, როგორც რუსეთის მეფეთა ჯარებს დახვდა. ეს იყო სახელმწიფო, რომელსაც დემოკრატიული ძალები მართავდნენ და რომლის მთელი მოსახლეობა მზად იყო სამშობლოსთვის თავგასაწირავად.<sup>23</sup>

რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას საქართველოს მთავრობა ბევრგვარი დონისმიებით ცდილობდა.

1918 წლის ოქტომბრის დამლევს ინფორმაციული ვაკუუმის ამოსავსებად ევროპაში გაიგზავნა დელეგაცია პ. გვარჯალაძის მეთაურობით. მათ ოფიციალური მანდატებიც ჰქონდათ. პირველად დელეგაცია კოპენჰაგენში ჩავიდა, დანიიდან შვეიცარიაში, იქიდან ნორვეგიაში, შემდეგ კი ინგლისში გადავიდნენ. ლონდონში საქართველოზე ცუდი ინფორმაციები დახვდათ. რუსეთი და ევროპაში მცხოვრები სომხური დიასპორა უარყოფით ცნობებს ავრცელებდნენ საქართველოზე. დელეგაცია შეეცადა გაეფანტა ეს თვალსაზრისი, აქედან პარიზში ჩასულე-

ბსაც არ დახვდათ ობიექტური ინფორმაციები. დელეგაციამ აქაც იმუშავა და ნიადაგი მოუმზადა კარლო ჩხეიძისა და ირაკლი წერეთლის სამთავრობო დელეგაციის ჩასვლას. ამ დელეგაციის ჩასვლის შემდეგ დიდი კამათი მიმდინარეობდა საქართველოს საკითხზე. საქართველოს დელეგაციამ სამი ნოტა გადასცა პარიზის კონფერენციას საზღვრების საკითხზე. საქმე ეხებოდა ტრაპიზონის ვილაიეთსა და ლაზისტანს, რომელიც სომხეთის ნაწილად ცხადდებოდა. ირაკლი წერეთელი მიხვდა, რომ სიტყვით დიდი სახელმწიფოები საქართველოს ემხრობოდნენ, საქმით კი რუსეთის ინტერესებს უწევდნენ ანგარიშს: არ გამოყოფდნენ საქართველოს საკითხს რუსეთისაგან.<sup>24</sup> კოლჩაკ-დენიკინთან ანტანტას მეგობრულმა პოლიტიკამ საქართველოს დელეგაცია ლამის ჩიხში მოაწყვდია. ევროპა კოლჩაკის გამარჯვებას უკავშირებდა მთლიანი რუსეთის ძლიერი მთავრობის შექმნას, ამიტომ საქართველოს დელეგაციას ხშირად ურჩევდნენ: დაუბრუნდით რუსეთსო. ამ მდგომარეობამ გააერთიანა აზერბაიჯან-საქართველოს დელეგაციები და მათ სპეციალური ნოტით მიმართეს კლემანსოს, რათა შეედგინათ საზავო კონფერენციასთან კომისია ამიერკავკასიის საკითხზე. მაგრამ ამ ნოტას შედეგი არ მოჰყოლია, სომხეთმა მხოლოდ ერთხელ მიიღო მონაწილეობა მათ მიერ ჩატარებულ სხდომებში, როდესაც ითხოვა მოკავშირეთა ჯარების დატოვება ამიერკავკასიაში.

საქართველოში ჩამოსული აკაკი ჩხერიელი, სახელმწიფო ოქატრში გამოსვლისას ყვებოდა საფრანგეთში ვიზიტზე, იმაზე, თუ როგორ წერდნენ პრესაში და პოლიტიკურ წრეებშიც გაკვირვებული კითხულობდნენ: საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა და დელეგაციის სათავეში რუსები რომ არ ჩაეყენებინათ, ქართველები ნუთუ არ ჰყავდათო. კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი მათ რუსები ეგონათ.<sup>25</sup> „ერთობა“ აკრიტიკებდა რუსეთის პოლიტიკას, მმართველი პარტია მტკიცედ იდგა რუსეთთან პოლიტიკური ალიანსის წინააღმდეგ.

ეროვნულ-დემოკრატი პუბლიცისტები ხშირად ადარებდნენ ქართველ სოციალ-დემოკრატ ოპოზიციონერებს რუს ბოლშევიკებს, ისინი ერთი პარტიის ორ ფრთად მიაჩნდათ, წერდნენ, რომ ალიანსი იყო მათ შორის. „ერთობა“, როდესაც ლაპარაკობდა კომუნისტური რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკაზე საქართველოს მიმართ, ქართველ ბოლშევიკებსა და მათ იდეოლოგიაზე, შესაძლო ალიანსს ამ ძალასთან სრულიად გამორიცხავდა და ამის მიზეზებსაც დაწვრილებით ასახელებდა. მისი აზრით, ეს იყო გადამტერება ევროპასთან, ბლოკადაში მოქცევა. ათჯერ და ასჯერ მეტი შიმშილობა, რაც რუსეთში იყო, საქართველოს უქმნიდა გადაშენების საფრთხეს, რადგან, რასაც ასმილიონიანი ერი უძლებდა, იმას ვერ გაუძლებდა ორმილიონიანი ქართველობა, წელში გატყდებოდა და საბოლოოდ აღიგვებოდა მიწის პირისაგან. „ბოლშევიკებს ასეთი შედეგი არ აშინებთ, – წერდა „ერთობა“ – რადგან ისინი ერს, როგორც ასეთს, არ უფრთხილდებიან, ერი მათთვის მხოლოდ საშუალებაა სხვა მიზნისათვის, ჩვენთვის კი ერის შენახვა უმაღლესი მიზანია, რადგან საბოლოოდ მიზანი – სოციალიზმი, რომლისკენაც ჩვენ მივიღებით, შეუძლებელია თუ ერს არ შერჩა სასიცოცხლო ძალა“.

გაზეთი ყველანაირად გამორიცხავდა რუსეთის კომუნისტურ რეჟიმთან კავშირს, მას დამდუპველად თვლიდა და წერდა: „წითელ ჯარებს არსად არაფერი შეუტანიათ, ისინი მხოლოდ გაზიდვას არიან ჩვეულნი. ჩვენს ხალხს კი მათი არც შემოტანილი უნდა, არც გატანილი“<sup>26</sup> გაზეთი უხვად ათავსებდა ინფორმაციებს ბოლშევიკებისა და ევროპის ქვეყნების კავშირზე, განსაკუთრებით ლოიდ-ჯორჯისა და ლიტვინოვის მოლაპარაკებაზე, რომელიც 1920 წლის იანვარში გაიმართა კოპენჰაგენში.<sup>27</sup>

ეროვნული ინტერესები, რომელსაც სოციალ-დემოკრატიულ პარტიას უწუნებდნენ ოპოზიციური ძალები, ამ პარტიას და ხელისუფლებაში მოსულ მის ლიდერებს დამოუკიდებლობის წლებში განსაკუთრე-

ბულად გაუდრმავდა. ეროვნული ცნობიერების გამო დაუპირისპირდა ეს პარტია ბოლშევიკ სოციალისტებს, ქართველი სოციალ-დემოკრატები ადრე გაემიჯნენ რუსულ მენშევიზმს, ბოლშევიზმი კი ჩვენში არც არსებობდა. „საქართველოს“ პუბლიცისტები მაინც მენშევიკებს ეძახდნენ ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რუსი ბოლშევიკები საბჭოთა ხელისუფლების დავალებებით შემოდიოდნენ საქართველოში და ცდოლობდნენ ხალხის გადაყვანას თავიანთ მხარეს, მათ დაპირისპირებას საქართველოს ხელისუფლებასთან. ისინი ქართველ სოციალ-დემოკრატებს ბურჟუაზიის პარტიას უწოდებდნენ, სტალინი მათ „სოციალ-მედუქნეებს“ ეძახდა. ბოლშევიკური პროკლამაციები ხალხს აფრთხილებდა, რომ მთავრობა და მმართველი პარტია „ოსმალო ბეგების“ ინტერესებს იცავდნენ, ქართველი ხალხის ამოწყვეტა სურდათ და ა. შ.

ქართველი ბოლშევიკები, რომლებსაც რუსი თანაპარტიიელები მოსდევნენ კავკასიაში ამბოხებების მოსაწყობად, მხოლოდ მოსახლეობის მცირე ნაწილს, სოციალურად განსაკუთრებით დაბეჭავებულებს იმხრობდნენ. ბოლშევიკებმა დამოუკიდებლობის წლებში მოახერხეს ამბოხებების მოწყობა სხვადასხვა რაიონში, თუმცა ეს გამოსვლები საქართველოს მთავრობამ სასწრაფოდ ჩაახშო. ქართველი მუშათა კლასი, ძირითადად სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოს მომხრე და მხარდამჭერი დარჩა, თუმცა ბევრი მათგანი ცოტა რამით თუ განსხვავდებოდა ბოლშევიკი მუშებისაგან, ამის მაგალითად შეიძლება გამოდგეს „ერთობაში“ დაბეჭდილი თბილისელი მუშის წერილი, სადაც იგი გაკვირვებულია, რად გადაემტერა მისი მოძმე მუშა და რად სწამებს მას „ნაციონალისტობას“. ამ წერილში არის სინანული რუსეთის ერთიანი დემოკრატიული ფრონტის დარღვევის გამო, მხოლოდ დროის მიერ დაყენებულ საკითხადაა ჩათვლილი 1918 წლის 9 აპრილის ამიერკავკასიის და 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტები, არის

მტკიცება იმისა, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატებს არ უდალატიათ მუშათა მთავრობის და ინტერნაციონალური ინტერესებისათვის.<sup>28</sup>

ასეთი იყო იმ მუშათა კლასის წარმომადგენლის აზროვნება, რომელიც, „ერთობის“ ცნობით, უნდა ყოფილიყო საქართველოს სახელმწიფოს წარმმართველი ძალა. თუ შევადარებთ ამ აზროვნების დონეს იმდროინდელი ქართველი მოწინავე ინტელიგენციის აზროვნებასთან, განსაკუთრებით არასოციალისტური პარტიების წევრების შეხედულებებთან, დიდ განსხვავებას დავინახავთ. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ სოციალისტ-ფედერალისტების სწორ ეროვნულ პოზიციაზე დგომაც, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატთა შეხედულებანი მაინც გამოირჩეოდა. მიუხედავად იმისა, რომ სპირიდონ კედიას, გიორგი გვაზავას, რევაზ გაბაშვილის, რაფიელ ინგილოს, ვახტანგ კოტეტიშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის და სხვათა შეხედულებები საქართველოს სახელმწიფო ებრივ ცხოვრებაზე, მის ყველა მიმართულებაზე სრულიად გამომდინარეობდა ქართველი ხალხის ინტერესებიდან, ჯანსაღი და პატრიოტული – არ უნდა დავუკარგოთ სოციალ-დემოკრატებს მთავარი: მათაც სწორი პოზიცია ეჭირათ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, საგარეო პოლიტიკურ მიმართულებაზე, იცავდნენ ევროპულ ორიენტაციას, იზიარებდნენ ბურჟუაზიული საზოგადოების აშენების აუცილებლობას, კულტურის, განათლების, ეკონომიკის განვითარების პრობლემებზე პქონდათ სწორი და პროგრესული შეხედულება. შეცდომები, არასწორი თვალსაზრისიც ბევრი იყო მათ სახელმწიფოებრივ აზროვნებასა და საქმიანობაში, მაგრამ ძირითადი – საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა მათვის შეულეველი, ძვირფასი იდეა იყო.

პრორუსულ იდეებს არ გამოხატავდნენ არც „ერთობა“ და არც სხვა სოციალ-დემოკრატიული პრესის ორგანო. განსაკუთრებით „ერთობის“ ეს ტენდენცია, ანტირუსული განწყობა, გამძაფრდა 1920 წლის გაზაფხულიდან, როდესაც რუსეთმა გაააქტიურა დამპყრობლური პოლი-

ტიკა სამხრეთ კავკასიის მიმართ, კავშირი შეკრა ქემალისტურ ოსმალეთთან და მასთან ერთად საფრთხე შეუქმნა დამოუკიდებელ ამიერკავკასიურ სახელმწიფოებს.

წერილში – „კომუნისტების და ოსმალეთის იმპერიალისტების კავშირი“, – „ერთობა“ ააშკარავებდა საბჭოთა რუსეთის ალიანსს ქემალისტურ თურქეთთან, მათ დაპყრობლურ მიზნებს კავკასიაში.<sup>29</sup> ბოლშევიკური რუსეთის სწრაფვას ამიერკავკასიის დაპყრობისაკენ, მისი სიმდიდრეების დაუფლებისაკენ, გაზეთის თითქმის არც ერთი ნომერი არ ტოვებდა 1920 წლის გაზაფხულზე, რადგანაც ამ დროს გაიზარდა რუსეთის ექსპანსია კავკასიაში. გაზეთი ამ პოლიტიკას აკრიტიკებდა და ჩიჩერინის იმ ნოტებს აცნობდა მკითხველს, რომელთა ტონი ასე იმპერიული და გამაღიზიანებელი იყო დამოუკიდებელი ქვეყნის მოქალაქეებისათვის.<sup>30</sup>

გაზეთი „საქართველოც“ რადიკალურად უპირისპირდებოდა პრორუსულ პოლიტიკას. ის მკითხველს აჩვენებდა თანამედროვე მსოფლიოს ორ დიამეტრულად საპირისპირო ძალას და ურჩევდა აერჩია ერთი. ეს იყო ევროპა-ამერიკა, რომელიც რუსეთთან შედარებით მეტი პროგრესისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების მომტანი იყო. გაზეთი ამას არა მარტო პოლიტიკის, არამედ „კულტურისა და ერის ფიზიკური სიცოცხლის საკითხად თვლიდა.“<sup>31</sup> ის ურჩევდა მმართველ პარტიას, დაევიწყებინა უტოპისტების ნაქადაგები სოციალიზმი და დაეწყო ბურჟუაზიულ ევროპა-ამერიკასთან თანამშრომლობა, საამისო მაგალითად მოჰყავდა კაუცისა და ვანდერველდეს გამოსვლები, რომლებიც ურჩევდნენ გერმანიას და საერთოდ სოციალისტურ ძალებს ბურჟუაზიულ მთავრობებთან თანამშრომლობას. „საქართველო“ საყვედურობდა ქართველ სოციალ-დემოკრატებს „ფურიეს ტიპის სოციალიზმს“ და წერდა: „სახელმწიფო პოლიტიკა ერთგვარი ხელოვნებაა და გამარჯვებაც იმისია, ვისაც მეტი ინტუიცია აქვს. ჯერჯერობით კი ჩვენი

რესპუბლიკა ფურიეს ტიპის სოციალისტური გარანტიების რესპუბლიკა, ჩვენს საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში ცოტა ბოლშევიკურიც ურევია, ცოტა ბურჟუაზიულიც და გარედან შემყურე ძალებმა შეიძლება ის დასკვნა გამოიტანონ, რომ საერთოდ საქართველოს არავითარი პოლიტიკა არა აქვს ერის ინტერესი მოითხოვს, რომ საქართველოში რუსეთის სამახსოვროდ „პლეხანოვის პროსპექტის“ მეტი არაფერი დარჩეს და გადაჭრით ევროპის გეზი ავიღოთ“.

„საქართველო“ და მისი პუბლიცისტები რუსეთის კრიტიკას უფრო დრმა ხასიათს აძლევდნენ, ვიდრე ეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკა იყო. მწერლები, მეცნიერები აანალიზებდნენ რუსულ ხასიათს, რუსული კულტურის თავისებურებებს, არკვევდნენ მიზეზებს, რის გამოც მივიდა ეს ქვეყანა ბოლშევიზმამდე და რამაც დაანგრია იგი, „რუსეთმა არ იცის დასავლური სილოგიზმი, რუსეთში იზრდებიან, მაგრამ ვერ მწიფდებიან“, – იგონებდა პეტრე ჩაადაევის სიტყვებს დიდი ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე და თავადაც უმატებდა: „რუსეთი ავად არის უცნაური შობიერებით, იქ არის დათრობა, იქ არის ყიფილი, იქ არის სისხლი, იქ არის სიკვდილი, მაგრამ თანვე: იქ არის წამება, ნამდვილი ჯვარცმა“.<sup>32</sup>

ტიციან ტაბიძემ მკაცრად გააკრიტიკა „ერთობის მეპრესე“ მის წინააღმდეგ მიმართული პუბლიკაციისათვის, შეახსენა მას, რომ „იტალიაშიც დევნიდნენ ტრიესტის ირრენდეტისთვის მარინეტის“, რომ ის ამ შემთხვევაში როგორც პოეტი კი არა, როგორც პატრიოტი, ისე იდვწოდა აჭარისათვის, სადაც ეროვნული პოლიტიკა არ ტარდებოდა მთავრობის დაუდევრობის გამო. წერილის დასასრულს პოეტი წერდა: „ჩვენ ვაფასებთ დემოკრატიას, სოციალ-დემოკრატიასაც, მხოლოდ გული გვტკივა, რომ მას ისეთი კრეტინი ვექილი ჰყავს, როგორც ხსენებული მეპრესე. სხვა დროს შეიძლებოდა მეტის თქმა პოეზიაზე, უფრო მეტის მენშევიკურ იმპერიალიზმზე, თუნდა ბათომში და მის ოლქში,

მაგრამ ჩვენი მიზანი უფრო სხვაა, ჩვენ წინ დგას დიდი საქართველო გარდუგალი სიყვარულით და, რა თქმა უნდა, საქართველოს განმტკიცებისათვის ბრძოლაში ჩვენ ვერ შეგვაჩერებენ „ერთობის“ კლევრები.“<sup>33</sup>

გაზეთი „საქართველო“ განსაკუთრებით აკრიტიკებდა „ერთობის“ პუბლიცისტს – „გან“-ს იმ პუბლიკაციების გამო, რომელშიც მთავრობის ზოგიერთი დონისძიება თუ პოლიტიკის სხვადასხვა სფერო იყო დაწუნებული. ამას „საქართველო“ მიიჩნევდა კრახის აღიარებად, მთავრობის შეცდომათა უდავო ჩვენებად და წერდა, რომ „ამ უთავბოლობას“ ბოლო უნდა მოღებოდა, „ჩვენ გვინახავს ხალხი, რომელსაც არ რცხვენია თავისი სიტყვების უარყოფის, მაგრამ მაშინ ისინი წითლდებიან და ბოდიშს იხდიან. მოიხდის თუ არა ბოდიშს ქართველი ერის წინაშე გაზეთი „ერთობა“ და მისი პარტია, რომ ამდენი ხანი ატყუეს იგი და ასეთი დიდი ზარალი მიაყენეს“ ასე რადიკალურად უპირისპირდებოდა ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი სოციალ-დემოკრატია პოლიტიკასა და იდეოლოგიას, გაზეთ „ერთობაში“ რომ აისახებოდა“.<sup>34</sup>

დაპირისპირება გამოჩნდა ევროპელი სოციალისტების საქართველოში ჩამოსვლის დროსაც, როდესაც „ერთობასა“ და „საქართველოს“ შორის დიდი პოლემიკა გაჩადდა, რომლის მთავარი თემა ისევ ეროვნულ-დემოკრატებისათვის ასე მიუღებელი და შეუწყნარებელი სოციალიზმი იყო. ისინი ერთ რამეში სწორი იყვნენ, როდესაც ამ პარტიის ზოგიერთი წარმომადგენლის სიტყვებს აკრიტიკებდნენ, რომლებიც ევროპის მთავრობებს „იმპერიალისტურს“ უწოდებდნენ და სოციალისტური ქართული მთავრობით იწონებდნენ თავს. ამით ინტერნაციონალის თვალში მოიგებთ, მაგრამ მთავარს წააგებთ: ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენი მინისტრი ევროპის „იმპერიალისტ მინისტრებს“ აუდიენციას გამოსთხოვს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუ-

რიდიულად ცნობისთვისო, – შეახსენებდა გაზეთი და დასძენდა: „ცოტა გონიერება მენშევიკებსაც მოეთხოვებათო“<sup>35</sup>

„საქართველო“ თვლიდა, რომ მოხდა რესპუბლიკის მთავრობის გაუცხოება ხალხის მიმართ, რომ მთავრობასა და ხალხს შორის ჩადგა ახალი ინსტიტუტი – საერობო და საქალაქო თვითმმართველობათა სახით, რომელიც თითქოს თავისი პირდაპირი დანიშნულებით უნდა აკავშირებდეს მათ ერთმანეთთან, მაგრამ აშორებს და აუცხოებსო, „საქართველოს“ აზრით, ეს ინსტიტუტები მეორე მთავრობას ქმნიდნენ საქართველოში, რადგან არათუ ატარებდნენ ცხოვრებაში ცენტრალური ხელისუფლების დადგენილებებს, ხშირად მისი შეხედულების წინააღმდეგ მოქმედებდნენ. გაზეთი უკანონოდ თვლიდა საერობო და საქალაქო თვითმმართველობების უფლებებს: გადასახადების დაწესების, კონფისკაციების მოხდენისა თუ იმ ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შესახებ, რასაც ისინი თავიანთი შეხედულებით მიიჩნევდნენ საჭიროდ. მით უმეტეს, ეს მოვლენა ძნელი იყო რაიონებიდან მოწინავე კადრების თბილისში გადმოსროლის გამო. უხარისხო კადრები კი სრული დიქტატურის ქვეშ აქცევდნენ რესპუბლიკის პროვინციებს. ეს მოვლენა მიაჩნდა „საქართველოს“ ერობებისა და ქალაქების ადმინისტრაციების ცუდი მუშაობის მიზეზად, ანარქიისა და ანტისახელმწიფოებრივი მოძრაობის გამომწვევად, გაზეთი მთავრობას ურჩევდა ადგილებზე შექმნილი მდგომარეობის შესწავლას, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას. იმედოვნებდა, რომ ამას გააკეთებდა მთავრობის მეთაური, რომელიც ხშირად მოგზაურობდა საქართველოს პროვინციებში და ადგილებზევე გაეცნობოდა შექმნილ ვითარებას“<sup>36</sup>

მართალია, აკრიტიკებდნენ, მაგრამ ხშირად ვერც ეროვნულ-დუმოკრატი პუბლიცისტები ვერ უარყოფდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამსახურებას დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოს შექმნის საკითხში, ეროვნული იდეოლოგიის სიძლიერეს მიაწერდა ამ ფაქტს

პუბლიცისტი ვასილ წერეთელი და იმის აუცილებლობაზეც მიუთითებდა, რომ მმართველ პარტიას ხშირად უნდა გაეხსენებინა წარსულის შეცდომები, უნდა მიეღო ეროვნული მოღვაწეების შენიშვნები. ის აძლევდა ერთ ასეთ შენიშვნას პარტიას: მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაში პროფესიონალურ კავშირებს იმაზე მეტის უფლებას ნუ მისცემთ, რაც ევროპაში არა აქვთო. პუბლიცისტი ამას ხსნიდა იმით, რომ მუშაობა კლასის როლი საქართველოს სინამდვილეში გადამწყვეტი ვერ იქნებოდა.<sup>37</sup>

„ერთობის“ პუბლიცისტის – „განის“ მწვავე პასუხებს შენიშვნებზე, სერიოზული გაზეთისათვის შეუფერებლად თვლიდა „საქართველო“ და თავის გამოსვლებს დასაბუთებულებს, ხელმძღვანელი პარტიის შეცდომების გამოსასწორებლად საჭიროს უწოდებდა.

„საქართველოსა“ და „ერთობას“ შორის კამათი იდეური სფეროდან გადავიდა პრაქტიკულ სფეროში, ეროვნულ-დემოკრატებმა ოპოზიციური პრესის ხელმძღვანელებს შეახსენეს მათი რევოლუციამდელი მდგომარეობა, როდესაც „ერთობა“ სულს დაფავდა, ძლივს გამოდიოდა, დამოუკიდებლობის წლებში კი „დიდ სასახლეში გამოიჭიმა“ ძვირფასი საბეჭდი მანქანებითა და სხვადასხვა სასტამბო მასალებით. „ერთობას“ სახელმწიფო ხაზინიდან ფულების მიღებას, რეკვიზიტის გარეშე რედაქციისათვის საჭირო სახლის შეძენას საყვადურობდნენ. „საქართველო“ არ ეთანხმებოდა „განს“, რომ ტირაჟის გაზრდით შეუვიდათ ფული, მისი აზრით, ბოლშევიკებისათვის წართმეული ფული, მეტებისა და როსტოვის სტამბების მითვისება იყო ის ბაზა, რასაც „ერთობის“ გამდიდრება მოჰყვა. „საქართველო“ ადასტურებდა, რომ ტყუილი იყო „ერთობის“ აზრი, თითქოს მათ ბინა იქირავეს და არ შეუძენიათ იგი რეკვიზიტის გზით. რომ ეს ბინა ეკუთვნოდა კერძო პირს და ირიცხებოდა ქალაქის გამგეობის სახელზე, რომელმაც დაკეტა იგი.<sup>38</sup>

ოპოზიციური პრესა რუსული ბოლშევიზმის კრიტიკასთან ერთად ერთნაირი სიმპათიით უყურებდა რუსეთის ყოფილ კოლონიებში მიმდინარე ეროვნულ მოძრაობას, დამოუკიდებლობისათვის მათ ბრძოლას.

განსაკუთრებული სიმპათიით იყო განწყობილი საქართველო უკრაინის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების მიმართ, რომლებიც თავდაუზოგავად ებრძოდნენ რუს ბოლშევიკებს უკრაინის ტერიტორიაზე.

ქართული გაზეთები დაინტერესებულნი იყვნენ რუსეთში ქართველების ცხოვრებით, განსაკუთრებით გაზეთი „საქართველო“ აქცევდა ამ საკითხს უურადღებას და ხშირად აქვეყნებდა მასალებს ჩრდილოეთ კავკასიაში, სამხრეთ რუსეთსა თუ ციმბირში მცხოვრები ქართველების შესახებ, სახავდა გზებს სამშობლოში მათ დასაბრუნებლად.

„საქართველო“ ებმაურებოდა პოლონეთის ამბებს, რომელმაც 1920 წლის რიგის ზავით დამოუკიდებლობა განიმტკიცა. გაზეთი ურჩევდა ქართველ ხალხს – არ დაეყარა საბრძოლო ფარ-ხმალი, დამოუკიდებლობის მოპოვებას და მის შენარჩუნებას ერისთვის სასიცოცხლო მოვლენად მიიჩნევდა.

„საქართველოს“ პუბლიცისტი რაფიელ ინგილო წერდა ნუხის მაზრის სოფელ ვართაშნისა და ყიშლაღის მართლმადიდებელ უდებზე, ისესენებდა მათ შორეულ ისტორიას და ურჩევდა საქართველოს მთავრობას ხელი შეეწყო ამ ხალხის სამშობლოში დაბრუნებისათვის.<sup>39</sup>

რუსეთის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული და ევროპასთან საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ აუცილებლობას ეხებოდა მოსე ჯანაშვილის წერილები, ის საკითხის ისტორიასთან ერთად, სახავდა მომავლის გზებსაც ამ ურთიერთობაში.<sup>40</sup>

რუსეთის ბოლშევიკური აზროვნებისგან გამიჯვნას ითხოვდა გაზეთი „საქართველო“, როდესაც მოუწოდებდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას – „უსმინეთ პიუსმანს“. სოციალისტმა პიუსმა-

ნმაც მოგცათ შენიშვნა, რომ უფრო ფრთხილად მოგქცეთ კერძო საკუთრებას, ბოლშევიკებს ნუ მიბაძავთ, თორემ ნანატრ დამოუკიდებლობასაც დაგვაკარგვინებთ და ქვეყანასაცო, – წერდა გაზეთი „საქართველო“,<sup>41</sup> გაზეთი ასევე აკრიტიკებდა მთავრობას სახელმწიფო ხარჯებით მოწყობილი სამთავრობო ღონისძიებებისათვის, ხაზინიდან ფულის უყაირათოდ ხარჯვის, პარტიული „მეჯლისების“ ჩატარებისათვის ხალხის კუთვნილი ფულით.<sup>42</sup>

რუსეთის აგრესია 1920 წლის იანვრიდან გააქტიურდა. ამ დროიდან მან უშუალოდ დააყენა დღის წესრიგში ამიერკავკასიის გასაბჭოების საკითხი. ეს ის დრო იყო, როდესაც დენიკინს ჯერ კიდევ არ პქონდა მარცხი აღიარებული, ამ დროს საბჭოთა რუსეთის მთავრობა უფრო „მეგობრულად“ მიმართავდა საქართველოს ხელისუფლებას და არწმუნებდა მას, რომ დენიკინი მათი საერთო მტერი იყო, ქართული პრესა ამ ფაქტს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის გამარჯვებად მიიჩნევდა და არაფრად აგდებდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის – ჩიჩერინის მდივნის – დივილმოვსკის რჩევას – საქართველო ბოლშევიკურ რუსეთს შეერთებოდა დენიკინის წინააღმდეგ.<sup>43</sup>

როდესაც ევგენი გეგეჭკორმა ქვეყნის ხელისუფლების სახელით უარი თქვა ამ შეთავაზებაზე, რუსეთს შეახსენა საქართველოს ნეიტრალიტეტი, მაშინ რუსეთის მთავრობამ საქართველო გამოაცხადა მტრად, რაც აისახა ჩიჩერინის მიერ 1920 წლის 31 იანვარს გამოგზავნილ დეკემბერში.<sup>44</sup>

მალე დენიკინი დამარცხდა და მან აღიარა კიდეც საქართველოს დამოუკიდებლობა, თუმცა მისგან ამ აქტს უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ პქონდა. რუსეთს მდგომარეობა გაუმწვავდა ბალტიისპირეთში, პოლონეთში, უკრაინასა და ბელორუსიაში, მაგრამ ამის მიუხედავად ის მაინც ცდილობდა ამიერკავკასიის დაპყრობას. აქ ქართველი ბოლშევიკები აქტიურობდნენ სტალინისა და ორჯონიკიძის მეთაურო-

ბით და ისინი ცდილობდნენ ლენინის ჩაფიქრებული გეგმა დროზე ადრე განეხორციელებინათ. ლენინი აფრთხილებდა მათ, არ ეჩქარათ, მაგრამ ამაოდ.

პირველ რიგში რუსეთმა ბაქოზე მიიტანა იერიში. ჯერ ერთი, საქართველო უფრო მტკიცე და ეროვნულად შეკრულ სახელმწიფოს წარმოადგენდა და მასზე იერიში ძნელი იქნებოდა, მეორეც, რუსეთს ბაქოს ნავთობი აინტერესებდა, თანაც აზერბაიჯანს ქემალისტური თურქეთიც ედგა გვერდით, როგორც მოკავშირე, სომხეთს რაც შეახვდოდა, ის პრორუსული იყო და სამხედრო თვალსაზრისით სუსტი, მისი დაპყრობა არასდროს გაუჭირდებოდა რუსეთის არმიას.

რუსეთის იდეოლოგიურმა მანქანამ წინასწარ იმუშავა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების ავტორიტეტის შესარყევად. ამას ჩიჩერინის ნოტები აკეთებდა, რომელსაც იგი მთელი მსოფლიოს სახელმწიფოებში გზავნიდა. აქ რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ლანბდავდა საქართველოს ხელისუფლებას, უწოდებდა მას არადემოკრატიულს, სომები ლტოლვილებისადმი სასტიკ დამოკიდებულებაში სდებდა ბრალს და, ზოგადად საქართველოს მთავრობის პოლიტიკას აკრიტიკებდა ნაციონალური უმცირესობებისადმი.

რუსეთი ირწმუნებოდა, რომ საქართველო ბათუმის გადაცემას აპირებდა ინგლისსა და მისი მოკავშირეებისათვის სურდა რუსეთზე თავდასხმის განსახორციელებლად, რაც სრული აბსურდი იყო.

საქართველო შეეცადა ანტირუსული კავკასიური ფრონტის შექმნას. ქართულ პრესაში, „ერთობასა“ და „საქართველოში“ ასეთი ფრონტის შესაძლებლობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული; 1919 წლის ზაფხულში დაიდო სამხედრო ხელშეკრულება აზერბაიჯანთან, საქართველო მეგობრობდა ჩრდილო კავკასიის მთიელთა რესპუბლიკასთან, რომელიც მალე დაეცა ბოლშევიკთა შეტევის გამო და გროზნო, რომელიც ამ დამოუკიდებელი რესპუბლიკის დედაქალაქი

იყო, გადაიქცა ამერკავკასიის დაპყრობის პლაცდარმად. აქ იჯდა კავკა-სიაში გამოგზავნილი რუსეთის არმიის სარდლობა და მისი იდეური ხელმძღვანელი – სერგო ორჯონიკიძე, საიდანაც გაიცემოდა ბრძანებები და დგებოდა შეტევის გეგმები.

სამწუხაროდ, საქართველომ ვერ შექმნა ანტირუსული კავკასიური ფრონტი, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა, როგორც ამას ფრანგი ავტორი რემონ დაუგა აღნიშნავდა 1926 წელს პარიზში გამოცემულ წიგნში – „მოსკოვი და წამებული საქართველო“.<sup>45</sup>

სომხეთი არ მიემხრობოდა ასეთ კოალიციას, აზერბაიჯანი კი ქემალისტური თურქეთის ზეგავლენით მოქმედებდა, რომელსაც სურდა ანტანტის საწინააღმდეგოდ რუსეთის გამოყენება. მიუხედავად თურქეთ-რუსეთის ძლიერი წინააღმდეგობებისა, მათი ინტერესების შეჯახებისა კავკასიაში ბატონობაზე, ეს ორი აგრესიული ძალა მაინც შეერთდა დროებით და აზერბაიჯანის ბედი გადაწყდა: რუსეთის ბოლშევიკური არმიის 6-ათასიანმა შენაერთმა აზერბაიჯანი დაიკავა. ამ ფაქტს საქართველოსთვის შემაშფოთებელ მოვლენად მიიჩნევდა „ერთობაც“ და მისი ოპოზიციური „საქართველოც“. ამ დროს ბევრი ქართველი მუშაობდა აზერბაიჯანში და ქართველი ინტელიგენცია გულგრილი ვერ იქნებოდა აქ მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი. „ერთობამ“, „საქართველომ“ „სახალხო საქმემ“, „საქართველოს რესპუბლიკამ“ დადებითად შეაფასეს 1919 წლის მარტში დადებული საქართველო-აზერბაიჯანის სავაჭრო ხელშეკრულება და 1919 წელს 17 ივნისის სამხედრო ხელშეკრულება ამ ორ ქვეყანას შორის. ამავე დროს, პრესაში გამოითქვა შიში, ხომ არ განიცდიდა ეს მეზობელი ქვეყანა პოლიტიკურ კრიზისს. აზერბაიჯანისადმი ქართული საზოგადოებრივი აზრი, მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობებისა (აჭარის საკითხში აზერბაიჯანის ჩარევის და აქ პროთურქული „სედაი მილეთის“ ორგანიზაციის დაარსებასა, ასევე სერვერ ბერ ათაბაგის მიერ შექმნილი „ყარსის

რესპუბლიკის“ დაფინანსებაში რომ გამოიხატა!), მაინც თანაგრძნობით იყო განმსჭვალული, პარიზის საზავო კონფერენციაზეც, 1920 წლის იანვარ-თებერვალში, ეს ორი რესპუბლიკა ერთად იყო, ერთი აზრით გამსჭვალული მიმართავდა კონფერენციის მომწყობი ქვეყნების საბჭოს და ერთად მიიღეს „დე-ფაქტოდ“ დამოუკიდებლობის აღიარება. მათ სომხეთის ფაქტორიც აახლოვებდათ, რადგანაც ეს მესამე მეზობელი ორივე მათგანს ტერიტორიულ პრეტენზიებს უყენებდა.

მიუხედავად ამგვარი დაახლოებისა, აზერბაიჯან-საქართველოს კავშირი მაინც შესუსტდა ქემალისტური თურქეთის ჩარევით, რომელიც დაუკავშირდა ლენინურ რუსეთს და ხელს უწყობდა მას ანტანტის ნაცვლად დაეკავებინა ამიერკავკასია. საქართველოში იცოდნენ ამ ალიანსზე, ასევე პრესა ხშირად აქვეყნებდა ცნობებს აზერბაიჯანელი პარლამენტარების ვიზიტებზე გროზნოში, სერგო ორჯონიკიძესთან. მოლაპარაკებებს, ლენინის მთავრობასა და აზერბაიჯანს შორის აწარმოებდა ცნობილი ბოლშევიკი ნარიმან ნარიმანვი.

„ერთობა“ აზერბაიჯანის ამბებში ქემალისტურ თურქეთს ადანაშაულებდა ბოლშევიკურ რუსეთთან ერთად, „საქართველო“ კი ქართველ სოციალ-დემოკრატებსაც, რომელიც აყოვნებდა ქართული ჯარის შეყვანას ბაქოში და იქიდან ბოლშევიკთა გარეკვას. მას არ მოსწონდა უორდანიას ფრთხილი პოლიტიკა, რითაც მთავრობის მეთაური მოქმედებდა. როდესაც 27 აპრილს, დილით, აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხან-ხოელმა დარეკა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ევგენი გეგეშქორთან დახმარების თხოვნით, უორდანიამ შეკრიბა მთავრობა და დღის 2 საათზე თათბირი გამართა, აქ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებიც იყვნენ და ისინი თავად გახდნენ მოწმე, როგორი პასუხი გასცა ბაქოდან ალშიბაიამ – საქართველოს წარმომადგენელმა აზერბაიჯანში. მან დაადასტურა, რომ რუსეთის ჯარი უპრობლემოდ მივიდა სამურიდან ბაქომდე, რომ მას არ შებრძო-

ლებიან, არ აუყრიათ რკინიგზა და ა. შ. ხაჩმასში რუსის ჯარს შე-  
ხვდნენ აზერბაიჯანელი პარლამენტარები და ბოლშევიკთა წინადაღვ-  
ბები მიიღეს, მათ გადაბარეს ხელისუფლება. ამის შემდეგ საქართვე-  
ლოს ხელისუფლებამ უარი თქვა აზერბაიჯანში შესვლაზე და უორდა-  
ნიამ განმარტა კიდეც მისი მოქმედების მიზეზები: 1. ეს იყო აზერბა-  
იჯანის სამთავრობო კრიზისი, რაც ბოლშევიკებისადმი მის კაპიტულა-  
ნტურ პოლიტიკაში გამოიხატა; 2. სოციალური კრიზისი, რაც აზერბა-  
იჯანში დემოკრატიული რეფორმების გაუტარებლობის გამო მოხდა; 3.  
ეროვნული საკითხი, რაც ასე აახლოვებდა ერთმორწმუნე თურქებსა და  
აზერბაიჯანს და რამაც განსაზღვრა ამ უკანასკნელის ალიანსი ბო-  
ლშევიკებთან.

საქართველოს მთავრობას, ამ არგუმენტების სიმტკიცის მიუხედა-  
ვად, ოპოზიციამ ვერ აპატია და ლალატად ჩაუთვალა აზერბაიჯანთან  
დადებული სამხედრო ხელშეკრულების შეუსრულებლობა, ამ ფაქტს  
აღნიშნავდა გენერალი გიორგი კვინიტაძე თავის მოგონებებში. ამგვარი  
კრიტიკით გამოდიოდნენ „საქართველოს“ პუბლიცისტებიც.

„ერთობა“ აქვეყნებდა მოვლენების შემდგომ განვითარებაზე მასა-  
ლებს, ინფორმაციები იბეჭდებოდა საქართველო-აზერბაიჯანისა და სა-  
ქართველო-სომხეთის საზღვრებიდან, სადაც თავი მოიყარეს ბაქოდან  
წამოსულმა წითელარმიელებმა. ეს იყო 1920 წლის 2 მაისს, წითელ ხი-  
დთან სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით მოსულ მე-11 არმიას, რომე-  
ლშიც მაშინდელი პრესის ცნობით, 7 ათასამდე ჯარისკაცი შედიოდა,  
ქართულმა ჯარმა სატიკი მარცხი აგემა და უკუაგდო. გამარჯვებაში  
დარწმუნებული სერგო ორჯონიკიძე წინასწარ უდეპეშებდა ლენინს სა-  
ქართველოს დაკავებას, მაგრამ შეცდა. იმავე დამეს თბილისში, სამხე-  
დრო სასწავლებელზე მოეწყო თავდასხმა, რომლის დირექტორი გენე-  
რალი გიორგი კვინიტაძე იყო. დაიღუპა ახალგაზრდა კურსანტი მი-  
ხეილ მაყაშვილი, მტერმა ვერ მოახერხა იუნკრების მოტყუება, თავდა-

მსხმელები შეიპყრეს, რომელთაგან 13 სომები აღმოჩნდა და 1 რუსი, სულ 14 კაცი იყო, რომლებიც ბოლშევიკებს სპეციალურად ჰყავდათ მოსყიდული, რაშიც თავად დაპატიმრებულები გამოტყდნენ.

„ერთობა“ და „საქართველო“, მძაფრი ურთიერთდაპირისპირების მიუხედავად, 1920 წლის შემოდგომის ამბებს, რუსეთ-საქართველოს შორის გამწვავებულ ურთიერთობას თითქმის ერთნაირი კრიტიკით პასუხობდნენ.

ორიგე გაზეთის ფურცლებზე იკვეთებოდა ის ანტიქართული აგრესია, რასაც საქართველოში რუსეთის დიპლომატიური მისია ასრულებდა, რუსეთის მისიის ხელმძღვანელი კიროვი შეეცადა ეს სამსახური ექცია აგენტების ბუდედ, საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ შეთქმულების მომზადების კერად. მისიის თანამშრომელთა რიცხვი ნელ-ნელა იზრდებოდა და ბოლოს 300 კაცამდე ავიდა. მასში შედიოდნენ რუსი ბოლშევიკები და ის ქართველები, რომლებიც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგები და საქართველოში რუსეთის დაბრუნების მომხრე იყვნენ.

1920 წლის სექტემბერში სერგეი კოსტრიკოვი (კიროვი) გაიწვიეს საქართველოდან, პოლონეთთან საზავო მოლაპარაკებისათვის რიგაში მიმავალი დელეგაციის ხელმძღვანელად დანიშვნის გამო, მის ნაცვლად რუსული მისიის ხელმძღვანელად შეინმანი დაინიშნა, რომელსაც მწვავედ აკრიტიკებდა ქართული პრესა. შეინმანი თბილისში ვერც ბედავდა ცხოვრებას, ბაქოში ცხოვრობდა, რის გამოც რამდენჯერმე მიმართეს ქართველმა პოლიტიკოსებმა კრემლს, ან შეეცვალათ შეინმანი, ანდა აეძულებინათ თბილისში ეცხოვრა.

რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას, ჩიხერინის ნოტებს, საქართველოს ხელახალი დაპყრობის ცდებს, მედგრად აღუდგა წინ მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრი. ვახტანგ კოტეტიშვილი აღნიშნავდა: „რა სწადიათ მოსკოვის გათამამებულ ბოლშევიკებს? რატომ

არ ეტევიან რუსულ ქერქში? ძველ იმპერიალისტურ ზრახვებს რატომ არ ტოვებენ? ანდა რევოლუციის დიდ პრინციპს ერთა განთავისუფლების შესახებ, რომლის ქვეშაც ბოლშევიკებმა ხელი რიხით მოაწერეს, რას უშვრებიან? იქნებ პგონიათ რომ კომუნიზმის ლედვის ფოთოლი დაპფარავს მათ სიშიშვლეს და სოციალიზმის დარახტული რაშით ყველგან შეაჭერებენ რუსულ იმპერიალიზმს? ახალ გზებს ისინი ვერ აღმოგვიჩენენ და ის გზა კი, რომლისკენაც მიგვითითებენ, ძველი გზაა, კარგად ნაცნობი. მას რუსული იმპერიალიზმისაკენ მივყავართ „<sup>46</sup>

სამსონ ფირცხალავას აზრით, ბოლშევიკები უდიდეს საფრთხეს უქმნიდნენ საქართველოს, ცდილობდნენ მის ხელახალ მიტაცებას, თუ-რქეთთან კავშირით საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორიის მიტაცებას. ამიტომ, ფირცხალავა საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის მკაცრ პასუხებს ითხოვდა ჩიჩერინის ნოტებზე.<sup>47</sup>

განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩეოდა პარლამენტის დეპუტატის, გამოჩენილი ქართველი მეცნიერის – შალვა ნუცუბიძის სიტყვა 1920 წლის 4 მაისს. მან გააკრიტიკა რუსეთი, თქვა, რომ საქართველოში ყველა პოლიტიკური პარტია დამოუკიდებლობის ნიადაგზე იდგა, დამოუკიდებლობა მთელი ქართველი ხალხის სურვილი იყო.

შალვა ნუცუბიძე მიმართავდა რუსეთს, რომ გაეთვალისწინებინა ქართველი ხალხის ეს პოზიცია, არ ეძებნა დასაყრდენი მათში, დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ქართველი ხალხი თავგანწირვით დაიცავდა თავის სამშობლოს.<sup>48</sup>

მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრი აკრიტიკებდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებასაც რუსეთ-საქართველოს შორის. ის დარწმუნებული იყო, რომ აქტის უკან ლენინი იდგა, შემსრულებლები კი ქართველი ბოლშევიკები იყვნენ.<sup>49</sup>

ანტიბოლშევიკური საქმიანობის გააქტიურების გამო, რუსეთი აკრიტიკებდა საქართველოს მთავრობას, მთავრობა კი იძულებული იყო

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ბოლშევიკთა გამოსვლები ჩაეხშო, დაეპატიმრებინა ბოლშევიკთა ლიდერები: ცხაკაია, ოკუჯავა, ორახელაშვილი, სტურუა, ლოდობერიძე, საშა გეგეჭკორი, ელბაქიძე და სხვა.<sup>50</sup>

რუსეთთან დამოკიდებულებაში განსხვავებული თვალსაზრისი მაინც არსებობდა ქართულ საზოგადოებაში: ეროვნულ-დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტები რუსეთს მწვავედ აკრიტიკებდნენ, სოციალ-დემოკრატების ნაწილი კი რუსულ ბოლშევიკურ ავანტიურას აბრალებდნენ მის ზოგიერთ ლიდერს: ტროცკის, სტალინს, ორჯონიკიძეს, მიაჩნდათ, რომ ლენინი ლოიალურად იყო განწყობილი საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ. მათი შეხედულებით. ლენინის ერთა თვითგამორკვევის პოლიტიკა დიდი მოვლენა იყო რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხებისათვის, მაგრამ „ცენტრს დაშორებული კომუნისტები არღვევდნენ მას“<sup>51</sup> ამიტომ, საჭიროდ თვლიდნენ მუშათა დელეგაციის გაგზავნას მოსკოვში, თვლიდნენ, რომ ამით მოხერხდებოდა საერთო ენის გამონახვა საქართველო-რუსეთს შორის. რა თქმა უნდა, ამგვარი მიდგომა პრიმიტიული იყო და არ ხსნიდა რუსეთის დამპყრობლურ მიზნებს, მათ სწორსაზოვან პოლიტიკას კავკასიაში რუსეთის ბატონობის დასამყარებლად. ამ პოლიტიკას მთავრობის თავმჯდომარე გეგმავდა და დანარჩენი მთავრობის წევრები თუ ბოლშევიკი ლიდერები მას ანხორციელებდნენ. ამაზე მიუთითებდა რუსეთში მოქმედი ქართული დიპლომატიური კორპუსის საქმიანობა 1920 წლის ბოლოს და 1921 წლის დასაწყისში. დიპლომატმა გერასიმე თომას ძე მახარაძემ ლენინთან რამდენიმე ვიზიტით ვერ გამოიტანა სათანადო დასკვნა, რადგან ლენინი საქართველოს მიმართ პატივისცემას, მისი დამოუკიდებლობის აღიარებას აღასტურებდა, რეალობა კი სხვა რამე იყო: რუსეთის წითელი არმია, რომელიც უკვე კანონიერად იდგა გასაბჭოებულ აზერბაიჯანსა და სომხეთში, აქედან უტევდა საქართველოს სა-

ზღვრებს, აწყობდა ინსპირაციებს ქართველებსა და სომხურ-აზერბაიჯანულ მოსახლეობასთან.<sup>52</sup>

ქართველმა დიპლომატმა მოსკოვში, – გერასიმე მახარაძემ ეკონომიკურ-სავაჭრო ხელშეკრულებაც გააფორმა უკრაინის წარმომადგენელ – კოციუბინსკთან, მაგრამ დამკურობელს ვეღარ დაუპირისპირა ვერანაირი დიპლომატია: რუსეთი უხეშად, ყოველგვარი დიპლომატიური წესების დარღვევით დაიძრა საქართველოს დამოუკიდებლობის დასამხობად. თვით დიპლომატი მოსკოვში სრულ იზოლაციაში მოახვდრა რუსეთის ხელისუფლებამ, ამასობაში კი თბილისის თავზეც ააფრიალეს წითელი დროშა, რაც 70-წლოვან ახალ უდელს უქადდა ქართველ ხალხს, რომლის მოწინავე შვილები არასდროს შეგუებიან ამ უდელს. ბევრი მათგანი კომუნისტურ რეპრესიებს შეეწირა, ბევრმა კი ლიტერატურული, მეცნიერული, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით შეძლო არ ჩამკვდარიყო ქართული სული, ის ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეა, საუკუნეობით რომ აცოცხლებდა საქართველოს.

## თავი V

ვითარება კულტურის სფეროში და რუსეთის საეკლესიო  
პოლიტიკა საქართველოში

რუსიფიკატორული პოლიტიკა ქართული განათლების  
სისტემაში.

ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა და ქართველი ხალხის ეროვნული სულისკვეთება ერთმანეთს დაუპირისპირდა განათლების სფეროში. ქვეყანა მხოლოდ მაშინ გადაიქცეოდა რუსეთის ბუნებრივ

ნაწილად, თუკი მოხდებოდა ქართველი ერის გარუსება, ამას კი მხოლოდ რუსულენოვანი სკოლა თუ შესძლებდა.

სკოლის რუსიფიკაცია განსაკუთრებულად მთავარმართებელ გოლიცინის დროს (1897-1904წ.წ.) გამოვლინდა. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი— კირილე პეტრეს-ძე იანოვსკი ყველაფერს აკეთებდა საქართველოს სკოლებში ქართული სულის ჩასახშობად. საქართველოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნას კარგად ასახავს 1908 წელს ჟურნალ „განათლებაში“ გამოქვეყნებული ცხრილი:

№	სკოლები, რომლებშიც ასწავლიდნენ	პროცენტულად					
		1878 წ.	1881 წ.	1889 წ.	1890 წ.	1900 წ.	1901 წ.
1	დედაქაზე	17,9	13,8	0,1	გაუქმებულია		
2	დედაქაზე რუსულის საშუალებით	32,3	34,0	27,1	27,1	13,3	11,9
3	მხოლოდ რუსულ ენაზე	49,8	52,2	72,8	72,9	86,7	88,1

ცხრილი ადასტურებს, რომ 1878 წლის 17,9%-ის ნაცვლად, ქართულ ენაზე სწავლების მქონე სკოლები 1890 წელს სრულიად მოისპო, რუსულ ენაზე სწავლების მიმდევარი სკოლების რაოდენობა კი 49,8 %-იდან 1901 წლისათვის 88,1%-მდე გაიზარდა. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი 1903 წელს წერდა: „ოლქის მმართველობისა და საერთოდ სკოლების დირექტორების ზრუნვის წყალობით და აგრეთვე რუსული ენის სწავლების დროს ეგრეთწოდებული ბუნებრივი მეთოდის ხმარებით, ამჟამად პირველდასაწყისის სკოლების უმრავლეს ნაწილში (92,4%) სწავლება წარმოებს მარტო რუსულად, ხოლო ისეთი სკოლები, სადაც სწავლება დედაქაზეა, ამჟამად სრულიად აღარაა“<sup>6</sup>

ქართველი ინტელიგენცია მტკიცედ იბრძოდა მშობლიურ ენაზე სწავლების უფლების მოპოვებისათვის, ამ საკითხზე იმართებოდა

მრავალი პოლემიკა, სადაც მონაწილეობდნენ როგორც ხელისუფლების, ასევე ხალხის წარმომადგენლები. ამ პრობლემის მოგვარებისათვის ძირითადად „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ იბრძოდა. ამ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას ხელმძღვანელობდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიორგი ზდანოვიჩი. ეს იყო დიდი ეროვნული სულისკვეთების ადამიანი, რასაც მოელი თავისი ცხოვრებით, ქველმოქმედებითა და თავდადებით ამტკიცებდა. იგი საკუთარი ქონებითა თუ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს თანხებით აფინანსებდა ნიჭიერ ახალგაზრდებს, სწავლის მიღებაში ეხმარებოდა მათ.არა მარტო მატერიალური შემწე იყო ეს ადამიანი ნიჭიერი ახალგაზრდობისათვის, არამედ სულიერი მეგობარიც, რასაც ცხადყოფს მის არქივში დაცული მიმოწერა.<sup>7</sup>

მიუხედავად დიდი ეროვნული სულისკვეთებისა, ზდანოვიჩი და სხვა სოციალისტური აზროვნების მქონე მოღვაწეები(ზდანოვიჩი იყო სოციალ- ფედერალისტი), რუსული ენისადმი განსაკუთრებული სიყვარულით განმსჭვალულნი, რუსულ ენაზე სწავლას საქართველოში ბუნებრივად თვლიდნენ. მათი აზრით, იმპერიის სახელმწიფო ენა იმსახურებდა ამას. თავადაც ძირითადად რუსულ ენაზე წერდა. XXსაუკუნის დასაწყისში ქუთაისში დადგა სპეციალური სკოლის გახსნის საკითხი, ზდანოვიჩის ნებართვით, ეს სკოლა რუსულენოვანი უნდა ყოფილიყო, რამაც აღაშფოთა მაშინდელი ინტელიგენციის წარმომადგენლები. იმპერიის მასშტაბით ცნობილი პედაგოგი— ივანე გომელაური, რომელიც 1913 წლი 23 დეკემბერს პეტერბურგში გამართული რუსეთის სახალხო მასწავლებელთა ყრილობის დელეგატი და საორგანიზაციო კომიტეტის წევრი იყო დიმიტრი უზნაძესთან ერთად, ისე აღუშფოთებია ამ ფაქტს, რომ საპროტესტო წერილი გაუგზავნია თავად ავტორისთვის. წერილი ასე მთავრდებოდა: „ნუ ღალატობთ დიდებულ პრინციპს, რომელიც წმინდაა და ხელშეუხებელი

ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის, ჭეშმარიტი ადამიანისათვის დედა-  
ენა უნდა იყო გზა და ხიდი ადამიანთა სამყაროში გადასახედად;  
ამეცბის თქმა თქვენ არ გჭირდებათ ჩემგან, მაგრამ რა ვქნა, რომ  
რაღაც მიზეზით სწორ გზას გადაცდით და ჩვენს ცხოვრებას  
დაღუპვის გზაზე აცურებთ... გადასინჯეთ თქვენი დადგენილება, ნუ  
აჩქარდებით, დეკ, თუნდ ერთი წელიწადი კიდევ დააგვიანდეს სკოლის  
გახსნას, ოდონდ საერთო საქმეს ნურა ევნება რა, ოდონდ კი თქვენი  
სახელი ამ შავ საქნეს ნუ დაუკავშირდება შთამომაგლობის  
სასაცილოდ და თქვენს დასამცირებლად!..გაუფრთხილდით თქვენს  
სახელს, რომელიც თქვენი გონიერებით აქამდის წმინდათ  
შეგინახავთ!..<sup>8</sup>

ასეთი მკაცრი და პრინციპული იყო საზოგადოების  
დამოკიდებულება ქართული ენის ბედისადმი, კარგად იყო  
გააზრებული, რომ ეს ქართველობის საძირკველი არ უნდა  
დანგრეულიყო.

დიდი ქართველი პედაგოგი და მამულიშვილი – იაკობ  
გოგებაშვილი იანოვსკის ანტიქართულ საგანმანათლებლო პოლიტიკასა  
და ე. წ. „მუნჯურ მეთოდს“, მის შოვინისტურ ბუნებას ჩვენი  
ქვეყნისთვის დიდ უბედურებად თვლიდა და აღმფოთებით საუბრობდა  
მის დეტალებზე.<sup>9</sup>

იანოვსკისა და მის მსგავსთა მოქმედების წყალობით, ხდებოდა  
ქართველი ხალხის ხელოვნური გათიშვა და დაპირისპირება. შეიქმნა  
მეგრული ანბანი და სამეგრელოს სკოლებში მთავრობამ გადაწყვიტა  
ქართული ენის ნაცვლად მეგრულის სწავლება. ამასთანავე დადგა  
საკითხი სახარების მეგრულად თარგმნისა და დვორისმსახურების  
მეგრულადვე შესასრულებლად. ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ ამით  
მეგრული მოსახლეობის გულს მოიგებდა, მოხდა კი პირიქით: ხალხმა

ასეთი ქმედება მკრეხელობად ჩათვალა და აქტიურად გამოვიდა მის წინააღმდეგ.

მოსახლეობა უარს ამბობდა სახელმწიფო- სამინისტრო სკოლებზე, რადგან ასეთ სასწავლებლებში სწავლება მხოლოდ რუსულად წარმოებდა, არსდებოდა კერძო სამრევლო და საერო სკოლები. აქ მშობლიურ ენაზე ასწავლიდნენ ბავშვებს და ეროვნულ სულსაც ამკვიდრებდნენ მათში. 1903 წელს სამეგრელოში ჩასულ ეგზარქოს პავლესა და განათლებაზე მზრუნველ ვოსტორგოვს აქაურები მტკიცედ დახვდნენ და უკმაყოფილება გამოთქვეს ქართული ენის აკრძალვის გამო, სწავლებაში დანერგილი უაზრო მეთოდების ცუდ შედეგებზე.

კიდევ უფრო მწვავე და ანტიქართული იყო მთავრობის საგანმანათლებლო პოლიტიკა აფხაზეთში. ყველაფერი კეთდებოდა მხარის სრული კოლონიზაციისა და აფხაზების გარუსებისათვის. ანტიქართული პოლიტიკა გატარდა აჭარის სკოლებშიც.

ხელისუფლება ებრძოდა პროგრესულ ქართველ პედაგოგებს, საზოგადოებამ მწვავედ განიცადა ცნობილი მოღვაწისა და თბილისის გიმნაზიის მასწავლებლის-შიორ ჩიტაძის მკვლელობა 1906 წლის 5ივლისს. მძიმედ დაჭრეს და დააპატიმრეს მოწინავე პედაგოგი-იუსტინე აბულაძე, ვარლამ ლლონტი და სხვ.

გაზეთი „ახალი ცხოვრება“ 7 ივლისის ნომერში წერდა, რომ ეს მთავრობის შურისძიება იყო ამ თემას შემდეგშიც მრავალჯერ მიუბრუნდნენ ქართული გაზეთები<sup>10</sup>. „შრომა“, „ამირანი“ და „ისარი“ ამ ფაქტს რუსული ხელისუფლების ანტიქართულ ქმედებად თვლიდნენ 1906- 1908წლებში გამოქვეყნებულ სტატიებში.

ქართველი პედაგოგები, სოციალური ხელმოკლეობის მიუხედავად, ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ქართული სიტყვა არ ჩამკვდარიყო ქართველი ახალგაზრდობის სულში, სამუშაოდ მიდიოდნენ არა მარტო

საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში, არამედ ბაქოში, ნალჩიკში, კავკავსა და სხვა სკოლებში, რათა იქ მცხოვრები ქართველების შვილები აეცდინათ გარუსების საშინელ ხვედრს, სამუდამოდ არ დაეკარგათ ისინი სამშობლოსათვის. ასეთი პედაგოგები იყვნენ: მიხეილ ყიფიანი, ლუარსაბ ბოცვაძე, პარმენ გოთუა, ტიტე კახიძე, ილარიონ ბაქრაძე, სვიმონ გაბაშვილი, ნიკოლოზ გვარამაძე და სხვ.

XX საუკუნის დასაწყისში, კოლონიურ რეჟიმის პირობებში მოღვაწე ქართველი პედაგოგები აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, უპირისპირდებოდნენ რუსული ხელისუფლების ანტიქართულ იდეოლოგიას. ამდროინდელი საქართველოს სკოლები, მათი სულისკვეთება და მიზანი სრულად შეესაბამებოდა იმპერიის დაპყრობით გეგმებს, მაგრამ ერთს მოწინვე შვილთა მეოხებით, მათი თავდადებული ბრძოლითა და იმპერიული მიზნების მხილებით, იმპერიული სულისკვეთება ვერ იმარჯვებდა. წარმოიქმნებოდა უამრავი მწვავე სიტუაცია, იყო უკომპრომისო ხანგრძლივი ბრძოლა, მაგრამ 1917 წელს იმპერიის დარღვევით და საქართველოს სკოლების გაეროვნებით ეს პროცესი დასრულდა.

### ქართული მწერლობა, პრესა და თეატრი რუსული კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში

რუსეთის კოლონიურ რეჟიმთან ბრძოლაში ქართველი ხალხის იდეური ხელმძღვანელი იყო ქართული მწერლობა, დემოკრატიული პრესა და ქართული თეატრი.

XX საუკუნის დასაწყისში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალიზმი ქართველ მწერალთა შემართებაზე, მათ

შემოქმედებით და პირად თავგანწირვაზე გადიოდა. მათ ორ ფრონტზე უხდებოდათ ბრძოლა. ერთი რუსული ჟანდარმერია და ჩინოვნიკები იყვნენ, მეორენი კი ქართველი სოციალისტ-კოსმოპოლიტები, რომლებიც ებრძოდნენ ყოველგვარ ეროვნულსა და ამ იდეოლოგიის მატარებელ მოღვაწეებს, უტეხდნენ სახელს, რათა დაემცროთ ხალხში მათი ავტორიტეტი. ეს მიზანი ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან გამართულ მათ პოლემიკას, ამ დიდი მამულიშვილის წინააღმდეგ შეთხულ ჭორებს იმის თაობაზე, რომ თითქოს ის ჩაგრავდა გლეხებს, იყო უგულო მემემულე, რასაც საერთო არ ჰქონია ილიას ნამდვილ ცხოვრებასთან. მეფის ჟანდარმერიას მუდმივ კონტროლზე პყავდა აყვანილი ქართველი ერის ეს დიდი შვილი. მიუხედავად ასეთი ცილისწამებებისა, ილია მუდმივად ეძებდა გზას, ერის მომავალი ცხოვრების სწორად წარსამართავად. მან წამოაყენა ეროვნული მოაზროვნეების წინაშე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნის იდეა, ავტონომიის მოთხოვნის იდეა, სცადა მშვიდობიანი საბრძოლო მეთოდების გამოყენება.

რუსული ხელისუფლების ანტიქართულ პოლიტიკას  
უპირისპირდებოდნენ აკაკი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი,  
მიხეილ ჯავახიშვილი და სხვები, რომელთა ეროვნული სული  
განსაკუთრებით ილიას მკვლელობამ შეძრა და შეაკავშირა მის  
ცხედართან.

ვაჟა-ფშაველა ებრძოდა რუსულ კოლონიურ პროექტებს, რომლის მიხედვით საქართველოში რუსული დასახლებები იქმნებოდა. ეს მაშინ, როდესაც ქართული მიწა არ ჰყოფნიდათ მცირემიწიან ქართველობას. პოეტის მონდომებით შევიდა ცვლილებები ერთ- ერთ პროექტში, შირაქსა და კახეთში შეიქმნა ფშავლების სოფლები. ამ სოფლებში წყლის გაყვანასა და მთასთან მისასვლელი გზების გაკეთებას ვაჟამ დიდი დრო მოანდომა. პოეტი განსაკუთრებით იყო შეძრული იმ

რუსული იდეოლოგიის ერთგული ქართველების ანტიეროვნული საქმეებით, რომლებიც სიცოცხლეში ებრძოდნენ ილია ჭავჭავაძეს, მისი სიკვდილის შემდეგ კი, მონანიების ნაცვლად, ეს საზარელი მკვლელობა ობიექტურ მოვლენად მიიჩნიეს. წიწამურის ტრაგედია მათ დაატრიალეს. პოეტის წერილები გაზეთ „ისარში“ – „ვერ მოჰკლეს“ და „სიტყვა ილია ჭავჭავაძის ცხედარზე“ – თავიდან ბოლომდე ამ იდეოლოგიის კრიტიკა იყო. ვაუა ებრძოდა სოცილისტურ- ბოლშევიკურ იდეოლოგიას, კოსმოპოლიტიზმის დაპირისპირებას პატრიოტიზმთან, ხალხს უხსნიდა, რომ ეს ხელოვნური დაპირისპირება იყო, რუსული იმპერიული ხელისუფლება ამ ნიშნით ერთმანეთთან აპირისპირებდა სხვადასხვა ეროვნების, რელიგიური და სოციალური კუთვნილების ადამიანებს, ამით ახერხებდა ქართველი ერის გათიშვას, ფიქრობდა მომავალში მისი ეროვნული სხეულის დაქუცმაცებას. წერილში – „ვინ არის მართალი?“ – ვაუა-ფშაველა აკრიტიკებდა რუსული შოვინისტური პრესის ფლაგმანს – „მოსკოვურ უწყებან“-ს, მის იმპერიალისტურ აზროვნებას, ჩამოთვლიდა გაზეთის იმ წერილებს, სადაც რუსული იდეოლოგია ყველაზე ნათლად ჩანდა. მისთვის საზარელი იყო რუსი მოხელეების უგულობა, მათი დამოკიდებულება ქართველი ხალხისადმი. პოეტი წერდა, როგორი უუფლებო და დაბეჩავებული იყო ადამიანი რუსული ბიუროკრატის ხელში, ზარავდა ბორკილი, „დიდი და მძიმე ბორკილი, რომელიც უნდა დაედვას ადამიანის ბაგეს, მის ენას, რათა არ გამოაცხადოს თავისი უკმაყოფილება, არა სთქვას ის, რაც უჭირს, რაც სტკივა, არამედ იყოს ჩუმად, მოკრძალებით, მოწიწებით, მუნჯად, ცოცხალ-მკვდარად...“<sup>11</sup>

ვაუას გაბედულმა კორესპონდენციებმა გადაადებინა მთავრობას შირაქის ველზე რუსთა ჩამოსახლების საკითხი. 1905 წლის 27 ივნისს კოლონისტთა ჩამოსახლების სამმართველო სწერდა ვალუევის სამაზრო პოლიციას, ეცნობებინა პოდგორნის სასოფლო

საზოგადოების გლეხებისათვის, რომ მათ ჩამოსახლებისათვის შირაქის ველზე ტერიტორია არ გამოყოფა.<sup>12</sup>

ქართველი მწერლები მსჯელობდნენ ერის მიწის ფონდის დაცვაზე, ერის მოჭირნახულე ადამიანები კარგად ხედავდნენ, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის პირობებში საქართველოს ტერიტორიაზე როგორ მრავლდებოდა იმპერიის მორჩილი სხვა ეთნოსთა წარმომადგენლების სოფლები. ამგვარ ვითარებაზე განგაში ატენა არჩილ ჯორჯაძემ. „იყიდება საქართველო“!— ზარებს რეკლა დიდი ქართველი მწერალი ნიკო ლორთქიფანიძე.

ახალი თაობის ქართველი მწერლები — გერონტი ქიქოძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, გიორგი გვაზავა, ტიციან ტაბიძე, და სხვები XXსაუკუნის 10-იან წლებში წერდნენ პუბლიცისტურ წერილებს, მხატვრულ თხზულებებს, სადაც აკრიტიკებდნენ რუსეთის ანტიქარტულ, კოლონიურ პოლიტიკას, აანალიზებდნენ ისტორიულ წარსულს და ქვეყნის მომავალს ევროპასთან კავშირში გაიაზრებდნენ.

რუსული კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ მოქმედებდნენ ის საზოგადოებრივი დაწესებულებები, რომელთაც ერის საუკეთესო შვილები აფუძნებდნენ. ასეთები იყო: „ქართული საქველმოქმედო საზოგადოება“, დაარსებული 1906 წელს, დარიბ სტუდენტთა და დარიბ ბავშვთა დამხმარე საზოგადოებები, პროფესიონალური( წიგნის ბეჭდვის, საფილარმონიო, სხვადასხვა კულტურული და სამეურნეო-სამრეწველო), წერა- კითხვის გამავრცელებელი, საისტორიო-საეთნაგრაფიო და სხვა საზოგადოებები. ისინი რუსეთის შოვინისტური პოლიტიკის პირობებში ცდილობდნენ ქართული კულტურისა და სულიერების გადარჩენას, მის პოპულარიზაციას, განვითარება- წინსვლას. ამ ოგანიზაცია- დაწესებულებებმა დიდი

როლი შეასრულეს ეროვნული სულისა და ტრადიციების შენარჩუნებაში.

განსაკუთრებული როლი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში პქონდა თეატრს. ამ კულტურულ დაწესებულებას ყველაზე ახლო კავშირი პქონდა ხალხთან, ამიტომ შეეძლო დიდი ემოციური ზემოქმედების მოხდენა ადამიანებზე, მათში ეროვნული გრძნობების გაღვივება, საბრძოლო სულისკვეთების გაძლიერება. თეატრი ერთადერთი ადგილი იყო, სადაც საჯაროდ ისმოდა ქართული ენა და საჯაროდ მოქმედებდა. სცენაზე მოღვაწე პატრიოტი მსახიობები და რეჟისორები: ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ნატო გაბუნია, კოტე მესხი, ვალერიან გუნია, კოტე ყიფიანი, კოტე მარჯანიშვილი და სხვები, სხვადასხვა თაობის, ქართული სიტყვისა და საქმისათვის თავდადებული ადამიანები იყვნენ. ისინი სასცენო ოსტატობით ამხელდნენ შოვინისტებს, ერს შეახსენებდნენ დიდ ისტორიულ წარსულს, ამხელდნენ მომავლისათვის ბრძოლაში. თეატრის სცენაზე იდგმებოდა არა მარტო ნათარგმნი, არამედ ორიგინალური პიესები, სადაც ნაჩვენები იყო დამპყრობელთა ძალადობა, უნიჭო რუსი ჩინოვნიკებისადმი შეურიგებლობა. ასეთი იყო დავით ერისთავის „სამშობლო“, გოგოლის „რევიზორი“, შილერის „ყაჩაღები“, ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“, ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის „დალატი“ და სხვ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებაში თეატრს უდიდესი როლი აქვს ნათამაშები, ამიტომ ეშინოდა მისი ასე ძალიან რუსულ ხელისუფლებას. ქართული თეატრი ამიტომ იზიდავდა მაყურებელს და ამიტომ ცდილობდა საზოგადოება— შეენახა დასები, არ დაეშვა ის ეროვნული დროშა, რომელიც თეატრს პქონდა აღმართული.

კოლონიური პოლიტიკის მხილებაში დიდი როლი ითამაშა ქართულმა პრესამ. თუ საქართველოში არსებული რუსული პრესის

ორგანოები მხარს უჭერდნენ ოფიციოზის საქმიანობას, ქართული პრესა დაუნდობლად აკრიტიკებდა რუსი მოხელეების შოვინისტურ ქმედებებს, ხელისუფლების უსამართლო დამოკიდებულებას ჩვენი ერის პრობლემებისადმი, ამკვიდრებდა პროგრესულ აზროვნებას, აღრმავებდა დამპყრობლებისადმი წინააღმდეგობის გრძნობას, მოუწოდებდა ქართველ ერს— არ შერიგებოდა მონობას, ებრძოლა თვითგამორკვევისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

ეს მიზანდასახულება შეასრულა XXსაუკუნის დასაწყისის ქართულმა დემოკრატიულმა პრესის ორგანოებმა: 1896- 1906 წლებში გამომავალმა „ცნობის ფურცელმა“, მის ნაცვლად, 1906 წელს დაარსებულმა „შრომამ“. ეს გაზეთები დახურა ცენზურამ, რასაც არ ეგუებოდნენ გაზეთის უშიშარი რედაქტორები და კვლავ ხსნიდნენ ახალ, სახელშეცვლილ, მაგრამ იდეურად მსგავს პრესის ორგანოს. ასეთი იყო 1907 წელს დაარსებული „ისარი“, 1908 წელს დაარსებული „ამირანი“ და 1909 წელს მის ნაცვლად შექმნილი „დროება“.

ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში

განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ეროვნულ - დემოკრატიულმა პრესამ, გაზეთებმა: „ერი“, „იმერეთი“, „საქართველო“, „სამშობლო“, ურნალი „კლდე“, სოციალისტ-ფედერალისტური „სახალხო საქმე“, „სახალხო აზრი“ და სხვ. ცენზურა იდებდა წერილებს, ჭრიდა გვერდებს, იჭერდნენ რედაქტორებსა და გაბედულ პუბლიცისტებს. რუსულ კოლონიურ პროექტებს სწორედ ეს პრესა აცნობდა ხალხს.

საზოგადოებრივი ცხოვრების გამოცოცხლება, საგანმანათლებლო მოძრაობის გააქტიურება მოწინავე ქართული პრესის მოღვაწეობის შედეგი იყო. მისი დამსახურებაცაა XXსაუკუნის 10-იანი წლების ბოლოს მოპოვებული თავისუფლება და რუსეთის ახალი აგრესიის წინააღმდეგ ჩვენი ერის თავგანწირული ბრძოლა.

## რუსეთი საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საერო და სასულიერო ხელისუფლების მიერ დაწყებული სამრევლოების აღორძინების მცდელობა ვერ შედგა. ეკლესიის განმტკიცებისათვის გაღებულმა უზარმაზარმა თანხებმა ვერ შეასრულა ის დანიშნულება, რისთვისაც იმპერია ამ თანხებს იღებდა. სოლიდურ თანხებს გამოყოფდა საქართველოს საეგზარქოსოც. კავკასიაში სოციალურ- პოლიტიკური მოძრაობის გააქტიურების გამო, მას მოსახლეობაზე იდეოლოგიური ზემოქმედების მოხდენის, დაძაბული სიტუაციის განმუხტვის ფუნქცია ეკისრებოდა. აქამდე ის საკუთარი ფინანსებით არსებობდა, ახლა კი სახელმწიფო ხაზინიდან იმდენი ფული ეძლეოდა, რომ თავისუფლად შეეძლო რუსული იმპერიული პოლიტიკა ყველა შემთხვევაში ისე გაეტარებინა, რომ მთავრობა მადლობელი დარჩენოდა. როდესაც კავკასიაში მღელვარებები მატულობდა, მაშინ უწმინდესი სინოდი საქართველოს საეგზარქოსოს თანხებს წელიწადში რამდენჯერმე ურიცხავდა.<sup>1</sup>

სამღვდელოების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, სახელმწიფოსაგან ერთჯერადი დახმარებები, საპენსიო უზრუნველყოფის გაზრდა, საეკლესიო- სამონასტრო მეურნეობებისათვის ხელშეწყობა, ნათელს ხდიდა, რომ ეკლესია არჩეული იქნა ხალხზე ზემოქმედების იარაღად.

1900-1917 წლებში რამდენჯერმე დადგა საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციის საკითხიც. შემუშავდა არაერთი პროექტი. რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს საეკლესიო და ტერიტორიულ- ადმინისტრაციული საზღვრების მოშლას, საქართველოს კუთვნილი ტერიტორიების მიტაცებას, საეკლესიო იურისდიქციის ხელყოფასა და იერარქიულ დაკნინებას, ქართველი ხალხის

ასიმილაციას რუსეთის იმპერიის სივრცეში. ამის პირველი გამოვლენა იყო 1901 წელს, სოხუმის ეპისკოპოს არსენის მიერ, საქართველოს საეგზარქოსოსაგან სოხუმის ეპარქიის გამოყოფის საკითხის დაყენება.

1904 წელს. ნიკოლოზ II-ის ბრძანებულების თანახმად, გაგრა და მისი მიმდებარე ტერიტორია სოხუმის ოლქს მოაცილეს და შავიზღვისპირეთის გუბერნიას მიუერთეს. რევოლუციური გამოსვლების გაძლიერებამ ვერ შეასრულებინა იმპერიულ წრეებს ეს გეგმა, სოხუმის ოლქის საქართველოსაგან მოწყვეტა, თუმცა ეს საკითხი რუსულ შოვინისტურ წრეებში არასოდეს დავიწყებიათ.<sup>2</sup>

1906 წელს პეტერბურგში უწმინდესი სინოდისა და სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების წინასწარი საკრებულოს II განყოფილების სხდომებზე, რომელსაც საქართველოს დელეგაციაც ესწრებოდა ავტოკეფალიის მოთხოვნით, სამი პროექტი შეიმუშავეს: პირველი პროექტით, რომელიც 1906 წლის იანვარში შედგა, დაიგეგმა საქართველოს საეგზარქოსოსა და საქართველო- იმერეთის სინოდალური კანტორის გაუქმება. მეორე პროექტი შედგა 1906 წლის ივნისში და ითვალისწინებდა საეგზარქოსოს შენარჩუნებას, 1906 წლის დეკემბერში შედგენილი პროექტი კი, საქართველოს საეგზარქოსოს ნაცვლად, სამიტროპოლიტო ოლქის შექმნას გეგმავდა. აქედან ორ შემთხვევაში რეფორმა საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმებისა და ქართული ეკლესიის იერარქიული დამცრობისაკენ იქნა მიმართული.<sup>3</sup>

1908 წელს კვლავ შემუშავდა ახალი პროექტი საქართველოს საეგზარქოსოს გაუქმების მიზნით, რომელიც მის ტერიტორიაზე სამი ეპარქიის დაარსებას ითვალისწინებდა, ეს იქნებოდა თბილისის, ქუთაისის და სოხუმის ეპარქიები. ვორონცოვ- დაშკოვმა უწმინდეს სინოდს მიმართა თხოვნით, რათა ამ ეტაპზეც შეეკავებინა თავი საეგზარქოსოს გაუქმებისაგან. საკითხს 1916 წელსაც დაუბრუნდნენ და, ამჯერად, კავკასიის სამიტროპოლიტოს შექმნა განიზრახეს,

რომელიც მოიცავდა ტერიტორიას როსტოკ- დონიდან ერზერუმამდე. ცენტრი იქნებოდა ჩრდილო კავკასიის რომელიმე ქალაქში. საქართველოს ეკლესია მასში ერთ-ერთი ეპარქიის სახით შევიდოდა. დაიგეგმა საქართველოს საეგზარქოსოდან ქ. წ. არაქართული სამრევლოების გამოყოფა. კვლავ დაისვა საკითხი სოხუმის ეპარქიის შავიზღვისპირეთის ეპარქიასთან მიერთების შესახებ, რაც ნიშნავდა სოხუმის საქართველოდან ჩამოჭრას. მართალია, საეგზარქოსო არ იყო ეკლესიის აგტოკეფალიისათვის მებრძოლი ქართველი ხალხისთვის სასურველი ორგანო, მაგრამ მას მაინც დადებითი როლი ჰქონდა ამ ურთულეს დროში. ის აერთიანებდა ქართულ ეპარქიებს და ისტორიულ წარსულში ჩვენი ეკლესიის დიდ როლზე მიანიშნებდა, ამ ორგანიზმის მოკვეთა საბოლოოდ იქნებოდა იმედის გადაწურვა ავტოკეფალიისტებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მთელი ქართველი ხალხისათვის. ამიტომ ქართველი საზოგადოება ამ ფაქტმა სამართლიანად ააღელვა და პროტესტით დამუხტა. მაშინდელი ეგზარქოსი პლატონი მიემსრო ქართულ საზოგადოებას და უწმინდესი სინოდი იძულებული გახდა ეს პროექტიც შეეჩერებინა.

ამრიგად, ყველა ის პროექტი და გადაწყვეტილება, რასაც ხელისუფლება იღებდა 1900-1917 წლებში, მიმართული იყო ქართული ეკლესიის დაქუცმაცებისა და მისთვის ეროვნული სულის წართმევის, უძველესი და წმინდა საეკლესიო ტრადიციის განადგურებისაკენ, რითაც ჩვენი ქვეყანა საბოლოოდ განადგურდებოდა, სულიერად გადაგვარდებოდა.

ქართველი ხალხი ეროვნულ ინტერესებს დაუპირისპირდა რუსული ეკლესიისა და წმინდა სინოდის ხელდასმით ჩამოყალიბებული ისეთი ორგანიზაციები, როგორიც იყო 1905 წელს შექმნილი „წესრიგის მომხრეთა პარტია“, რომლის სათავეში იდგნენ საქართველო- იმერეთის სინოდალური კანტორის წევრი—ი. ვოსტორგოვი და თბილისის მეორე

სამისიონერო გკლესიის წინამდღვარი ს. გოროდცევი. ორგანიზაცია ეწეოდა ანტიქართულ საქმიანობას, აღვივებდა შურსა და მტრობას კავკასიელ ერებს შორის.

1905 წელსვე, მეფინაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის მითითებით, კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების გენერალმა გრიაზნოვმა ჩამოაყალიბა „პატრიოტთა საზოგადოება“, რომელიც ასევე რუსული შავრაზმული ძალების ინტერესებს ემსახურებოდნენ. 1907-1912 წლებშითბილისში მოღვაწეობდა „რელიგიურ-ფილოსოფიური“ საზოგადოება, რომელიც თავად ეგზარქოსმა ჩამოაყალიბა და მოსახლეობაში ქადაგებდა თვითმკყრობელობისა და რუსული გკლესიის ავტორიტეტის ასამაღლებლად, რაც პირდაპირ უკავშირდებოდა ამ დროს ქართველ ხალხში გაჩაღებულ რადიკალურ ანტიკოლონიურ, განმათავისუფლებელ მოძრაობას.

საკვლევ პერიოდში რუსულმა ხელისუფლებამ კვლავ სცადა ქართული საეკლესიო სიწმინდეების მითვისება- მიტაცება. 1901 წელს უწმინდესმა სინოდმა საქართველოს გკლესიის ქონებრივი მდგომარეობის შესასწავლად მოავლინა მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე-პარასკევა უვაროვა, რომელმაც მოამზადა დასკვნა, რომ საქართველოში ჯეროვნად არ ეკიდებოდნენ საეკლესიო სიწმინდეთა დაცვას და საჭირო იყო მათი გადატანა რუსეთის საცავებში. გურია- სამეგრელოს ეპისკოპოსმა ალექსანდრე ოქროპირიძემ ამაზე პროტესტის წერილით მიმართა ხელისუფლებასა და საზოგადოებას, რამაც ეს პროცესიც შეაჩერა. 1907 წელს დაარსებულმა „საისტორიო- საეთნოგრაფიო საზოგადოებამ“, ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით, ყველა ქართული ძეგლის დაცვა- გადარჩენის გარანტია შექმნა, მანამდე კი, ამ მოვალეობას „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ასრულებდა. სასულიერო ინტელიგენცია, სამღვდელოება აქტიურად

იყო ჩაბმული ეროვნულ- განმათავისუფლებელ ბრძოლაში, „ავტოკეფალური მოძრაობა“ ამ ბრძოლის აქტიური ფრთა იყო.

„ავტოკეფალისტთა საზოგადოების“ მიზანი იყო ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისა და მისი ეროვნული მისიის აღდგენა. ამ საზოგადოების მუშაობაში წამყვან როლს ასრულებდნენ ეპისკოპოსები— კირიონი, ლეონიდი, პეტრე და დავითი. ავტოკეფალისტები განსაკუთრებით მას შემდეგ გააქტიურდნენ, რაც საქართველოდან გაიწვიეს ეგზარქოსი ნიკოლოზი და მის ადგილზე გამოგზავნეს შოვინისტი ნიკონი. ნიკონს უნდა დაესუსტებინა ქართველ ავტოკეფალისტთა მოძრაობა, ამ გზაზე მისი პირველი ნაბიჯი იყო კირიონის გაწვევა რუსეთში უწმინდესი სინოდის მიერ. იგი ლიტვის ვიკარად დაინიშნა. უკმაყოფილო ქართულმა საზოგადოებამ ეს ფაქტი გააპროტესტა, რაზეც განაწყენდა სინოდი და კირიონი უბრალო ბერად განაწესეს კურიაჟის მონასტერში, ხარკოვის გუბერნიაში.

1908 წლის 26 მაისს ეგზარქოსი ნიკონი მოკლეს თავის საცხოვრებელ ბინაში, რაც ავტონომისტებს დაბრალდათ, თუმცა მკვლელი ვერ მოიძებნა და დაინიშნა ახალი ეგზარქოსი, რომელსაც სპეციალური დაცვა მიუჩინეს. ქართველი ხალხი რუსიფიკატორულ პოლიტიკას ეკლესიის სფეროში, ათასწლოვანი ისტორიის მქონე ქართული საყდრის უფლებათა დაბრუნებას ითხოვდნენ და წამითაც არ წყვეტდნენ რეჟიმთან ბრძოლას. 1916 წლის დეკემბერში ქართველმა ინტელიგენციამ რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ II-ს მოთხოვა „განხორციელდეს სურვილი ქართველი ერისა, მის ეკლესიას თქვენი უდიდებულესობის ბრძანებითა და წყალობით დაუბრუნდეს ავტოკეფალია.“<sup>5</sup>

1917 წლის 12 მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში შემდგარმა საეკლესიო კრებამ გამოაცხადა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რითაც აღსრულდა ქართველი ხალხის ნანატრი ოცნება.

## ძირითადი დასკვნები

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთი კაპიტალიზმის განვითარების აღმავალ გზას ადგა. მთავრდებოდა მუშათა კლასის ფორმირების პროცესი, იზრდებოდა ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი, წარმოებაში ინერგებოდა მაღალი მანქანური ტექნოლოგიები, მოსახლეობის რიცხვმა 150 მილიონს გადააჭარბა. მრავალეროვნულ რუსეთის იმპერიაში 100-მდე ერისა და ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობდა. საზოგადოებრივ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით ისინი სრულიად სხვადასხვა დონეზე იდგნენ, რაც იმპერიულ ხელისუფლებას სირთულეებს უქმნიდა ეროვნული პოლიტიკის გატარებაში.

რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკური კურსი განახორციელებდა სამხრეთ კავკასიის სრულად ათვისებას, მის დენაციონალიზაციას, ეროვნული ნიშნების წაშლას და მოსახლეობის საყოველთაო გარუსებას, მიმდინარეობდა დემოგრაფიული დივერსია, კულტურული თავისთავადობით აღბეჭდილი ერების განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდგ ბრძოლის სხვადასხვა მეთოდები იყო გამოყენებული, რუსეთმა მოახდინა ისეთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა დაპყრობილ ქვეყანაში, რამაც გამოიწვია ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირებები, მისი მხარდაჭერა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისადმი, ათამამებდა მათ. ახალისებდა სეპერატისტულ მისწრაფებებს, ანტიქართულ განწყობილებებს, საქართველოში რუსეთის მიერ ჩამოსახლებული მცირე ერების კომპაქტური დასახლებები შემდეგში ცარიზის ძლიერი საბრძოლო იარაღი გახდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ.

ეკონომიკურმა კრიზისმა, რუსეთ-იაპონიის ომმა, სამხედრო-ბიუროკრატიულმა რეჟიმმა იმდენად დიდი უკმაყოფილების მუხტი და-

აგროვა ხალხში, რომ ის მძლავარ რევოლუციურ გამოსვლებში გადაიზარდა. რევოლუციას თან მოჰყვა პოლიტიკური რეაქცია, ხარისხის მიერ ჩატარებული სადამსჯელო ღონისძიებანი, უდანაშაულო ხალხის გასამართლება, სახრჩობელები და კატორდა.

მართალია, რუსეთის სახელისუფლებო ინსტიტუტები თუ ქვეყნის უზენაესი მმართველობა, დემოკრატიულ ღირებულებებზე XIX საუკუნის დასაწყისიდან აცხადებდნენ პრეტენზიას და თავიანთ ერთგულებას ამ ღირებულებისადმი ევროპის ქვეყნების წინაშე დიდი თავმოწონებით აღიარებდნენ, მაგრამ საინამდვილეში რუსეთი შორს იყო დემოკრატიისაგან. ამას არა მარტო ქართველი, არამედ რუსეთის ინტელიგენციის გამოჩენილი წარმადგენლებიც აღნიშნავდნენ.

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში გაშუქებულია რუსეთის პოლიტიკური კურსი საქართველოს მიმართ 1900-1921 წლებში, ქართველი ერის საუკეთესო შვილების დამოკიდებულება ამ პოლიტიკისადმი, სახელმწიფო ებრიობის აღდგენის, ქართული ეკლესიისთვის ავტოკეფალიის დაბრუნების, ქართველი ხალხის უკანონოდ დასჯის წინააღმდეგ რუსეთის I რევოლუციის დროს, ანტიქართული კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობისა და რუსული შოგინიზმის წინააღმდეგ მათი ბრძოლა.

სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის, XX საუკუნის დასაწყის ქართული პრესის, საარქივო მასალებისა და ემიგრანტული ლიტერატურის გამოყენებით საკვლევი თემის სიღრმისეული შესწავლის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ:

1. XX საუკუნის დასაწყისში, ქვეყანაში შექმნილმა ეკონომიკურმა კრიზისმა განსაკუთრებულად რუსეთის იმპერიის კოლონიური მხარეები დააზიანა, გაამწვავა სოციალური ვითარება, მშრომელი ადამიანების ცხოვრების დონე კიდევ უფრო დასცა. ამას ემატებოდა დაპყრობილ ხალხთა ეროვნული ჩაგვრაც, რის გამოც ისინი გამორჩეული აქტიურო-

ბით ჩაეტნენ 1905-07 წლების რევოლუციაში. ქართველი მოაზროვნების მოწინავე ნაწილმაც მთელი იმედები რევოლუციას დაუკავშირა და ის ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლების სიმბოლოდ დასახა.

2. რუსეთის იმპერიულმა ხელისუფლებამ, რომელიც შეშინდა ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისით, იმპერიაში შემავალი „ინოროდცების“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ტალღით, გადაწყვიტა კოლონიური პოლიტიკური კურსის მოდერნიზება, წამოაყენა ქვეყნის მართვისა და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის ახალი დონისძიებები.

მათი განხორციელება დაიწყო 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით და ახალი საარჩევნო კანონით, რაც რუსეთის მართვაში დემოკრატიული ინსტიტუტების – სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს როლს გაზრდიდა, რაც ერთგვარად შეზღუდავდა მონარქისტულ ქვეყანაში ქვეყნის ერთპიროვნულ გამგებლობას. ქართულმა მოწინავე საზოგადოებრივმა აზრმა ამხილა სახელმწიფო სათათბიროს ბუტაფორულობა, მისთვის საკანონმდებლო უფლებების გარეგნულად მინიჭება, დაარწმუნა ხალხი, რომ სინამდვილეში სახელმწიფო საბჭოც და სათათბიროც იმპერატორის ხელში მარიონეტები იყვნენ და არა დამოუკიდებელი ორგანოები.

შთამბეჭდავი იყო ქართველ დეპუტატთა გამოსვლები I, II, III და IV სახელმწიფო სათათბიროებში, რომლებიც ამხელდნენ ცარიზმის მოხელეთა ანტიხალხურ პოლიტიკას კავკასიაში, მათ შოვინიზმსა და დაუნდობლობას უდანაშაულო ხალხის მიმართ.

3. მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრი თამამად ამხელდა მეფის ხელისუფლების სადამსჯელო ოპერაციებს, აცხადებდა, რომ საქართველოს ეროვნული მისწრაფებებისთვის სჯიდნენ, თორემ გლეხთა სოციალური მოთხოვნები მთელს რუსეთს აზანზარებდა და იქ ასეთი სასტიკი ეგზეკუციები არავის ჩაუყენებია. მხილება იმდენად მძაფრი

იყო და მეფის მოხელეთა კარიკატურული პორტრეტები ისე ნათლად იხატებოდა ქართველ პუბლიცისტთა კალმით, რომ ცენზურამ, მიყოლებით დახურა გაზეთები: „ცნობის ფურცელი“, „შრომა“, „ისარი“, „ამორანი“, „მეგობარი“, „დროება“ და სხვ.

4. ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა გამოაფხიზლა ქართველი ერი, დაანახა მას რუსეთის კავკასიური მმართველობის ანტიქართული პოლიტიკა, მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვის უსამართლო გადაწყვეტილებები: საერობო რეფორმის პროექტის გატარებისას სომხური ინტერესების დასაცავად შემუშავებული ტერიტორიული მოწყობის გეგმა, მისი მხარდაჭერა სომხური პარტიის „დაშნაკცუტუნისადმი“, რომელსაც „დიდი სომხეთის“ აღდგენის სურვილით უსაფუძვლო ტრიტორიული პრეტენზიები ჰქონდა საქართველოსადმი.

5. რუსეთის უანდარმერიის ხელშეწყობით ქვეყანაში გამეფებულ ტერორს, პარტიული და კლასობრივი ნიშნით ადამიანთა დაპირისპირებას უდიდესი მსხვერპლი შეიძლებოდა მოჰყოლოდა, რადგან ის სამოქალაქო ომის გაჩაღების საფუძვლად მოიაზრებოდა საქართველოს მტრების მიერ. თუ მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრი, ბრძოლის უმთავრეს მიზანს დაკარგული სახელმწიფოების აღდგენაში, ქვეყნის განთავისუფლებაში ხედავდა და ფიქრობდა, რომ ამ პროცესში ყველა კლასს, ყველა წოდებას უნდა მიეღო მონაწილეობა, გარკვეულმა ძალებმა იგი ააცდინეს ჭეშმარიტ გზას და ქართველი ერისთვის საზიანოდ წარმართეს. შიდაგანხეთქილებებს, ერის დაშლასა და დაპირისპირებას არ უძნელებოდა გამარჯვების უზრუნველყოფა, რაზედაც ქართველ ერს გამუდმებით აფრთხილებდნენ ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, რომ არა ისინი, რევოლუციისა და სამოქალაქო დაპირისპირების მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდა.

6. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ქართველთა მტრების მიერ ორგანიზებული და მის დასაჩოქებლად იყო გამიზნული. რევოლუციის

მიწურულს განხორციელებულმა ამ აქტმა მართლაც დიდი სულიერი ტრავმა მიაყენა ქართველ ხალხს, მაგრამ დიდი მწერლის აღზრდილებმა და თანამოაზრებმა ყველაფერი გააკეთეს ერის გასამხნევებლად, ძირს არ დახარეს XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან აღმართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა. აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ნიკო ნიკოლაძის, კიტა აბაშიძის დ სხვა მოაზროვნეთა მიერ არა მარტო დაგმობილი და მხილებული იქნენ ილიას მკვლელები, არამედ მოძებნილი იქნა გამარჯვების ახალი გზებიც, დასახული იქნა შავრაზმული რუსეთისა და საქართველოში მისი დასაყრდენი ძალების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები.

7. რუსეთის კოლონიური პოლიტიკური კურსის გამოვლინება იყო 1904 წელს ოფიციალურად მიღებული კანონი „გადასახლებულთა შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა რუსეთის დაუსახლებელი ადგილების ათვისებას. თუმცა საქართველოს მიწა ქართველებს არც ჰყოფნიდათ, აქ მაინც დიდი სისწრაფით დაიწყო რუსებისა და სხვა ერების ჩამოსახლება, რაც ქვეყნის ეთნიკურად აჭრელებას, კომპაქტურად ჩამოსახლებულთა ტერიტორიულ პრეტენზიებს გამოიწვევდა ქართულ მიწაზე, უმიწოდებელ ქართველებს კი იძულებულს გახდიდა სამშობლო დაეტოვებინათ. ქართველი ინტელიგენცია ებრძოდა არა მარტო რუსული პოლიტიკის ამგვარ განხორციელებას, არამედ იმ ქართველ მემამულეებს, რომლებიც მატერიალურ მოთხოვნებს საზოგადოებრივ ინტერესებზე მაღლა აყენებდნენ და თავიანთ მამულებს, თუკი ოდნავ მეტ ფულს აღებდნენ, უცხოტომელებზე ჰყიდდნენ.

სწორედ ინტელიგენციის აქტიურობით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც თვალყურს აღევნებდა მიწების ყივა-გაყიდვის პროცესს, დაარსდა ბანკი, საიდანაც ქართველ გლეხებს შეეძლოთ კრედიტის გამოტანა მიწების შესასყიდად.

8. რუსეთის I რევოლუციის დროს გააქტიურდა და მთელი XX საუკუნის დასაწყისში მიმდინარეობდა ქართველი სამღვდელოების აქტიური ბრძოლა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად. სამღვდელოებას გვერდით ედგა და ამ ბრძოლას უადვილებდა ქართული მოწინავე აზრი, ადამიანები, რომლებიც ამხელდნენ ცარიზმის შოგინისტურ საეკლესიო პოლიტიკას, ქართული ეკლესიების გაძარცვას რუსული სინოდის წევრთა მიერ, რუს ეგზარქოსთა უარყოფით როლს საქართველოში. ისინი ადანაშაულებდნენ ცარიზმს სომხური ეკლესიის მფარველობასა და ქართული ეკლესიის მიმართ აგრესიულ დამოკიდებულებაში; რადიკალი სოციალისტების მიერ ათეიზმის ქადაგებისა და რუსული საეკლესიო პოლიტიკის გამო ქართველი ხალხის რწმენის შესუსტების ჟამს სწორედ ერის მოწინავე შვილები ჩააგონებდნენ მშობელ ხალხს მართლმადიდებლობის დიდ მნიშვნელობას საქართველოსთვის, წარსულში ერის გადარჩენაში მის როლს მოაგონებდნენ და მომავალშიც მართლმადიდებლობისადმი აუცილებლობად თვლიდნენ საჭირო ერთგულებას.

9. რუსეთის მრავალეროვან იმპერიაში XX საუკუნის დასაწყისში დაწყებულმა თვითგამორკვევამ, ეროვნული ავტონომიებისათვის ბრძოლამ აიძულა საიმპერიო ხელისუფლება შეეცვალა პოლიტიკური კურსი, 600-კაციან სახელმწიფო სათათბიროში 200-კაციანი „ავტონომისტა ფრაქციის“ ჩამოყალიბებისთვის შეეწყო ხელი, სადაც რუსეთის მოწინავე ადამიანები აქტიურად უჭერდნენ მხარს პოლონეთის, ფინეთის, ბალტიისპირეთისა და კავკასიის ხალხების თვითგამორკვევას, რასაც მიესალმებოდა მოწინავე ქართული აზრი. ილია ჭავჭავაძემ სათათბიროში წარმოთქმული სიტყვით დაადასტურა ქვეყნის ფედერაციული მოწყობის აუცილებლობა თვით რუსეთის მომავლისათვის, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე.

